სტატიები
განათლების
საკითხებზე

ჟურნალი „მასწავლებელი“

2024

ჟურნალ „მასწავლებლის“ ავტორთა სტატიებით შედგენილი კრებული მასწავლებლებს სთავაზობს: კვლევებზე, დაგეგმვაზე, სწავლების მეთოდიკასა და ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს. კრებული ორიენტირებულია საჭირო ინტერვენციების ახლებურად გააზრებაზე, საგაკვეთილო პროცესის სრულყოფაზე და მოიცავს პრაქტიკულ რესურსებსა და სტრატეგიებს. კრებულის მთავარი მიზანია, მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პრევენციაზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერა და ინკლუზიური საკლასო გარემოს მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რომელიც განათლების მაღალი სტანდარტების მიღწევას ემსახურება.

რედაქტორები:

ნატო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

ნანა მაჭავარიანი

კორექტორები:

ქეთი ნიკოლეიშვილი

ნათია ორმოცაძე

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

© 2024, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-8-7282-2

რედაქტორის წერილი

ჟურნალ „მასწავლებლის“ თითოეული ნომრის მომზადებისას, ცხადია, ვფიქრობთ მასწავლებელზე და იმ საჭიროებებზე,რომელთა წინაშეც ის ახლა დგას.

ვფიქრობთ მასწავლებელზე, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლადაც ფიქრობს, როგორ მოემზადოს გაკვეთილისთვის, რა ასწავლოს და როგორ ასწავლოს ან რატომ ასწავლოს ესა თუ ის საკითხი და როგორ დაუკავშიროს ის მოსწავლის სამომავლო მოთხოვნებს.

სამომავლო მოთხოვნები კი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც ეს სიტყვათშეთანხმება.

სწრაფად ცვალებად სამყაროში მომავლის მოთხოვნები გაუთვალისწინებელია და ამ მოთხოვნებზე კონკრეტული პასუხები თითქმის არ გვაქვს. მაგრამ არსებობს პარადიგმა, რომელიც გამძლეა და მასზე მოთხოვნაც ჯერ-ჯერობით აქტუალურია. ცოდნა და უნარები, ასეთია ეს პარადიგმა დღეს და მის მისაღწევად მასწავლებელი სხვადასხვა, უკვე ნაცად თუ ახალ მეთოდს იყენებს.

ხშირად ამბობენ, რომ მასწავლებლისთვის გაკვეთილი ერთგვარი „სცენაა“, რომელსაც მოსწავლეთა სახით სხვადასხვა ტიპის მაყურებელი ჰყავს. არც სპექტაკლი იქნება ყოველთვის ერთი და იმავე ხარისხის.

მაყურებლის უმრავლესობა აქაც სანახაობას არის დახარბებული, ამიტომ რეჟისორმა-მასწავლებელმა ხშირად უნდა აღიაროს თვისთვის, რომ ვერც როლები გაანაწილა შესაფერისად და ვერც გაკვეთილის სტრუქტურა დაგეგმა, ხანდახან თვითირონიაც მოიშველიოს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

შეცდომების დაშვების ალბათობა და მისი არეალი ფართოა. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებებია და მასწავლებლის პროფესიაში გულისხმობს: სამართლიანობას, იუმორის გრძნობას, თავაზიანობას, ურთიერთპატივისცემას, ბუნებრიობას, ურთიერთობის აღდგე-

ნისა და აქტიური მოსმენის უნარს, რაც ზრდის მასწავლებლის ავტორიტეტს და კარგი პიროვნული ურთიერთობის ჩამოყალიბების საფუძველია. ეს შესაძლებლობაა, მასწავლებლის ფორმალური ავტორიტეტი მის პიროვნულ ავტორიტეტში გადაიზარდოს.

რა შეგვიძლია ჩვენ მასწავლებლისთვის?

ჟურნალის სტატიის ავტორები, პირადი თუ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, ცდილობენ, მასწავლებლებს შეცდომების დანახვასა და აღიარებაში, მის უმტკივნეულოდ გამოსწორებაში დაეხმარონ. უპირველესი, მაინც, ამ შეცდომების არიდებაში დახმარებაა.

და, რაც მთავარია, მასწავლებელი მარტო არ უნდა იყოს ამ რთულ გზაზე, ყოველთვის უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას ყველა ინსტიტუციისგან თუ პიროვნებისგან, ვისაც ეს პირდაპირ თუ ირიბად ეხება.

სტატების ეს კრებულიც ამის მცდელობა და სურვილია.

ნატო ინგოროყვა

ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი

სარჩევი

1. **მანანა ბოჭორიშვილი**
   დიფერენცირებული სწავლება –
   თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა 11

2. **ნინო ლომიძე**
   თვითშეფასება და შეცდომების გასწორება
   წერითი მეტყველების გასაუმჯობესებლად 16

3. **თამთა დოლიძე**
   რემედიაციის შესახებ 21

4. **ლელა მანგოშვილი**
   როგორ დავძლიოთ კითხვის სირთულეები
   სარემედიაციო პროგრამის დახმარებით 26

5. **ლელა კოტორაშვილი**
   საკლასო პროექტი – მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი 31

6. **ინა იმედაშვილი**
   გამარჯობა, მე ვარ მასწავლებელი და
   მე არ ვარ იდეალური! 37

7. **მარიამ გოდუაძე**
   ქართული ჟესტური ენა
   მსოფლიო ენობრივ ატლასზე 40

8. **მანანა სეხნიაშვილი**
   ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე 45

9. **შორენა ტყეშელაშვილი**
   მოსწავლე ციფრული გამოწვევების პირისპირ 48

10. **მაია იანტბელიძე**
    ურთიერთობა თუ კომუნიკაცია? 52

11. თამთა კობახიძე
ლიდერობა სკოლაში და პროფესიული განვითარება – ესტონეთის გამოცდილება 56

12. ნათელა ბაღათრიშვილი, მაია სილაგაძე
მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვა და მონიტორინგი 59

13. დიანა ანფიმიადი
„ვეფხისტყაოსანი“ დაწყებით კლასებში 74

14. ელიზბარ ელიზბარაშვილი
ამედეო ავოგადროს კანონით 77

15. ქეთევან კუპატაძე
ქიმიური იარაღი 80

16. ნასტასია არაბული
როგორ შევინახოთ მოგონებები 84

17. ნანა აბულაძე
იდეიდან ტექსტამდე 88

18. გიორგი კეკელიძე
ფეხბურთის საქმე 93

19. ლევან ლორთქიფანიძე
ავტორიტარიზმი სკოლაში 97

20. ნათია უჩავა
მასწავლებლის გზა 99

21. ქეთევან ოსიაშვილი
როგორ ამოვიცნოთ ძალადობა ბავშვებში. კონფლიქტის მახასიათებლები 105

22. თინათინ ზარდიაშვილი
მე შენი ჩრდილი ვარ – რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის 109

23. მაია ფირჩხაძე
საგაკვეთილო აქტივობები მედიაწიგნიერების უნარების ფორმირებისთვის 116

24. თემურ სუყაშვილი
ციფრული ჩვევები და მათი შემოწმება 123

25. ნესტან მიქაძე
ხელოვნური ინტელექტი და სასკოლო განათლება 127

26. ცირა ბარბაქაძე
AI ჩატბოტები: ცოდნის მიღების
ინტერაქციული ფორმა და მომავლის განათლება 136

27. მეგი კავთუაშვილი
მშობელთა კლუბი სკოლაში და
მშობელთა მოხალისეობა 141

28. მაია მენაბდე
„ულმობელი საქმის კაცი“ და
თანამედროვე მოზარდები 150

29. მაკა სახურია
ტექსტები, როგორც „სულისა და გულის საპოხი“ 157

30. ირენა მახარაძე
რამდენიმე ფრაგმენტი დედის პორტრეტების
გალერეიდან 161

31. გიტა თვალაბეიშვილი
პიროვნული განვითარება და
მე-კონცეფცია სადამრიგებლო საათისთვის 169

32. ნათია ნაფეტვარიძე
რატომ, მასწ? 176

33. თამარ მურუსიძე
ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო 178

34. გიორგი ჭაუჭიძე
თემატური პოსტერების მრავალმხრივი გამოყენება 182

31. ქრისტინე სურგულაძე
როცა კლასი მრავალრიცხოვანია 196

მანანა
ბოქორიშვილი

დიფერენცირებული სწავლება — თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა

ბოლო წლებში დიფერენცირებული სწავლება იქცა ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად, რადგან ის გვთავაზობს: გადავხედოთ კლასის სტრუქტურას, კლასის მართვას, მასალის შინაარსს და კლასის ყველა წევრი ჩავრთოთ სასწავლო პროცესში ისე, რომ ყველამ ნახოს სარგებელი.

რამ განაპირობა დიფერენცირებული სწავლების მოდელის შექმნა?

რამდენიმე ათეული წლის წინ კლასში მოსწავლეთა მრავალფეროვნებამ, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ კლასებში თავი მოიყარეს სხვადასხვაენოვანმა, სხვადასხვა კულტურული წარმოშობის, სხვადასხვა ცოდნის დონის მქონე მოსწავლეებმა, პედაგოგები აიძულა, გადაეხედათ თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკისათვის და სწავლების მეთოდები მოერგოთ კლასის საჭიროებებისთვის. დიფერენცირებული სწავლების მოდელი შეიქმნა, როგორც პასუხი ჰეტეროგენულ კლასებში სწავლა-სწავლების ეფექტიანად წარმართვაზე.

რას ეფუძნება ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლების კონცეპტუალური ჩარჩო?

დიფერენცირებული სწავლება აღიარებულია, როგორც დამაჯერებელი და ეფექტიანი საშუალება იმისათვის, რომ მრავალფეროვან კლასში შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლების დიფერენცირებულ მოდელს მეცნიერულად დასაბუთებული უპირატესობა აქვს ჰეტეროგენულ კლასებში სწავლებისას. ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლე-

ბის კონცეპტუალურ ჩარჩოდ მკვლევრები აღიარებენ **ვიგოტსკის** (1896–1934) სოციოკულტურულ თეორიას.

სოციოკულტურულმა თეორიამ, რომელიც ეყრდნობა ვიგოტსკის (1962) და მოგვიანებით ვერტშის (1991), შარპის, გალიმორეს ნაშრომებს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სწავლებაზე, სკოლასა და განათლებაზე (Tharp, R. G., and Gallimore, R., 1988). ეს თეორია ეფუძნება წინაპირობას, რომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მოსწავლის სოციოკულტურული კონტექსტი, რადგან სოციალური ურთიერთქმედება ფუნდამენტურია შემეცნების განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ვიგოტსკის თეორია განათლებას განიხილავს როგორც მიმდინარე პროცესს და არა პროდუქტს.

რა მოიაზრება ვიგოტსკის თეორიის ერთ-ერთ ცნებაში, რას გულისხმობს პროქსიმალური განვითარების ზონა?

ვიგოტსკის თეორიის ერთ-ერთი ცნება – **პროქსიმალური განვითარების ზონა** – ამ თეორიის ცენტრალური ცნებაა და ეხება განვითარების დონეს, რომელიც მიღწეულია მაშინ, როდესაც მოსწავლეები ებმებიან სოციალურ ინტერაქციაში.

პროქსიმალური განვითარების ზონას ვიგოტსკი განმარტავს როგორც მანძილს განვითარების რეალურ და პოტენციურ დონეებს შორის. აქედან გამომდინარე, პროქსიმალური განვითარების ზონა აკავშირებს ცნობილს უცნობთან. როგორც კერსლი (1996) აღნიშნავს, განვითარებისთვის მოსწავლეებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მასწავლებელთან ან უნარიან თანატოლებთან (Kearsley, 1996). შესაბამისად, მოსწავლემ უკვე იცის ის, რასაც დაეუფლა ამ ინტერაქციით. მასწავლებელი არის ერთგვარი შუამავალი აქტივობებზე მუშაობის დროს. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მიაღწიოს პროქსიმალური განვითარების ზონას.

რას ეყრდნობა დიფერენცირებული სწავლების თეორიული ჩარჩო?

ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორია გამოიყენებოდა როგორც დიფერენცირებული სწავლების თეორიული ჩარჩო. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა სწავლებასა და სწავლაზე (Flem, A., Moen, T., and Gudmundsdottir, S., 2000). სოციალური ინტერაქციის სფეროები, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია, ფიზიკური სივრცის მოწყობა, აქტივობის ინსტრუქცია, ხარაჩოები, მოსწავლის უნარი და სასწავლო შინაარსი სწავლების ელემენტებია.

როგორ უნდა იქცეს დიფერენცირებული სწავლება პედაგოგიურ ინსტრუმენტად სასწავლო პროცესის გასაადვილებლად?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის შემუშავებული ინსტრუქციები, რომელსაც შეუძლია მოსწავლე გადაიყვანოს ეკვილიბრიუმის მდგომარეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ინსტრუქცია-ხარაჩოები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება, მიაღწიონ პროქსიმალურ ზონას, აქედან გამომდინარე, დიფერენცირებული სწავლება არის პედაგოგიური ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის გასაადვილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ინსტრუქცია-ხარაჩოების გამოყენება. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, როგორ უპასუხონ თანამედროვე საკლასო ოთახების მზარდ მრავალფეროვნებას.

რა გავლენა აქვს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას მოსწავლეთა მოტივაციაზე?

მოსწავლეთა განსხვავებებისა და ინტერესების გათვალისწინება, როგორც ჩანს, აძლიერებს მათ მოტივაციას(Tomlinson C. A., 2004b). ამ ფუნდამენტური განსხვავებების იგნორირებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი მოსწავლის ჩამორჩენა, დემოტივაცია და წარუმატებლობა (Tomlinson C. A., 1998). მოსწავლეებმა, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები და მოტივირებულები, შეიძლება დაკარგონ მოტივაცია, თუ მასწავლებელი ორიენტირებულია პროგრამის გავლაზე. მოსწავლე წარმატებული და მოტივირებულია, როდესაც მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

ტომლინსონის განმარტებით დიფერენცირებული სწავლება რა მთავარ ფილოსოფიაზეა დაფუძნებული?

ტომლინსონი (2005) დიფერენცირებულ სწავლებას განმარტავს როგორც ფილოსოფიას, რომლის თანახმადაც, სწავლება დაფუძნებულია იმ წინაპირობაზე, რომ მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ მაშინ, როცა მასწავლებლებმა კარგად იციან განსხვავებები მათი მზაობის დონეებს შორის, ასევე მათ ინტერესებს შორის. დიფერენცირებული სწავლება არის ყველა მოსწავლის სწავლის უნარის სრულად გამოყენება (Tomlinson C. A., 2000a).

ტომლინსონი ამტკიცებს, რომ დიფერენციაცია არ არის მხოლოდ სასწავლო სტრატეგია და არც სწავლების რეცეპტი, არამედ ეს არის სწავლებისა და სწავლის შესახებ აზროვნების ინოვაციური გზა. დიფერენციაციის თეორია ეფუძნება ასეთ დასკვნას – მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა მოსწავლე ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება (Tomlinson C. A., 2000).

რა ტიპის სტრატეგიებით სწავლებას უწევს რეკომენდაციას დიფერენცირებული სწავლება?

ამ დასკვნიდან გამომდინარე თეორია რეკომენდაციას უწევს სტრატეგიებს, რომლებიც მასწავლებლისთვის არის ერთგვარი გზამკვლევი, რათა მან შეძლოს, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას ეფექტიანი სასწავლო გარემო, რისთვისაც მასწავლებელი ინტენსიურად იყენებს სხვადასხვა დავალებებს, განსხვავებულ სასწავლო მასალებს და მოქნილ, ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი მიმართავს კლასის მართვის და სწავლა-სწავლების ფასილიტაციის იმ პრინციპებს, რომელთა ეფექტიანობა თითოეული მოსწავლის საჭიროებებთან მიმართებაში ეჭვს არ იწვევს. ეს თავისთავად

გულისხმობს იმას, რომ პერმანენტულად იცვლება გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შინაარსი, აქტივობის მიმდინარეობის პროცესი, აქტივობისას შექმნილი პროდუქტის ტიპი – მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკაში გამოყენებისას?

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას –

1. მასწავლებელს დაკონკრეტებული აქვს, რა არის გაკვეთილის სასწავლო მიზანი;
2. მასწავლებელმა იცის ჰეტეროგენული კლასის მონაცემები და მოსწავლეების შესაძლებლობებს შორის არსებულ განსხვავებებს ეყრდნობა;
3. სწავლების კომპონენტი პირდაპირ კავშირშია შეფასების კომპონენტთან;
4. მასწავლებელი დაკვირვების შედეგების საფუძველზე არეგულირებს სასწავლო შინაარსს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მიღებულ შედეგებს;
5. სწავლებას აქვს ორმაგი სასწავლო მიზანი: პირველი მდგომარეობს მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის ზრდაში, მეორე კი წარმატების მაქსიმალურ ზრდაში;
6. მასწავლებელმა დიფერენცირებული სწავლებისას: დაგეგმვის, სწავლების და შეფასების ეტაპებზე უნდა გამოიყენოს მოქნილი მიდგომები(Tomlinson C. A., 2000).

დიფერენცირებული სწავლებისას რისი მოდიფიკაცია უნდა მოახდინოს მასწავლებელმა?

იმისათვის, რომ მასწავლებელმა საკლასო ოთახში პრაქტიკულად გამოიყენოს დიფერენციაციის თეორია, მან უნდა მოახდინოს სწავლის კომპონენტების მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია უნდა შეეხოს:

1. იმ სასწავლო გარემოს, სადაც მიმდინარეობს სწავლა-სწავლება;
2. იმ სასწავლო შინაარსს, რაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს;
3. იმ სასწავლო რესურსებს, რომლითაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა სამიზნე აუდიტორიას.

დიფერენცირებული სწავლებისას რა ასპექტები განაპირობებს მოდიფიკაციის აუცილებლობას?

მოდიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს სამი ძირითადი ასპექტი:

1. მოსწავლეთა სწავლის განსხვავებული შესაძლებლობები;
2. მოსწავლეთა განსხვავებები სწავლის მოტივაციაში;
3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს ასპექტები პირდაპირ კავშირშია: მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობასთან, მოსწავლეთა განსხვავებულ ინტერესებთან და მოსწავლეთა განსხვავებულ სწავლის სტილთან.

ბიბლიოგრაფია

1. Flem, A., Moen, T., and Gudmundsdottir, S. (2000). ECER Conference. *Towards inclusive schools: a study of how a teacher facilitated differentiated instruction*. Edinburgh.
2. Kearsley, G. (1996). *Social Development Theory.* Open Learning Technology Cooperation.
3. Tharp, R. G., and Gallimore, R. (1988). *Rousing Minds to Life: Teaching, Learning and Schooling in Social Context*. Cambridge, Engaland: Cambridge University Press.
4. Tomlinson, C. A. (1998). Teach me, teach my brain: A call for differentiated classrooms. *Educational Leadership*, 56(3), 52–55.
5. Tomlinson, C. A. (2000). *The Differentiated Classroom: Responding to the Needs of all Learners*. Alexandria: Association for Supervision and Curriculum Development.
6. Tomlinson, C. A. (2000a). *The Differentiated Classroom: Responding to the Needs of all Learners*. Alexandria: Association for Supervision and Curriculum Development.
7. Tomlinson, C. A. (2004b). Research evidence for differentiation. *School Administrator* 61(7), 30.

ნინო
ღომიძე

თვითშეფასება და შეცდომების გასწორება წერითი მეცყვეღების გასაუმჯობესებღად

წერითი უნარის განვითარება შრომატევადი პროცესია.

„ვერ ვწერ“ ზოგჯერ საკუთარი თავისთვისვე გამოტანილი „განაჩენია“, ზოგჯერ – ერთგვარი მარტივი გამოსავალი, ზოგჯერ - თავის მართლების მცდელობა.

„ვერ ვწერ თემებს და მორჩა!“

არადა, ასე არ ხდება, და თუ მოსწავლეს ეს მიმართება ჩამოუყალიბდა და განუმტკიცდა, ნიშნავს, რომ რაღაც არასწორად წარიმართა.

წერილობით მოსაზრების ჩამოყალიბება, სათქმელის ნათლად, მკაფიოდ გამოხატვა, არგუმენტირება-დასაბუთება, შესაბამისი მაგალითებით ილუსტრირება მნიშვნელოვანი უნარებია და ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ამ მიმართულებას სათანადო დრო უნდა ეთმობოდეს.

აუცილებელია აღინიშნოს: თხზულებების იმ ფორმით წერა, რომლითაც წინა ათწლეულებში მოგვეთხოვებოდა, უსარგებლო და უფუნქციო გარჯაა.

დავაკონკრეტებ: მაღალფარდოვანი სტილი, ლიტერატურის თეორიის საკითხების სიღრმისეული ცოდნა, მხატვრული ტექსტის ფილოლოგიური/ფსევდოფილოლოგიური ანალიზი, რამდენიმეგვერდიანი „გარჩევა“ საშუალო სკოლის მოსწავლის კომპეტენცია არ არის. საზოგადოდ, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის სასკოლო კურსი ძალიან ჰგავს სწორედ ფილოლოგიის ფაკულტეტისთვის მოსამზადებელ წინა საფეხურს. სტანდარტში გაწერილ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან ერთად სავალდებულო პროგრამულ ჩამონათვალში იმდენი სპეციფიკური „საცოდნელი“ მასალაა თავმოყრილი, ბუნებრივად მიჩნდება კითხვა: რაში სჭირდება ეს ყველაფერი ადამიანს, რომელსაც არ აქვს გადაწყვეტილი, ფილოლოგიის განხრით გააგრძელოს პროფესიული განვითარება? ამ უზარმაზარი მოცულობის

მასალის დაძლევა საფეხურის ფარგლებში მართლა შესაძლებელია? სტანდარტი ზედმეტად ამაღლებულ წარმოდგენას ხომ არ გვიქმნის პროცესზე? რამდენად რეალურია ყველა ამ შედეგის მიღწევა? მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის თემაა და სასკოლო კურსის პრობლემები არაერთ წერილში მაქვს დეტალურად მიმოხილული.

ახლანდელ სიტუაციას და თანამედროვე მოსწავლეს დავუბრუნდეთ, მოსწავლეს და მის წინაშე მდგომ მასწავლებელს.

დღეს მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი (სამწუხაროდ!) პროგრამის მოსწრებაა. შინაარსებისა და გაგება-გააზრების დავალებების შესრულება. ჯეროვნად შესრულება. კარგ მოსწავლეებს კარგი შედეგები უნდა ჰქონდეთ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც „წერა არ შეუძლიათ“. ისინი როგორმე უნდა მივიყვანოთ ეროვნული გამოცდების ზღვრის გადალახვამდე. დავუწეროთ კლასიდან კლასში გადამსვლელი ქულები. წლის ბოლოს მოვთხოვოთ „რაღაცის წაკითხვა მაინც“ და „ერთი თემის დაწერა მაინც“.

კარგი მოსწავლეების ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო მიზანია კარგი ნიშნების მიღება. დავალებების შესრულება დავალებების შესასრულებლად და არა თვალსაწიერის გასაფართოებლად ან სხვადასხვა უნარის განსავითარებლად.

სასკოლო თხზულებებისა და საშინაო დავალებების წერა ამ მხრივ მარტივია. ინტერნეტში უამრავი მზა თემაა, შინაარსი, ანალიზი, სხვადასხვა ქულით შეფასებული ნაწერი.

ეს მანკიერი წრე შეფასების არსებული სისტემის ბუნებრივი შედეგია. განმსაზღვრელი შეფასება და ქულების წერა წერით ნაშრომებში კრიტერიუმების ჩაუშლელად ან განმავითარებელი კომენტარების გარეშე მოსწავლეს ვერაფერს ასწავლის. ეს შეფასება შეფასებისთვისაა და არა განვითარებისთვის. არადა... იდეალურ შემთხვევაში, შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთ კომპონენტია და არა უმთავრესი.

კონცენტრირება ნიშანზე კი არ უნდა მოხდეს, არამედ პროცესზე.

შედეგმა უნდა მასწავლოს და ქულა არ უნდა იყოს „ბოლო ინსტანცია“.

ამ წერილში ჩაკეტილი წრის (შეფასება შეფასებისთვის) გარღვევის ერთ-ერთ ხერხზე ვისაუბრებ. მეთოდზე, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება, გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები და ნაწერის გაუმჯობესებაში დაეხმარონ საკუთარ თავს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მასწავლებელი, რომელსაც სემესტრის განმავლობაში ასამდე მოსწავლე ჰყავს, ფიზიკურად ვერ გაასწორებს იმდენად ხარისხიანად ყველა მოსწავლის ნაშრომს, რომ ინდივიდუალურად დაეხმაროს მათ საკუთარი შეცდომების აღმოჩენა-გასწორებაში.

საშინაო დავალების გასწორების სტრატეგიებში მასწავლებლის შრომის შემამსუბუქებელი რამდენიმე აქტივობაა თავმოყრილი. მოცემული მეთოდი კი ინდივიდუალურია - ერთგვარი ინტელექტუალური სამუშაო, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად გასწევს და სარგებელსაც მიიღებს.

რა კომპეტენციას ავითარებს მოცემული აქტივობა

ჩემი დაკვირვებით, მოსწავლეები საშინაო წერითი დავალების შესრულებას ნაწერში ბოლო წერტილის დასმისთანავე ასრულებენ. საკუთარი ნაშრომის გადაკითხვა და რედაქტირება არ არის იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალში, რომელთა ჩამოყალიბებასაც სკოლა უწყობს ხელს.

შედეგად ნაწერი სავსეა მექანიკური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილებრივი და სხვა ტიპის შეცდომებით და მათი უმეტესობის აღმოჩენა-აღმოფხვრა თავად მოსწავლეებსვე შეუძლიათ.

მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გათავისებაში, რომ:

წერითი ნაშრომი კომუნიკაციის ფორმაა. თუ ზეპირმეტყველებისას ჩვენ ვცდილობთ, გარკვევით, გასაგებად ვილაპარაკოთ, არ ჩავყლაპოთ მარცვლები, ხმამაღლა, მკაფიოდ გამოვთქვათ მოსაზრებები, ასევე უნდა მოვიქცეთ წერისას. მიკროსკოპული ასოები, ჩახლართულ-ჩაღვლარჯნილი, გაკრული ხელი, სწრაფად წერისას გამოტოვებული ასოები არასწორად წარმართული კომუნიკაციის სიმპტომებია. იმისთვის, რომ ამ უსიამოვნებას ავცდეთ, უნდა გამოვიყენოთ წერითი დავალების თვითშეფასების რუბრიკა. ამ შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია, უბრალოდ დააპლიუსოს ჩამონათვალი ან გადაინაწილოს ქულები და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი.

გთავაზობთ რუბრიკას 7 კრიტერიუმით. თქვენი დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეგიძლიათ ცვალოთ კრიტერიუმები, გაამახვილოთ ყურადღება იმ პრობლემაზე, რომელსაც კლასთან/მოსწავლესთან აწყდებით. რუბრიკა საორიენტაციოა და წარმოდგენას შეგიქმნით მეთოდზე.

წერითი დავალების თვითშეფასება

1. წერით დავალებაზე ვიმუშავე 30 წუთზე მეტხანს – 1
2. ნაწერი მოწესრიგებულია. ამოკითხვა არ ჭირს. აბზაცები გამოყოფილია – 1
3. ნაწერი გადავიკითხე და ორთოგრაფიული შეცდომები გავასწორე – 1
4. ნაწერი გადავიკითხე ხმამაღლა და ინტონაციურ პაუზებთან დავსვი მძიმეები, წინადადების ბოლოს კი ყველგან წერტილია – 1.5
5. ნაწერში არ არის რთული, ჩახლართული, ბუნდოვანი და გრძელზე გრძელი წინადადებები – 1.5
6. ნაწერში არ არის „მიტოვებული აზრები“ - რასაც ვამბობ ცხადია, ნათელია, დასაბუთებულია – 2
7. ვლინდება ცოდნა/ერუდიცია/ინტელექტი (ნაწერი არ არის „მშრალი“. საინტერესოა) – 2

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება კომენტარებში. გაზიარებით ბევრს ვსწავლობთ ერთმანეთისგან.

განაჩენის გასაჩივრება თვითდიაგნოსტირებით

წერილის დასაწყისში განაჩენი „ვერ ვწერ“ ვახსენე. ამ ნაწილში შევეცდები, საკითხს ჩავუღრმავდე.

„ვერ ვწერ“ კომპლექსური პრობლემაა. ასე აერთიანებენ ბევრ ისეთ „ვერშეძლებას“ ან „ვერგაგებას“, როგორსაც საკუთრივ წერასთან (ტექნიკური თვალსაზრისით) შესაძლოა ნაკლები კავშირი ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში, საშუალო საფეხურის ასაკსა და ტიპური ინტელექტუალური განვითარების შემთხვევას განვიხილავ. განსახილველი ობიექტი დავავიწროოთ მოცემულობამდე - „ვერ ვწერ თხზულებას წაკითხულის მიხედვით“.

ამ მოცემულობაში რას შეიძლება გულისხმობდეს „ვერ ვწერ თემას“ (გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეს არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები)?

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია იმის ზუსტი დიაგნოსტირება, რა ეტაპზე იწყება „გაჭედვა“. ასეთი ეტაპი შეიძლება რამდენიმე იყოს:

1. გაგება

წაკითხულის მიხედვით თხზულების დასაწერად მნიშვნელოვანია, გაიგო წაკითხული. გაგება მიღებული ცნობის მნიშვნელობის წვდომას ნიშნავს. მხატვრული ტექსტის შემთხვევაში გაგება გულისხმობს:

ა) ტექსტში მომხდარი, აღწერილი, გადმოცემული ფაქტი, ამბავი, პროცესი, მოვლენა შემიძლია გადმოვცე ჩემი სიტყვებით.
ბ) შინაარსობრივ კითხვებს შემიძლია ვუპასუხო ტექსტიდან კონკრეტული მონაკვეთების მოშველიებით. მაგალითად: ვინ არის მთავარი მოქმედი პირი? რას აკეთებს? როგორ ურთიერთქმედებს სხვებთან? როგორია მისი ემოციური მდგომარეობა? რას ამბობს/რას აკეთებს/რას გულისხმობს?
გ) შემიძლია იმის გაცხადება, რომ აღწერილის/ნათქვამის/მომხდარის მიღმა იგულისხმება/შეიძლება იგულისხმებოდეს რაღაც სხვა, სიღრმისეული, რაზეც უნდა ვიფიქრო/ვიმსჯელო და ზედაპირულ ცნობაზე დაყრდნობით დასკვნა გამოვიტანო.

გაგების სინონიმებია: გამორკვევა, გამოძიება, შეტყობა, გათავისება გამოცნობა, შემოწმება, შეჯერება (ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით).

თუ ამ ეტაპზე პრობლემა არ წარმოიშობა და მკითხველს შეუძლია წაკითხულის ადეკვატურად გაგება, მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, რამდენად გაიაზრებს ის წაკითხულს.

2. გააზრება

გააზრება ტექსტის ძირითადი იდეის გამოკვეთას, ავტორის სათქმელის, გზავნილის ამოცნობასა და საკუთარი სიტყვებით გადმოცემას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, რა მოხდა ტექსტში, რატომ მოხდა ასე, როგორ განვითარდა მოვლენები, რამ მიიყვანა კულმინაციამდე გმირი; შეგვიძლია ამოვიცნოთ და დავასახელოთ მიზეზშედეგობრივი კავშირები, გამოვიტანოთ დასკვნები და მოვიშველიოთ არგუმენტები ნათქვამის დასასაბუთებლად.

ტექსტს გავიაზრებ, თუ:

ა) შემიძლია ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ტექსტის მთავარი გზავნილის ამოცნობა (მაგალითად, პურობის ეპიზოდში შუშანიკის სიფიცხე ან მისი იმპულსური ქმედების აქცენტირება არ არის მწერლის მთავარი გზავნილი. ეს დეტალი გვეხმარება

გმირის ხასიათზე მსჯელობისას, საინტერესო და ცოცხალ სახეს ქმნის, მაგრამ პურობის ეპიზოდში წამყვანი მოტივი არ არის, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე; განაცხადი „ვარსქენმა შუშანიკს იმიტომ სცემა, რომ მან ხელი აუკრა უდანაშაულო ქალს და ჭიქა შეალეწა“ სწორედ გააზრების ხარვეზია).

ბ) შემიძლია ქვეტექსტის ამოცნობა, ვარაუდების ფაქტებისგან გამიჯვნა (ფაქტში აქ მხატვრულ მოცემულობას ვგულისხმობ), კონტექსტის გათვალისწინებით ფრაზის, წინადადებების მნიშვნელობის გაგება-დეკოდირება.

წაკითხულის გაგებისა და გააზრების შემდეგ მნიშვნელოვანია ნააზრევის მოწესრიგება. თუ წაკითხული გავიგე, გავიაზრე, ახლა ჩემი ამოცანაა, ნააზრევი მოვაწესრიგო და ფურცელზე გადმოვიტანო. თუ აქ შემექმნა პრობლემა და „არ ვიცი, როგორ დავიწყო“ ან „არ ვიცი, როგორ გადმოვიტანო ნააზრევი ფურცელზე“, საჭიროა უნარის დახვეწა, მუშაობა წერის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით და ეს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკის, მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად მოხდება.

3. ნააზრევის მოწესრიგება

იმისთვის, რომ ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად, საინტერესოდ, დამაჯერებლად და გამართულად გადმოვცე ნააზრევი, უნდა შევძლო:

ა) გაგება + გააზრება + გათავისება = მოსაზრებების ჩამოყალიბება და წინადადებებად ქცევა.

ბ) ნააზრევი რომ სიტყვებად და წინადადებებად ვაქციო, ჩამოვაყალიბო და სხვისთვის საინტერესოდ, გასაგებად გადმოვცე, ამისთვის მჭირდება ლექსიკური მარაგი, ერუდიცია, გრამატიკის ცოდნა (სინტაქსური კონსტრუქციების აგება, სტილისტიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია...).

ამრიგად, წერა არის ინტელექტუალური შრომა, აქტი, რომელიც არაერთი კომპლექსური უნარის გამომუშავებას მოითხოვს. „ვერ ვწერ“ არ იქნება განაჩენი, თუ სწორად შევძლებთ დიაგნოსტირებას (რა ეტაპზე გვჭირდება დახმარება) და „მკურნალობის კურსის“ დანიშვნას, რომელიც მხოლოდ წერას (ანუ ასოების ფურცელზე გამოყვანას) არ გულისხმობს.

თამთა
ჯოღიძე

რემედიაციის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან სრულად გადაჭრას ნიშნავს. იგი დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემის დროულად აღმოჩენა და ჩარევა სასურველი შედეგის მიღწევას მნიშვნელოვნად აადვილებს. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნული პროგრამა იქმნება ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება და სხვ.

სწავლის პროცესი ინდივიდუალურია. თუმცა არსებობს საერთო სტანდარტი საფეხურის მიხედვით, რომელსაც ყველა მოზარდი სხვადასხვა გზით აღწევს. სარემედიაციო პროგრამის დახმარება მაშინ ხდება საჭირო, როცა დიფერენცირებული მიდგომებითაც ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება. მთავარია, დროულად განისაზღვროს პრობლემის ტიპი და დაიგეგმოს სირთულის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციები.

სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს არ უნდა შეექმნათ საფეხურით გათვალისწინებული საკლასო გაკვეთილების გაცდენის საჭიროება (დამატებითი მეცადინეობები უნდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან შემდეგ). პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რემედიატორ მასწავლებელთან ერთად, ერთვება კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია. პროგრამის განხორციელების ძირითადი საფეხურებია:

- მოსწავლეთა სკრინინგი და შედეგების ანალიზი;
- სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი;
- სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება;
- სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა;
- სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება;
- პროგრესის მონიტორინტი და შუალედური შეფასება;
- შემაჯამებელი შეფასება.

როგორც ვხედავთ, სარემედიაციო პროგრამაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა დიაგნოსტირების პროცესს. სკრინინგის ტესტის შედეგები გვიჩვენებს, თუ ვის უნდა ჩავუტაროთ ჩაღრმავებული დიაგნოსტიკური ანალიზი. დიაგნოსტიკის პროცესი ორ ნაწილად იყოფა – „წაკითხვის თანმდევი ჩანაწერები“ და „გასაუბრება კითხვის გარშემო“ (გაგება-გააზრების გადასამოწმებლად მასწავლებელი წინასწარ მომზადებულ რამდენიმე შეკითხვას სვამს და სწორი პასუხების რაოდენობას ინიშნავს). დიაგნოსტიკის ფაზაში ასევე შედის შედეგების ანალიზი, მშობლებთან გასაუბრება სარემედიაციო პროგრამაში ჩართვისთვის ნებართვის მისაღებად და მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა. დეტალური მონაცემების შეგროვება და სიღრმისეული ანალიზი ასევე აადვილებს რელევანტური მეთოდების/აქტივობების შერჩევას და ეფექტური გაკვეთილების დაგეგმვას.

საქართველოში სარემედიაციო პროგრამის პილოტირება 2017-2018 სასწავლო წელს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში განხორციელდა. პროგრამის მიზანი სკოლებში სარემედიაციო პრაქტიკის დანერგვა გახლდათ. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტთან დაკავშირებული საკვანძო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სარემედიაციო მიმართულებით, კერძოდ, კითხვის/დეკოდირების საკითხებით დავინტერესდი.

საგანმანათლებლო კვლევების თანახმად, კითხვასთან დაკავშირებულ სირთულეებს აწყდება მოსახლეობის დაახლოებით 20%, მაგრამ მოსწავლეობის ასაკში სათანადო დახმარებას მხოლოდ 4% იღებს. არადა, ბავშვებს შეუძლიათ კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, თუ მასზე ადრეულ ასაკში ვიმუშავებთ. შეიძლება გაწაფული კითხვის პრობლემა სულაც არ უკავშირდებოდეს მოზარდის გონებრივ შესაძლებლობებს. პრობლემის გამომწვევ მიზეზებად მოიაზრება წიგნთან ურთიერთობის ნაკლებობა, მწირი ფონეტიკური და/ან ენობრივ-გრამატიკული გამოცდილება, მეტყველების, სმენის ან ფონოლოგიური აღქმის პრობლემა და ა.შ.

დეკოდირება/გაშიფვრა არის სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად გარდაქმნა, ანუ ასოების შესაბამის ბგერებთან დაკავშირება, ბგერების სიტყვად გამთლიანება და აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება. სიტყვის დეკოდირება რამდენიმე მოქმედებას აერთიანებს: ცალკეული გრაფემების/ასოების იდენტიფიცირებას, სიტყვის გონებაში გახმოვანებას და სიტყვის კონტექსტით გათვალისწინებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებას. დეკოდირებას სიტყვის ცნობასაც უწოდებენ. გაწაფული კითხვის ერთ-ერთ მახასიათებლად მთლიანი სიტყვების სწრაფად ამოკითხვა მოიაზრება. აქედან გამომდინარე, „სიტყვის ცნობა“ კითხვის უნარის დაუფლების გზაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა.

დეკოდირების პრობლემა აფერხებს გაგება-გააზრების პროცესსაც, რადგან მოსწავლე მთელ ენერგიას ამოკითხვაზე ხარჯავს და შინაარსზე დაკვირვებას ვეღარ ახერხებს. რაც უფრო რთულდება ტექსტი და იზრდება მისი ზომა, პრობლემაც მძიმდება. ამიტომაცაა საჭირო სიტყვების დეკოდირების ავტომატურ რეჟიმზე (მთლიანი სიტყვების ამოკითხვა) დროულად გადასვლა.

არსებობს რამდენიმე ეფექტური მეთოდი დეკოდირების პრობლემის დასაძლევად. როგორც წესი, გაწაფული მკითხველი კითხვისას რამდენიმე გასაღებს იყენებს: გრაფო-ფონემურს (ასოებსა და ბგერებს შორის შესაბამისობა), სინტაქსურს (წინადადების გრამატიკული წყობა) და კონტექსტურს (ტექსტის შინაარსობრივი მხარე). ამ ჩამონათვალიდან მოსწავლეს რომელი „გასაღების“ გამოყენებაც უჭირს, სწორედ იმას უნდა მოვარგოთ სარემედიაციო სტრატეგიები.

ზემოაღნიშნულ პრობლემის დასაძლევად ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდები/აქტივობები:

- ფონოლოგიური სავარჯიშოები – აქტივობები სიტყვების დამარცვლაზე, პირველი ბგერის ამოცნობაზე, ბგერების გადაბმასა და სიტყვის ბგერებად დაშლაზე;
- „სიტყვაზე შეტევა“ – თითის გაყოლება, თავასოზე დაკვირვება, სიტყვის ნაცნობი ნაწილის ამოკითხვა, ილუსტრაციაზე დაკვირვება, კონტექსტის მიხედვით სიტყვის ამოცნობა;
- მართული კითხვის აქტივობა – მოსწავლის კითხვის დონის შესაბამისი გაბმული ტექსტების წაკითხვა;
- ნაცნობი ტექსტის განმეორებით კითხვა და/ან ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა და შედეგის გაანალიზება;
- მკითხველთა თეატრი – შერეული ტექსტების როლებში წაკითხვა;
- გაწაფული კითხვის მოდელირება.

მოსწავლისთვის ხმამაღლა კითხვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ალბათ ყველას გინახავთ, თუ როგორ „კითხულობენ“ ანბანის ცოდნის გარეშე პატარები კარგად ნაცნობ/ ძილის წინ მოსმენილ ზღაპრებს. ასეთივე ეფექტური გახლავთ დეკოდირების პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის გაწაფული კითხვის „ჩვენება“. აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებს დეკოდირების პროცესის ისეთ დეტალებზე დაკვირვების საშუალებას აძლევს, როგორიცაა – სიტყვათა ერთიანობის შედეგი (შინაარსი), ინტონაციური აქცენტები, პაუზა სიტყვებს/წინადადებებს შორის და სხვ. შინაარსის აღქმის გარეშე რთულდება ტექსტის ვიზუალიზება/გონებაში გაცოცხლება. არასწორი ინტონაციით ან პაუზის გარეშე კითხვა კი ნაცნობი სიტყვების მიმართაც იწვევს გაუცხოებას. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ მასწავლებლები წაკითხულის წარმოსახვას და წარმოდგენილის აღწერას/ვიზუალიზებას სთხოვენ მოსწავლეებს, მხატვრული კითხვის ელემენტებს შეიტანენ ტექსტის დამუშავების პროცესში და ა.შ.

აქვე შემოგთავაზებთ გაწაფული კითხვის ერთ-ერთ სახალისო მეთოდს/აქტივობას, რომელსაც ხშირად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში:

უცნაური ხმებით კითხვა

მეთოდი გულისხმობს ნაცნობი ტექსტის არაერთხელ წაკითხვას სხვადასხვა ხმით. მისი ხშირად გამოყენება ზრდის კითხვის მოტივაციას და აუმჯობესებს კითხვის ტექნიკას. მისი გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- *გაწაფული კითხვის უნარი;*
- *ყურადღების კონცენტრირების უნარი;*
- *მოსმენისა და მეტყველების უნარები.*

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები, ინდივიდუალური.

რესურსი: ტექსტი, ემოციის ბარათები და ბარათების ყუთი/ქილა/ტომსიკა ან ემოციების დაფა.

მასწავლებლის მიერ დამზადებულ ემოციის ბარათებზე/დაფაზე მოცემულია სხვადასხვა ემოციის გამომსახველი ნახატები შესაბამისი სიტყვებით. ბარათების სათავსოდან ამოღების ან ემოციების დაფაზე ისრის დატრიალების შემდეგ, მოსწავლეებს ევალებათ შემხვედრი ემოციით მთლიანი ტექსტის ან მისი ერთ-ერთი მონაკვეთის წაკითხვა.

იხ. ემოციების დაფის ნიმუში



მიზნობრივი და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენების გარდა, აუცილებელია სარემედიაციო ჯგუფისთვის კომფორტული, საჭირო რესურსებით (მცირე ბიბლიოთეკა, სასწავლო და ტექნიკური რესურსი) აღჭურვილი სივრცის გამოყოფა. აქვე ორიოდე სიტყვით შევეხები ეთიკურ პრობლემებსაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამიზნე ჯგუფის წევრებს შეიძლება შეექმნათ,

ე.წ. იარლიყის (ჩამორჩენილი, სუსტი და სხვ.) მიკერების საფრთხე. მათ თანაკლასელებს აუცილებლად გაუჩნდებათ კითხვა, თუ რატომ სჭირდება ზოგიერთ მათგანს დამატებით მეცადინეობებზე დასწრება. ამავე მიზეზით სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებსაც შეიძლება გაუჩნდეთ პროტესტის გრძნობა. მასწავლებლებს დიდი სიფრთხილე გვმართებს მსგავსი სიტუაციების რეგულირებისას. სასურველია, ისე ავუხსნათ მოსწავლეებს სარემედიაციო ჯგუფის ფარგლებში გაწეული დახმარების რეალური მნიშვნელობა, რომ ფრუსტრაციის (ჯგუფის წევრების მხრიდან) და დაცინვის (ჯგუფის წევრთა თანაკლასელების მხრიდან) საფრთხე თავიდან ავირიდოთ. სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული პრობლემა არც წარმოიქმნება, თუ ინდივიდუალური საჭიროებების ხმამაღლა დაფიქსირებისა და ურთიერთდახმარების ტენდენციას სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად ვაქცევთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლაში. 2017. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd).
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). მოძიებულია შემდეგ ლინკზე: https://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf

ლელა
მანგოშვილი

როგორ დავძლიოთ კითხვის სირთულეები სარემედიაციო პროგრამის დახმარებით

კითხვის პრობლემის მქონე ბავშვები მასწავლებლებისგან განსაკუთრებულად სათუთ მიდგომას საჭიროებენ, რადგან კითხვა რთული ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესია.

„კითხვა მრავალმხრივი უნარია, რომელიც გულისხმობს გამოსახული სიმბოლოების დეკოდირებას აზრის გაგების მიზნით“ და რეალურად, კითხვაში პრობლემა სწორედ დეკოდირების, დაწერილი სიტყვის, როგორც ცალკეული ასოებისგან შედგენილი ერთი მთლიანი კოდის გაშიფვრის /სიტყვის ამოცნობის/ და წაკითხულის გაგება-გააზრების დროს იჩენს თავს.

ცნობილია, რომ კითხვის პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ანალიზატორები. შესაბამისად, მოსწავლეებში კითხვის პრობლემები სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული. შეიძლება ეს იყოს: მეტყველების, სმენის, ფონემური ცოდნის არქონის და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია, კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების ადრეულ ასაკში გამოვლენა და მოგვარება. მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ კითხვის სირთულეების დასაძლევად.

გთავაზობთ დაწყებითი განათლების პროექტის (USAID G-Pried) ფარგლებში განხორციელებული კითხვის სარემედიაციო პროგრამის გზამკვლევის ზოგად რეკომენდაციებს.

რას ნიშნავს რემედიაცია და ვინ წარმართავს სარემედიაციო პროგრამას?

ტერმინი რემედიაცია ნიშნავს კონკრეტული აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას. პროგრამა ორიენტირებულია თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომელსაც სკოლის ადმინისტრატორის,

კლასის დამრიგებლისა და მშობელთა აქტიური ჩართულობით ახორციელებს რემედიატორი მასწავლებელი.

რა არის კითხვის სარემედიაციო პროგრამის მიზანი?

პროგრამის მიზანია, რომ პრობლემურმა მკითხველებმა შეძლონ სიტყვის დეკოდირება, სწრაფად ცნობა და გაწაფული კითხვა.

როგორ ხდება მოსწავლეთა იდენტიფიცირება და რემედიაციის პროგრამაში ჩართვა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს კითხვაში და ამის შემდეგ დავგეგმოთ შესაბამისი ინტერვენცია. სარემედიაციო პროგრამა არ სჭირდებათ მოსწავლეებს, რომლებთან მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. იდენტიფიცირება ხდება შემდეგი ძირითადი საფეხურების გათვალისწინებით:

1. კითხვის უნარების სკრინინგი და შედეგების ანალიზი

სკრინინგის პროცესში, სიტყვებისა და ტექსტის წაკითხვის, ლექსიკური მარაგის, გაგება-გააზრების ტესტების საფუძველზე ხდება მოსწავლეთა მონაცემების დადგენა სასწავლო წლის დასაწყისში დასაუფლებელ უნარებთან მიმართებით და გარკვევა, თუ რომელ მოსწავლეებთან იქნება საჭირო პირველადი ფოკუსირებული დიაგნოსტიკა / ტესტები და შესაბამისი კრიტერიუმები იხილეთ ვებპორტალზე https://kargiskola.ge/SC/eaccess1.php დიაგნოსტიკური შეფასების ველში/.

A, B, C კატეგორიების ნიშნის განსაზღვრის შემდეგ, სადაც A აღნიშნავს მოსალოდნელზე მაღალ შედეგს, B – მოსალოდნელის შესაბამისს და C – მოსალოდნელზე დაბალს, რემედიატორი მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა სიას, რომელთაც შემდეგ საფეხურზე ჩაუტარდებათ პირველადი ფოკუსირებული დიაგნოსტიკა.

2. პირველადი ფოკუსირებული დიაგნოსტიკა და ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან.

აღსანიშნავია, რომ ეს საფეხური ორი ეტაპისგან შედგება:

ა) კითხვის თანმხლები ჩანაწერების გაკეთება, რომელშიც აისახება შეცდომების ანალიზი, რომელი სიტყვა წარმოთქვა მოსწავლემ არასწორად და შეძლო თუ არა წარმოთქმული სიტყვების შესწორება შემდეგ ცდაზე, დაითვლება უზუსტობებისა და სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა, გაიყოფა ეს რიცხვი ტექსტის სიტყვების (ტექსტი უნდა იყოს მცირე მოცულობის) სრულ რაოდენობაზე, მიღებული რიცხვი მრავლდება 100-ზე და ამგვარად განისაზღვრება სწორად წაკითხული სიტყვების პროცენტი /იხ.დანართები/.

ბ) ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან იმის გასარკვევად, თუ როგორია მისი დამოკიდებულება კითხვისადმი.

3. მოსწავლის მოსწრების ანალიზი სხვადასხვა საგანში.

4. მშობელთან გასაუბრება მოსწრებასთან დაკავშირებით და თანხმობა პროგრამაში ჩართვაზე.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე განისაზღვრება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, მისი პროფილი და განაწილდება სარემედიაციო ჯგუფში.

რა ძირითადი საფეხურების გავლა ხდება სარემედიაციო ჯგუფის შექმნის შემდეგ?

1. სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილების გეგმების შედგენა;
2. სარემედიაციო გაკვეთილების წარმართვა;
3. პროგრესის მონიტორინგი და შუალედური შეფასება;
4. შემაჯამებელი შეფასება.

რა სიხშირით და როგორ ტარდება რემედიაციის გაკვეთილები?

გაკვეთილები ტარდება კვირაში ორჯერ ან სამჯერ, არასაგაკვეთილო დროს, 40-50 წუთის განმავლობაში. გარემო, სადაც მეცადინეობები ჩატარდება, მაქსიმალურად კომფორტული უნდა იყოს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის, მრავალფეროვანი რესურსებით უზრუნველყოფილი, როგორიცაა სიტყვების ბარათები, მულტიმედია ტექსტები, სხვადასხვა დონის საკითხავი ტექსტები, აქტივობების ბარათები, სამუშაო ფურცლები, აუდიოწიგნები და სხვა.

სარემედიაციო გაკვეთილის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. მასწავლებელმა, მოსწავლეთა რაოდენობისა და საჭიროებების მიხედვით, წინასწარ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კონკრეტულ გაკვეთილზე მისაღწევი ერთი მიზანი და შეარჩიოს მიზნის შესაბამისი აქტივობები, რომლებიც აუცილებლად ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს. ამავდროულად, ყოველი ახალი აქტივობის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს მოდელირება მასწავლებლის მიერ.

როგორ ვაწარმოოთ პროგრესის მონიტორინგი?

პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება სამი ძირითადი ინსტრუმენტის დახმარებით:

1. განმეორებითი კითხვის გრაფიკი;
2. წაკითხვის თანმდევი ჩანაწერები;
3. რეფლექსიის ფურცელი.

პირველი და მეორე ინსტრუმენტის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია გაზომოს მოსწავლის კითხვის ტემპი, ამავდროულად, მოსწავლე აკვირდება საკუთარ პროგრესს გაწაფულ კითხვაში, ხოლო მესამე ინსტრუმენტი მოსწავლე მასწავლებელს ეხმარება კვირის ბოლოს ათვისებული მასალის შეჯამებაში.

კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ვრცელი ინფორმაცია, გაკვეთილების აქტივობების ნიმუშები, კითხვის თანმხლები ჩანაწერების დანართები და დიაგნოსტიკური შეფასების სქემები იხილეთ გზამკვლევში „კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლებში“ https://drive.google.com/open?id=1lgI9SeY3UIB-PgSOLDg6MnQtHFS3nw6S

დანართები: კითხვის თანმხლები ჩანაწერების ფორმები და კოდები

კითხვითი ქცევა	**სიმბოლო**	**არის თუ არა შეცდომა**
სიტყვების სწორად წაკითხვა	✓	არ არის
თვითშესწორება	თშ	არ არის
ჩამატება (ასოს/სიტყვის)	V	არის
დანაწევრება	/	თუ სწორად წაიკითხა - არ არის; თუ შეცდომით წაიკითხა - არის.
გამოტოვება (ასოს/სიტყვის)	_____	არის
ჩანაცვლება	სიტყვას ზემოდან დავაწეროთ გამოთქმული სიტყვა	არის
გამეორება (ერთი ან რამდენიმე სიტყვის)	←	არ არის
ჩარევა (ვერ კითხულობს სიტყვას 5-10 წამის განმავლობაში რემედიატორის დახმარების გარეშე)	ჩ	არის

უზუსტობა	**E**	შეცდომა, რომელსაც მკითხველი დაუშვებს სიტყვის ამოკითხვის/დეკოდირების დროს (ჩამატება, გამოტოვება, ჩანაცვლება, ჩარევა).
ასო-ბგერითი გასაღების გამოყენება	**V**	სიტყვის დეკოდირებისას მკითხველი ცდილობს სწორად გაშიფროს ასო/გრაფემა და შეუსაბამოს მას შესაბამისი ბგერა.
სინტაქსური გასაღების გამოყენება	**S**	სიტყვების წაკითხვისას მკითხველი ცდილობს არ დაარღვიოს წინადადების გრამატიკული სტრუქტურა.
აზრობრივი/კონტექსტური/ შინაარსობრივი გასაღების გამოყენება	**M**	სიტყვების წაკითხვისას მკითხველი ცდილობს გაითვალისწინოს ტექსტის შინაარსი და გადაამოწმოს, შეესაბამება თუ არა მოცემული სიტყვა აზრობრივ კონტექსტს.

კითხვის თანმხლები ჩანაწერების აღრიცხვის ფორმა ჯგუფისათვის

რემედიატორი: **მოსწავლე:**

კლასი: **თარიღი:**

ტექსტის სათაური: „წვიმიანი დღე“ **ტექსტის სიტყვების რაოდენობა:**

	მოსწავლის სახელი და გვარი	%	E	თშ	V	S	M	გაწ.	გაგ.
1									
2									
3									
4									
5									
6									

გამოყენებული ლიტერატურა

1. კითხვის ეფექტური მეთოდები – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 2013 წელი
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე https://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf
3. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლებში https://drive.google.com/open?id=1lgI9SeY3UIB-PgSOLDg6MnQtHFS3nw6S

ლელა
კოტორაშვილი

საკლასო პროექტი – მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი

დაფიქრებულხართ, რას ვლაპარაკობთ, როდესაც მასწავლებლებზე ვლაპარაკობთ? რა გესმით, როგორც მშობელსა თუ მასწავლებელს? როგორ კომენტარს აკეთებთ, როდესაც მასწავლებლებზე გესაუბრებიან?

სემესტრის დასაწყისში სადამრიგებლო კლასის აყვანისას დილემის წინაშე აღმოვჩნდი – საგნის მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ემოციათა გამტარის როლი დამეკისრა, რამაც მუდმივი შფოთვა მომიტანა. შიშით ველოდებოდი თითოეული გაკვეთილის დასრულებას და მასწავლებლების რეაქციას ბავშვების ქცევის შესახებ. თითოეული საყვედური გულზე ეკალივით მესობოდა და მეორე დღემდე მტანჯავდა. დროდადრო მშობლების უკმაყოფილების მოსმენა მიწევდა და ვგრძნობდი, რომ მეტს ვეღარ გავუძლებდი. ორი თვის შემდეგ დაგროვილმა ბრაზმა, წყენამ და უმწეობის განცდამ ერთბაშად ამოხეთქა და ერთ დღესაც იმდენად მძაფრად გამოვხატე დაგუბებული ემოციები, რომ მეხუთეკლასელი ბავშვების წინაშე მთელი ხმით ავყვირდი, შემდეგ კი ტირილი ამიტყდა. ბავშვებიც ჩემთან ერთად ტიროდნენ. არასდროს დამავიწყდება ჩემი საქციელის გამო მათ თვალებში არეკლილი შეშფოთება.

მაშინ მივხვდი, რომ სასწრაფოდ რაღაც უნდა გამეკეთებინა ისეთი, რაც არსებულ სიტუაციას შეცვლიდა.

პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრმა გარკვეულ დასკვნებამდე მიმიყვანა. სკოლაში ორმაგი როლი მაკისრია – ჩემი ორი შვილის მასწავლებელიც ვარ, რაც დიდწილად დამეხმარა სიტუაციის ანალიზისას. ერთი მხრივ, შვილების ქცევას და გარემოს კარგად ვიცნობ, მეორე მხრივ კი, ვიცი, სკოლის შემდგომი ცხოვრება როგორი აქვთ, რა აწუხებთ, რა მოსწონთ, როგორ გამოხატავენ ემოციებს შინ დაბრუნებისას. მე რომ მათი მასწავლებელი არ ვიყო, ძალიან აღმაშფოთებდა იმის მოსმენა, რასაც მომიყვებოდნენ და ობიექტურობას ავცდებოდი.

ჩემი დაკვირვებით, ბავშვები ხშირად აბუქებენ სიტუაციას და ცდილობენ მსმენელის გულის მოგებას. მხარდაჭერის მოპოვების გაუცნობიერებელი სურვილით ავსებულები, ამბავს ისე ჰყვებიან, საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობენ. ამ დროს მშობლისთვის ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება და უარყოფითი განწყობა ეუფლება შვილის მასწავლებლისა თუ კლასელის მიმართ. ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, რომ შვილი ყოველთვის უნდა გაამტყუნო, მაგრამ მისი მძაფრი ემოციების მიღმა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა ადამიანების (კლასელების, მსწავლებლების) ქცევის მოტივი. როგორია მშობლის საპასუხო რეაქცია – ამაზეა მიბმული ბავშვის შემდეგი დღე. არ არსებობს პრობლემა, რომელსაც გულწრფელი საუბრით ვერ მოვაგვარებთ. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენი, მშობლების, კომენტარები ბავშვის გონებაში ილექება და ეკლიან მავთულხლართებად იქცევა, რადგან ადამიანები ერთმანეთის ფიქრებს ვირეკლავთ და მასწავლებელიც მარტივად გრძნობს, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მისდამი.

სწორედ ამიტომ, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობისას ბალანსის მისაგნებად რამდენიმე აქტივობა ჩავიფიქრე. პირველი ნაბიჯი მშობელთა კრების მოწვევა იყო, სადაც განვიხილეთ ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი პრობლემები. შევთანხმდით, რომ ბავშვების თანდასწრებით მასწავლებლების შესახებ აგრესიული ტონით არ ვისაუბრებდით და თუკი ბავშვი წყენას გამოხატავდა, პირველ რიგში, გულითადად მოვუსმენდით, დავამშვიდებდით და პრობლემის მოსაგვარებლად დახმარებას აღვუთქვამდით, შემდეგ კი კლასის დამრიგებელს ჩავაყენებდით საქმის კურსში. მასწავლებლებისადმი მშობლის მიერ გამოხატული პატივისცემა ბავშვის განწყობას აუცილებლად ცვლის, რაც საგაკვეთილო პროცესში მის ქცევაზეც აირეკლება. თუკი ბავშვს მშობლებისგან მუდამ ესმის მასწავლებლის კრიტიკა, აგრესიული ტონი საუბრისას, აუცილებლად მოექცევა გავლენის ქვეშ და სკოლაშიც გაიყოლებს უარყოფით განწყობას. მასწავლებლის როლიც გაუფასურდება. სწორედ ამიტომ შევეცადოთ, პატივისცემით ვისაუბროთ ჩვენი შვილების მასწავლებლების შესახებ და თუკი მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ჩიხში შევა, ჯერ თავად მოსწავლეს ვთხოვოთ პრობლემის მოგვარება, შემდეგ ეტაპზე დამრიგებელი ჩავრთოთ, საუკეთესო გამოსავლად კი მასწავლებელთან პირადი საუბარი მიმაჩნია.

ბავშვების ცნობიერების ასამაღლებლად მომაფიქრდა საკლასო პროექტი, სახელად **მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი**. პროექტის მიზანი იყო, ბავშვებს მასწავლებლები ახლოს გაეცნოთ, მათთან პირადი ურთიერთობის საშუალება ჰქონოდათ და მათდამი ზრუნვა გამოეხატათ.

პროექტი შემდეგ ეტაპებს მოიცავდა:

1. გამოსაძახებელი ჩხირების დახმარებით კლასის სამწევრიან ჯგუფებად დაყოფა;
2. ინტერვიუსთვის კითხვარის შედგენა;
3. თითოეული საგნის მასწავლებელთან ინტერვიუს ჩასაწერად დროისა და ადგილის შეთანხმება;
4. მზადება შეხვედრისთვის;
5. ინტერვიუს ჩაწერა, ფოტოს გადაღება;
6. მასწავლებლებისთვის ნაჭრის ჩანთების შეკერვა და მოხატვა;
7. მათთვის პირადი წერილების მიწერა;
8. პროექტის შემაჯამებელი ღონისძიებისთვის მზადება.

კითხვარი ინტერვიუსთვის

თავდაპირველად ვფიქრობდი, მოსწავლეებს თავად მოეფიქრებინათ კითხვები მასწავლებლებისთვის და მობილური ტელეფონის ხმის ჩამწერით ჩაეწერათ, თუმცა მივხვდი, რომ ამისთვის დიდი დრო დაგვჭირდებოდა და საწყის ეტაპზე გაუჭირდებოდათ თავის გართმევა (ინტერვიუს გაშიფვრა, წერილობით ტექსტად გადაქცევა). ამიტომ გადავწყვიტე, თავად მომემზადებინა ინტერვიუს ფორმა.

თაბახის ფურცელზე დავხატე საჰაერო ბუშტი და მის ირგვლივ ჩავწერე წინადადებები, რომლებიც უნდა დაებოლოებინათ მასწავლებლებს:

- მე შემიძლია...
- როცა მიხარია...
- მასწავლებლობა ნიშნავს...
- მე-5 ᵇ კლასზე ვფიქრობ...
- მაბრაზებს...
- ბავშვებო, გირჩევთ...
- ხშირად ვფიქრობ...
- ჩემ შესახებ მინდა, იცოდეთ...
- ჩემი სუპერძალაა...
- ერთხელ, როცა მეხუთე კლასში ვიყავი...
- ჩემი საგანი ამ წამს მახსენებს...

პროექტის განსახორციელებლად ერთი თვე დაგვჭირდა. ბავშვები დამოუკიდებლად უთანხმდებოდნენ მასწავლებლებს შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ. ინტერვიუსთვის მოჰქონდათ ტკბილეული, მე ყავის მოდუღებაში ვეხმარებოდი და ეს ფუსფუსი ქმნიდა განუმეორებელ აურას, რომელსაც მასწავლებლებიც ვგრძნობდით. შევსებული კითხვარები სიხარულით მოჰქონდათ ჩემთან და საგულდაგულოდ ვინახავდით განმარტებითი სიტყვის ლექსიკონში. ბავშვები მიგზავნიდნენ მასწავლებლებთან ერთად გადაღებულ ფოტოებს და აღტაცებით მიზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

თვალს ვადევნებდი, როგორ აბამდნენ თავს შეხვედრის ორგანიზებას, როგორი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მასწავლებლებთან შეხვედრას და როგორ უთბებოდათ პატარა გულები.

ნაჭრის ჩანთები

ათ მასწავლებელთან ინტერვიუს აღების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი ხელით ნაჭრის ჩანთები შეგვეკერა მათთვის და საგნის თემატიკის მიხედვით მოგვეხატა.

სკოლაში მივიტანე საკერავი მანქანა და სემესტრის ბოლო კვირას გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახში ჭრა-კერვა გავმართეთ. თითოეული მოსწავლე დავსვი საკერავ მანქანასთან და

გვირისტი გავავლებინე. კერვასა და მოხატვაში მეშვიდეკლასელი გოგოები – მარიამი და ნინი – დაგვეხმარნენ. დღის მეორე ნახევარში, როგორც კი შევატყობინებდი მშობლებს, სკოლაში კერვას ვიწყებ და ვისაც სურვილი აქვს, დამეხმაროს-მეთქი, ცოტა ხანში საკლასო ოთახი ივსებოდა გულაფანცქალებული ბავშვებით, თან მოჰყავდათ და-ძმები და ისინიც გვეხმარებოდნენ.

ჩემი მიზანი იყო მათი დარწმუნება, რომ საკუთარი ხელებით ბევრი რამის კეთება შეგვიძლია. კეთებით სწავლებამ ერთად ყოფნას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა და სემესტრის ბოლო კვირა ყველაზე ნაყოფიერ დროდ იქცა.

შეკერილი ჩანთა პატარა ჯგუფებად დაყოფილ კლასში ინაცვლებდა, რასაც მოჰყვებოდა ჩანთისთვის ნახატის შერჩევა, შემდეგ კი ხატვის პროცესი იწყებოდა და ნელ-ნელა ფანჯრის თაროები გადაივსო სველსაღებავიანი ჩანთებით.

კერვისა და ხატვის პარალელურად ერთმა ჯგუფმა მოსაწვევი ბარათები დაამზადა, მეორემ – აფიშა, მესამემ ინტერვიუს კითხვარებიდან პასუხები შეარჩია, პოსტერზე მასწავლებლები დახატა და მათ გასწვრივ ამოწერილი პასუხები გადაწერა.

მოსწავლის პირადი წერილები

იმისთვის, რომ საგნის მასწავლებლებსაც უკეთესად გაეცნოთ ბავშვები, მათთვის პირადი წერილების მიწერა გადავწყვიტეთ. ერთ გაკვეთილზე შევიმუშავეთ წერილის ქარგა და თითოეულმა მოსწავლემ მისწერა იმ მასწავლებელს, ვისთანაც ინტერვიუ ჩაწერა.

წერილის ქარგა ამგვარი იყო:

- მოიფიქრე მიმართვა;
- გააცანი შენი თავი;
- გაიხსენე სამი რამ, რაც ამ სემესტრში ისწავლე;
- მისწერე, რა ხდება ახლა კლასში;
- დაუსვი ერთი შეკითხვა;
- დაემშვიდობე.

პირადი წერილები ნაჭრის ჩანთებში მოვათავსეთ.

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

შემაჯამებელი ღონისძიებისთვის რაღაც ისეთი უნდა მომეფიქრებინა, რაც სასკოლო საზოგადოებას სიხარულს მოჰგვრიდა და ბავშვების შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებასაც მომცემდა. „პოეზია – სიხარულია“ – ეს გზავნილი გალაკტიონის სახლ-მუზეუმის კედელზე ამოვიკითხე და ხშირად მახსენებდა თავს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, პოეზია მექცია ურთიერთობების მედიუმად, ბავშვების ხმებისა და ემოციების ერთგვარ გამტარად.

მურმან ლებანიძის ლექსებისკენ კი რაჭის მონატრებამ მიბიძგა. პოეზიის სწავლების მეთოდებზე ამ ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ და ცალკე სტატიად გაგიზიარებთ, რამდენ უნარს ავითა-

რებს ლექსების კითხვა. ლექსების შერჩევის შემდეგ რამდენიმე გაკვეთილი დავუთმე ხმამაღალ კითხვას. შეარჩიეს საყვარელი სტრიქონები და დახატეს. დავამზადეთ ხელნაკეთი გვირგვინები და ლექსიდან ერთი სიტყვა დააწერეს. გავაკეთეთ ორწუთიანი ჩანაწერი კლასის რადიოსთვის. ჩემს უფროს მეგობარს, ქალბატონ სოფო გუგეშაშვილს, რომელიც ონში ცხოვრობს და უწერის სკოლაში მუშაობისას ჩვენი ლიტერატურული ღონისძიებების ერთგული სტუმარი და დიდი გულშემატკივარი იყო, ერთი ლექსის წაკითხვა და ვიდეოჩანაწერის გამოგზავნა ვთხოვე. სემესტრის ბოლო დღეს, 29 დეკემბერს, საკლასო ოთახი მოვრთეთ – კედელზე შეკერილ-მოხატული ჩანთები ჩამოვკიდეთ, გაფერადებულ ქილებში სანთლები ავანთეთ და მოწვეულ სტუმრებს დაველოდეთ.

ბავშვებმა რიგრიგობით წაიკითხეს მურმან ლებანიძის ლექსები. გადავსახლდით რაჭის სოფლებში, ქვასროლია ბიჭების სინანული გულში გამოვიტარეთ, ქართული ვაზის ჯიშების სახელები ლექსის სტრიქონებად გავაცოცხლეთ, შავ კორტოხზე მდგარი შავი მუხის მარტოობა გავიზიარეთ და პოეტის ერთ-ერთი კრებულის სათაური „ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ“ მთავარ გზავნილად ჩავიტოვეთ გულში.

განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ღონისძიებაზე გვესტუმრა ჩემი ორი მასწავლებელი. ნანი მასწავლებელმა მოიტანა 181-ე სკოლის გაზეთი „მერანი“, რომელშიც დაბეჭდილი იყო მერვე კლასში ყოფნისას დაწერილი ჩემი ჩანახატი „ცა, ბებერი ცა“.

სკოლაში ერთი წელი ინგლისურს დედაჩემი, მარისა მასწავლებელი, გვასწავლიდა. ამჯერად დედა, ნანი მასწავლებელთან ერთად, ჩემი მასწავლებლის სტატუსით მოვიწვიე. მისთვის შეკერილ ჩანთაზე დავხატეთ ჯეინ ეარი, რომელიც დედას საყვარელი პერსონაჟია და მთელი ბავშვობა მესმოდა, როგორი დიდსულოვანი ადამიანები იყვნენ მისტერ როჩესტერი და ჯეინ ეარი.

ბავშვებისთვის გასაოცარი იყო ჩემი მასწავლებლების სტუმრობა და ვფიქრობ, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობის ჩემეული გამოცდილება მათთვის პირად მაგალითად იქცევა.

პროექტის აქტუალობაში რამდენიმე ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა: ერთხელ შინ დაბრუნებულმა 10 წლის გაბრიელმა სიხარულით მიამბო, თურმე ნინო მასწავლებელს სახლში მოპსის ჯიშის სამი ძაღლი ჰყოლიაო. შემაჯამებელ ღონისძიებაზე ბავშვებმა პირადი წერილებიდან კითხვები დაუსვეს თითოეულ მასწავლებელს და სტუმრებში დიდი სიხალისე შემოიტანეს. ჩემთან აღებული ინტერვიუს შემდეგ კი ათი წლის სალომემ მომწერა: ეს დღე დაუვიწყარი გახდება ჩემთვისო.

მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარებიდან გულისხმიერება და სითბო იფრქვევა. ღონისძიებისთვის შევარჩიე ერთ-ერთი დაუსრულებელი წინადადების პასუხები, თითოეული მასწავლებლის ფოტო მოვიძიე და სლაიდშოუდ ავკინძე. ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა აუდიტორია გაახალისა. მასწავლებლებს ამგვარი წინადადება უნდა დაებოლოებინათ: **როცა მეხუთე კლასში ვიყავი...**

1. „სწორედ მეხუთე კლასში ყოფნისას მასწავლებელმა გამოიჩინა ყურადღება, ყოველდღე მიძახებდა დაფასთან და გამიღვიძა მათემატიკური ნიჭი, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ მისი“. დალი მასწავლებელი

2. „მიხაროდა მოსწავლეობა“. ლელა მასწავლებელი
3. „ვიცელქე და ხელი მოვიტეხე“. მაია მასწავლებელი
4. „ბუნების გაკვეთილზე წავიყვანე ცოცხალი ზაზუნა, რომელიც მათემატიკის გაკვეთილზე გამოიპარა პატარა ყუთიდან და კლასში დარბოდა. ატყდა წივილ-კივილი. ზოგს ეგონა, რომ თაგვი იყო“. ნინო მასწავლებელი
5. „თქვენსავით გაკვირვებული და დაბნეული ვუყურებდი მასწავლებლებს. არ ვიცოდი, შემშინებოდა მასწავლებლებისა თუ შემყვარებოდა ისინი“. თამუნა მასწავლებელი
6. „მასწავლებელი გვყავდა, რომელსაც ჰყავდა ერთი შვილი. მას ერქვა სოსო. როდესაც მასზე რამეს ვიტყოდით, ვიცოდით, მთელ გაკვეთილს მის შესახებ მოგვიყვებოდა და ამ დროს გაკვეთილს აღარ ვაბარებდით“. ნელი მასწავლებელი
7. „განვიცდიდი და ვნერვიულობდი“. ნანა მასწავლებელი
8. „მახსოვს, პირველად როგორ გამიკვირდა, მუსიკის მასწავლებელმა მაგნიტოფონი რომ მოიტანა და ბახის სიმფონია რომ მოგვასმენინა“. ქეთი მასწავლებელი
9. „მეტროში დავიკარგე, შემეშინდა, მაგრამ არ შევიმჩნიე“. მარი მასწავლებელი
10. „მახსოვს, ერთ-ერთი შეჯიბრების დროს წარმატება მოვუტანე სკოლას“. გელა მასწავლებელი
11. „ერთი ბიჭი შემიყვარდა და მისთვის კანფეტები მიმქონდა. მას ეს არ ახარებდა და მალევე ამოვიგდე გულიდან“. ლელა მასწავლებელი

პროექტის სათაურის მთავარი გზავნილი მრავლისმთქმელია – მასწავლებლის სიყვარულის გარეშე სკოლის დღეები მუქი ფერებით ივსება, სიყვარულის გაღვივებას კი ძალისხმევა სჭირდება. ბავშვების სიყვარული ყველას ეყოფა – დაწყებითი თუ შემდგომი საფეხურის დამრიგებლებს, საგნის მასწავლებლებს, დირექტორს, კლასელებსა და კლასელების მშობლებს. მთავარია, უფროსებმა პირადი მაგალითით ვასწავლოთ პატივისცემა, ზრუნვა, მოსმენა, ყურადღება, პატიება, ზრდილობა... როგორც წესი, ბავშვები კოცონად ააბრიალებენ სულ პაწაწინა ენერგიას და გაცემა-დაბრუნების სიხარულით აგვავსებენ.

ინა
იმედაშვილი

გამარჯობა, მე ვარ მასწავლებელი და მე არ ვარ იდეალური!

დედა მასწავლებლის ფიქრები

მოდი გამოვტყდები, მე ქართულის მასწავლებელი ვარ და ჩემი შვილი ქართულს ვერ იტანს. ამის აღიარება, მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა და შეიძლება ითქვას წლები დამჭირდა. დედები და ალბათ მამებიც, ხშირად ვადანაშაულებთ საკუთარ თავს, რომ ვერ ვართ იდეალური მშობელი, რომ ყველაფერი ისე ვერ გამოგვდის, როგორც წარმოგვიდგენია. რომ ჩვენი შვილი არ არის საკმარისად კარგი, საკმარისად ბეჯითი და აკადემიურად მაღალი მოსწრების მქონე. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მასწავლებლებს შვილებისთვის დრო თითქმის არ გვრჩება, ჩვენ მთელ ენერგიას და რესურსს სკოლაში ვტოვებთ, ბოლომდე ვიხარჯებით გაკვეთილებზე, თითოეული მოსწავლის წარმატებას თუ წარუმატებლობას საოცრად განვიცდით, გვიხარია, გვწყინს – დაუმსახურებელი თუ დამსახურებული შენიშვნები, მასწავლებლები ხომ სცენის შუაგულში ვდგავართ და მთელი „პუბლიკის“ მზერა ჩვენზეა მომართული, რომ არაფერი შეგვეშალოს, არ დაგვავიწყდეს, არ გამოგვრჩეს, თითოეულ მოსწავლეს სათანადო ყურადღება მივაქციოთ, ვიღაც არ დაგვეჩაგროს, ვიღაც არ დაგვავიწყდეს, მოკლედ – ვშრომობთ, არა მხოლოდ გონებრივად, უფრო მეტს – ემოციურად. და მოვდივართ სახლებში, გამოფიტულები, დაღლილები. ჰოდა, შვილს დახმარება რომ სჭირდება, ქართულის თემა აქვს დასაწერი, რაღაც ვერ გაიგო, რომ უამრავი კითხვა აქვთ, რომ სჭირდებათ უბრალოდ დედა გვერდით, რომელიც დაუჯდება, მოუსმენს, აუხსნის, საკუთარ პროფესიას ახლა შვილთან გამოიყენებს, ახლა შვილთან იქნება დედა-მასწავლებელი, თან უფრო მეტადაც, რომ აი, ყველაზე მეტად ხომ შვილს სჭირდები, მაგრამ ვერ გამოდის, შეუძლებელია მთელი დღე მომართული იყო, შეუძლებელია მთელი დღე ასწავლო, მთელი დღე

ახსნა, მთელი დღე ისაუბრო, დააწერინო, გამოათვლევინო, წააკითხო, მოაძებნინო. ვერ გამოდის, სადღაც უნდა გაჩერდე, დაჯდე, ამოისუნთქო. სადღაც უნდა იპოვო თავისუფალი სივრცე, სადაც უბრალოდ რაღაცების დაზარებას შეძლებ, გადადებ, უბრალოდ დაჯდები, ტელეფონს ასქროლავ, თან ველურ ბუნებაზე დოკუმენტურ ფილმს უყურებ მონოტონური გახმოვანებით, უბრალოდ არაფერზე აღარ იფიქრებ, ყველაფერი მოსწრებული გაქვს, ჟურნალი შევსებულია, დავალებები ატვირთული და შვილი? შვილი მოიცდის, მერე რაა, აი, ხვალ დაუჯდები, შაბათ-კვირა მოდის, მომავალ კვირას მაინც აუცილებლად. ამასობაში გადის წლები და ერთხელაც აღმოაჩენ, რომ შენს შვილს თურმე თემების წერა უჭირს, თურმე ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურა გამოუტოვებია, ინანიშვილი არ წაუკითხავს, არ მოგწონს, როგორ წერს, არ იცავს გრამატიკულ წესებს, შეებმები ამ მოცემულობას, შეასკდები და პირში მოხლილ სიმართლესაც კარგად შეირგებ: შენ ჩემთვის არასდროს გეცალა, შენი მოსწავლეები უფრო გიყვარს, ისინი უფრო მნიშვნელოვნები არიან! გაბრაზდები, ჯერ სკოლაზე, მერე შენი შვილის მასწავლებლებზე, ინანებ, რომ სკოლას მიენდე, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღიარებ, რომ შენი მოსწავლეების განათლება გინაცვალებია შვილის განათლებისთვის, რას იზამ, ეს ასეა, გინდ მარცხნიდან მოვაბათ ქოთანს ყური და გინდ მარჯვნიდან, უბრალოდ რეალობაა.

წელს დავიწყე ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი, ალბათ იმიტომ, რომ სხვა მასწავლებლებმაც გამანდეს, რომ ჩვენც ასე ვართო! ჩემი მეგობარი უცხო ენებს ასწავლის და მის შვილს იმდენად უჭირს, რომ სხვა მასწავლებელთან მიიყვანა სამეცადინოდ, მე ესეც ვერ შევძელი, ალბათ უფრო არ, იმიტომ, რომ მეგონა, ჩემნაირად ვერავინ ვერ ასწავლიდა, მე კი არასდროს არ მეცალა. როდესაც ჩემს კლასში მასწავლებლის შვილებს აღმოვაჩენ ხოლმე, ვცდილობ, განსაკუთრებით ყურადღებით მათ მიმართ ვიყო, განსაკუთრებით შევუწყო ხელი, დავალებების არქონაც ვაპატიო. არა იმიტომ, რომ ბავშვებს ვარჩევ და ისინი მეტად მიყვარს, არა, უბრალოდ მათი დედები თუ მამები მასწავლებლები არიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვილებისთვის უბრალოდ ენერგია, ემოცია აღარ რჩებათ და ეს გასაგებია, ძალიან გასაგები და ალბათ ძალიან ადამიანური, მასწავლებლური.

ჩვენ, მასწავლებლები, ზედმეტად გულჩვილი ხალხი ვართ, ადვილად გვწყინს და ადვილად გვიხარია, ადვილად გვადგება თვალზე ცრემლი, გულიანად გვიტირია კიდეც და გულიანად გვიცინია სულ პატარა შენიშვნაზე, უსამართლო საყვედურზე და უბრალოდ კარგ სიტყვაზე.

ჩვენ მასწავლებლები, სანამ კლასში შევალთ, პალტოსავით ვიხდით ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს პრობლემებს, ვიცვამთ ემოციურ აბჯარს და გავდივართ სცენაზე, სადაც ჩვენი ფიქრებით, აზრებით, გონებით ვძერწავთ კარგ მოქალაქეებს, პატრიოტ და უბრალოდ კარგ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ და ესაა ჩვენი მიზანი, როგორ გამოგვდის ამას დრო გვიჩვენებს.

ჩვენ, მასწავლებლები, უამრავი ადამიანის წინაშე ვართ პასუხისმგებლები, პირველ რიგში კი ჩვენი მოსწავლეების წინაშე. უზარმაზარი პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული და ვცდილობთ, არაფერი არ შეგვეშალოს, არ დაგვავიწყდეს, არ გამოგვრჩეს, ვიყოთ იდეალურები. ალბათ ყველაზე მეტი პერფექციონისტი სამყაროს მასწავლებლებს შორის ჰყავს, იმიტომ, რომ ჩვენ მიმართ ყველაზე დიდი მოთხოვნებია, იმიტომ, რომ შეცდომები ძნელად ან არ გვეპატიება. იმიტომ, რომ მასწავლებლები ვართ და აბა, როგორ!

გვეშინია, ძალიან გვეშინია, რომ ეს ჩვენი მონდომება, შეიძლება ითქვას, თავგანწირვაც კი უბრალოდ ვიღაცის ერთმა დაუფიქრებელმა ფრაზამ წყალში არ ჩაგვიყაროს, არ დაგვიწუნონ მასწავლებლობა, ამიტომ ვართ ასეთი გაფაციცებულები, ასეთი დაძაბულები, ამიტომაა, რომ სახლში მისულებს ენერგიის წვეთიც აღარ გვაქვს შერჩენილი და ამიტომაა, შვილებთან აღარ გამოგვდის სწავლება.

გვინდა, რომ გვენდონ, გვინდა, რომ დაგვიჯერონ, გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეების სწავ-ლება ჩვენ დავგეგმოთ, ჩვენ წარვმართოთ ჩვენი სწავლების პროცესი. გვინდა, რომ სპონტა-ნურები ვიყოთ და როცა გარეთ გავიხედავთ და შემოდგომის პეიზაჟი დაგვაფიქრებს, ბავშვებს პოეზიაზე ვესაუბროთ, ან უბრალოდ დავხატოთ წვიმაში მდგომი შიშველი ხე, რომელიც გაზაფ-ხულზე ოცნებობდა.

ჰო, ჩვენ შვილებს ვერ ვასწავლეთ. ჩემი შვილი ხშირად იგონებს ბავშვობის ამბებს, როგორ მთხოვდა დახმარებას, როგორ უჭირდა ქართული და დედას არ ეცალა, დაღლილი იყო, ვერ ეხმარებოდა. როგორ რცხვენოდა, რომ სწორად ქართული არ გამოსდიოდა საუკეთესოდ. თუმცა, ალბათ, გადავლახეთ ეს ამბავიც, რადგან საუბარი დავიწყეთ და რაზეც საუბრობ, ის უკვე გადახარშულია, ასე ამბობენ.

ჰოდა, მოვუფრთხილდეთ თავებს, შევიყვაროთ და გვეყოს დადანაშაულება, შეცდომების დაშვება ჩვეულებრივი ამბავია, ამაში ტრაგიკული არაფერია, რომ ერთი გულწრფელი აღიარე-ბა მოსწავლეებთან ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა რობოტები, რომ საკუთარი თავები ცოტათი მაინც გადავინახოთ შვილებისთვის მაინც, რომ, აბა, ვკითხოთ კოლეგას ერთხელ, გულწრფელად, როგორ ხარ?

ვოცნებობ, ისეთი სივრცის შექმნაზე, სადაც შევიკრიბებით მასწავლებლები, ხალიჩაზე დავს-ხდებით წრეზე (როგორც ჩვენი მოსწავლეები), ჩავჭიდებთ ხელებს, მოვიკრებთ ძალებს და დავიწყებთ:

გამარჯობა, მე ვარ მასწავლებელი და მე არ ვარ იდეალური!

მარიამ
ფოდუაძე

ქართული ქესცური ენა მსოფლიო ენობრივ ატლასზე

საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ენობრივი სიტუაცია** სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ საბაზისო ცნებად მოიაზრება [ნიკოლსკი, 1976; ბარნეტი, 1988; ფერგიუსონი1995][1]. ენის მკვლევრები მის რამდენიმე განმარტებას გვთავაზობენ. ჩარლზ ფერგიუსონი **ენობრივი სიტუაციას** უწოდებს მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციის აღმნიშვნელს, რომელიც მოიცავს შემდეგნაირ მონაცემებს:

- რამდენი ენაა და რომელი ენები გამოიყენება მოცემულ არეალში?
- რამდენი ადამიანი გამოიყენებს თითოეულს და რა ვითარებაში?

რა განწყობა და დამოკიდებულება აქვთ აღნიშნული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ? [ფერგიუსონი, 1971:157].

ევროპელი სოციოლინგვისტები **ენობრივ სიტუაციას** სინქრონულ ენათმეცნიერებას მიაკუთვნებენ, თუმცა ამბობენ, რომ იგი ისტორიულ-დინამიკური პროცესის შედეგია. ამ მიმართულებით კვლევა კი, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ენათა გავრცელებულობისა და ფუნქციონირების კვლევა უნდა იყოს, კონკრეტულ დროსა და სივრცეში ენის მატარებელთა დამოკიდებულებისა და ფუნქციონირების იურიდიული საფუძვლის გათვალისწინებით.

საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერისას (2010)[2] საქართველოს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას ახასიათებენ ეთნიკური მრავალფეროვნების კვალდაკვალ და **ქართულ ენას, მეგრულ-ლაზურ და სვანურთან ერთად**, მიაკუთვნებენ **ქართველურ ენათა** ჯგუფს [3]. **ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს** მიაკუთვნებენ **საქართველოში არსებულ ენებს:** რუსულს (სლავური ჯგუფი), სომხურს, ბერძნულს (ჯგუფები ინდოევროპულ ენათა ოჯახიდან),

ოსურს (ირანულ ენათა ჯგუფი), აზერბაიჯანულს (თურქულ ენობრივ ჯგუფს ალთაურ ენათა ოჯახში).

დასახელებულ ნაშრომში საგანგებოდ გამოყოფენ 4 რეგიონს, რომელშიც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები: **აფხაზები** (აფხაზეთი), **ოსები** (სამხრეთ ოსეთი), **აზერბაიჯანელები** (ქვემო ქართლი) და **სომხები** (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლიდან – წალკის რაიონი) და მიუთითებენ, რომ კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული განსახლებები, როგორებიცაა **რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები,** აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: **ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდიები, ყაბარდოელები, ჩერქეზები** და სხვა. სამწუხაროდ, მათ გვერდით ქართულ ნიშანთა/ჟესტურ ენაზე მეტყველი ენობრივი უმცირესობისათვის (ყრუთა თემისათვის) ადგილი ვერ გამოიძებნა.

საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის ერთგვარი გზამკვლევია ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული კრებული „Minority Languages in Georgia, Expressions of Cultural Wealth“ (ენობრივი უმცირესობები საქართველოში, კულტურული სიმდიდრის გამოხატულებანი“)[4]. არც ამ კრებულშია ქართულ ნიშანთა/ჟესტურ ენაზე მეტყველი ენობრივი უმცირესობისათვის ადგილი და ენობრივი სიტუაციის არც სხვა ფილოლოგიურ კვლევათა გეოგრაფიაში[5] ფიგურირებს ქართული ჟესტური ენა.

როგორც ცნობილია, ენობრივ სივრცეს, ანუ, ენობრივ მოვლენათა ტერიტორიულ განლაგებას იკვლევს **ლინგვისტური გეოგრაფია**, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს კარტოგრაფირების მეთოდს. ეს კი რუკაზე ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელების არეალის დაზუსტებას გულისხმობს. იზოგლოსების [6] მეშვეობით რუკებზე სხვადასხვა ენობრივი მოვლენის გადატანის შედეგად ვიღებთ **ლინგვისტურ ატლასს**, რომელიც არის რუკების სისტემატიზებული ერთობლიობა და მასში რაიმე პირობითი ნიშნით აღნიშნულია გარკვეულ ტერიტორიაზე რომელიმე ერთი ენობრივი (ფონეტიკური მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური) თავისებურების ნაირსახეობათა განლაგება, დასახლებული პუნქტების მიხედვით, (ერთი ენის გავრცელების შესაბამისად, ერთ სახელმწიფოში, ერთ კონტინენტზე, მონათესავე ენათა გავრცელების საზღვრებში და ა.შ.). დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენისა თუ ენათა ჯგუფის ლინგვისტური ატლასები [7]. იუნესკო მიიჩნევს, რომ ატლასი ენობრივი სიტუაციის დოკუმენტირების ერთგვარი ინსტრუმენტია, ენების მსოფლიო ატლასი კი არის ონლაინპლატფორმა, რომელიც ასახავს გლობალური ლინგვისტური მრავალფეროვნების დინამიკასა და სიღრმეებს. ის უზრუნველყოფს მსოფლიოს ენათა შესახებ ზუსტ, სანდო, განახლებულ და მყარ მონაცემებს. მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებით და სანდო წყაროების, მათ შორის, ეროვნული მთავრობების, აკადემიური წრეებისა და ენობრივ თემთა მიერ შემოთავაზებული მონაცემების გამოყენებით, ენების მსოფლიო ატლასს შეუძლია სწრაფად ასახოს ლინგვისტური მრავალფეროვნების ცვლილებები. 1996, 2001 და 2010 წლებში იუნესკოს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს მოწყვლადი ენების დადგენის კარგი გამოცდილების საფუძველზე, ენების მსოფლიო ატლასი წარმოადგენს მთავარ ნაბიჯს ენის მიმართ უფრო ინკლუზიური, ყოვლისმომცველი და ინტერდისციპლინური მიდგომების დასადასტურებლად [8]. იუნესკო, ენობრივი სიტუაციის აღწერისას აღიარებს ქართული ნიშანთა/ჟესტური ენის,

როგორც მოწყვლადი ენის არსებობის ფაქტს, თუმცა მითითებულ გვერდზე ამ ენის შესახებ რაიმე სხვა მონაცემი არ არის დატანილი.

ქართული ჟესტური ენის შესახებ რაიმე სახის ცნობა არ მოიპოვება ნიშანთა/ჟესტური ენების საერთაშორისო ჩამონათვალსა [9] თუ ნიშანთა/ჟესტური ენის მსოფლიო ატლასებში [10], და არც ამ ენის კლასიფიკაციისადმი მიძღვნილ უცხოურ, საეტაპო სახელმძღვანელოებში [11].



არადა, ქართული ჟესტური ენის შესწავლის მხრივ ბევრია გაკეთებული. საქართველოს ყრუთა კავშირის ეგიდით შექმნილია ჟესტური ენის ლექსიკონი [12], პროფესორ თამარ მახარობლიძის მიერ [13] შექმნილია საკუთრივ ქართულ ანბანურ ასო-ნიშნებზე მორგებული, მშვენიერი დაქტილური ანბანი; მის მიერვე წამოჭრილია ქართული ჟესტური ენის ნაციონალიზაციის საკითხი და ეს პროცესი უკვე წარმატებით მიმდინარეობს [14]. გამოცემულია არაერთი მონოგრაფია თუ ბეჭდური პუბლიკაცია, შედგენილია ქართული ჟესტური ენის აკადემიური ლექსიკონი [15], რომლის ლექსიკის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ამ ენის მთელი აქტიური ფონდი გამოკვლეულია წყაროებთან მუშაობის მეთოდით. დამუშავებულია ლექსიკონის ტექსტური ნაწილი, გამთლიანებულია ვიზუალურ-ვერბალური მასალა და გაციფრულებულია თითოეული ერთეული. აქტიურად მიმდინარეობს ქართული ჟესტური ენის მორფოლოგიის კვლევა, ქართული ჟესტური ენის მორფოლოგიის სხვადასხვა საკითხის კვლევისადმი მიძღვნილი სტატიების ნაწილი გაერთიანებულია წიგნში „ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია“ [მახარობლიძე 2019], რომელშიც მიმოხილულია, როგორც ჟესტურ ენათა მორფოლოგია, ასევე — ქართული ჟესტური ენის ზმნის მახასიათებლები, ზმნური აქტანტები, ვერსიისა და კაუზაციის კატეგორიები, დრო, კილო, ასპექტი და მოდალობა. დასახელებული და სხვა კვლევებით დადასტურებულია, რომ ქართული ჟესტური ენა „ნამდვილად დამოუკიდებელი ბუნებრივი ენაა და მისი სამომავლო შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჟესტური, არამედ — სამეტყველო ენების კროსლინგვისტური კვლევებისთვისაც“ [16].

იმდენად, რამდენადაც დღესდღეობით **ენის დაგეგმვა** [17] აქტუალური ცნებაა და მოიცავს ადამიანთა არსებობის უმთავრესი ნაწილის – ენის – მიმართ ფრთხილ მიდგომასა და სოციოლინგვისტიკურ გარემოებათა გათვალისწინებას, ხოლო **ენობრივი ურთიერთობის დაგეგმვა** გულისხმობს **ენის დაგეგმვასა** და **ადამიანებს შორის ენობრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დაგეგმვით საქმიანობას** (ვიწრო მნიშვნელობით, ის უფრო მეტად ენასთანაა დაკავშირებული, ფართო მნიშვნელობით კი ორგანიზაციული, ტექნიკური და მოწყობითი ღონისძიებაა), – ვფიქრობთ, სამომავლოდ საქართველოში წარმოებული ენობრივი პოლიტიკა ქართული ენობრივი სიტუაციის ზუსტი, ინკლუზიური მიდგომებით წარიმართება და ქართული ნიშანთა/ჟესტური ენა ღირსეულ ადგილს იპოვის როგორც ნაციონალურ, ისე – საერთაშორისო ლინგვისტურ ატლასებში. ამ მხრივ კი იმედისმომცემია ენის სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება, რაც ერთი ათად შეუწყობს ხელს ჟესტური ენის პოპულარიზაციასა და აღიარებას სმენის დეფიციტის მქონე ბავშვთა მშობლების, მათ განათლებაში ჩართული პირების, მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. ამავდროულად, ვიტოვებთ იმედს, რომ 2024 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ ზუსტი სტატისტიკური ჩანაწერი გაჩნდება ენობრივი უმცირესობების, მათ შორის, ყრუთა და ყრუ-უსინათლო პირთა რიცხოვნობის შესახებ მათი ასაკის, სქესის, განათლებისა და ტერიტორიის გათვალისწინებით, რაც ენობრივი სიტუაციის კვლევისა და ამ პირთა განათლების დაგეგმვისათვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტრუმენტი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატატუნაშვილი ა. „მოლაპარაკე ხელები“ ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი 2008
2. კახა გაბუნია, ლალი ეზუგბაია, ჭაბუკი ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, მანანა თანდაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2010 (წიგნი შექმნილია „ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო კვლევის მონაცემების საფუძველზე;
3. კახა გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, საერთაშორისო მულტილინგვური განათლებისათვის, N3, 45-69;
4. Kakha Gabunia, The Language Situation in Contemporary Georgia; 2. Caucasian and Non-Caucasian Languages# 4, 2014pp. 1-21. https://multilingualeducation.openjournals.ge/index.php/ijml/article/view/6672/6659; https://www.coe.int/t/dg4/education/minlang/AboutCharter/Minority%20languages%20in%20Georgia_EN.pdf
5. მანანა თანდაშვილი, https://shorturl.at/hSstf
6. ნათია კენჭიაშვილი,ენობრივი სიტუაცია საქართველოში აზერბაიჯანულ და სომხურ ეთნიკურ უმცირესობათა მაგალითზე, http://sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/51/34;
7. თამარ მახარობლიძე,(2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი თ. მახარობლიძე, ქართული დაქტილური ანბანი. იკე, ტ. 42. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-

ნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2014 § თ. მახარობლიძე, "დროის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში". ქუთაისის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა" ქუთაისი, 2013 294-302 გვ. 24 § თ. მახარობლიძე, "ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ ენაში", კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში". თსუ. თბილისი. 2013 231-233 გვ §T. Makharoblidze. On Georgian Dactyl Alphabet. INDIAN JOURNAL OF APPLIED LINGUISTICS – IJOAL (Vol. 40, No. 1-2, Jan-Dec 2014)C/o BAHRI PUBLICATIONS, Kalkaji, New Delhi. 2013 § T. Makharoblidze. Georgian Sign Language Electronic Dictionary. International Journal of Computer and Information Technology. ISSN 2279-0764. vol. XX issue XX – XXXXXXXX 201X www.ijcit.com (miRebulia dasabeWdad) 2013 § T. Makharoblidze. The Georgian Dactyl Alphabet. Disability studies Quarterly. DSQ, Vol. 33, No.3 2013 http://dsq-sds.org/article/view/3318 § მახარობლიძე თ. (2012) ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი. კავკასიოლოგიური ძიებები III, თსუ, თბილისი. 2012. 131-151გვ. § მახარობლიძე თ. (2012) ჟესტური ენები. თსუ, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები #2 გვ.159- 171 § მახარობლიძე თ. (2012) ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი. კავკასიოლოგიური ძიებები III, თსუ, თბილისი. 2012. 131-151გვ..

8. სოფიკო ჭაავა, საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იანი წლებში, თბილისი, 2021.
9. https://www.vox.com/2014/11/17/7082317/language-maps-charts
10. https://projekt.ht.lu.se/georgia/;
11. https://en.wal.unesco.org/discover/languages
12. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_sign_languages
13. https://wfdeaf.org/news/the-legal-recognition-of-national-sign-languages/
14. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_sign_languages
15. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი (rustaveli.org.ge)
16. ენის დაგეგმვა, ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო,2022. file:///C:/Users/mariam.goduadze/Downloads/95232020.pdf

მანანა
სეხნიაშვილი

ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე

„2030 წლისთვის ყველა მოსწავლემ უნდა შეიძინოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, მათ შორის, მდგრადი განვითარებისა და მდგრადი ცხოვრების წესისკენ მიმართული განათლების მეშვეობით...“ – მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი (ნაწილი 7).

ჩვენ ირგვლივ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს ახალი აზროვნებისა და საგანმანათლებლო მეთოდების განვითარებას, რომლებიც მოსწავლეებში ავითარებს ინდივიდუალურ პიროვნებას, აყალიბებს უნივერსალურ უნარებს და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. სკოლაში გარემოსდაცვითი განათლების მიზანი არა მხოლოდ სამყაროს შესახებ გარკვეული ცოდნის ათვისებაა, არამედ ამ ცოდნით გარემოსდაცვითი პრინციპების დამკვიდრებასა და გამოყენებაში ადამიანის მოღვაწეობის ხელშეწყობა, რაც საგანმანათლებლო პროცესში გარემოსდაცვითი საქმიანობის წარმართვის ალტერნატიული ფორმებისა და მეთოდების ფართო დანერგვას განაპირობებს.

ასეთი ამოცანები მოითხოვს ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის გადახედვასა და სპეციფიკურ ცოდნას ეკოლოგიის სფეროში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით „განათლება მდგრადი განვითარებისთვის (ESD) უფლებას აძლევს ადამიანებს, შეცვალონ თავიანთი აზროვნება და იმუშაონ მდგრადი მომავლისთვის“.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის (ESD) არის განათლების მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანების დედამიწასთან ჰარმონიაში ცხოვრების მნიშვნელობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს ESD-ს, როგორც გლობალურ საგანმანათლებლო მიზანს.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის ცვლილებების მომტანია, ის გვასწავლის, როგორ ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე და გარემოსთვის.

გარემოსდაცვითი განათლება მოიცავს გარემოს შესახებ სწავლებას, განათლება მდგრადი განვითარებისთვის კი ადამიანებს ასწავლის, როგორ იბრძოლონ მდგრადი ცხოვრებისთვის. გლობალური კრიზისის პირობებში განათლება წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ გზას სოციალური და ინტელექტუალური საფუძვლის ფორმირებისთვის მდგრადი განვითარების პრინციპების განსახორციელებლად. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მზარდი პრობლემების გამო, განათლების საჭიროება კვლავ იზრდება. განათლება მდგრადი განვითარებისთვის- ESD -განიხილება, როგორც ახალი ცნობიერებისა და ქცევის ჩამოყალიბების გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანის განვითარების კურსი შეიცვლება.

ამ კუთხით სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული განვითარების გზები ზოგჯერ საკმაოდ დამაბნეველი და განსხვავებულია.

ელიოტი და დევისი (2009) ამტკიცებენ, რომ ESD „არის განათლება ტრანსფორმაციული (გარდამტეხი) პროგრამით – ის მიზნად ისახავს ცვლილებების შეტანას მდგრადი ცხოვრებისკენ."

ნასიბულინა (2015) ამტკიცებს, რომ ESD ორიენტირებულია „ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებასა და ეკოლოგიური კულტურის ფორმირებაზე".

კონცეფცია „განათლება მდგრადი განვითარებისთვის" პირველად გაეროს დოკუმენტებში 2018 წლის მეორე ნახევარში გაჩნდა. ESD კონცეფციის შემუშავება პირდაპირ კავშირშია დოკუმენტებთან, რომლებიც 1992 წლის რიოს გაეროს კონფერენციაზე მსოფლიო საზოგადოებამ მიიღო. ამ სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ განათლება მდგრადობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. სწორედ მაშინ განაცხადეს მსოფლიო ლიდერებმა, რომ „განათლება ცვლილების გადამწყვეტი ფაქტორია".

განათლება მდგრადი განვითარებისთვის სცდება ფორმალური განათლების საზღვრებს, უწყვეტი სწავლის სახით გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარების პირობას ქმნის და ხელს უწყობს ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას, რაც ESD-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ დროისთვის ESD-ის ძირითადი მიზნებია სისტემური მსოფლმხედველობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოების მდგრად განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლებას, მაღალი მორალური ფასეულობების, მდგრადი მოხმარების სწავლებისა და სოციალური აქტივიზმის გავრცელებასა და დანერგვას.

გთავაზობთ ESD-ის შვიდ პრინციპს, რომლებშიც კარგად ჩანს ძირითადი და მთავარი კონცეფცია:

1. **ტრანსფორმაცია და ცვლილება:** ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება, როგორც საკუთარი, ისე სკოლებისა და ადგილობრივი თემების ცხოვრებაში შეიტანონ ცვლილებები. ESD არ არის ობიექტური. მისი მიზანია მდგრადი მომავლისთვის სწრაფვა.
2. **მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა ყველასათვის:** ESD არ მიიღება მხოლოდ სკოლებში. იგი ტარდება ოფიციალურ და არაფორმალურ სასწავლო გარემოში ყველგან, მათ შორის სამუშაო ადგილებზე, საზოგადოების შეხვედრებზე, სპორტულ კლუბებში და ა.შ. იგი

განკუთვნილია როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე საშუალო ასაკის მოსახლეობისთვის და ხანდაზმულებისთვის.

3. **სისტემური აზროვნება:** ეს ტერმინი აღნიშნავს ადამიანებს შორის კავშირს. როგორ? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეკოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები ერთმანეთთან კავშირშია და ერთმანეთზეა დამოკიდებული.
4. **უკეთესი მომავალი:** ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ უკეთესი მომავლისკენ, რომელშიც შეგვიძლია ვიცხოვროთ ბუნებასთან ჰარმონიულად.
5. **კრიტიკული აზროვნება:** ამჟამად მსოფლიოში მძიმე ეკოლოგიური სიტუაციაა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს კრიტიკულად და კრეატიულად აზროვნება, რათა იპოვონ პრობლემის გადაჭრის ახალი გზები და მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მდგრადობის გზაზე დაგვაბრუნებს.
6. **მონაწილეობა:** ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი უფრო მდგრადი და ეკოლოგიური სამყაროს შენარჩუნებას. ასე რომ, ESD წაახალისებს კვლევაზე და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევიმეცნოთ მოქმედების პროცესშიც.
7. **პარტნიორობა ცვლილებისთვის:** ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ ცვლილებებისთვის. მდგრადი მომავლის შესაქმნელად საჭიროა სკოლების ერთმანეთთან თანამშრომლობა, მთავრობებისა და სათემო ჯგუფების კოოპერაცია.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ტრანსფორმაციულ სწავლას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მზად ვიყოთ ცვლილებებისთვის.

გამოყენებული ინტერნეტგვერდები

1. https://helpfulprofessor.com/education-for-sustainable-development/

შორენა
ცყეშელაშვილი

მოსწავლე ციფრული გამოწვევების პირისპირ

სმარტფონის სახით მოსწავლეს ხელში უზარმაზარი შესაძლებლობებიც უჭირავს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს მისი ინტელექტუალური და მორალური განვითარებისა და ჩამოყალიბების გზაზე, განსაზღვროს მისი პროფესიული მომავალი და დაეხმაროს საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაში. თანამედროვე მოსწავლე, რომელიც თავისუფლად ნავარდობს სამყაროს ციფრულ ოკეანეში და მის თვალწინ გადაშლილია ამ სამყაროს შეუზღუდავი შესაძლებლობები, შესაძლოა სხვადასხვა გამოწვევისა და რისკის წინაშე დადგეს. მნიშვნელოვანია, სმარტფონთან ერთად მოსწავლე აღვჭურვოთ იმ გამოწვევათა შესახებ ცოდნით, რომელიც ციფრულ სამყაროში მოგზაურობას ახლავს თან. ამ გამოწვევათა წინაშე კი მასწავლებლების უმთავრესი ამოცანა მოსწავლეებისთვის ხელის შეწყობა და ციფრული წიგნიერების ამაღლებაა.

ევროპის კომისიის „განათლებისა და ტრენინგების გზით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების გავრცელების გზამკვლევი მასწავლებლებისა და პედაგოგებისთვის“ შესაძლოა იყოს ის რესურსი, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება, საკლასო ოთახებში მოსწავლეებთან შეიტანონ უფრო მეტი ინფორმაცია ციფრული წიგნიერების შესახებ და დაეხმარონ მათ ციფრული წიგნიერების სრულყოფაში და თავადაც გაიმდიდრონ ცოდნა ციფრული მოქალაქეობის შესახებ.

ინტერნეტგარემო უფრო და უფრო რთული ხდება ადამიანებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლეებისთვის და ამასთან ერთად, ინტერნეტი უფრო მეტად იკავებს ადგილს სწავლისა და სწავლების პროცესში. ამიტომ მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, როგორ გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები გონივრულად და პასუხისმგებლობით.

ციფრული მოქალაქეობა შეძენილი უნარების ნაკრებს გულისხმობს. როგორც რეალურ, ისე ციფრულ საზოგადოებაში მოსწავლე უნდა დაეუფლოს ძირითად ცნებებს, ინსტრუმენტებსა და კომპეტენციებს, რათა გაუადვილდეს სწავლა. ამ გზაზე ორიენტირებაში კი მათ მასწავლებლებზე უკეთ ვერავინ დაეხმარება.

ასევე არსებობს რისკი, რომ იმ სიკეთესთან ერთად, რომლებსაც მოსწავლეები ინტერნეტიდან იღებენ, შესაძლებელია არასათანადო, შეუფერებელი და პოტენციურად სახიფათო ქცევაც შეიძინონ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი არა მარტო აცნობდეს მათ ციფრულ შესაძლებლობებს, არამედ მისგან მომდინარე საფრთხეებზეც ესაუბრებოდეს. კარგი იქნება, მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას, საიდან და რა წყაროებიდან იღებენ და ეცნობიან მოსწავლეები ინფორმაციას, რომელ პლატფორმებს იყენებენ საკომუნიკაციოდ და რამდენად კარგად ესმით კონფიდენციალურობის პარამეტრები, ციფრული თანამეგობრობის წესები და სხვა რეგულაციები.

მასწავლებელმა მოსწავლეებთან შეიძლება განიხილოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლეებს შრომის ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად დასჭირდებათ. მაგალითად, ციფრული ეკონომიკის, კოდირების, ალგორითმების ცოდნა, გამოთვლითი აზროვნება და სხვა. სამყაროში, რომელშიც ადამიანებს შორის ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია, აუცილებელია მოქნილი უნარ-ჩვევების (მაგალითად, ინტერპერსონალური) დაუფლებაც. ასევე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გაუზიაროს სარწმუნო და და სანდო წყაროების ბმულები, სადაც ისინი სოციალურ და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნობიან. განსაკუთრებით საჭიროა იმ თემებზე საუბარი, რომლებსაც მოსწავლეები ინტერნეტში აწყდებიან – საწყენი შეტყობინებები, პირადი ცხოვრების საკითხები, სიძულვილის ენა და სხვა.

რჩევა პედაგოგებს: **ესაუბრეთ მოსწავლეებს ზოგადად, შემდეგ კი უფრო პერსონალურად, იმის შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაცია იწვევს ისეთ ემოციებს, როგორებიცაა: გაღიზიანება, წუხილი, სიამაყე ან აღელვება.**

განიხილეთ მოსწავლეებთან, რამ შეიძლება განაპირობოს შინაარსის დაუფიქრებლად გაზიარება. სთხოვეთ, დაასახელონ მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან. შეახსენეთ, რომ ისეთი ძლიერი ემოციები, როგორებიცაა, სიხარული ან ბრაზი, ხელს უშლის რაციონალურ და კრიტიკულ აზროვნებას.

განიხილეთ წყაროს შეფასების მნიშვნელობა. სარწმუნო წყაროს ამოცნობა მარტივი და საიმედო გზით შეიძლება. ასეთი წყარო არ მალავს თავისი გავრცელებული ინფორმაციის წარმომავლობას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ ინფორმაციას მრავალი განზომილება აქვს და მას შესაძლოა უამრავი ავტორი ჰყავდეს და უამრავი წყაროდან მომდინარეობდეს. კარგი იქნება, მოსწავლე ფლობდეს ცოდნას ამ ინფორმაციის ბუნების, წარმომავლობისა და მიზნობრიობის შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ შეეძლოს მისი დამუშავება, გაგება, შეფასება, მთლიანობაში აღქმა და სხვებისთვის გადაცემა, რაც ციფრული წიგნიერების უნარს წარმოადგენს. თანამედროვე ინტერნეტსამყაროში ინფორმაციის სხვადასხვა ფორმა არსებობს: დამაზიანებელი ინფორმაცია (malinformation), მცდარი ინფორმაცია (misinformation)და დეზინფორმაცია (disinformation). შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია არა მარტო მოსწავლეებს აბნევს, ის აბნევს ზრდასრულებსაც და უქმნის მცდარ რწმენა-წარმოდგენებს სხვადასხვა მოვლენაზე.

დეზინფორმაციის ტექნიკურ ასპექტებთან ერთად მისი ეთიკური ასპექტების განხილვა უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს არა მხოლოდ დეზინფორმაციის მუშაობის მეთოდებზე, არამედ იმ ზიანის შესახებ, რომლის მოტანაც მას ცალკეული პირისა და საზოგადოებისთვის შეუძლია. შესაბამისად, მოსწავლეებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა, არ გააზიარონ მსგავსი ტიპის ინფორმაცია და სხვებიც გააფრთხილონ ამის შესახებ.

ყოველივე იმის აღსანიშნად, რასაც ინტერნეტში ვაწყდებით, მრავალი ტერმინი გამოიყენება. ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობა პედაგოგებს გამოადგებათ მოსწავლეებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან დისკუსიის დროს.

- **ალგორითმები:** ციფრულ პლატფორმებში ალგორითმები ის ინსტრუმენტებია, რომლებიც მომხმარებელს კონტენტს იმის მიხედვით აწვდის, თუ რა არის ამ მომხმარებლისთვის რელევანტური და მოსაწონი.
- **ხელოვნური ინტელექტი (სისტემა) (Artificial Inteligence):** კომპიუტერული ან სამანქანო პროგრამა, რომელიც შექმნილია ისეთი მოქმედებების შესასრულებლად, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანის ინტელექტს მოითხოვს, მაგ., სწავლის ან ლოგიკური მსჯელობისთვის.
- **ბოტი:** ავტომატიზებული პროგრამა ინტერნეტში, რომელიც მომხმარებელთან წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად ურთიერთობს.
- **სამოქალაქო ჟურნალისტიკა:** იმ პირთა ჟურნალისტური საქმიანობა, რომლებიც არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მაგრამ ინფორმაციას საიტების, ბლოგებისა და სოციალური მედიის საშუალებით ავრცელებენ.
- **სატყუარა შინაარსი (Clickbait):** ადამიანის ან მოვლენის გამოსახულება ან ვიდეო და აუდიოჩანაწერი, რომელიც შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ და რეალობას არ შეესაბამება, თუმცა რეალურისგან მისი გარჩევა ხშირად შეუძლებელია.
- **დიპფეიკი (Deepfakes):** ადამიანის ან მოვლენის გამოსახულება ან ვიდეო და აუდიოჩანაწერი, რომელიც შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ და რეალობას არ შეესაბამება, თუმცა რეალურისგან მისი გარჩევა ხშირად შეუძლებელია.
- **ციფრული მოქალაქეობა (Digital citizenship):** აქტიურად, ხანგრძლივად და პასუხისმგებლობით მონაწილეობა ადგილობრივი, ეროვნული, გლობალური და ციფრული ონლაინგარემოს ყველა – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და კულტურათაშორის დონეზე.
- **ციფრული კვალი (Digital footprint):** იმ მონაცემთა კვალი, რომელიც დატოვეს ინტერნეტმომხმარებლებმა, მათ შორის ვებგვერდების გამოყენებით, ელექტრონული ფოსტით მიმოწერითა და სხვა ინფორმაციის გაზიარებით. ციფრული კვალი შეიძლება გამოიყენო ადამიანის ონლაინაქტივობისა და მისი მოწყობილობების დასადგენად.
- **ციფრული წიგნიერება (Digital literacy):** უნარი, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხოდ და სათანადოდ ინტეგრირდე და იურთიერთო, ასევე მოიპოვო, მართო, გაიაზრო, შეაფასო, შექმნა და გაავრცელო ინფორმაცია. ის გულისხმობს კომპეტენციებს, რომლებსაც ინფორმაციულ წიგნიერებასა და მედიაწიგნიერებას, კომპიუტერულ ან ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ წიგნიერებას უწოდებენ. ის მოიცავს ციფრულ სამყაროში აქტიურ სამოქალაქო ჩაბმულობას და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას.

- **ციფრული პედაგოგიკა (Digital pedagogy):** ინოვაციური ციფრული მეთოდებისა და კონცეპტუალური მიდგომების გამოყენება. მისი მიზანია ადაპტაციური და პერსონალიზებული სწავლების, ახალი შემოქმედებითი მეთოდების დანერგვის, სწავლის გამოცდილების გამდიდრებისა და შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- **ფაქტების გადამოწმება (Fact-checking):** ინფორმაციის სისწორისა და თუ სიყალბის გადამოწმების პროცესი.
- **ფილტრის ბუშტი (Filter bubble):** სიტუაცია, რომელშიც მომხმარებელი მხოლოდ იმ ახალ ამბებსა და ინფორმაციას ისმენს ან ხედავს, რომლისაც სწამს და რომელსაც ამჯობინებს.
- **მედიაწიგნიერება:** მედიასთან წვდომის, მედიისა და მედიაშინაარსის სხვადასხვა ასპექტის გააზრებისა და კრიტიკული შეფასების, ასევე სხვადასხვა კონტექსტში კომუნიკაციის დამყარების უნარი.
- **მიმი:** ისეთი გამოსახულება, ვიდეო, ტექსტის ნაწილი და სხვა, რომელიც, როგორც წესი, იუმორისტულია და მომხმარებლები სწრაფად აზიარებენ და ავრცელებენ, ხშირად – მცირეოდენი სახეცვლილებით.
- **ფიშინგი (Phishing):** შეტევა, რომელიც ფულის ან იდენტობის მითვისების მიზნით მომხმარებელს გამოსძალავს პირად ინფორმაციას, მაგალითად, საკრედიტო ბარათის ნომერს, საბანკო მონაცემებს, ან პაროლს ისეთი ვებგვერდების გამოყენებით, რომლებსაც მოტყუებით კანონიერად ასაღებენ.
- **ტროლი:** პირი, რომელიც სხვებს შეგნებულად შეურაცხყოფს ან თავს ესხმის ღირსების შემლახველი კომენტარებით. ტროლების ფერმა ან ქარხანა ინტერნეტში ტროლების ინსტიტუციონალიზებული ჯგუფია, რომლის მიზანია, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ მოსაზრებასა და გადაწყვეტილებაზე.

რვა თებერვალს მსოფლიოში უსაფრთხო ინტერნეტის დღე აღინიშნება. ეს დღე შეიძლება გახდეს კიდევ ერთი საბაბი იმისათვის, რომ მოსწავლეებს ვესაუბროთ ინტერნეტის ფართო შესაძლებლობებზე და მისგან მომდინარე საფრთხეებზეც; ავამაღლოთ მათი ციფრული ცნობიერება და დავეხმაროთ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში, რომელიც უმთავრესი ინსტრუმენტია მოსწავლისთვის, რათა იყოს მედეგი ციფრულ გარემოში, სადაც სარწმუნო ინფორმაციასთან ერთად დამახინჯებული და მცდარი ამბებიც ვრცელდება.

წყარო

1. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://shorturl.at/7xnN9

მაია
იანცბელიძე

ურთიერთობა თუ კომუნიკაცია?

პერფორმანსული კომუნიკაცია

თუ ვერბალური კომუნიკაცია გადაცემისათვის იყენებს ვერბალურ არხს, ვიზუალური – ვიზუალურს, პერფორმანსი განკარგავს თავის გზავნილს სივრცეში.

პერფორმანსს რიჩარდ სეხნერი იგებს, როგორც ერთი ადამიანის ან ჯგუფის მოქმედებას მერე ადამიანის ან ჯგუფისადმი. ცენტრალურ მახასიათებლად აქ იქცევა მესამე პირი, მეთვალყურე, მაყურებელი, რომლის რაოდენობა კარდინალურად ცვლის მთელ პროცედურას. საზოგადოებაში ყოველთვის იყო განსაზღვრული უტრირებულ-პერფორმანსული როლები.

ასე ვეძახით, რადგან მათ შესასრულებლად საჭირო იყო გარკვეული „ქცევის გადახრა“. ესაა სულელის, მასხარას როლი. სულელი არ ისჯება თავისი მოქმედებისთვის, რადგან, როგორც თვლიდნენ, მისი საშუალებით შეიძლება ღმერთმა ისაუბროს.

თუ გავიხსენებთ სიას დიდი მასხარებისა, მივხვდებით, რომ კარგი მასხარის როლი არაა ადვილი, რაც მთავარია, ის არავითარ შემთხვევაში არაა დამამცირებელი, როგორც დღეს წარმოუდგენიათ. „ისტორიის მრავალი მაგალითია, როცა დიდი მონარქები სიამოვნებით უსმენდნენ (და, ხშირ შემთხვევებში, წარმატების მომტან) თავიანთი ერთგული და საუკეთესო მასხარების რჩევებს, ვიდრე თავიანთ ერთგულ და საუკეთესო მინისტრებს, რაც საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ისტორიული ღირებულება მასხარისა, რომელიც რჩეულ სიტყვათა ლექსიკონშია შესული, მოითხოვს გადასინჯვას...“ (ნიკოლაი ევრეინოვი „თეატრი საკუთარი თავისთვის“). ალბათ ამ სიბრტყეზე უნდა მოვათავსოთ დისიდენტები ყოფილ საბჭოთა საზოგადოებაში, იმდენად რამდენადაც ისინი აშკარად ამოვარდნილი იყვნენ ქცევის მიღებული ნორმებიდან.

ამერიკელი მკვლევარი ქალი არტ ბორეკა პირდაპირ აკავშირებს პოლიტიკასა და დრამატურგიას, ხაზს უსვამს რა მასმედიის მზარდ როლს ამ პროცესში. იგი ჩამოთვლის მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც პერფორმანსულ ხასიათს ატარებს.

მითოლოგიური კომუნიკაცია

მირჩე ელიადემ დაწერა სიტყვები, რომლებიც ეპიგრაფად სრულიად შეეფერება ამ თავს: „შესაძლოა, დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ მითის გაგება მიკუთვნებული იქნება მეოცე საუკუნის ყველაზე სასარგებლო აღმოჩენებს“.

თანამედროვე მითი ხშირად იღებს იმ ფორმებს, რომლებიც აღწერს სრულიად ყოველდღიურ მოვლენებს. მაგრამ ამასთან, აქტიურად ეყრდნობა არატიპურ სიტუაციებსაც, ჩანერგილებს თანამედროვეობაში. მითის შემადგენლობაში განიხილავენ „არაჩვეულებრივს“. საკუთარი გმირების ცხოვრებიდან ყველაზე ნათელი მოვლენების შერჩევისას, მასმედია მიემართება მათი მითოლოგიზაციის გზით. თუ მოვლენები არაა თვალისმომჭრელი, ისინი არ წარმოადგენს საინტერესოს არც ჟურნალისტის, არც მკითხველისათვის. ასე რომ, კომუნიკაციის პროცესის შემდგენლები (მოვლენათა მახასიათებლების შერჩევა აუდიტორიის თვალსაწიერიდან) ძალიან აქტიურად ახდენს მითოლოგიური გარემოს ფორმირებას. მით უფრო ეს ეხება, მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც მითოლოგიური აზროვნების აპოთეოზს წარმოადგენს.

მითი სრულიად თავისუფლად იჭრება ჩვენს სინამდვილეში, იღებს რა სხვადასხვა ფორმას. მითი კონკიაზე იდენტურია მითისა წაღების მწმენდავზე, რომელიც მილიონერი გახდა და ის ბევრ რამეში მსგავსად რეალიზდება. მითის სქემების ეს თავისუფალი განმეორებადობა სხვადასხვა ხალხებისა და დროისთვის მეტყველებს მის პრინციპულ უნივერსალურობაზე.

მითი წარმოადგენს ქცევის გარკვეულ გრამატიკას, ამიტომაც არ შეიძლება მხოლოდ ტექსტუალურ დონეზე მისი უბრალოდ დარღვევა, რაც საპასუხოდ შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც წესებიდან გამონაკლისი. „არის რა რეალური და წმინდათაწმინდა, მითი ხდება ტიპური, შესაბამისად, განმეორებადი, რადგან წარმოადგენს მოდელს და გარკვეულ დონეზე ყველა ადამიანური ქცევის გამართლებას“ (ელიადე „მითები, სიზმრები, მისტერიები“). მაგრამ რომელი ობიექტები ხვდებიან ამ გრამატიკაში? თუ ყველა კონკია იპოვის თავის პრინცს, ვინღა გარეცხავს ჭურჭელს და მიიტანს კაფეში საჭმელს? თუ ყველა ფეხსაცმლის მწმენდავი გახდება მილიონერი, ვინღა გაწმენდს ფეხსაცმელს? მითი უცნაურად მუშაობს არარეალიზებულ სივრცეში. მისთვის შესაფერისია ისეთი სიტუაცია, როცა ადამიანი კბენს ძაღლს და არა პირიქით.

არსებობს გარკვეული სიმბოლური მახასიათებლები, რომლებსაც შეუძლია გადმოგვცეს საჭირო ინფორმაცია. ამბობენ, მოგზაურობის აუცილებლობაზეც გმირის ტრანსფორმაციისათვის – მაგალითად, ოდისევსს, ჰამლეტს, წითელქუდას სჭირდებოდათ სახლიდან გამგზავრება, რომ ჰქონოდათ შესაძლებლობა აკრძალვის დარღვევისა. ნორმის სივრცე განსხვავდება ის სივრცისაგან, გმირს რომ სჭირდება. გმირს არაფერი ესაქმება ტროლეიბუსში, გარდა კონტროლიორისთვის ტალონის ჩვენებისა. გმირს სჭირდება სხვა სივრცე, რომელშიც ის თავის გმირულ თვისებებს გამოავლენს.

დღევანდელი მითოლოგია ზემოქმედებს ახალგაზრდობაზე თავისი მისაბაძი ნიმუშებით.

მ. ელიადე საუბრობს თანამედროვე წიგნის მითოლოგიურ ხასიათზე. „ყოველი პოპულარული რომანი უნდა აჩვენებდეს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლას, გმირსა და ანტიგმირს (დემონის თანამედროვე ხორცშესხმა) და იმეორებდეს ფოლკლორის ერთ-ერთ უნივერსალურ მოტივთაგანს – დევნილ ახალგაზრდა ქალს, გადარჩენილ სიყვარულს, უცნობ კეთილისმყოფელს. დეტექტიური რომანებიც კი სავსეა მითოლოგიური თემებით. აქ დავამატოთ ტიპური სქემები თანამედროვე პოლიტიკის ინტერპრეტაციებისა, სადაც ყოველი მხარის ინტერპრეტაცია მიჰყვება კეთილისა და ბოროტის ხაზებს.

მითი – ეს ყველასთვის ფსიქოლოგიურად ხელმისაწვდომი პასუხია საერთო მნიშვნელობის პრობლემებზე. ის გშველის და გიცავს.

თანამედროვე მსოფლიოში მასობრივმა კომუნიკაციამ და კულტურამ გაზარდა მითოლოგიის ახალი ასპექტები. რა არის უფრო დამახასიათებელი მითოლოგიური ტექსტებისთვის? მთავარს წარმოადგენს შემდეგი პარამეტრები:

ისინი შეუმოწმებელია (როგორც თქმულებები სასწაულებზე, წმინდანებზე და ა.შ.). პრინციპულად არ შეიძლება მათი უარყოფა, მხოლოდ ახალი მაგალითით დამტკიცება.

მათ ახასიათებს გარკვეული ცნობადობა – ეს ახალი ინფორმაცია არაა, არამედ თითქოს ჩვენთვის უკვე ცნობილი სქემის რეალიზაცია. ხშირად, ამ მოდელში, ჩარჩოში, სტერეოტიპში ჩვენ სინამდვილის ჩართვას ვცდილობთ.

მხატვრული კომუნიკაცია

ცივილიზაცია ფლობს ორ ტიპს მანქანებისა, რომლებიც ბადებენ სიმბოლოებს. თავისი ფუნქციების მიხედვით ისინი დაახლოებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ერთნიც და მეორენიც მიმართულია, შემოიტანოს საერთო სქემები ინფორმაციის გზით სინამდვილის ინტერპრეტაციისთვის. კულტურის ფარგლებში ასეთი სქემების შემოტანა უფრო ჰედონისტურ ხასიათს ატარებს, იმდენად რამდენადაც ის უფრო ემოციურად შეფერილია. ამასთან საინტერესოა, რომ (თუმცა ზუსტი ციფრები უცნობია) მხატვრული სამყაროების შექმნაში დღეს ჩართული აღმოჩნდა ბევრად მეტი ადამიანი, ვიდრე ობიექტური რეალობის აღწერაში.

აუცილებელია გვახსოვდეს ის, რომ მასმედია ბადებს სიმბოლურ რეალობას, რადგან მილიონი მოვლენიდან გაზეთის ფურცლებზე თუ ტელევიზიის ეკრანზე ხვდება მხოლოდ ზოგიერთი. მოვლენათა შერჩევის პროცესი რეზულტატში მასობრივ შემეცნებაში შეტანილ მოვლენას ნიშანდობლივს ხდის. ამავდროულად, მასმედია ასევე ფლობს ნიშანდობლივ მეთოდს მოვლენათა დემონსტრაციისა.

გადავიდეთ უშუალოდ სიმბოლური რეალობის ქმნადობის ორი ვარიანტის დამაახლოებელ თუ განსხვავებების ხაზგამსმელ მახასიათებლებზე – მხატვრული კომუნიკაცია და მასმედია. მასმედია ქმნის ხანმოკლე სიცოცხლის ტექსტს, ლიტერატურა და კულტურა – ხანგრძლივს. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მათი ფუნქციონირების შემდეგ თავისებურებებს: მასმედიის ტექსტები თითქოს ავიწროებს ერთმანეთს, ობიექტზე ხვალინდელი მონათხრობი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე გუშინდელი მონათხრობი. ამავე დროს, მხატვრული კომუნიკაცია ბადებს

ალტერნატიულ და არა ერთმანეთის შემავიწროებელ ტექსტებს. მის ველში თანაარსებობა შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტს, როცა მასმედიის ველში ტექსტები ურთიერთგამანადგურებელია. ეს შეიძლება ირიბად უკავშირდებოდეს იმასაც, რომ მასმედიის ტექსტები, ცვლიან რა ერთმანეთს, ხშირად ჰყვებიან ერთსა და იმავე ობიექტებზე. მხატვრული ტექსტები კი გვატყობინებენ სხვადასხვა ობიექტზე, ამიტომაც მსგავსი კონკურენცია უსათუოდ უნდა გავიგოთ.

მაგალითად, დეტექტივი, რომელშიც დამნაშავე ბოლოს კანონით ისჯება, გარკვეული თვალსაზრისით, შესაბამისია ძებნილი დამნაშავის დაკავების შესახებ საგაზეთო შენიშვნისა. მაგრამ დეტექტივისთვის მისი ბოლო აქტი ზედმეტია, ჩვენ ვწინასწარმეტყველებთ ტექსტს, ჟანრის კანონებიდან გამომდინარე, როცა დამნაშავის დაჭერა კი არ არის დეტექტივის ცენტრალური შემადგენელი, არამედ თვითონ დაჭერის პროცესი.

ამგვარად, რეალობის ინტერპრეტაციის სქემები შეიძლება აქცენტირდეს თავის სხვადასხვა ნაწილზე. საგაზეთო შენიშვნა პირობითად ორიენტირებულია ფინალზე, თუ ფორმალურ ნაწილებზე ვისაუბრებთ, დეტექტივი – ასევე პირობითად – შუა ნაწილზე. ეს ორი ორიენტაცია მოედინება ჟანრობრივი კანონზომიერებებიდან. მასმედია ორიენტირებულია სივრცისა და დროის მოცემულ წერტილთან მიბმაზე. მაგალითად, გუშინდელი გაზეთი არავის აინტერესებს. მოცემულ მომენტთან ყველაზე ახლოსაა დამნაშავის დაჭერა: დანაშაულისა თუ ძებნის წერტილები უკვე შორსაა ინფორმაციის მიღების დროსთან. დეტექტივისთვის კი ეს წერტილი წარმოადგენს არანაკლებ საინტერესოს, რამდენადაც ნარატიულად ის დამამთავრებელია. მოვლენათა შუაში მყოფობას, პრაქტიკულად, არ აქვს საზღვრები, ჩვენ შეგვიძლია, ვზარდოთ ეპიზოდების ნებისმიერი რაოდენობა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ცივილიზაციური ნორმების ჩარჩოებში საგაზეთო შენიშვნა მიისწრაფვის თავისი მოცულობის შემცირებისკენ იმ დროს, როცა, მაგალითად, დეტექტივს აქვს განსხვავებული მოცულობის შემოსაზღვრულობა. ყოველ შემთხვევაში, მას აქვს გაცილებით მეტი სიდიდის უფლება.

მასმედიის კომუნიკაციებს ჩვენ მივიჩნევთ უფრო ობიექტურად ანუ ფსიქოლოგიურად ისინი ითვლება სინამდვილესთან უფრო შესაბამისად, ხოლო მხატვრული კომუნიკაცია საზოგადოების მიერ განიხილება, როგორც სუბიექტური. უფრო მეტიც, ყოველი, კომუნიკაციის ამ პოლუსებიდან, ესწრაფვის, მიაღწიოს მაქსიმუმს: ერთი მხრივ – ობიექტურობისა, მეორე მხრივ – სუბიექტურობის. ობიექტურობის სტანდარტის მიღწევისას ჟურნალისტები შეიძლება სროლაში მოყვნენ, დაიღუპონ მოვლენების ეპიცენტრში, რაც ძნელი წარმოსადგენია მწერლის შემთხვევაში.

სიმბოლური სინამდვილის წარმოქმნის ამ მეთოდის განსაკუთრებულ ხასიათს აქტიურად და ძირძველი დროიდან იყენებს ადამიანური ცივილიზაცია. სიმბოლური რეალობის წარმოქმნის ყველა ტიპი ამა თუ იმ ხარისხით ექვემდებარება ურთიერთგავლენას. მაგალითად, რომანი, როგორც ითვლება, ამოიზრდება რიტორიკაში სპეციალური აკადემიური სავარჯიშოებიდან. დღეს არსებობს რომანები, ჟურნალისტური ჟანრების მამოდელირებელი. ასე რომ, კომუნიკაციური სიბრტყე მთლიანობაში გამუდმებით იყენებს ზემოქმედების უფრო ეფექტურ საშუალებებს, რთავს რა მათ ახალ კონტექსტებში.

მხატვრული კომუნიკაცია ეყრდნობა სინამდვილეს, მაგრამ უფრო რთულ დონეზე. ის ახდენს სინამდვილის რეინტეგრაციას, ალბათ უფრო რომანტიკული მოდუსით და საკმაოდ ხშირად, ზუსტად ის ხდება მასობრივი შემეცნების გზამკვლევი ისტორიაში.

თამთა
კობახიძე

ლიდერობა სკოლაში და პროფესიული განვითარება – ესტონეთის გამოცდილება

ესტონური საგანმანათლებლო სისტემის წარმატებისა და ძლიერი სკოლის ერთ-ერთ საყრდენს საგანმანათლებლო ლიდერობაც წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესტონეთში ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა მომზადება-გადამზადების საკითხებზე მუშაობს. უნივერსიტეტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სკოლებთან – იღებენ რა მათგან მუდმივ უკუკავშირს საჭიროებების შესახებ და ახორციელებენ სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებს – საკუთარი თუ სახელმწიფოს ინიციატივით.

სკოლის ლიდერთა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა არის Future School programme, რომელიც სკოლისადმი სისტემურ მიდგომას წარმოადგენს. პროგრამის მიზანია, გააძლიეროს სკოლები ინოვაციების, საუკეთესო სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობისა და ახალი მეთოდების გამოცდის საშუალებით. ამ პროგრამაში უნივერსიტეტები სკოლებთან ერთად ქმნიან ახალ მეთოდოლოგიებს და ნერგავენ ინოვაციებს (მტკიცებულებებზე დაფუძნებულს) საგანმანათლებლო სისტემაში ცვლილებების განსახორციელებლად.

პროგრამა დაიწყო ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით და ევროპის სოციალური ფონდის მხარდაჭერით და რამდენიმე წელია უწყვეტად მიმდინარეობს. პროგრამის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში აღწერილია პროცესის სრული მიმდინარეობა, თეორიული საფუძვლები და მიღებული შედეგები. შესაბამისად, აღნიშნული სტატია დაფუძნებულია ტალინის უნივერსიტეტის პროფესორის ევე ეიზენშმიდტისა და კოლეგების 2019 წლის პუბლიკაციაზე (School-University Partnership for Evidence-Driven School Improvement in Estonia).

Future School programme სკოლებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. პროგრამაში ჩართული იყო ხუთი სკოლა, რომლებიც უნივერსიტეტის დახმარებით სწავლობდ-

ნენ, როგორ გაეხადათ სასწავლო პროცესი უკეთესი, გაეუმჯობესებინათ ლიდერობის სტილები და დაენერგათ საგანმანათლებლო ინოვაციები. მთავარი არსი სკოლის ლიდერის მენტორობასა და კონსულტაციაში, ასევე ლიდერი მასწავლებლების აღმოჩენასა და მათ საყრდენ რგოლებად ქცევაშია. სკოლის ლიდერების წვრთნის მთავარი ფოკუსი მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის უნარების გამომუშავებასა და მათ შედეგებზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებშია. უნივერსიტეტის მიერ მოწვეული ექსპერტები, პროფესორები კონსულტაციებით, თეორიული მხარდაჭერითა და კვლევებით ეხმარებიან სკოლის ლიდერებს საგანმანათლებლო საჭიროებების აღმოფხვრაში.

როგორც აღვნიშნეთ, ესტონეთში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემების შეგროვებასა და ანალიზის უნარებს ყველა დონეზე – რიგითი მასწავლებლიდან დაწყებული მაღალი რგოლის საჯარო მოხელით დამთავრებული – ყველა იაზრებს უტყუარ ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას. ასეთივე მნიშვნელობა თეორიულ საფუძვლებს ენიჭება. ესტონელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ წვრთნის, კონსულტაციის გაწევის დროს (ე.წ. „ქოუჩინგი“) ნებისმიერი ჩვენ მიერ მიცემული რჩევა უნდა ემყარებოდეს სანდო კვლევებს და გააჩნდეს თეორიული საფუძველი.

2020 წელს ქვეყანაში მიღებული მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სტრატეგიის სხვადასხვა პუნქტი ისეთ აქტივობებს ითვალისწინებდა, რომლებიც უნივერსიტეტისა და სკოლების თანამშრომლობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ეს ასევე ნიშნავდა იმას, რომ ყველა სკოლებს ფოკუსირება მოსწავლეთა საჭიროებებზე უნდა მოეხდინა და პრობლემების გადასაჭრელად უკვე მრავალჯერ ნაცადი, უსარგებლო მეთოდები ახალი გზებით ჩაენაცვლებინათ.

ახალი გზების ძიებაში კონსულტანტები სკოლებს სთავაზობდნენ ტრადიციული, მრავალსაათიანი ტრენინგების ჩანაცვლებას უკვე არსებული პრაქტიკის მხარდაჭერითა და „inquiry-oriented practice“ (მკვლევარი მასწავლებელი) გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა ასახავს ისეთ მდგომარეობას, სადაც მასწავლებელი/დირექტორი სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით თავად იკვლევს პრობლემას და ამ პროცესში (თეორია/პრაქტიკის ერთობლიობით) პროფესიულად ვითარდება. პროცესის ამგვარი მიმდინარეობის გამო ამ მიდგომას კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებსაც უსაბამებენ. მაშასადამე, შეიძლება გამოიკვეთოს, რომ სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ეს პროექტი ორ მთავარ პრინციპს ეფუძნებოდა:

- უნივერსიტეტის მხარდაჭერით სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის მონაცემთა ანალიზის უნარის განვითარება (აქვე შედის ანალიზის საფუძველზე მიღებული საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების გააზრება);
- სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის მკვლევრის უნარის განვითარება.

პროგრამის საბოლოო შედეგი მასწავლებლების პრაქტიკისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაა. აქტიური საგანმანათლებლო ლიდერობის პროცესში სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება დადებითად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზეც. აქვე მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატების რწმენა. მასწავლებლებს/დირექტორებს უნდა სჯეროდეთ, რომ კონსულტაციის შეთავაზებაც დახმარების ერთ-ერთი ფორმაა და რეალურად მისი მხარდაჭერა შეუძლია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონსულტანტის ავტორიტეტი, მისი ინტერპერსონალური უნარები, მეთოდოლოგიური ცოდნა და გამოცდილება. რადგან კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლებს მონაცემთა ანალიზის უნარების არქონა პრობლემად არ მიაჩნიათ, შესაბამისად, ნაკლებია ამ მიმართულებით თუნდაც

რამდენიმესაათიანი ტრენინგების სიხშირე. ამიტომ პროგრამაში მონაწილე კონსულტანტებმა გამოიყენეს ე.წ. ჩაშენებული მიდგომები, რაც გულისხმობდა მცირესაათიან სწავლებებს და შემდგომ, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით მიღებული ცოდნის გამოყენებას.

დირექტორები არიან ძირითადი მოთამაშეები მასწავლებელთა შორის მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობაში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რესურსებისა და დროის განაწილებაში. სკოლის ლიდერისთვის მნიშვნელოვანია განიხილოს მთელი სკოლის პერსპექტივა. თუ სასწავლო და ორგანიზაციული გაუმჯობესებები არ არის თანმიმდევრული, ეს დამაბნეველია მასწავლებლებისთვის. მნიშვნელოვანია ახსნა, თუ რატომ ხდება მტკიცებულებების შეგროვება საკლასო დონეზე და როგორ ეხმარება ეს მთელს სკოლას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მონაცემები არ იქნას გამოყენებული მასწავლებლების დადანაშაულებისა და შეურაცხყოფისთვის. მტკიცებულებებზე ორიენტირებული სკოლის კულტურა ვერ ჩამოყალიბდება მონაცემთა მცოდნე და კვლევითი სკოლის ლიდერის გარეშე, ამიტომ სტრატეგიების მხარდაჭერის გადამწყვეტი მიზანია სკოლებში ლიდერების გუნდის ჩამოყალიბება.

პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

- პირველ ეტაპზე სკოლებმა თავად გამოთქვეს ინიციატივა, ჩართულიყვნენ ახალ წამოწყებაში, შესაბამისად, შეირჩა ხუთი საჯარო სკოლა;
- სკოლებმა შეადგინეს სამოქმედო გეგმა და კონკრეტულად აღნიშნეს, რის გაუმჯობესება სურდათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- აღნიშნული გეგმები უნივერსიტეტის კონსულტანტებთან ერთად იქნა განხილული და გადაიხედა წარმოდგენილი მონაცემები. ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში მონაცემები შეგროვდა ცენტრალიზებული მასშტაბით (სახელმწიფო შეფასებები). აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობის შემდეგ სამმა სკოლამ შეცვალა სამოქმედო გეგმა. ცვლილების ძირითადი საფუძველი ის იყო, რომ სკოლებმა ვერ შეძლეს დასახელებული პრობლემის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, ამიტომ ჩაანაცვლეს ისეთი პრობლემით, რომლის ვალიდური მტკიცებულებაც არსებობდა.
- უნივერსიტეტის კონსულტანტები მხარდაჭერას უწევდნენ სკოლას ყველა ნაბიჯზე – მონაცემთა ანალიზისა და აქტივობების განხორციელების ეტაპებზე;
- საბოლოო ჯამში ყველა სკოლამ თავად შეადგინა და განახორციელა სამოქმედო კვლევა.

პროგრამის წარმატების მთავარი გასაღები იყო ადამიანური რესურსით სკოლების მხარდაჭერა. ისინი ეხმარებოდნენ სკოლის ადმინისტრაციას – პროექტში ჩართულ სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ ყოველთვიური სემინარები და კონსულტაციები. სემინარებზე განიხილებოდა როგორც სამოქმედო გეგმა, ასევე თეორიული და პრაქტიკული მასალები. უნივერსიტეტის გუნდმა ასევე უზრუნველყო პროექტში ჩართული სკოლების ქსელის შექმნა. ერთობლივი განხილვები და პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზების შესახებ მსჯელობა ეხმარებოდა სკოლებს საკუთარი საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც.

კვლევამ აჩვენა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ 20%-ით გაიზარდა იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც კოლეგებთან ერთად გეგმავდნენ თანამშრომლობით აქტივობებს, გაიზარდა სკოლის ადმინისტრაციის მიერ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა.

ნათელა
ბალათრიშვილი

მაია
სიღაგაძე

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვა და მონიტორინგი

სტატია ეფუძნება სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლაში განხორციელებულ საჭიროებების კვლევას, რომლის მიზანი იყო, შეგვესწავლა, რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების მიმართ, რამდენად ინტენსიურად და ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით და რამდენად თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების სიღრმისეულად წვდომისა და საგაკვეთილო პროცესში მათი გამოყენების მიზნით.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული ტიპი რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით და საჭიროების ერთიან ჭრილში დასანახად სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ერთად გამოვიკვლიეთ საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებიც. კვლევის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ განხორციელდა ინტერვენციები. ქმედებათა განხორციელების დროს მასწავლებლებზე დაკვირვებამ და ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა ჩვენ მიერ ჩატარებული, პრობლემის გადაჭრასა და საჭიროების აღმოფხვრაზე ორიენტირებული ინტერვენციების ეფექტურობა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რა მნიშვნელობა აქვს საკლასო სივრცეში მრავალფეროვანი რესურსების, აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების გამოყენებას და როგორია მოსწავლეთა შეხედულებები, მოსაზრებები და განცდები ამგვარი გაკვეთილების მიმართ. ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა დასკვნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავცეთ რეკომენდაციები მსგავსი პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვეთისა და მოგვარების მიზნით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა მოსწავლეზე ორიენტირებულმა სწავლებამ. ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების სტილიდან ახალი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების დანერგვაზე გადასვლა არცთუ იოლი პროცესია მასწავლებლებისთვის. ამ მიზნით საქართველოში განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელთაგან აღსანიშნავია „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი", რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს" მხარდაჭერით განხორციელდა. ვფიქრობთ, მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს კვლევა და მონიტორინგი როგორც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მხრივ, ისე ლოკალურ (სასკოლო) დონეზეც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კვლევისა და მონიტორინგის მიზანია რეალური სიტუაციის შეფასება და კონკრეტულ სოციუმში პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას, ეს კი, საბოლოოდ, ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და რეფორმის წარმატებით განხორციელებას თითოეული სკოლის დონეზე.

წარმოგიდგენთ სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლაში ჩატარებულ სკოლის საჭიროებების კვლევის ეტაპებსა და შედეგებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **ძირითადი მიზანია** სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ და ამ კუთხით მათი თანამშრომლობის შესწავლა, ასევე – საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა შეხედულებების შესწავლა თანამედროვე სასწავლო მიდგომებთან დაკავშირებით. საჭიროა, გამოიკვეთოს ამ მიმართულებით სკოლაში არსებული რეალური მდგომარეობა/საჭიროება, გაირკვეს, როგორია მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ, რა ხარისხით მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და რამდენად თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მიზნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ძირითადი **საკვლევი კითხვები** და შესაბამისი **ამოცანები**:

- საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდების შერჩევა;
- შერჩეული მეთოდებისა და ინსტრუმენტების მიხედვით მონაცემთა შეგროვება;
- მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ფორმულირება;
- ინტერვენციების განხორციელება;
- ინტერვენციების შეფასება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის 36 მასწავლებელი, ყველა – მდედრობითი სქესის; ასევე – სსიპ ქალაქ

თელავის N7 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების 119 მოსწავლე, რომელთაგან 65 გოგონაა, ხოლო 54 – ვაჟი. **შერჩევის მეთოდი** არაალბათურია.

კვლევითი კითხვები:

- როგორია თელავის მე-7 საჯარო სკოლის მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ და რამდენად არის დატვირთული სწავლა-სწავლების პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით;
- რამდენად ინტენსიურად თანამშრომლობენ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის **თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები**. როგორც ამერიკელი მკვლევრები ისადორ ნიუმანი და კეროლაინ ბენცი ამბობენ, ამ ორი მეთოდის თანაარსებობასა და თანამშრომლობას შორის არსებობს „ინტერაქციული კონტინუუმი". მასწავლებლებთან კვლევა ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუს მეთოდით და კითხვარის გამოყენებით, ხოლო მოსწავლეებთან – ფოკუსჯგუფის მეთოდით და კითხვარის გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შევისწავლეთ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოსაზრებები და შეფასებები, ხოლო თვისებრივი კვლევის მეშვეობით რესპონდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, აეხსნათ, რატომ ფიქრობდნენ ასე. კვლევა ჩატარდა რესპონდენტებისთვის ბუნებრივ ან/და სასურველ გარემოში – სკოლის ტერიტორიაზე.

კვლევის დაწყებამდე რესპონდენტებს მივაწოდეთ ზოგადი ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ. კვლევის თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულ და დაცულ იქნა ეთიკური საკითხები.

კვლევა ანალიტიკურ ხასიათს ატარებს და მისი დიზაინი ძირითადად აგებულია კვლევის ქრონოლოგიური პრინციპის პანელურ მიდგომაზე, რომელიც იძლევა ერთი და იმავე შერჩევითი ჯგუფის შესწავლის საშუალებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს. კვლევის პირველ და მეორე ეტაპებს შორის მასწავლებლები ჩართულები იყვნენ სკოლის ბაზაზე შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებული ქმედებების დანერგვის პროცესში.

მასწავლებელთა თვისებრივი კვლევის დროს მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი. თითოეული ინტერვიუ ჩატარდა კათედრასთან. შესაბამისად, განხორციელდა 7 ჯგუფური ინტერვიუ. ჯგუფში რესპონდენტთა რაოდენობა სხვადასხვა იყო.

მოსწავლეთა თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ფოკუსჯგუფები. ფოკუსჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ინტერვიუს მიმდინარეობას განიხილავს არა როგორც ინტერვიუერსა და თითოეულ წევრს შორის ურთიერთობას, არამედ როგორც ჯგუფურ ურთიერთქმედებას. ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაცია, როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს.

საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეულ კლასში ალბათური პრინციპით შეირჩა ფოკუსჯგუფის 5-5 წევრი. შესაბამისად, თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 45-მა მოსწავლემ. ჩატარდა 9 ფოკუსჯგუფი.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა კვლევისთვის შერჩეულ იქნა ფოკუსჯგუფის ჩატარების ლიბერალური სტილი.

კვლევის თითოეული ეტაპის დასრულებისთანავე დამუშავდა და გაანალიზდა ფოკუსჯგუფებისა და ჯგუფური ინტერვიუს გზით მოპოვებული მონაცემები. კვლევის დასაწყისში და ბოლოს ჩატარებულ ინტერვიუთა შედარებით გამოიკვეთა, რა გავლენა მოახდინა განხორციელებულმა ქმედებებმა სკოლაში სასწავლო პროცესის გაძლიერებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენებაზე.

მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა ფულერის, ჰოლისა და ჰორდის მიერ ჩამოყალიბებული „დამოკიდებულების/ინტერესის საფეხურების მოდელის“ მიხედვით შექმნილი SoC-კითხვარი. ის მოდიფიცირებულია ჩვენ მიერ დასმული საკვლევი კითხვის მიხედვით – მოიცავს ზოგადი მონაცემების ველს, ინსტრუქცია-მითითებებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით და 20 შეკითხვას.

კითხვარში გამოყენებულია ლიკერტის ერთგანზომილებიანი შეფასების სკალა ერთიდან ხუთამდე გრადაციით. კითხვარი შეიცავს ურთიერთთანამშრომლობასა და თანამედროვე სასწავლო მიდგომებთან დაკავშირებულ დადებით მტკიცებულებებს.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა სკოლის ბაზაზე შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი შეიცავს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ კითხვებს/დებულებებს.

შესაძლებელია, რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემები გენერალური ერთობლიობის (სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების) წარმომადგენელთა აზრად მივიჩნიოთ, რადგან საბაზო და საშუალო საფეხურის 36 მასწავლებლიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 28-მ, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურების 178 მოსწავლიდან კვლევაში ჩაერთო 119.

ცხრილი 1. მოსწავლეთა გადანაწილება კლასების მიხედვით

კლასი	VII	VIII	IX	X	XI
მოსწავლეთა	16	25	28	20	30
რაოდენობა/%	13.4%	21.1%	23.5%	16.8%	25.2%

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევა ჩატარდა მაღალი სანდოობით. კვლევა რეპრეზენტაციულია და მეცნიერულად ამართლებს გამოკითხვის შედეგების გავრცობას. შერჩეული მეთოდები ხელსაყრელი და რელევანტურია, რათა დავადგინოთ, რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლეზე ორიენტირებული კონცეფციები სწავლა-სწავლების პროცესში; როგორ შეიცვალა მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურა და მიდგომები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კუთხით გარკვეული ინტერვენციის განხორციელების შემდეგ.

ჩვენს კვლევაში ერთმანეთს დაუკავშირდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების კვლევით მოპოვებული მონაცემები. ჯგუფური ინტერვიუ ამყარებს მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ხოლო ფოკუსჯგუფის მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია აზუსტებს მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევით მიღებულ შედეგებს.

მონაცემთა ანალიზი

მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის დროს შეგროვებულ მონაცემთა ანალიზით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ცოდნა ინტერაქციული, მოსწავლეზე ორიენტირებული, თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული მეთოდების შესახებ; იციან, როგორ გააუმჯობესონ გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის ხარისხი. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ მზაობა, მუდმივად მიიღონ ახალი ინფორმაცია ამა თუ იმ მეთოდთან დაკავშირებით, გაიზიარონ კოლეგების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს გაკვეთილების ეფექტიანად დაგეგმვასა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას.

1. მინდა ვიცოდე, როგორ დავგეგმო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი



2. მინდა ვიცოდე, სად მივიღებ რჩევებს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმისთვის და წარმართვისთვის



3. ვიცი როგორ გავაუმჯობესო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესი



4. სიამოვნებით მივიღებდი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დავგეგმო და წარმართო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი



როგორც მოსალოდნელი იყო, მასწავლებელთა უმეტესობა წუხს, რომ ყოველთვის არ აქვს საკმარისი დრო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დასაგეგმავად, რადგან ეს პროცესი ძალიან შრომატევადია და ბევრ დროს მოითხოვს. შესაბამისად, აღნიშნავენ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვაში მათ ხელს უშლის დროის ნაკლებობა.

5. ვშიშობ, არასაკმარისი დრო მაქვს იმისათვის, რომ ყოველთვის დავგეგმო გაკვეთილი



6. მაწუხებს ის, რომ არასაკმარისი დრო მაქვს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყველა მოთხოვნის გასათვალისწინებლად



როგორც კითხვარებიდან ჩანს, მასწავლებლები მუდმივად ფიქრობენ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კონკრეტულმა გაკვეთილმა მოსწავლეთა წარმატებებზე, რამდენად იქნება წარმატების მომტანი მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება და რამდენად შეუწყობს ხელს მოსწავლის მომავალ ცხოვრებაში ინტეგრირებას, რაც მათ მიერ გაცემული ერთმნიშვნელოვანი პასუხით დასტურდება. ასევე, მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ მოსწავლეები მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების შესახებ. იმავდროულად, იკვეთება ისიც, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. კერძოდ, 17 მასწავლებელს აქვს ნეიტრალუ-

7. ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს თანამედროვე მეთოდების მიხედვით დაგეგმილ გაკვეთილს მოსწავლეებზე



8. ჩემთვის საინტერესოა, რამდენ წარმატების მომტანია მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება



რი დამოკიდებულება, 9-ს მიაჩნია, რომ ეს დებულება მას შეესაბამება და მხოლოდ 2 მასწავლებლისთვის არის ის მიუღებელი. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამ დროისთვის მასწავლებელთა უმრავლესობა თითოეულ გაკვეთილს არ გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

9. ჩემთვის საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ მოსწავლეები ჩემი გაკვეთილის შესახებ



10. გაკვეთილის დაგეგმვის დროს ძირითადად ვითვალისწინებ მოსწავლეთა ინტერესებს



გაკვეთილის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მრავალფეროვანი რესურსების გაკ-ვეთილის შესაბამისად გამოყენებას, ამ მიზნით ქმნიან და ეძიებენ მათ.

11. მინდა ვიცოდე, სად შემიძლია მოვიძიო რესურსები, რომლებიც საჭიროა ჩემ მიერ დაგეგმილი გაკვეთილის წარმართვისთვის



12. ვფიქრობ იმის შესახებ, თუ როგორ შემიძლია ჩემს ხელთ არსებული მასალები შევუსაბამო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციას ისე, რომ



მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვა მასწავ-ლებლისთვის ხანგრძლივი, მრავალმხრივი და შრომატევადი საქმიანობაა თავისი წარმატებითა და მარცხით, ამიტომ მასწავლებლების უმეტესობა ეთანხმება კოლეგებთან თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას. მათ გამოხატეს კიდეც მაღალი მზაობა, ითანამშრომლონ კოლეგებთან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებისა და მეთოდების შესწავლის მიზნით, ასევე – გაკვეთილების დაგეგმვის დროს, რაც სწავლა-სწავლების ხარისხს აამაღლებს, თუმცა სხვა მას-წავლებლის დასახმარებლად გამოცდილების გაზიარებაზე პასუხისმგებლობას ნაკლებად იღებენ.

13. სიამოვნებით ვითანამშრომლებდი კოლეგებთან მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების გაცნობის და შესწავლის მიზნით



14. სიამოვნებით ვიმუშავებდი კოლეგებთან ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს



15. მზად ვარ, სხვა მასწავლებლებს დავეხმარო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვასა და წარმართვაში



16. მზად ვარ გავაცნო სხვა მასწავლებლებს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვის საკუთარი გამოცდილება



საყურადღებოა ანალიზის შედეგები აქტიური სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების შესახებ, რომლებიც ნახტომისებურად ეცემა დაბლა. გამოიკვეთა, რომ კვლევის მონაწილეთათვის პრობლემაზე, კვლევასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან უმეტესობამ დებულებაზე: „კვლევაზე, პროექტსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ჩემი ძლიერი მხარეა“, – შეარჩია პასუხები: „არ შემესაბამება“ ან „ნაკლებად შემესაბამება“. კერძოდ, პროექტებით სწავლებას თავის ძლიერ მხარედ მიიჩნევს მხოლოდ სამი მასწავლებელი, 25-ს კი ამ მიდგომით სწავლება უჭირს. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას თავის ძლიერ მხარედ მიიჩნევს 4 მასწავლებელი, 6 მასწავლებლისთვის ამგვარი მიდგომა ქმნის საშუალო დონის სირთულეს, ხოლო 18-ისთვის ეს დებულება სრულიად შეუსაბამოა, რადგან ამგვარ სწავლებას თავის სუსტ მხარედ მიიჩნევს. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება თითქმის ყველა მასწავლებლისთვის სისუსტეს წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასების გამოყენებისა და მნიშვნელობის შესახებ მასწავლებლებმა ნეიტრალური დამოკიდებულება გამოხატეს, რასაც, ბუნებრივია, მოველოდით, რადგან საბაზო და საშუალო საფეხურებზე სავალდებულოა, სისტემატურად აღირიცხებოდეს განმსაზღვრელი შეფასება საკლასო და საშინაო კომპონენტებში.

17. პროექტებით სწავლება ჩემი ძლიერი მხარეა



18. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ჩემი ძლიერი მხარეა



19. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ჩემი ძლიერი მხარეა



20. მოსწავლეთა შეფასების დროს უპირატესობას ვანიჭებ განმავითარებელ უნარებს



საბოლოოდ, მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები გაკვეთილის დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს; იყენებენ სხვადასხვა რესურსს; აქვთ თანამშრომლობის სურვილი და სხვისი გამოცდილების გაზიარებისთვის მზაობა. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ფლობენ კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დაგეგმვის ცოდნასა და უნარებს, თანამედროვე სასწავლო მიდგომებსა და მეთოდებს და შეფასებას აკეთებენ მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. თუმცა აშკარაა, რომ მასწავლებლებისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს პრობლემაზე, კვლევასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება.

მასწავლებლებთან ჩატარებული ჯგუფური ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ, რა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ისინი საუბრობენ ინდივიდუალურ მიდგომებზე, მოსწავლის ფსიქოტიპის გათვალისწინების აუცილებლობაზე, სხვადასხვა გზით შემსწავლელ მოსწავლეზე. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინება და თითოეული მათგანის ჩართვა სასწავლო პროცესში. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებულია სწავლება, თუ ის მოსწავლის რომელიმე უნარის გამოვლენას ან განვითარებას ემსახურება. აქვე, უცხო ენის კათედრის მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს პრობლემაზე, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში შეუძლებელია თითოეული მოსწავლის საჭიროებისა და შესაძლებლობის დადგენა მოსწავლეთა მრავალრიცხოვნების გამო. იგი მიიჩნევს, რომ „თუ საკლასო ოთახში მოსწავლეთა რაოდენობა ოცს გადააჭარბებს, უცხო ენის სწავლება წარმოუდგენელია“. თუნდაც ეს პრობლემა გადაილახოს, რთულია ინდივიდუალურად სხვადასხვა დავალებისა და აქტივობის შესრულება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებს გაუჭირდათ მოსწავლეზე ორიენტირებული რომელიმე მიდგომის დასახელება და ძირითადად ინდივიდუალურ მუშაობაზე გაამახვილეს ყურადღება. უფრო მეტიც: ისაუბრეს საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობასა და მოსწავლეთა რაოდენობაზე: „წარმოიდგინეთ, 45 წუთი გვაქვს და 30 მოსწავლე ზის კლასში, თითო მოსწავლესთან ინდივიდუალურად მისასვლელად 1,5 წუთიც არ არის“. ნათელია, რომ მათთვის არ არის ცნობილი ისეთი სასწავლო მიდგომები, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლესთან ინდივიდუალურად მისვლის აუცილებლობას, – მაგალითად, ჯიქსოუს მეთოდი, „სასწავლო გაჩერებები“ და სხვა – ცოდნის აგება ხდება მოსწავლეთა თანამშრომლობით.

საბაზო საფეხურის მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ხშირად მოსწავლეებმა არ იციან, როგორ უნდა ისწავლონ, ვერ აცნობიერებენ, სწავლის რომელი სტილი უადვილდებათ, რომელი წარმოადგენს მათთვის სირთულეს. მასწავლებლებს არ უხსენებიათ, რომ სწორედ მათი მოვალეობაა, მოსწავლეს დახმარება გაუწიონ მეტაკოგნიციაში, სწავლის სტილისა და მიდგომის შერჩევაში, რაც მოიაზრებს, მაგალითად, კოგნიტიური სქემების აგებას და სხვა აზრობრივი რუკების შექმნას.

როგორც ანალიზიდან ჩანს, საგნობრივ კათედრებზე არ მიმდინარეობს თანამშრომლობა პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. აღმოჩნდა, რომ არცერთი მეთოდური სტატია ან სხვა ლიტერატურა ერთობლივად არ განუხილავთ – დამოუკიდებლად მუშაობენ საკუთარ თავზე.

მასწავლებელთა კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ STEM-საგნების მასწავლებლებმა, რომელთაც გავლილი ჰქონდათ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები, მკაფიოდ იმსჯელეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციაზე.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლები ძირითადად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. 53 მოსწავლე მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ხოლო 44-ს მიაჩნია, რომ საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესები უმეტესად გათვალისწინებულია. მხოლოდ 9 მოსწავლე ფიქრობს, რომ საგაკვეთილო პროცესი მათ ინტერესებს არ არის მორგებული. გამოკითხულთაგან 38 მოსწავლე აღნიშნავს, რომ გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება, 38 - ნაწილობრივ, ხოლო 43 მოსწავლე მიიჩნევს, რომ სხვადასხვა აქტივობა ინტენსიურად არ მიმდინარეობს.

კითხვაზე: შეფასების დროს აკეთებენ თუ არა მასწავლებლები კომენტარს? - მოსწავლეთა უმრავლესობა (71) დადებითად პასუხობს, 23 მოსწავლე ფიქრობს, რომ ნაწილობრივ, ხოლო 25-ს მიაჩნია, რომ არ იღებს დამაზუსტებელ კომენტარს შეფასების დროს. ამასთანავე, გამოკითხვის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები იცის 53-მა მოსწავლემ, ნაწილობრივ იცის 36-მა, ხოლო 30 მოსწავლეს კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია არ აქვს. გაკვეთილზე კითხვების დასმის შესაძლებლობა აქვს 97 მოსწავლეს, 11 მოსწავლეს - ნაწილობრივ, ხოლო 11-ს ასეთი შესაძლებლობა არ ეძლევა. 105 მოსწავლე აღნიშნავს, რომ გამოკითხვის დროს ძირითადად ჰყვებიან გაკვეთილს, 10 მოსწავლე აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ, მხოლოდ 4 მოსწავლე უარყოფს გაკვეთილის ჩაბარებას მოყოლის მეთოდით.

კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა პროექტებით სწავლება, 104 მოსწავლე უარყოფითად პასუხობს, 11 მოსწავლე აღნიშნავს რომ ნაწილობრივ, ხოლო 4 მოსწავლე ეთანხმება დებულებას. დაახლოებით იგივე შედეგი გვაქვს რესურსებთან დაკავშირებით: 99 მოსწავლეს მიაჩნია, რომ საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი რესურსებით არ სარგებლობენ, 14 მოსწავლის აზრით, ნაწილობრივ და მხოლოდ 6 მოსწავლე აფიქსირებს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ძირითადად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მოსწავლეებმა უმეტესად იციან, რა კრიტერიუმებით ფასდებიან და შეფასების დროს მასწავლებლებისგან იღებენ საფუძვლიან უკუკავშირს. ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გაკვეთილზე აქვთ კითხვების დასმის შესაძლებლობა, მაგრამ გამოიკვეთა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ახსნა-გამოკითხვაზე ორიენტირებული ტრადიციული გაკვეთილები, არ ახორციელებენ პროექტებს და საგაკვეთილო პროცესში არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფი ძალიან ფრთხილად წარვმართეთ, მივეცით საშუალება, ემსჯელათ, როგორი იყო მათთვის იდეალური გაკვეთილი, როგორი იყო მათი სურვილები. მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ თავისუფალი, არაფორმალური გაკვეთილები, რომლებიც შესაძლოა სკოლის კედლებს სცდებოდეს, მაგალითად, „მინდა, რომ მასწავლებლის დახმარებით განვახორციელოთ ნებისმიერი პროექტი, მარტო

ვერ შევძლებთ, მაგრამ მასწავლებელთან ერთად ყველაფერს ადვილად გავაკეთებთ“, - აშკარად ჩანს, რომ მოსწავლეს აქვს მაღალი ნდობა მასწავლებლის მიმართ, იმავდროულად, მისი თვითშეფასება დაბალია, ფრთხილობს და მიაჩნია, რომ დახმარება სჭირდება, რის გამოც ვერ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე.

საინტერესოდ იმსჯელეს შეფასებების შესახებ და აღნიშნეს, რომ ძირითადად იციან, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდნენ კონკრეტული დავალების შესრულების შემდეგ. მასწავლებლისგან თითქმის ყოველთვის იღებენ მკაფიო განმარტებას მიღებული შეფასების შესახებ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ურჩევნიათ, მასწავლებელმა მხოლოდ სიტყვიერი შეფასება მისცეს და ქულები არ გამოიყენოს.

კვლევის პროცესში მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული მიგნებები:

- მასწავლებელთა უმეტესობამ არ იცის ახალ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- მასწავლებლებს უჭირთ, ერთიან ჭრილში განიხილონ პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფცია და ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები;
- მასწავლებელთათვის ჩვეული პრაქტიკა არ არის მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება;
- მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა კვლევაზე, პრობლემასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების ხელშესაწყობად;
- კათედრაზე შეხვედრები გეგმურია და ძირითადად შემოიფარგლება ტრაფარეტული საკითხებით (მაგალითად, სახელმძღვანელოების არჩევა, სემესტრის შეჯამება და ა.შ.), არ ხდება ერთობლივად დაგეგმვა, რუბრიკების შექმნა და მეთოდოლოგიური ლიტერატურის განხილვა, რაც ქმნის თანამშრომლობითი კულტურის დეფიციტს.

ინტერვენციების განხორციელება და შეფასება

განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დასანერგად მასწავლებლებს ადმინისტრაციის მხრივ გარკვეული მხარდაჭერა სჭირდებოდათ, რის საფუძველზეც განხორციელდა რამდენიმე ძირეული ქმედება. აქტიური მუშაობა დაიწყო „ლიდერობის აკადემიის ფარგლებში“ სკოლის ბაზაზე შექმნილმა საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფმა, რაც გამოიხატება თითოეულ კათედრასთან თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვით და ჩატარებით; გაძლიერდა თანამშრომლობა STEM-საგნების მასწავლებლებთან, რათა სხვა პედაგოგებს მათგან მიეღოთ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებზე შეძენილი გამოცდილება, რომელიც მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების შესწავლას ემსახურებოდა; ინტენსიურად მიმდინარეობდა გაკვეთილებზე არაფორმალური და ფორმალური დასწრება, შესაბამისი უკუკავშირისა და საჭირო რეკომენდაციების გაცემა. თითოეული ქმედება დაიგეგმა და განხორციელდა მასწავლე-

ბელთა საჭიროების გათვალისწინებით. ინტერვენციების დანერგვის დროს ჩვენ მიერ დაგეგმილ პრაქტიკულ სამუშაოებთან ერთად გამოყენებული იყო „ლიდერობის აკადემიის“ სატრენინგო მასალა.

ინტერვენცია 1.

სამი სამუშაო შეხვედრა, თითოეულის ხანგრძლივობა – 1.5 საათი. შეხვედრებზე – ახალი (2018-2024 წ.წ.) ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილის განხილვა, დამუშავება, დისკუსია. თითოეულ შეხვედრაზე – *თეორიული საკითხების განხილვასთან ერთად პრაქტიკული მუშაობა და სიტუაციების ანალიზი.*

სამუშაო შეხვედრა 1.

თავი I. ესგ-ის სტრუქტურა, ტერმინოლოგიური ლექსიკონი და ზოგადი განათლების საფეხურები

მუხლი 1. შესავალი
მუხლი 2. ესგ-ის სტრუქტურა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი

თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

მუხლი 5. საბაზო საფეხურის მისია
მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისია
მუხლი 7. ესგ-ის სწავლა-სწავლების მიზნები
მუხლი 9. ესგ-ის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

სამუშაო შეხვედრა 2.

თავი III. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები
მუხლი 12.სიღრმისეული სწავლება
მუხლი 13. მოსწავლის მოტივაციის ამაღლება
მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა

სამუშაო შეხვედრა 3.

თავი IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 20. საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში

თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები
მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება
მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა

ინტერვენცია 2.

სამი კვირის ვადაში საგნობრივ კათედრებზე მარიანა ხუნძაყიშვილისა და სარა ბივერის მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ დამუშავება; შემაჯამებელი საერთო შეხვედრა და მოცემული ლიტერატურის ერთობლივი განხილვა.

ინტერვენცია 3.

სამი სამუშაო შეხვედრა კათედრების მიხედვით, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, სტანდარტული გაკვეთილების დაგეგმვა.

დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარება, განხილვა, საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფის მიერ ეფექტური უკუკავშირისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

ინტერვენცია 4.

ორი სამუშაო შეხვედრა პროექტებით სწავლებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა კათედრის წევრთა მიერ ერთობლივი სასწავლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

ინტერვენცია 5.

ორი სამუშაო შეხვედრა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დასაუფლებლად. საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა მოიფიქრეს პრობლემური სიტუაციები და დაგეგმეს გაკვეთილები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ინტერვენცია 6.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება, სადაც სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლები წარადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებს, რომლებზეც, სურვილის შემთხვევაში, ზაფხულის არდადეგების განმავლობაში იმუშავებენ.

ინტერვენციების შეფასება და დაკვირვების ანალიზი. ჩვენ მიერ შეთავაზებული ქმედებები ორიენტირებული იყო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, კერძოდ, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაზე, ასევე – მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე.

პირველი ინტერვენცია საბაზისო საკითხების დამუშავებას დაეთმო. ცხადია, მასწავლებლებისათვის ეს საკითხები უცხო არ ყოფილა, მაგრამ შემდგომი, ძირეული ინტერვენციების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით მასწავლებელთა ცოდნისა და

გამოცდილების გააქტიურება და გამთლიანება. მით უმეტეს, რომ ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2018–2024 წ.წ.) შეტანილია ძირეული ცვლილებები, რომელთა გაცნობა-დამუშავება მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ.

მეორე ინტერვენციის დროს მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე ერთმანეთთან თანამშრომლობით დაამუშავეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშემწყობი მეთოდური ლიტერატურა. რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ მოუხდათ გეგმურად შეხვედრა და მუშაობა. როგორც თვითონ აღნიშნეს, პირველ შეხვედრებზე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამო იკრიბებოდნენ, ხოლო მუშაობის პროცესში იგრძნეს კმაყოფილება და თანდათან შეხვედრები სასიამოვნო გახდა. ამ ქმედებამ ხელი შეუწყო მეთოდოლოგიური საკითხების გაანალიზებასა და საგნობრივი კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას.

მესამე ინტერვენციის დროს ყურადღება გავამახვილეთ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე. სხვადასხვა კათედრის წევრები შემთხვევითობის პრინციპით დაწყვილდნენ. მოიფიქრეს ორივე საგნობრივი კომპეტენციისთვის საერთო თემა და ჩვენ მიერ შეთავაზებული სტრუქტურის მიხედვით დაგეგმეს პროექტი, რომელიც ერთობლივად განახორციელეს. მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროექტებით სწავლება მათთვისაც სახალისო იქნებოდა, მოსწავლეები კი უფრო მეტად დაინტერესდებოდნენ და მათი მოტივაცია მოიმატებდა. ინტერვენციამ ხელი შეუწყო სხვადასხვა კათედრის წევრთა ერთობლივ მუშაობას. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე ინტერვენციაზე, რომელიც ეხებოდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის დამუშავებასა და პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვას.

ბოლო ინტერვენცია მასწავლებელს ანიჭებს სრულ დამოუკიდებლობას, რათა შეარჩიოს დასამუშავებელი საკითხი და მოამზადოს ის კონფერენციაზე წარსადგენად.

განხორციელებული ინტერვენციების შესაფასებლად მუდმივად ვაკვირდებოდით სამუშაო პროცესს და შევაგროვეთ მონაცემები შესაბამისი ინსტრუმენტის – დაკვირვების დღიურის მეშვეობით, ასევე ჩავატარეთ ფოკუსირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან.

არ გვქონია იმედი, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული ქმედებებით მოხერხდებოდა იმ საჭიროებების მაქსიმალურად დაძლევა, რომლებიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, მაგრამ აშკარაა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული აქტიური სწავლების მიმართ. მათივე თქმით, „არც ისე რთული ყოფილა პროექტის დაწერა და განხორციელება“, „ზაფხულში ორ ან სამ პრობლემას მოვიფიქრებ და დავგეგმავ“. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელთათვის პრობლემასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება სირთულეს აღარ წარმოადგენს.

ინტერვენციების დანერგვის პროცესზე დაკვირვებამ და გაანალიზებამ, ასევე მეორე ეტაპზე განხორციელებული ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა პოზიტიური კუთხით, მაგრამ მაქსიმალური შედეგი არ მიგვიღია. ამდენად, ამ ეტაპზე კვლევას შეგვიძლია შუალედური ვუწოდოთ, რადგან შუალედური შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. მაქსიმალური შედეგის მისაღებად, – პროექტსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებლების ძლიერ მხარედ იქცეს, – ვფიქრობთ, საჭიროა გარკვეული ინტერვენციების გაგრძელება. ჩვენი გეგმის მიხედვით, ინტერვენციების დროს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიების დანერგვაზეც ვიმუშავებთ.

დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნა დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე:

- გაუმჯობესდა საკლასო მუშაობა – სწავლება ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებით;
- მასწავლებელთა უმრავლესობამ დაგეგმა და განახორციელა სასწავლო და სოციალური პროექტები, თუმცა ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია;
- გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებს შორის;
- ჩამოყალიბდა პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და თანასწავლების მიმართ.

რეკომენდაციები

- გააგრძელოს მუშაობა სკოლის ბაზაზე არსებულმა საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და ურთიერთთანამშრომლობას;
- მნიშვნელოვანია, სკოლის ბაზაზე დირექციისა და მასწავლებლების მხრიდან, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასთან ერთად, მუდმივად მიმდინარეობდეს კვლევები საჭიროებების დასადგენად;
- საჭიროებების აღმოფხვრისა და პრობლემის მოგვარების მიზნით, საჭიროებებიდან გამომდინარე, გაიწეროს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

ლიანა
ანფიმიადი

„ვეფხისტყაოსანი“ დაწყებით კლასებში

ჩვენი ლიტერატურის მთავარი ნაწარმოები, ყველაზე ბრწყინვალე ქართული წიგნი, ჩვენი კულტურის მთავარი საფუძველი პირველი დღეებიდან რომ უნდა შევაყვაროთ მოსწავლეებს, ამაზე დიდი ხანია შევთანხმდით. მაგრამ ახლა მთავარი კითხვა – როგორ მოვახერხოთ ეს? რა აღარ ვცადეთ, საბავშვო „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტის კითხვა, ავტორის ბიოგრაფიაზე საუბარი, ილუსტრაციები და კომიქსები, ტექსტის რიტმის აყოლა და მუსიკალური კომპოზიციის შექმნა, შემდეგ კი რამდენიმე დამატებითი ტექსტი დავიხმარეთ.

აი, ეს, იქნებ თქვენც გამოგადგეთ:

1. დიდი წიგნი

ალექსის სახლში ბევრი ძველი წიგნი აქვს. ბაბუამ უთხრა, რომ წიგნი რაც უფრო ძველია, მით უფრო ძვირფასია. ბაბუას ასი წლის წინ გამოცემული წიგნები საპატიო ადგილას უწყვია. ის მათ ძალიან უფრთხილდება.

ბებიას კი ყველაზე მეტად ერთი დიდი წიგნი უყვარს. მართლა დიდია, რა გგონია, ავტორი შოთა რუსთაველია, ხოლო გარეკანზე დიდი და ლამაზი, მოჩუქურთმებული ასოებით „ვეფხისტყაოსანი“ აწერია.

თურმე ალექსის ბებია რომ ალექსის ბაბუას გაჰყვა ცოლად, თავისი სახლიდან სწორედ ეს წიგნი წამოიღო, საჩუქრად, მზითევში. ბებია სიყვარულით შესცქერის ხოლმე დიდ წიგნს და ფურცლებს შორის ბაბუას მოწერილ წერილებს ინახავს.

ერთ დღეს ბებიამ დაათვალიერებინა კიდეც დიდი წიგნი. ზღაპრული ნახატები იყო: გმირები, მზეთუნახავები, ციხე-სიმაგრეები.

- ეს პოემაა – უთხრა ბებიამ – პოემა მეგობრობასა და სიყვარულზე. უფ, აქ ისეთი ამბები ხდება!

ალექსის ბებიას თინა ჰქვია, თინათინი. თურმე ამ დიდი წიგნის ერთ-ერთ მთავარ გმირსაც თინათინი რქმევია.

რა წიგნი უნდა იყოს ვეფხვებზე? ძალიან აინტერესებს ალექსის. თინა ბებია წაკითხვასაც დაჰპირდა, ოღონდ როცა ბიჭი ცოტათი გაიზრდება. თუმცა იქნებ მანამდეც წაუკითხოს, იქნებ ამ საღამოსვე დაიწყონ კითხვა?

კითხვები გასააზრებლად:

- ვინ არის ალექსის ბებიის საყვარელი „დიდი წიგნის“ ავტორი?
- რა ჰქვია ბებიის საყვარელ წიგნს?
- რატომ უყვარს ალექსის ბებიას ეს წიგნი?
- როგორი ნახატები ნახა ალექსიმ იმ წიგნში?
- რა ჰქვია ალექსის ბებიას?
- შენ როგორ ფიქრობ, რის შესახებ არის წიგნი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია?
- შენ გაქვს „ვეფხისტყაოსანი“?
- ნახატებიანია თუ არა?
- არ გინდა, დაათვალიერო?

2. ტექსტი – საინფორმაციო ტექსტი

ხელით გადაწერილი წიგნი

სანამ ბეჭდვას გამოიგონებდნენ, წიგნებს ხელით წერდნენ და იწერდნენ.
ამისთვის სპეციალური, „გადამწერლების“ პროფესია არსებობდა.
მათ განსაკუთრებულად ლამაზად წერა შეეძლოთ, საუკეთესო კალიგრაფია ჰქონდათ.
კალიგრაფია – ლამაზად წერის ხელოვნებაა.

- წარმოიდგინე, რამდენი საათი დასჭირდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერას.
- გადავწეროთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი, მასალად შეგიძლია გამოიყენო:
  1. ფურცელი
  2. შენი ძველი მაისური
  3. ნეკერჩხლის ფოთოლი
  4. ქვა
  5. მუყაო

3. ტექსტი – გზა

პაატა მამფორია

– გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.
– რათა ერთი?
– მაშ, რამდენი?
– ორი.

– რათა ორი?
– მაშ, რამდენი? – სამი.
– ერთი გზა რატომ ჰქონდათ?
– მეგობრები იყვნენ და იმიტომ.
– რა ერქვათ მეგობრებს?
– ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი.
– გზა საით მიდიოდა?
– ქაჯეთის ციხისკენ.
– ქაჯეთის ციხეში რა უნდოდათ?
– მზეთუნახავი უნდა გამოეხსნათ ტყვეობიდან.
– გამოიხსნეს მზეთუნახავი?
– გამოიხსნეს და ყველამ გაიხარა.
– დაილოცა იმათი გზა!

- სად მიდიოდა სამი მეგობარი?
- რატომ ჰქონდათ ერთი გზა?
- რა ერქვათ მეგობრებს?
- როგორ დასრულდა ეს ამბავი?

4. თამაში

აფორიზმობანა

აფორიზმი – მოკლედ, სხარტად გამოთქმული ბრძნული აზრია. შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანში“ ბევრი აფორიზმია, რომელიც სიკეთეს, სიყვარულს და მეგობრობას გვასწავლის.

მოდი, მოვიფიქროთ სცენები, რომელიც აფორიზმს მიესადაგება:

1. რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია!
   ჩემი ვერსია:
   ბიჭი მეორე ბიჭს უგდებს ბურთს.
   მეორე ბიჭს ბურთი გააქვს კარში.
   შენი ვერსია როგორი იქნება?

2. გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად
   ჩემი ვერსია:
   ერთი ბაჭია მეორეს უწვდის გულს და მდინარეზე ხიდს აწერია „სიყვარული“.
   შენ რას მოიფიქრებ?

- **მოდი, დავხატოთ აფორიზმი:**
- **მოდი, აფორიზმი დავახატვინოთ ხელოვნურ ინტელექტს;**
- **რომელი ვერსია უფრო ზუსტია?**

შემაჯამებელი აქტივობა:
შევქმნათ „ვეფხისტყაოსნის“ დიდი მაკეტი;
მოვხატოთ ყდა სხვადასხვა მასალისგან, დავაწეროთ ავტორი, დავახატოთ.

ეღიზბარ
ეღიზბარაშვილი

ამედეო ავოგადროს კანონით

ჩემს თანამედროვეთა შორის არავინ მეგულება ისეთი, ბავშვობაში, სტუმრიანობისას, ერთხელ მაინც არ შეეყენებინოთ პიედესტალზე და არ ეკითხოთ: „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“ ერთადერთი პასუხი, რომელიც შეზარხოშებული, ეშმაკურად თვალებაციმციმებული ბიძიების ამ კითხვაზე გონებაში გვიტრიალებდა, იყო: „მიდი და სდრუზე ამას რამე!“ – მაგრამ ამის არც უფლება გვქონდა და არც საშუალება ასაკის, სტუმართმოყვარეობისა და კიდევ ბევრი რამის გამო, ამიტომ ვიდექით მდუმარედ, თავდახრილები, და ველოდებოდით, როდის მობეზრდებოდათ ჩვენით გართობა ენაკვიმატ ოხუნჯებს, რომლებსაც დიდებისთვისაც არაერთი „ჩამჭრელი“ კითხვა ჰქონდათ მარაგში. უფრო გონებამახვილი გამომცდელები სხვა ტიპის კითხვებს ამჯობინებდნენ. ახლა მათ „მეცნიერულ ოხუნჯობებს“ ვეძახი. მაგალითად, „როგორია ზღვაში ქვები?“ და „ერთი კილოგრამი ბამბა უფრო მძიმეა თუ ერთი კილოგრამი ოქრო?“. უკანასკნელ კითხვაზე დაუფიქრებლად „ოქროს“ პასუხობდნენ, დაფიქრებულად კი – „არცერთს“, მაგრამ თუ კარგად დავუფიქრდებით, პასუხი ასეთი მარტივი არ არის. მაგალითად, გაუგებარია, კითხვის ავტორი მასას გულისხმობს თუ წონას. ბევრს ისინი სინონიმები ჰგონია, არადა წონა ნიუტონებში იზომება, მასა – კილოგრამებში, წონა მიზიდულობის ძალის გავლენით რაიმე ზედაპირზე დაწოლის ძალაა და კიდევ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ერთი და იმავე სხეულისთვის მუდმივ სიდიდეს არ წარმოადგენს, მასა კი მუდმივია. ის მასალის რაოდენობას აღნიშნავს და ზღვის ზედაპირზეც და კოსმოსშიც ერთი და იგივეა, თუ სხეული მთლად სინათლის სხივის სიჩქარით არ მოძრაობს. აქედან გამომდინარე, ზემოთ დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს, რას გვეკითხებიან სინამდვილეში – მასას თუ წონას. თუ წონას, მაშინ ტოლია, თუ მასას – ბამბა უფრო მძიმეა.

რატომ?

ბამბას ოქროსთან შედარებით ნაკლები სიმკვრივე აქვს, შესაბამისად, 1 კგ ოდენობის ბამბას გაცილებით მეტი მოცულობა ექნება, ვიდრე ოქროს, დიდ მოცულობაზე კი ჰაერის ამომგდები ძალა უფრო მეტად მოქმედებს და ამცირებს ზედაპირზე დაწოლას ანუ წონას. შესაბამისად, იმავე წონისთვის მასა ცოტა მეტი უნდა ავიღოთ, რომ გააბათილოს ამომგდები ძალის კომპონენტი.

ქიმიკოსებს კიდევ ერთი სახის „წონის“ სიდიდე გვაქვს. მას ნივთიერების რაოდენობას ვუწოდებთ და მოლებში იზომება, მოლი კი აჩვენებს, მასალის შემადგენელი რამდენი ცალი ელემენტარული ნაწილაკია აღებული. მოუხერხებელი ჩანს? სულაც არა. პირიქით. ის უნივერსალურია და განურჩევლად იმისა, ნივთიერება არაორგანულია, ორგანული თუ ბიოორგანული, მოლეკულა წყალბადივით ერთი ციდაა თუ ვიტამინ B12-ვით გოლიათი, მაინც ერთი და იმავე რაოდენობის ნაწილაკს შეიცავს. ძველი განმარტებით, 1 მოლი შეიცავდა იმდენ ნაწილაკს, რამდენიც იყო 12 გ ^{12}C ნახშირბადის იზოტოპში. შესაბამისად, მოლიც წონის ერთეულზე, კილოგრამზე, იყო მიბმული, 2019 წელს კი გადავწყვიტეთ, მოლი რაოდენობის უფრო „დამოუკიდებელი“ ერთეული ყოფილიყო, ამიტომ მის თანამედროვე განმარტებაში „კილოგრამი“ აღარ ფიგურირებს და უფრო მარტივად ყალიბდება: 1 მოლი ნივთიერება $6.02214076 \times 10^{23}$ ელემენტარულ ნაწილაკს შეიცავს.

ახალ განსაზღვრებაში ყურადღება უნდა მიექცეს ჩანაწერს „ელემენტარული ნაწილაკი“. რას გულისხმობს იგი? ეს შეიძლება იყოს მოლეკულა, ატომი, იონი და ა.შ. გააჩნია, რისგან შედგება ნივთიერება. მაგალითად, წყლის 1 მოლი $6.02214076 \times 10^{23}$ მოლეკულას მოიცავს, ხოლო სპილენძი – ატომს.

რამდენად მოხერხებულია ასეთი „უხერხული“ რიცხვის გამოყენება? გამოსავალი აქაც არსებობს. შეგვიძლია, მის ნაცვლად უბრალოდ „ავოგადროს მუდმივა“ ან „ავოგადროს რიცხვი“ ვთქვათ, მისი რიცხვითი მნიშვნელობა კი ყველა კატალოგშია შეტანილი და მარტივად იძებნება.

ავოგადროს ლამის მისი რიცხვის სიგრძე სახელი ერქვა – ლორენცო რომანო ამედეო კარლო ავოგადრო დი კვარენია ე ჩერეტო. ტიტულიც გვარიანი ჰქონდა – გრაფი იყო. განათლებაც საკადრისი მიიღო. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაეუფლა გეომეტრიასა და ექსპერიმენტულ ფიზიკას. წინაპართა პროფესიის პატივისცემა და მისი გაგრძელების „ვალდებულება“ მაშინაც ტრადიცია იყო, ამიტომ ამედეო, მამის მსგავსად, იურისპრუდენციას გაჰყვა და 20 წლისამ უკვე დოქტორის ხარისხი მიიღო, თუმცა 25 წლისამ დამოუკიდებლად მიჰყო ხელი ფიზიკა-მათემატიკის შესწავლას და სულ მალე ძმასთან ერთად ორი ნაშრომი წარადგინა ტურინის მეცნიერებათა აკადემიაში, 1804 წელს კი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა ელექტრული და მაგნიტური მოვლენების თეორიაში შესრულებული ნაშრომისთვის. თავდაუზოგავი შრომისა და ახალი, ორიგინალური სამეცნიერო მიდგომების წყალობით მისი კარიერა სწრაფად მიიწევდა წინ. 1806 წელს ავოგადრო ტურინის ლიცეუმის რეპეტიტორი გახდა, სამი წლის შემდეგ კი – მასწავლებელი. 1819 წელს აკადემიის წევრად აირჩიეს, ერთი წლის თავზე კი ტურინის უნივერსიტეტის ახლად გახსნილი უმაღლესი ფიზიკის კათედრის პირველი პროფესორის სტატუსი მოიპოვა, მაგრამ არ შეერგო – 1822 წელს ხელისუფლებამ სტუდენტების გამოსვლა ჩაახშო და უნივერსიტეტიც თან მიაყოლა. ავოგადროს ფიზიკის პროფესორის მხოლოდ საპატიო ტიტული დარჩა და რაკი მათემატიკა კარგად იცოდა, პალატის უფროს ინსპექტორად დანიშნეს სახელმ-

წიფო ხარჯების კონტროლის საქმეში. ათი წლის შემდეგ ტურინის უნივერსიტეტი ისევ გაიხსნა, მაგრამ ავოგადროსეულ კათედრაზე პროფესორად სამშობლოდან წამოსული ლუი კოში დანიშნეს. მხოლოდ კოშის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ აღადგინეს ავოგადრო მშობლიურ კათედრაზე. იქ 1850 წლამდე დარჩა, მერე კი უნივერსიტეტი დატოვა და თავისი საქმეები თავისივე მოსწავლეს ფელიჩი კიუს გადააბარა.

საინტერესოა, როგორ მოახერხა ავოგადრომ იმ ეპოქის სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობებით ერთ მოლში შემავალი ნაწილაკების დათვლა. საქმე ის არის, მას ისინი არ დაუთვლია. 1811 წელს, ატომური თეორიის განვითარების გარიჟრაჟზე, მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ერთსა და იმავე ტემპერატურასა და წნევაზე ერთნაირი მოცულობის აირები იდეალური (კეთილშობილი) აირების თანაბარი რაოდენობის მოლეკულებს შეიცავს. დღეს ეს კანონი ასე ჟღერს: „ნებისმიერი ნივთიერების 1 მოლი პირობებში აირად ფაზაში იკავებს 22.41383 ლიტრ მოცულობას“ – და ავოგადროს კანონი ეწოდება. ავოგადროს რიცხვის დასადგენად კი 1 მოლი ელექტრონების მუხტი ერთი ელექტრონის მუხტის სიდიდეზე გაიყო. გაზომვის სიზუსტის სრულყოფასთან ერთად ეს რიცხვიც იცვლებოდა. მაგალითად, 2010 წლის გაზომვებით, ის 6.022 141 29(27)×10^{23}-ის ტოლი იყო, 2014 წლიდან კი მიღებულია 6.022 140 857(74)×10^{23}.

ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებაა, მაგრამ ბუნებისმეტყველებას სიზუსტე უყვარს. ამიტომ ესეც არ არის საბოლოო მნიშვნელობა. გაივლის წლები, ახალგაზრდობა უფრო ზუსტ და მართალ შეფასებას ისწავლის და ახალ, კიდევ უფრო დაზუსტებულ, ჭეშმარიტებასთან კიდევ უფრო ახლოს მდგომ რიცხვს შესთავაზებს შთამომავლობას.

ქეთევან
კუპატაძე

ქიმიური იარაღი

„...ქარმა კაბა ჩამოხსნა თოკიდან,
გაიფიქრა გოგომ, როცა დედის სხეული
ოკუპანტმა ფანჯრიდან გადმოფინა...“
სერიიდან – „ისმის ჩემი ხმა?“, ნ. ინგოროყვა

„ეს ოხერი ჩვენი ისტორია, მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ხალხი კი არსადა სჩანსო“, – წერდა ილია.

არადა, მართალს წერდა, ომებით და ერთურთის ჟლეტითაა ისტორია სავსე. ამ ბრძოლებში ქიმიას ბოლო ადგილი სულაც არ უჭირავს და დღევანდელი წერილით სწორედ ეს მინდა დაგანახოთ.

ისტორიული ჩანაწერების მიხედვით, პირველი ქიმიური იარაღი საბერძნეთში მდებარე პატარა ქალაქ კირის მახლობლად გამართულ ბრძოლებში გამოიყენეს. სიმართლე გითხრათ, მანამდეც უეჭველად იქნებოდა რამე გამოყენებული. ცოდნა მცენარეული და ცხოველური შხამების შესახებ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის ქემეიას მიმდევარმა ქურუმებმა იცოდნენ და ადამიანებს სხვა ადამიანების მოწამვლა-შანტაჟში წარმატებით ეხმარებოდნენ. ამიტომ, ბრძოლებშიც იქნებოდა ეს ყველაფერი ნაცადი. კირის ბრძოლის აღწერა უბრალოდ ხელნაწერის სახით არის შემონახული და შავით თეთრზე წერენ, რომ მომწამლავი ნივთიერებები იქნა გამოყენებული.

ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ შხამის დასამზადებლად იყენებდნენ მცენარე „ცრუ ხარისძირას“ ფესვებს. ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობით შეიცავს სოლანიდინს, რომელიც სტეროიდული ალკალოიდია. ასეთი ალკალოიდები ბევრია და მათი ერთობლიობით შექმნილ ნაერთს ვერატრინი ეწოდება. ის ნატრიუმის არხების ანტაგონისტი, ანუ აქტივატორია. სწორედ ეს არხები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ნერვული იმპულსების გატარებაში. პასუხისმგებელნი არიან კუნთოვანი მუსკულატურის კუმშვაზე. ჰოდა, ქალაქის მცველები, ისე, რომ თავადაც არ იცოდნენ, ვეროტრინით მოწამლულ წყალს სვამდნენ. ალკალოიდები ხვდებოდა მათ კუჭში. კუჭს აქვს კუნთოვანი გარსი, რომლის ნატრიუმის არხები აქტივირდებოდნენ ვერატრინის მოქმედებით. კუჭი ქაოსურად იწყებდა კუმშვას, შედეგი გულისრევა და საჭმლის მომნელებელი სისტემის სრული მოშლა

გახლდათ. ასეთი ტიპის მოწამვლისას ბანალური გააქტიურებული ნახშირი, ყველაზე მარტივი და ეფექტური გამოსავალია. შეგიძლიათ ენტეროსგელის დალევაც. ორივე ძლიერი ადსორბენტია და ვეროტრინს შეიწოვს, გამოიტანს ორგანიზმიდან. ოღონდ, ეს ახლა უშველის ადამიანს, მაშინ კი, კირის ბრძოლის დროს სორბენტებზე არც არაფერი სმენოდათ, ამიტომ ასეთი მოწამლული წყალი ყველას კლავდა.

424 წ. ჩვენს ერამდე, ძველ საბერძნეთში პელოპონესის ომი 27 წელს გაგრძელდა. ეს ომი ათენსა და სპარტას გარშემო დელოსისა და პელოპონესის კავშირებს შორის გაჩაღდა. დაპირისპირება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მიზეზებით წარმოიქმნა. კიდევ, ათენსა და სპარტას შორის საბერძნეთში ლიდერობის გამო. სპარტელები ხმელეთზე იყვნენ ძლიერები, ათენელები ზღვაზე იბრძოდნენ კარგად.

თავიდან სპარტა იმარჯვებდა, 424 წელს კი ინიციატივა ათენელებისკენ გადავიდა. ერთ-ერთი ბრძოლა ბეოტიასთან გაიმართა. სწორედ აქ იქნა გამოყენებული საინტერესო ქიმიური ნარევი. ეს ნარევი ე.წ. „ბერძნული ცეცხლის“ პირველი ვარიანტი იყო და შეიცავდა, ნახშირს, გოგირდს და ცვილს. მოგვიანებით, ცვილის ნაცვლად იყენებდნენ ნედლ ნავთობს, კიდევ უფრო მოგვიანებით კი უფრო ეფექტური წვისთვის სელიტრას ამატებდნენ. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ, ათენი საბოლოოდ დამარცხდა და ომიც ნელ-ნელა დასასრულისკენ წავიდა. გამოყენებული ქიმიური იარაღის იდეა კი მარტივია. თუ გოგირდს გავახურებთ 230 გრადუსამდე, ცეცხლი მოეკიდება და წვას დაიწყებს. გოგირდის წვის დროს განვითარებული ტემპერატურა 1800 გრადუსია. ამ ტემპერატურაზე იწყებს წვას ნახშირი, რომელიც ჰაერზე (სადაც ჟანგბადია) ძალიან აქტიურად და ხანგრძლივად იწვის. ბოლოს კი მაღალ ტემპერატურაზე ცეცხლი ეკიდება ცვილსაც, რომლის კონსისტენციაც ძალიან წებოვანია და გავარვარებული ცვილის რაიმე ადგილიდან მოცილება რთული საქმეა.

ზოგადად, „ბერძნული ცეცხლის“ ჩაქრობა რთულია. სხვათა შორის, იგივე ცეცხლი გამოიყენეს ეგვიპტელებმა მეშვიდე საუკუნეში არაბების წინააღმდეგ. გავიხსენოთ, რომ იმ პერიოდისთვის ეგვიპტე ბერძნებს ჰქონდა დაპყრობილი, და ქემეიას მიმდევარ ქურუმებსა და ბერძენ სწავლულებს შორის ერთგვარი თანამშრომლობაც კი იყო. შესაბამისად, „ბერძნული ცეცხლის“ დამზადებაც იცოდნენ. ამ იარაღის გამოყენებისას ცეცხლზე საშიში მისი ქიმიზმი იყო. გოგირდის ჟანგბადთან წვისას გამოიყოფა გაზი, გოგირდის დიოქსიდი:

$$S+O2=SO_2.$$

ეს უფერო, დამახასიათებელი სუნის მქონე გაზია. ფილტვებში მოხვედრისას, იქ წყალთან ურთიერთქმედებს. გვახსოვს, არა? მჟავა ოქსიდს წარმოადგენს და წყალთან ურთიერთქმედება მჟავა ოქსიდების დამახასიათებელი ქიმიური თვისებაა. შედეგად, წარმოიქმნება გოგირდოვანი მჟავა H_2SO_3, რომელიც არამდგრადია, მაგრამ ფილტვების შეჯანჯღარებას მოასწრებს. ასევე, არ დავივიწყოთ, რომ ფილტვებამდე ტრაქეაა, რომელიც ასევე წყალს შეიცავს, ცხვირ-ხახასა და თვალებშიც წყალი შედის და აქ წარმოქმნილი გოგირდოვანი მჟავა ყველაფერს გააღიზიანებს. შედეგად ადამიანი ვეღარ შეძლებს სუნთქვას, განუვითარდება სპაზმი, მოეშლება მეტყველება, დაებინდება თვალები და ბოლოს შეუშუპდება ფილტვები. ასე რომ, თუ „ბერძნუ-

ლი ცეცხლი“ გესროლეს, თქვენ კი მარდად გვერდზე გახტით და ცეცხლის ალში არ გაეხვიეთ, გამოყოფილი გაზი ცოტა ხანში მაინც დაგეწევათ და ბოლოს მოგიღებთ. თუ ძველ საბერძნეთში ცხოვრობთ, ვერაფერი გიშველით. დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება აირწინაღია, თუმცა პელოპონესის ომის დროს ეს სიტყვაც კი არავინ იცოდა. ამიტომ, ყველა, ვინც გაზი ჩაისუნთქა, გარდაიცვალა.

ამ ბრძოლიდან მრავალი ხნის განმავლობაში ქიმიურ იარაღს სრულყოფა არ განუცდია. თუმცა, ქიმიას, რა თქმა უნდა, აქტიურად იყენებდნენ. ძველი ჩინური და ინდური ალქიმიური ტრაქტატები სავსეა სხვადასხვა რეცეპტით. აქედან ზოგი ძალიან სასტიკია, ზოგი კი ისეთი, ერთდროულად თან რომ გაოცდები, თან გაგეცინება. საქმეში გადიოდა ყველაფერი, მცენარეები და ქვეწარმავლები. სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა დაფქულ მწარე წიწაკას იყენებდა ისრების დასამუშავებლად. იყენებდნენ კურარესაც. ჯვაროსნები ბრძოლების დროს გოგირდითა და დარიშხანით წყალს წამლავდნენ.

ასევე, მოიწამლა უთვალავი მეფე, დედოფალი, უფლისწული, სეფექალი. ალ. დიუმას „დედოფალი მარგო“ წაიკითხეთ და ნახეთ, რენე ფლორენციელი რას აღარ ამზადებს დედოფალ ეკატერინე მედიჩის დავალებით. ეს უკანასკნელი ისეთი გავეშებით ცდილობდა, სიძის ჰენრიხ ნავარელის მოწამვლას, რომ შემთხვევით, მის ნაცვლად საკუთარი ვაჟი მეფე კარლ მეცხრე „შემოეწამლა“ და მოკლა.

თუმცა, მთელი ამ ქიმიური შხამების ორომტრიალში ერთი ლეგენდარული შხამია – კალიუმის ციანიდი, რომლის დასახელებაც ალბათ თქვენც გსმენიათ.

ჩემს ბავშვობაში ერთი შავი იუმორი ტრიალებდა:

კაცი შევიდა აფთიაქში და აფთიაქარს ჰკითხა, კალიუმის ქლორიდი თუ გაქვთო. არაო, უპასუხა აფთიაქარმა, კალიუმის ციანიდი გვაქვსო. და რა განსხვავებააო, ჩაეკითხა კაცი. არაფერიო, სულ სამი მანეთიო...

არადა, განსხვავება არის.

თავისუფალი სახით ეს მარილი 1762 წელს კარლ ვილჰელმ შეელემ მიიღო. სისხლის ყვითელი მარილი (კალიუმის ჰექსაციანო (II) ფერატი) თერმულად დაშალა და მიიღო კალიუმის ციანიდი:

$$3K_4[Fe(CN)_6]=Fe_3C+5C+3N_2+12KCN.$$

გარეგნულად მარილი თეთრი ფერის კრისტალების მქონე ფხვნილია. ორგანიზმში მოხვედრისას, მარილი დისოცირდება და ციანიდ ანიონი წარმოიქმნება:

$$KCN=K^{+}+CN^{-}$$

ციანიდ ანიონი შეაღწევს უჯრედში და უკავშირდება სპეციფიკურ ფერმენტს – ცოტოქრომოქსიდაზას (დაიმახსოვრეთ, ფერმენტის სახელწოდება, რაც არ უნდა გრძელი იყოს ერთად იწერება. დაბოლოება „აზა“ კი მიგვითითებს, რომ ის ფერმენტია). ცოტოქრომოქსიდაზა უჯრედის მიტოქონდრიის სუნთქვითი ჯაჭვის უბანზე მდებარეობს და ATP სინთეზში მონაწილეობს. ჰოდა,

როდესაც მას ციანიდის იონი დაუკავშირდება, ორგანიზმში სუნთქვითი და მეტაბოლური ფუნქ-ციები ირღვევა. შედეგი არის ის, რომ კვდებიან უჯრედები, ქსოვილები, ორგანოები და ბოლოს თავად ადამიანიც. ამ პროცესს ძალიან სწრაფი ეფექტი აქვს.

მისი ანტიდოტი ჩვეულებრივი რძე არის, რადგან რძეში შემავალი ლაქტოზა ციანიდებს ბო-ჭავს და ორგანიზმიდან გამოჰყავს.

თუმცა...

თუ ციანიდი ორგანიზმში მოხვდება, შემდეგ რძის დალევას აზრი არ აქვს, გვიანია უკვე. აი, თუ ადამიანმა რძე ციანიდის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე დალია, მაშინ გადარჩენის მცირე შანსი არსებობს. უკვე მიღებული ციანიდისგან გადასარჩენად გლუკოზის ხსნარის გადასხმის მეთოდიც მოიაზრება, ოღონდ, გადასხმა ძალიან მალე უნდა მოხდეს. იმ ძველ დროს კი რომელ გადასხმებზე იყო საუბარი?

ნასტასია
არაბული

როგორ შევინახოთ მოგონებები

ხშირად გამიგონია ფრაზა, რომ სხვების შვილები სწრაფად იზრდებიან, ჩვენები – ნელა. თინეიჯერობას მიღწეული ორი შვილის ყურებისას არ მტოვებს განცდა, რომ საკუთარი შვილებიც ძალიან სწრაფად იზრდებიან და იმის გააზრება, რომ მალე მათ ცხოვრებაში ჩემი ჩართულობის საჭიროება უფრო და უფრო ნაკლები იქნება, ჯერ კიდევ მასევდიანებს. არაფერი სჯობს იმის ყურებას, როგორ ხდებიან პატარა ადამიანები დამოუკიდებელი პერსონები, თუმცა ამ პროცესის პარალელურად თავს არ მანებებს ფიქრები, რომ უნდა მოვასწრო, სანამ ყველა აქტივობაში ჯერ კიდევ ერთად ვართ ჩართულები, სანამ ამბებს მიყვებიან და მათთვის თავგადასავლების მოწყობა ჩემი საქმეა, ამ დროით უნდა ვისარგებლო: მეტი მოგონება შევქმნათ და დავიმახსოვროთ. დამახსოვრებაც ხომ საქმეა.

თავიდან, როცა დამწყები დედა ვიყავი, მეგონა, რომ სულ მემახსოვრებოდა მათი ინტერპრეტირებული სიტყვები, ფრაზები, სიზმრები, მაგრამ ფუჭი აღმოჩნდა ჩემი იმედები. დრო ბევრ ამბავს შლის.

აღმოჩნდა, რომ ბავშვობის ყველაზე ცოცხალი მოგონებები ადამიანების უმეტესობისთვის ისეთი ბანალური რამეებია, როგორიცაა კბილის ექიმთან პირველი ვიზიტი, არდადეგები, დაბადების დღის წვეულებები, სკოლის პირველი დღე, დაშავების შემთხვევები, კბილის მოცვლა, საშობაო საჩუქრები, დაჭერობანას თამაში და მშობლებთან ერთად ხარისხიანად გატარებული დრო. ყოველდღიურობაში პატარა სიხარულების პოვნა და დაუვიწყარი ამბების მოწყობა ადვილი საქმე არ არის, თუმცა ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ლაღი ბავშვობა და ამ დროის ემოციები და მოგონებები დიდწილად განსაზღვრავს იმას, როგორი იქნება ცხოვრება ზრდასრულობისას. ხშირად საკუთრივ ამბებზე მეტად ემოციები და შეგრძნებები გვამახსოვრდება, რაც სხვადასხვა დროს გაგვჩენია.

მე, მაგალითად, ჩემი ბავშვობიდან განსაკუთრებით ტკბილად „მეორეხარისხოვანი პერსონაჟები“ მახსოვს – მოხუცი ბებიები სამეზობლოებიდან: მათმა ნაწილმა „შელოცვები“ იცოდა, ზოგი ყველაზე მშიერ წლებშიც ორცხობილებით და მცენარეული ჩაით მიმასპინძლდებოდა, ზოგი ისე ქსოვდა და ქარგავდა, მათ ყურებას არაფერი სჯობდა; ერთი იყო, ისე ხმამაღლა იცინოდა და ისე მოურიდებლად იგინებოდა, ყოველ ჯერზე გაოგნებულს მტოვებდა. ამ დრომდე ცოცხალია პატარა ქალების, სოფლების ბიბლიოთეკებში გატარებული დღეებისა და იქ აღმოჩენილი უცნობი წიგნების პოვნის სიხარულის შესახებ მოგონებები. საახალწლო საჩუქრებიც მახსოვს, რომლებიც ძირითადად ჩვენი იმჟამინდელი ხელმოკლე ცხოვრების საუკეთესო ილუსტრაციები იყო და მამასთან ერთად მაღალ მთებსა თუ დაბურულ ტყეებში ლაშქრობებიც. არც კი ვიცი, ეს ლაშქრობები უფრო ძვირფასია თუ ის დღეები, როცა მარტო სადმე წასვლის ნებართვას მოვიპოვებდი ხოლმე და საკუთარი გულისცემა უფრო ხმამაღლა მესმოდა, ვიდრე მთის მდინარეების ხმაური – ძვირფასია ის შეგრძნება, რაც სახლში უვნებლად დაბრუნებულს გაქვს. ჩემი ამბების გახსენებისას არ მტოვებს განცდა, რომ ორ ათეულ წელიწადში, რაც ჩემი და ჩემი შვილების ბავშვობებს აშორებს ერთმანეთისგან, განუზომლად შემცირდა ბუნებაში გატარებული დრო ოჯახებისთვის და შემაწუხებლად გაიზარდა ციფრული გაჯეტების კონცენტრაცია.

მოგონებების შექმნისა და არქივირებისას ვცდილობ ხოლმე, რომ ბუნებასთან სიახლოვეც შევინარჩუნო და ტელეფონიც ნაკლებად გამოვიყენო. აი, რამდენიმე ხრიკი, რაც წლების განმავლობაში გამოვიმუშავე:

- სეირნობის შემდეგ სახლში მოგვაქვს ყვავილები, ფოთლები, ნიჟარები, ზოგჯერ ტოტებიც და სხვადასხვა სახელოვნებო პროექტისთვის ვიყენებთ – ჩემი ფავორიტი თიხაზე ანაბეჭდების გადატანაა.

- საღამოობით, ძილის წინ წიგნის კითხვისას ხატავენ, ილუსტრაციებს და სკეტჩებს აკეთებენ ან შემხვედრ შთამბეჭდავ სიტყვებს და ფრაზებს იწერენ – წლების შემდეგ ამ ნახატებით გავსებული წიგნაკების დათვალიერება დროში მოგზაურობას ჰგავს და უფრო სახალისოა, ვიდრე საოჯახო ფოტოალბომის თვალიერება, სადაც უცნობი ადამიანების ფოტოები სჭარბობს ნაცნობი ნათესავების ფოტოებს.
- ტელეფონით ფოტოების გადაღების ნაცვლად, თუკი სეირნობისას ბევრი დრო გვაქვს ან უცხო ქალაქში ვართ, ვიმახსოვრებთ ხედებს, არქიტექტურას და ლანდშაფტებს. ასე მეტი დრო გვაქვს დეტალების აღსაქმელად, დასვენებისთვის, ფიქრისთვის.
- ფოტოებს მოგზაურობისას ფირის კამერით ვიღებთ – სახლში დაბრუნებულებისთვის ამ ფირების გამჟღავნება ერთი სიხარულია. ათასი წვრილმანი გვახსენდება, რაზეც მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია.
- ლაშქრობების რუკებს ვაკეთებთ და ვადარებთ, როგორ იზრდება წლიდან წლამდე გავლილი მანძილი და თავგადასავლები.
- ვუშვებთ გამონაკლისებს – ღამე ვმგზავრობთ მეტროს ცარიელი ვაგონებით ან განსაკუთრებით ცივ დღეებში ნაყინის საჭმელად ვსტუმრობთ სანაყინეს. ზოგჯერ მეგობრებს ვიტოვებთ ღამისთევით, ზედიზედ ვუყურებთ რამდენიმე ფილმს ან ვუსმენთ ერთი მომღერლის ყველა სიმღერას, რისი პოვნაც შეიძლება.
- ჩვენ საკუთარ ტრადიციებს ვქმნით – მეგობრებისთვის ხელნაკეთ საჩუქრებს ვამზადებთ, ახალ სეზონს ახალი ფლეილისტით ვხვდებით, სიმღერებს გამოგონილ ისტორიებს „ვაწებებთ“, თვის ყოველ პირველ კვირა დღეს ჯანმრთელი სასუსნავების დღედ ვაცხადებთ და ჩვენი ხელით ვაცხობთ და ვაკეთებთ სახრამუნოებს და ტკბილეულს.
- სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ წიგნაკში ვიწერ განსაკუთრებით დასამახსოვრებელ რეპლიკებს, ფრაზებს, კითხვებს.



- ვქმნით და ვინახავ „დოკუმენტურ მასალას“ – ბავშვების დაწერილი სიმღერების აუდიოჩანაწერებს, ნახატებს, დღიურებს, თოვლის ბაბუისთვის თუ ერთმანეთისთვის მიწერილ წერილებს – ერთ დღეს, უკვე გაზრდილებმა, შეიძლება ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით გადაყარონ, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ბოლოს კი სოლიდარობა და ჩემი გულის ნაწილი ყველას, ვისი მოგონებების ანაბეჭდებიც ემსხვერპლა ომს, სტიქიას და სხვა უბედურებებს. წლებია, ვერ ვიშორებ სევდას იმ ადამიანების გამო, რომლებიც შესაძლოა ჩემზე ბეჯითად აგროვებდნენ შვილებისთვის დასამახსოვრებელ ამბებს, მეტს წერდნენ, ხატავდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მოგზაურობდნენ, უყვარდათ და უხაროდათ სიცოცხლე და ერთ დღეს ღია ცის ქვეშ დარჩნენ მოუნელებელი დანაკარგებით. მათზე ფიქრისას ხშირად მითქვამს ბავშვებისთვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის ცხოვრებაში, რასაც ჩვენი ტვინი და გული იმახსოვრებს, ინახავს და ატარებს. მინდა, ესეც ახსოვდეთ სხვა ამბებთან ერთად, როცა დიდი ქალები იქნებიან და ჩემ გარეშე იცხოვრებენ.

ნანა
აბუღაძე

იდეიდან ტექსტამდე

ამ წერილს უფრო ჩემთვის ვწერ და კიდევ – ჩემი მკითხველებისათვის. ჩემთვის იმიტომ, რომ შემოქმედებითი პროცესი უკეთ გავიაზრო (გამოცდილი მწერალი ამას უსტატიოდაც მოახერხებდა, მაგრამ მე ხომ ასეთი არ ვარ). მკითხველებისთვის კი იმიტომ, რომ ყველა მკითხველს სურს ხოლმე, თავის საყვარელი ავტორის შიდა სამზარეულოში შეიჭყიტოს. ეგ მეც მიყვარს, როგორც მკითხველს და ჩემი მკითხველებიც შემოქმედებითი საქმიანობის დეტალებით ხშირად ინტერესდებიან. ამ წერილში მხოლოდ ერთ, კონკრეტულ საკითხს შევეხები, მაგრამ იმედი მაქვს, მათ ცნობისმოყვარეობას ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებ.

არ ვიცი, შეიძლება, ზოგი ავტორი, თავში იდეა მოუვა თუ არა, მაშინვე იწყებს წერას. მე – არა, იდეის მოსვლიდან წერის დაწყებამდე თვეები გადის და ზოგჯერ, შეიძლება წლებიც გავიდეს. ახლა, მაგალითად, მაქვს იდეა, რომელიც „აკუმის“ იდეაზე ადრინდელია, მე კი დღემდე არ შევდგომივარ მის განხორციელებას. არადა, სათაურიც მაქვს და პირველი ფრაზაც. სულერთია – ის დასაწერად მზად არ არის, არ არის მზად და მორჩა. აი, მზად როდის იქნება ან იქნება თუ არა საერთოდ, ეგ უკვე ჩემზე აღარაა დამოკიდებული.

აბა, ვისზეა დამოკიდებული?

იდეა ხომ ჩემია და მის განხორციელებასაც მე უნდა მოვაბა თავი?

ამ კითხვებზე პასუხი, სამწუხაროდ, არა მაქვს. მგონი, ესაა ზუსტად ის საიდუმლო, რაც შემოქმედებას შემოქმედებად აქცევს, ის, რისი წყალობითაც ჩანაფიქრი თუ მონახაზი ხელოვნების ნიმუში ხდება.

მე რაც ვიცი, იმას გეტყვით: იდეის გაჩენიდან დაწერამდე ჩემი ტვინის ერთი ნაწილი მუდამ მასზე ფიქრობს. ფიქრისთვის რაიმე განსაკუთრებული პირობები არ მჭირდება, თუმცა გამოგიტყდებით, რომ მგზავრობა, გზაში ყოფნა იდეალურია. მეტრო, ავტობუსი, თუნ-

დაც მანქანით შორ მანძილზე წასვლა – აი, ასეთ დროს გონების მოკრება უფრო მიადვილდება ხოლმე. ამიტომ ყველა ჩანთაში, უფრო სწორად, ორივე ჩანთაში (რომელი ჩანთების კოლექცია მე მაქვს), ყოველთვის მიგდია პატარა წიგნაკი – თუ იდეამ ბევრი სხვა აზრი გამოისხა, ჩემი ბატიფეხურით იქვე რომ მოვინიშნო. მერე ზოგჯერ (ბოლო დროს უკვე – ხშირად) თვითონვე ვეღარ ვარკვევ, რა ჩავიწერე, რაც კიდევ დამატებითი ნერვიულობის წყაროა.

მარგარეტ ეტვუდი გვირჩევს, თუ სადმე მიდიხართ, თან იქონიეთ ფანქარი და ფურცლები, რადგან კალამი, შეიძლება გაგითავდეთ, ფანქარს კი გათლითო. მაგრამ თუ თვითმფრინავით გიწევთ მგზავრობა, მაშინ ეგრევე გათლილი ფანქრები წაიღეთ, სათლელს კაბინაში არ აგატანინებენო.

რა ვიცი, მე კალმით დავდივარ და მინდა გითხრათ, სულ არ ვუჩივი.

რატომ ვინიშნავ?

შიშის გამო ანუ შიშით, რომ დამავიწყდება. სინამდვილეში, არასოდეს არაფერი მავიწყდება. და თუ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჩანაწერებში ჩანიშნული რომელიმე დეტალი გამომრჩა და ტექსტში არ გადამიტანია, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს დეტალი არც ყოფილა ტექსტისთვის საჭირო.

აბა, რა თავს ვიკლავ?

მ ე შ ი ნ ი ა.

და ეს საკმარისი მიზეზია თავის მოსაკლავად.

დამიჯერეთ.

ეს პირველი ეტაპია. მეორე ეტაპია შეგრძნება, რომ იდეა დასაწერად მზად არის. ამას როგორ ვხვდები, ვერ აგიხსნით – თვითონაც არ ვიცი. ამიტომ თუ იდეა მეტისმეტად დიდხანს ვხარშე გონებაში და მის დასაწერად მზაობას მაინც ვერ ვგრძნობ, შიში მიორმაგდება: რა ხდება? საერთოდ რომ ვერ დავწერო? ზედმეტი რომ ვიფიქრო და ფიქრში დაწერამდე გაუვიდეს ყავლი? რომ ვერ მივხვდე, რომ მზადაა? მაგას როგორ უნდა მივხვდე?

ფიქრში ყავლის გასვლა ჩვეულებრივი ამბავია. ჩემი აზრით, ეგ იმას მიგვანიშნებს, რომ ასეთი იდეა არც ღირდა დასაწერად. ამიტომ მასზე გულის ხეთქა ფუჭია. შეიძლება, პირიქითაც მოხდეს – დაიწყო წერა, შუამდე ჩახვიდე და აღარ დაასრულო, რადგან სანამ შუამდე ჩახვედი, შენი ცხოვრება შეიცვალა და ის აღარაა შენი სათქმელი, რაც წერის დაწყებისას იყო. მაქვს ერთი ეგეთი ტექსტი – აიოვაში ყოფნისას დაწყებული რომანი, რომლის პირველი ორასი გვერდი დაწერილია და მეტი აღარ დაიწერება – იქ იმდენი რამ მოხდა, რომ ჩამოვედი, უკვე სულ სხვა საფიქრალში ვიყავი. მერე რაც შემემთხვა, იმან კიდევ სხვა იდეის განვითარებას შეუწყო ხელი.

ერთი სიტყვით, გარდაუვალი კანონია – რაც დასაწერია, აუცილებლად დაიწერება. რაც არა და, ესე იგი, ასე უმჯობესი იყო ყველასთვის.

წერამდე მე კიდევ ერთი ეტაპი მაქვს: კვლევა. ზოგჯერ ის თავად წერის ეტაპსაც ემთხვევა ხოლმე. მოკლედ, ქრონოლოგიას მნიშვნელობა არა აქვს, თავად პროცესის მიმდინარეობაზე გეტყვით:

აიოვაში ყოფნისას მექსიკელმა პოეტმა, დავიდ ანუარმა ილაპარაკა წერისწინა სამუშაოებზე და რომელიღაც სხვა პოეტის ციტატა მოიხმო, როცა წერ, ყოველი სიტყვა სისხლში უნდა იყოს ამოვლებულიო. თავად კი დაამატა, საამისოდ ორი გზა არსებობს: ან პირად გამოცდილებას

უნდა დაეყრდნო ან უნდა იკვლიო. თვითონ ორივე გზას კარგად იცნობს – თუ ერთი კრებულისთვის ბიძგი დედის ავადმყოფობამ მისცა, მეორე კრებულისთვის არქივებსა და ბიბლიოთეკებში ძრომიალი დასჭირდა.

დავიდს რომ ვუსმენდი, მივხვდი, რომ მე მეორე გზის მწერალი ვარ – მწერალი, რომელიც იკვლევს. პირად გამოცდილებას არასდროს ვეყრდნობი, დიდი-დიდი რაღაც მოტივები ავიღო იქიდან, რომლებსაც მერე კიდევ გარდავქმნი, მაგრამ მთლიანი ამბავი ჩემი ცხოვრებიდან ჩემს ტექსტებში არასდროს ხვდება. ბევრჯერ მსმენია ეს დარიგება: „დაწერე იმაზე, რაც იცი!“ მე კი პირიქით, ყოველთვის იმაზე ვწერ, რაც არ ვიცი. ვწერ იმისთვის, რომ ჩემი არცოდნა კითხვებად დავშალო, ვწერ შეცნობის იმედით, მაგრამ ამ მდგომარეობას ვერასდროს ვაღწევ. ალბათ, ამიტომ ვაგრძელებ წერასაც.

ცოდნისა და სწავლისადმი ჩემი სიყვარულის მიუხედავად, წერის წინა კვლევა მეზიზღება – მე ხომ ამ შემთხვევაში, ვიკვლევ იმას, რაც ტექსტს სჭირდება და არა იმას, რაც მაინტერესებს. ახლა იტყვით, რომ ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები. სულაც არა – „ახალ აღქმაზე“ მუშაობისას ბიბლიის ეგზეგეტიკა, რაც იყო კიდეც ჩემი წერის საგანი, ნამდვილად მაინტერესებდა, აი, ძველი ისრაელის ყოფა-ცხოვრება და არქეოლოგიური გათხრების შედეგები კი – არა. მაგრამ ამ უკანასკნელის შესწავლის გარეშე ტექსტის მხატვრულ სამყაროს ვერ ავაშენებდი. „აკუმის“ შემთხვევაში კიდევ უფრო მარტივადაა საქმე: ცხადია, მედიცინა არ მაინტერესებს, რომ მაინტერესებდეს, ექიმი გამოვიდოდი. მაგრამ რა მექნა? იდეა მოითხოვდა, რომ სამედიცინო ნაწილი კარგად შემესწავლა. მაგალითად გამოდგება ჩემი ზემოთ ნახსენები დაუსრულებელი რომანიც – მარტოხელა მამაზეა. მარტოხელა მამის თემა უთუოდ მაინტერესებდა და არ ვიცოდი (რადგან, როგორც მოგეხსენებათ, არც მამა ვარ და არც – მარტოხელა), მაგრამ მისი შვილის ავადმყოფობის შესახებ უამრავი სამედიცინო სტატია წავიკითხე და ეს სულაც არ იყო სასიამოვნო საქმე. მისი ცოლი პოსტსამშობიარო ფსიქოზით იტანჯებოდა – ეს თემაც მიზიდავდა, თუმცა აქაც უამრავ სამედიცინო ლიტერატურას გავეცანი და ბოლოს ცოტა მომწყინდა. აი, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც მივადექით – კვლევის კიდევ ერთი უბედურება ისიცაა, რომ დანამდვილებით იცი: უმეტეს ნაწილს იმისას, რასაც წაიკითხავ, წერისას არ გამოიყენებ. ეს ყოველთვის ასე ხდება. მით უფრო, რომანის შემთხვევაში – აბა, როგორ უნდა განსაზღვრო, საით წავა ამბავი და მესამასე გვერდზე რისი ცოდნა დაგჭირდება და რისი არა? ამიტომაც სჯობს, იცოდე მეტი, ვიდრე ნაკლები. არც ჰემინგუეის დასჭირდა ის ყველაფერი, რაც თევზაობაზე იცოდა, როცა „მოხუცი და ზღვა“ დაწერა, გამოვტოვეო, – დასძენს, – როცა იცი და ტოვებ, არ ეტყობაო. როცა არ იცი და ამის გამო გამოტოვებ, დაეტყობა.

ამიტომ კვლევისას სიზარმაცე გაუმართლებელია.

თუმცა არც კარგად ნაკვლევი საკითხია კარგი ტექსტის დაწერის გარანტია. შესაბამისად, ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები შიშიც არასოდეს გტოვებს. მაგრამ ეს უკვე შემდეგი წერილის თემაა...

შიში იდეასთან ერთად ჩნდება და ტექსტის ბოლო წერტილამდე არ გტოვებს. მას სხვადასხვა ფორმა აქვს. დასაწყისში ესაა: „თემა რომ ვერ დავძლიო?“, მერე: „რომ ვერ განვაგრძო წერა? ბოლომდე რომ ვერ მივიყვანო?“.

ეს შეუცნობლის შიშია. შიში იმისა, რომ როგორი დისციპლინირებულიც არ უნდა იყოს წერის პროცესი, რამდენიც არ უნდა დაგეგმო წინასწარ, როგორი ყურადღებითაც არ უნდა მიჰყვე ამ

გეგმას, შეიძლება, ერთ დღეს მაინც არაფერი გამოვიდეს. ასე, უბრალოდ, გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ ეს ტექსტი აღარ დაიწერება.

ცალკეა თავად ტექსტთან დაკავშირებული შიშები, რომლებიც მოკლედ გამოითქმის ფრაზით: „იქნებ არ ვარგა?“ მე ეს ეჭვი მანამ არ მტოვებს, სანამ ტექსტს გამომცემელს არ ჩავაბარებ. როცა ტექსტი უკვე რედაქტორმა უნდა ნახოს, ეჭვი კვლავ ბრუნდება, ოდნავ სახეცვლილად: „რამე სულელური ენობრივი უხერხულობები ხომ არ მოგსვლია?“, სანამ რედაქტორი უკუკავშირს მომცემს, ერთ სიკვდილს ვათავებ.

ამიტომ როცა მეკითხებიან, წერისას ყველაზე რთული რა არისო, დაუფიქრებლად ვპასუხობ: ჩემს შიშებსა და ეჭვებთან ბრძოლა. ეს ბრძოლა ყოველდღიურად უნდა მოვიგო. ყოველ დილით მაცახცახებს მაგიდისა და თეთრი ეკრანის დანახვაზე. როცა „აკუმს“ ვწერდი, გაღვიძება მეზიზღებოდა, რომ ვიცოდი, წერა უნდა გამეგრძელებინა; განსაკუთრებით, თუ საწვალებელი ეპიზოდი მქონდა დასაწერი, მაგალითად, სამედიცინო თემაზე. მეორე ნაწილის ბოლო ოცდაათი გვერდი წაშლილი და ხელახლა დაწერილი მაქვს – მივხვდი, რომ დასრულება ვიჩქარე და მივაფუჩეჩე, ეს კი ტექსტს არ წაადგებოდა. ვერც ვერაფერს ჩავასწორებდი – მონათხრობის ფორმა სხვა უნდა ყოფილიყო. ამიტომ წავშალე. ნაწერი ერთიორად გაიზარდა. გვარიანად გავწვალდი. არ მინდოდა, მეშინოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა ტექსტი ტექსტად ვარგა.

ეს შიში, რომელზეც ახლა ვმსჯელობ, უფრო ფორმასთან, ჩანაფიქრის რეალიზებასთან დაკავშირებული შიშია. ბოლო დროს მივხვდი, რომ სხვა შიშიც არსებობს – შინაარსის შიში.

იდეა მაქვს. უკვე დიდი ხანია, მაქვს და აი, როგორც იქნა, გადამხდა რაღაც, რამაც საბოლოოდ შემამზადა მის დასაწერად. მაგრამ რომ დავწერო, ჯოჯოხეთში უნდა ჩავიდე, ჩემს პირად ჯოჯოხეთში. წარმოუდგენელ საშინელებას უნდა გავუსწორო თვალი და ის, რაც ერთხელ უკვე გავიარე ცხოვრებაში, ხელახლა უნდა გავიარო ლიტერატურაში.

ნორმალური ადამიანი ფსიქოთერაპევტთან მივიდოდა, მაგრამ მე სხვა პასუხისმგებლობები მაქვს – მჭირდება, რომ მტკიოდეს, ეს ტკივილი ცინცხალი უნდა იყოს, ბრაზი ყრუდ უნდა მიხრავდეს ძვლებს. წერამდე განკურნება დაუშვებელია, რადგან ეგ თუ მოხდა, თუ ამისგან გავთავისუფლდი, როგორღა დავწერ? დაწერით კი აუცილებლად უნდა დავწერო – უნდა ვუთხრა სხვებს, რომ მარტო არ არიან.

აქვე გეტყვით: საამისო მხნეობა უკვე მოვიკრიბე. ეს 8 ივნისს მოხდა, სრულიად მოულოდნელად. გავიღვიძე და ცხადად დავინახე დასაწყისიც და ცალკეული ეპიზოდებიც. გამოცდილების ლიტერატურაში გადათამაშების აღარ მეშინია, მაგრამ ფორმის შიში, რა თქმა უნდა, მაქვს – ეს დაუძლეველი რამაა. ამ შემთხვევაში მას კიდევ ერთი კომპონენტი შეემატა – ვგრძნობ, რომ, შესაძლოა, სხვანაირი ტექსტი გამომივიდეს, უფრო მეტად უბრალო, მეტად ამბავზე ორიენტირებული, ინტერტექსტუალური და მეტაფიქციური ილეთების გარეშე, შეიძლება, პოლიფონიურობის გარეშეც. ალბათ, იცით: ეს ჩემი სტილი არ არის. სტილი, საერთოდ, არ ვიცი მაქვს თუ არა, მაგრამ აქამდე მეგონა, რომ ჩემი ნაწერის ეს მახასიათებლები უცვლელი იყო, რომ, ამ თვალსაზრისით მაინც, რაღაც მოსტილო ნაპოვნი მქონდა. თურმე – სულაც არა.

მე დიდხანს ვერ ვჩერდები ერთ ადგილას, თუმცა ცვლილებებიც ძალიან მაშინებს. მით უმეტეს, ასეთი – სრულიად უცხო, უნაპირო ზღვაში უნდა შევცურო. არ დავიხრჩობი, მაგრამ იქიდან გამოსული ისიც აღარ ვიქნები, რაც შესვლამდე. აბა, ეს საშიში არაა?

არის კიდევ მესამე შიშიც – თავად ამ შიშის შიში. კარგა ხანს მეგონა, რომ პრობლემა ჩემშია – ალბათ, ძალიან გამოუცდელი ვარ და დროსთან ერთად ეს შიშიც გაქრება. ან იქნებ, უბრალოდ, ცოტა უნიჭო ვარ? სხვა მწერლები სიხარულით ეკვეთებიან საწერ მაგიდას და მე კი ასეთი უნიათო ვყავარ გამჩენს, რომ ჩემი ცხოვრების საქმე მიპოვია და იმისი ფხაც არა მაქვს, თავდადებით ვაკეთო.

ეს ფიქრები მქონდა, სანამ ერთ ძალიან საინტერესო პანელურ დისკუსიაზე ერთმა ჩემმა საყვარელმა და ჩვენში გამორჩეულმა მწერალმა არ თქვა, რომანის იდეა მაქვს და პატარა გოგოსავით მეშინიაო.

უიმე-მეთქი, აბა, ასეთ ავტორსაც თუ ეშინია, მე რაღა უნდა ვთქვა?!

ჰოდა, მას მერე ვიცი, რომ შემიძლია, თამამად მეშინოდეს, ჩემს გემოზე, როგორც იტყვიან...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ
ᲙᲔᲙᲔᲦᲘᲫᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ათასგვარად შეიძლება გაიხსენო, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის ფეხბურთი – ბევრია ასეთი მოგონება და კადრი – მხატვრულიც, ნამდვილიც და მითურიც.

არის ეს მსოფლიოში ფეხბურთზე გადაღებული საუკეთესო ფილმის ფინალში (მარტო ის ღირს საამბოდ, ქალმა რომ შექმნა „პირველი მერცხალი“) მოტყუებული ფოთელი ფეხბურთელების სიმღერა თუ სხვა სურათში, იპოლიტე-ფეოლას უნებლიე მწვრთნელობა და მღელვარება.

არის ეს უიმედო რიგები ბილეთისთვის სტადიონზე მოხვედრის მოსურნე ჯიბის ქურდებით, საზარელი იმედგაცრუებისთვის რომ სწირავდნენ ბილეთშეძენილ პატიოსან მოქალაქეებს თუ მესხისტი ორბილეთიანები, რომლებიც საგანგებოდ ყიდულობდნენ ორ საშვს ორივე კარის უკან და ტაიმებს შორის გადაინაცვლებდნენ, იმის მიხედვით, თუ საით უტევდა მიშა მესხი – ზოგი ამბობს, ტყუილია ორი ბილეთის ამბავი, ერთსაც ძლივს იშოვიდი, უბრალოდ გადაჯგუფდებოდნენ და ერთ სკამს ორი იყოფდაო, მაგრამ ორივე ლეგენდა ლამაზია – ტყუილიც და მართალიც.

არის ეს ყიფიანის კისერზე გაყინული ბურთი თასების თასის ფინალში თუ გაბელიას მოულოდნელად გადაწერილი პირჯვარი გადამწყვეტი პენალტისას.

არის ეს მიკერძოებული მსაჯის მოსაკლავად აზვირთებული სამოციათასი გულშემატკივარი სტადიონზე, 1977 წლის 23 ივლისს, „დინამოს“ და „ზარიას“ შეხვედრისას და ხალხის დასაშოშმინებლად მინდორზე გასული ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე თუ 1981 წლის ტრიუმფი და ადამიანებით სავსე თბილისის ქუჩები, როცა მოსისხლე მტრებიც კი ერთმანეთს კოცნიდნენ და ულოცავდნენ.

დემიკო ლოლაძის მოცახცახე ხელით გადაღებული საოცარი ფოტოები ამავე ფინალიდან თუ ერთი ფოტო, ქართული ფეხბურ-

თის პატრიარქის, ანდრო ჟორდანიასი, როცა სახურავგადახდილ მანქანაში ფეხზე მდგარი ისეთი ამაყი სიხარულით იმზირება, თითქოს, ნოე ჟორდანიას ძმისშვილობის გამო, ყოველწუთიერად თავს ბოლშევიკური ტერორის აჩრდილი არ დასტრიალებდა.

გენიალური ეროსი მანჯგალაძის მიერ წაყვანილი რადიო-რეპორტაჟები, რომელიც ცალკე, ტრაგი-კომიკურ მონო-სპექტაკლად ღირდა თუ გენიალურივე მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თითქოს აუღელვებელი სახე და იშვიათი ბოლთის ცემა გატანილი გოლებისას, თითქოს სიხარულის გამხელა ერიდებაო.

პანტიანის მინდორი, სადაც ფეხბურთის ტელე-სიგნალთან ერთად, ქართველები წლების წინ უგზო-უკვლოდ გაფრენილ თავისუფლებასაც იჭერდნენ. შეულამაზებელს, ზუსტს და აუცილებელს. ეს იყო ამ ამბის მთავარი მაგია და არსი. ეს არის ალბათ ფეხბურთის უმთავრესი ძალაც.

ოთხმოცდაათიანების უნიჭიერესი და უიღბლო თაობა, საგანგებოდ დატენილ აკუმულატორზე შეერთებულ პატარა „კორფუჯებში“ რომ ვამხნევებდით. გვეგონა, რომ ესმოდათ. და მგონი – ესმოდათ კიდეც.

არავინ იცის. ალბათ ყველა ერთად და ცალ-ცალკე.

ჩემს ბავშვობაში საბჭოთა კავშირი უკვე დანგრეული იყო, მაგრამ ფეხბურთის ყურება მაინც რთული საქმე გახლდათ. ჯერ ხომ ელექტროენერგიის უქონლობის გამო, დიდწილად ფეხბურთს უფრო ვკითხულობდით – „სარბიელში“ თუ სხვა რომელიმე გაზეთში. მომისმენია ტრანსლაცია ტელევიზორიდან, რომელსაც გამოსახულება აღარ ჰქონდა – ეს რადიო-რეპორტაჟს როდი ჰგავს – აბა, რა იცის კომენტატორმა, რომ სადღაც დასავლეთ საქართველოში, ზის ერთი ბიჭი და რასაც უნდა უყურებდეს, იმას აყურადებს. ვწევარ და თვალდახუჭული საკუთარ ბავშვობას ვსუნთქავ. ვსუნთქავ და ეს სუნი მახსენებს იმ ღამეებსაც, რომელთაც ვათევდით, ლიბერტადორესის თასის მატჩები რომ გვენახა. უბრალოდ ფეხბურთის ცქერა გვინდოდა და იმიტომ, თორემ იმ კლუბებისა დიდი არაფერი გაგვეგებოდა, ვერც უმეტეს ფეხბურთელს ვცნობდით, მაგრამ გამთენიისას ხომ ბედნიერს გვეძინებოდა – მეორე დღეს ამბავი იყო მოსაყოლი.

ახლა საცქერელი და მოსაყოლი მეტი გვაქვს. თან სულ ჩვენზე და ჩვენებზე.

●

საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე ასე კვირით ადრე მამაჩემმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატს ახალ, დიდ ტელევიზორში ვნახავთო. თქვენ იცით, რა არის ახალი, დიდი ტელევიზორი? გაგიმხელთ: მე და მამაჩემმა ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის თამაშებს ვუყურეთ ერთად პირველად ისეთ ტელევიზორში, თავში რომ უნდა ჩაგერტყა და ციმციმი ათი წუთით ჩერდებოდა. სახელად „ჰორიზონტი“ ერქვა. სიმბოლური კი იყო ეს სახელი. კარგად აჩვენებდა იმდროინდელი ჰორიზონტის ახლო საზღვარს, თუმცა მაშინ ასეთი დასაზღვრულობაც მიხაროდა.

ბავშვობა უმიზეზო სიხარულების დროა და იქ მთავრდება, სადაც სიხარულის მიზეზებს ეძებ. სადაც ხვდები, რომ საზღვარი არ არსებობს, ყველა სიხარული გეცოტავება და ახალს ითხოვ. ამიტომაც ყველა სხვა ასაკში უბედურების განცდა ჭარბობს.

ეს იქით იყოს და მეორე ტელევიზორი უკვე ფერადი გახლდათ, ოღონდ ხშირად დასაბომბი ეკრანით. ფერები ადვილად ბაცდებოდა და ამ საკითხის ოზურგეთელი ოსტატი, რაღაც ხელ-

საწყოს ადებდა და გეფიცებით, ამუქებდა. დაბომბვას უწოდებდნენ ამ ალქიმიას. მგონი „ტაურასი“ ერქვა. მგონი არა, ნაღდად. შუა ჩემპიონატისას, ერთ-ერთ ასეთ დაბომბვას ემსხვერპლა. მერე ჩემი ზაფხულები ოზურგეთს ასცდა. იმ წელს კიდევ ახალ, დიდი ტელევიზორში უნდა გვეყურებინა. მაგრამ უკვე ხომ გითხარით – ბავშვობა დამთავრდა. ბავშვობის მერე ძნელია ასეთი ამბების მოხერხება.

ახლა რომ ამბავს გიყვებით, ეს არ მომიყოლია. მაშინ სტუდენტი ვარ და სხვადასხვაგან ვათევ. მეგობართან, ნათესავთან და ხან სასულიერო აკადემიის საერთო საცხოვრებელშიც კი. ამ საცხოვრებელში ჩემი მამიდაშვილი, გელა ცხოვრობს. გელა იმიტომ ცხოვრობს, რომ აკადემიის სტუდენტია. მე იმიტომ, რომ გელას ბიძაშვილი ვარ.

უკვე ზაფხულია და სწავლა მორჩა. სტუდენტები და ლოგინები ერთდროულად გათავისუფლდნენ და მეც წამოვწექი ერთ-ერთ მათგანზე. ხის ლოგინი ჭრელი და ცხელი „ადიალათი“. თავთან ხატები მეკიდა და პატარა რადიო. ხელის რადიო. ასე ეძახდნენ. უკვე ზაფხულია და წესით გურიაში უნდა წავიდე. მეც ხომ არდადეგები მაქვს და თან მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. მამაჩემს დავპირდი, ერთად ვუყუროთ მეთქი. ზამთარში რომ ვიყავი, მაშინ. გაუხარდა. ძალიან, ძალიან გაუხარდა. ისე, რომ შეტრიალდა და რადგან შეტრიალდა, ესე იგი თვალებში ცრემლი იგრძნო. მორცხვი კაცების ამბავია. ნაცნობი. კი, კი უეჭველი ჩამოვალ მეთქი.

უკვე ზაფხულია და შარდენზე გოგოები დასეირნობენ. თან ცალი თვალით გოგოებს დავდევ, ცალით განცხადებებს ვკითხულობ სამსახურზე, ცალი ყურით გელასგან დოგმატიკის ამბებს ვისმენ, ცალით ცნობებს ფეხბურთელების ჯანმრთელობის შესახებ. ვფიქრობ, იმ საშინელ ტელევიზორში ყურებას, იმ კიდევ უფრო საშინელ მოწყენილობაში ალბათ ჯობს, რომ აქ დავრჩე. თან რამე სამსახურსაც მოვძებნი, თან ვინმე გოგოსაც გავიცნობ, თან ფეხბურთსაც ვუყურებ. უფრო კარგ ტელევიზორში.

ამ ტელევიზორის საქმეც უცნაურად იყო, ისე როგორც ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. აჩვენებდა და ხმა არ ჰქონდა. ამ ხელის რადიოს ვრთავდით და რადიოში ვუსმენდით და ტელევიზორში ვუყურებდით. მაგრამ ხარისხი იყო უკეთესი და თან სასულიეროს ბიჭებიც გადასარევი ხალხი, ყველა სხავადასხვანაირი და ახლაც განსხვავებული გზის გამყოლი, მაგრამ მართლა ყველა გადასარევი. ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა. ჰოდა, ალბათ ასე ღიად ვერ ვფიქრობდი, მრცხვენოდა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც მათთან ერთად ყურება მერჩივნა და მხიარულება. ჰოდა, დავრჩი.

ჩავედი აგვისტოში. ვერც სამსახური ვიშოვე და ვერაფერი. გოგოების ამბავი კარგად არ მახსოვს და რადგან არ მახსოვს, ალბათ მანდაც ვერაფერი. მამაჩემი ბოსტანში მუშაობდა. რაფერ ხარ და ამბავი. ჩვეულებრივი კითხვები. ველოდები, როდის მკითხავს, რატომ არ ჩავედი. ველოდები. მინდა, რომ მკითხოს. არაფერს ამბობს. ვერც მე. აგრძელებს პამიდვრების აკონვას. დახრილი. ძალიან, ძალიან მინდა, რომ მკითხოს, ისე რომ გული გამისკდება სადაცაა.

არ არსებობს ასეთ დუმილზე უფრო საშინელი, გირჩევნია, გლანძღოს და გაძაგოს დაუსრულებლად. მამაჩემი კი დახრილია და მუშაობს. მუშაობს. მუშაობს. მამაჩემი, მამაშენი და მამამისი. ისინი ოდესღაც ოცნებობდნენ რაღაც სხვაზე და უფრო მეტზე. ვიდრე პამიდვრის აკონვაა. ვიდრე გაფუჭებული ტელევიზორია. ვიდრე ფეხბურთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩამოსული შვილია. მაგრამ უცებ რაღაც მოვარდა – დრო, უიღბლობა და კიდევ რაღაც და წალეკა

ეს ხალხი. მას მერე თავდახრილები მუშაობდნენ. და არაფერს გვეკითხებოდნენ და ამით ყველაფერს გვეუბნებოდნენ და ვერაფერს ვპასუხობდით.

●

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ ყველა ეგ ჩვენი წყრომა და აღფრთოვანება ფეხბურთელებით, დიდწილად პერსონალურია. მოლოდინიც. იქითაც და აქეთაც. პოლიტიკურს დავარქმევდი, მაგრამ მესმის ეგ – იმდენად ცხელი ზურგი აქვს ამბავს. იყოს. პერსონალურიც. პოლიტიკურიც. ადამიანი ეგეთია. ოღონდ ფეხბურთის არაფერი სცხია დიდწილად დავას. ფეხბურთის რომ იყოს, იოლად გაგიგებდით. ახლაც გაგიგებთ – ოღონდ ფეხბურთს ნუ აბრალებთ. იმაზე არ მოგდევთ, ფეხბურთი იცით თუ არა. ფეხბურთის მაგია სწორედ ეგ არის, რომ ცოდნას არ ითხოვს, ამიტომაც ჰყავს მილიარდობით ფანი, თორემ მხოლოდ ცოდნა და მეცნიერება რომ ჭირდებოდეს საცქერლად, უყურებდა გიო ახვლედიანი და ბიძინა ბარათაშვილი და მორჩა. ფეხბურთზე ლაპარაკის უფლება ყველას აქვს. ალბათ – ყველაფერზე, მაგრამ ფეხბურთზე განსაკუთრებით.

თუ მაინცდამაინც, ცოდნა-არცოდნის დავა ეს არის და პასუხი მარტივი აქვს; ამ სცენარის და მუხტის თამაშში კარგი მეკარე საჯარიმოში აუცილებლად ჩაირბენს. აუცილებლად. მესმის ბურთების შეფარდების საქმე და სხვა – მაგრამ იმ წუთს და იმ მომენტში ეგრე მოხდება. ცარიელ კარში კიდევ, როცა მოედანზე წაქცეული არავინაა, ყველა გაიტანდა – დი კანიოც და ლუკას რადებეც – დიდი მკითხაობა არ ჭირდება ამას.

მაგრამ თუ ძალიან გვინდა, ვიკამათოთ ამაზეც – ფეხბურთი ხომ სუბიექტური საქმეა. ადამიანიც. ჩვენ ვიკამათოთ. ოღონდ დიდი ფეხბურთელი – დიდ ფეხბურთელად დარჩება. კარგი მოქალაქე – კარგ მოქალაქედ.

დევან
ლორთქიფანიძე

ავტორიტარიზმი სკოლაში

ბოლო წლებია რუსეთის საჯარო სკოლებში მთელი მსოფლიოსთვის თვალშისაცემი სასწაულები ხდება. 2022 წლის სექტემბრიდან, ყოველ ორშაბათს, ეროვნული დროშის აღმართვის ცერემონიის დასრულებისთანავე მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაესწრონ სპეციალურ გაკვეთილს, რომელსაც „საუბრები მნიშვნელოვან საკითხებზე“ (Разговоры о важном) ჰქვია. ზოგიერთი ფედერალური ტელევიზია საგანგებოდ სტუმრობს სხვადასხვა სკოლებს და ცნობილი ადამიანების მიერ ჩატარებულ საუბრებს ფირზე იწერს, რათა შემდეგ დილის გადაცემით აჩვენონ ასორმოცდაათმილიონიან აუდიტორიას.

ერთი შეხედვით, გაკვეთილებს კეთილშობილური მიზნები აქვთ. ბავშვები თავიანთი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან, ათვალიერებენ ბუნების უნიკალურ ძეგლთა ფოტოებს, იხსენებენ საკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიულ ფიგურებს, მეფეებსა თუ მეცნიერებს, პოეტებსა თუ ხელოვანებს. მოსწავლეები ეცნობიან კონსტიტუციას, სამოქალაქო ვალდებულებებს, რომლებიც მომავალში ძირითადი კანონის ძალით დაეკისრებათ. ალბათ, ყველა ქვეყანა უნდა ზრუნავდეს ადამიანებს შორის პატრიოტიზმის, სახელმწიფოებრივი აზროვნების გაღვივებაზე და ამ საქმეს სკოლის დაბალი საფეხურიდან უნდა იწყებდეს.

თუმცა, ყველაფერი ისე მარტივად არ არის, როგორც ეს უბრალო დაკვირვებით ჩანს.

მშობლების ნაწილი საიდუმლო ცნობებს აწვდიან დამოუკიდებელ რუსულ მედიას. ისინი შეძრწუნებულნი არიან გაკვეთილების შინაარსით. არაერთ სკოლაში „საუბრები მნიშვნელოვან საკითხებზე“ უმალვე გადაიქცა იაფფასიანი პროპაგანდის ასპარეზად. მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები ორშაბათის დილას მთლიანად უთმობენ უკრაინასთან ომის თემატიკას. ცხადია, სიტყვა „ომს“ არც ახსენებენ და სასაკლაოს „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებენ. თურმე, ძალიან ბევრი დრო იხარჯება იმ კრიტერიუმებზე მსჯელობისთვის, რომელთა ძალითაც უკრაინელთა უდიდესი უმრავლესობის „ნაცისტურ წარმონაქმნად“ განთესვა შეიძლება.

მეხუთეკლასელებს განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეასწავლიან სამხედრო ოპერაციის სახელგანთქმულ „გმირთა“, მეზობელი ქვეყნის ამაოხრებელთა ბიოგრაფიებს.

არაფორმალური სილაბუსის მიხედვით მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად უნდა ეძიონ პასუხები კითხვებზე: რატომ არ უნდა არსებობდეს უკრაინის სახელმწიფო? როგორ უნდა გამოვიყენოთ ყირიმის შემოერთების გამოცდილება სხვა ტერიტორიების ანექსიის დროს? როგორ დავშალოთ ევროპის კავშირი? და ა.შ.

საუბედუროდ, პროპაგანდისტული სწავლების იდეოლოგები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ თეორიული და კონცეპტუალური საკითხების განსჯით. ისინი მოსწავლეთა ყურადღებას პრაქტიკულ გარემოებებზეც ამახვილებენ. მაგალითად, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, პედაგოგები „სამშობლოს დაცვის“ თემაზეც გაუთავებლად ქადაგებენ. თანამედროვე რუსეთში „სამშობლოს დაცვა“ იარაღის ხელში აღებას ნიშნავს, თანაც საკუთარი საზღვრების დაცვის მიზნით კი არა, არამედ მომიჯნავე სახელმწიფოთა გაქრობა-შემოერთების განზრახვით.

საქართველოში ყველა რუსი ერთნაირი ჰგონიათ, ფიქრობენ, რომ ხალხი ბედნიერია ოცდახუთწლიანი ავტოკრატიის საქმიანობით და წინააღმდეგობის გარეშე ემორჩილება თავსმოხვეულ წესრიგს. საქმე გაცილებით სერიოზულადაა. დემოკრატიული პრესა თითქმის ყოველთვიურად აქვეყნებს ცნობებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა პროტესტის თაობაზე. ჩვენს ოკუპანტ სახელმწიფოში ჯერ კიდევ შემორჩნენ მასწავლებლები, რომლებიც ჰუმანიზმის, მშვიდობისა და სამშობლოს ცნებებს ერთმანეთისგან არ აცალკევებენ. ისინი „საუბრებისთვის“ გამოყოფილ დროს მათემატიკის ოლიმპიადისთვის შედგენილი დამატებითი ამოცანების ამოსახსნელად იყენებენ, პროპაგანდისტული რიტორიკის ნაცვლად ნოვგოროდის რესპუბლიკის გამოცდილებას მიმოიხილავენ, ომს ომად მოიხსენიებენ, მშვიდობას ნორმალური რუსეთის შექმნის წინაპირობად მიიჩნევენ და ა.შ.

ხელისუფლება ამგვარ შემთხვევებს ნაკლებად ახმაურებს, ოფიციალური პირები ცდილობენ ლოკალური რეპრესიების საშუალებით შეავიწროონ „საუბრების“ მიმართ გულგრილად განწყობილი პედაგოგები. პატრიოტიზმის გაკვეთილების ხელშესაწყობად და ურჩი კადრების გასაკონტროლებლად დიდი ქალაქების სკოლებში მეთვალყურეობის რეჟიმი უკვე დაწესდა. ორშაბათ დილით გასამართ ღონისძიებებს სასწავლებლის ადმინისტრაციის წევრები, ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები და „დამსმენებიც“ ესწრებიან, მასწავლებელთა ყველა სიტყვა იწონება, მოვლენილი პირები სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციისგან განსხვავებულ მოსაზრებას ადგილზევე ახშობენ.

რუსული მაგალითი საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ერთმანეთს, თუ რა არის ელემენტარული, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მეცნიერებების საჯარო სკოლებში სწავლების დროს:

1. გაკვეთილის შინაარსზე გავლენას არ უნდა ახდენდეს პარტიული კონიუნქტურა და დღის წესრიგი;
2. მასალა არ უნდა იყოს პროპაგანდისტული, ტექსტები მოსწავლეებს აბსოლუტური, უცილობელი ჭეშმარიტების შესახებ არ უნდა მოუთხრობდნენ.
3. მასწავლებელსა და მოსწავლეებს თემატიკაზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმის საშუალება უნდა ჰქონდეთ.
4. გაკვეთილზე აკადემიური თავისუფლება უნდა სუფევდეს, პროცესის მონაწილეებს არ უნდა ჰქონდეთ დასმენის, შევიწროების შიში.
5. სამშობლოს ინტერესები და ზოგადჰუმანური ღირებულებები არ შეიძლება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ.

ნათია
ურავა

მასწავლებლის
გზა

მასწავლებლის გზა პროფესიული და პიროვნული განვითარების უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს თვითანალიზს, მუდმივ სწავლებას და პროფესიული უნარების სრულყოფას. ეს გზა მასწავლებლისგან მოითხოვს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნას, არამედ ბავშვის ფსიქოლოგიის, კლასის მართვის, კომუნიკაციის, სწავლების სტრატეგიების ცოდნას და ემპათიურობას, რაც მასწავლებელს ეხმარება შექმნას – თითოეული მოსწავლის უნიკალურ საჭიროებაზე მორგებული სასწავლო გარემო.

სწავლების პროცესში მასწავლებელი ხდება მოსწავლის მხარდამჭერი, ამიტომ აუცილებელია, მას ჰქონდეს მაღალი მორალური და ემოციური სტაბილურობა.

თითოეული მოსწავლე განსხვავებულია, რაც მასწავლებლისაგან მოითხოვს ინდივიდუალური მიდგომებისა და შემოქმედებითი მეთოდების გამოყენებას, რათა სწავლა გახდეს უფრო საინტერესო და შედეგიანი.

მასწავლებლები ხშირად გადიან ტრენინგებს, ატარებენ კვლევებს და ცვლიან სწავლების სტრატეგიებს იმისათვის, რომ ფეხი აუწყონ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და სიახლეებს.

მოსწავლეების ქცევისა და საჭიროებების გაგება, მათი მოტივაციისა და ემოციური მდგომარეობის სწორად აღქმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

დაწყებითი კლასების მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პოზიციაა განათლებაში. დაწყებითი კლასების მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვების საწყისი კოგნიტური, სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას და ქმნიან ბაზისს, რომელზეც მოსწავლეების განათლება და პიროვნული განვითარება დგას. ისინი ასწავლიან არა მხოლოდ აკადემიურ

საკითხებს, არამედ ზრუნავენ, რომ მოზარდებს შესაბამისად განუვითარდეს ცხოვრებისეული უნარები, დამოუკიდებელი აზროვნება და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა.

დაწყებითი კლასების მასწავლებელი დიდ გავლენას ახდენს: მოსწავლეების მოტივაციაზე, სწავლისადმი დამოკიდებულებაზე და ზოგადად მათი პიროვნული ზრდის მიმართულებაზე, რაც მნიშვნელოვანია მათი შემდგომი წარმატებისთვის.

სამართლიანი და თანასწორი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი საკითხია კლასის მართვის კვლევებში (Gregory, Skiba, & Noguera, 2010). კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეების მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება ხელს უწყობს მათი მოტივაციისა და წარმატების ზრდას, ამცირებს კონფლიქტებს. კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლების და მშობლების მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ბავშვის წარმატებისთვის (Epstein, 2011). ამ ტიპის ურთიერთობები ხელს უწყობს მასწავლებელს, უკეთ გაიცნოს თითოეული მოსწავლე და ეფექტურად მოარგოს სწავლების მეთოდები. ბავშვების ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება და მათთან გულწრფელი და მხარდამჭერი ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს უწყობს მათი თვითშეფასების ამაღლებას და მოტივაციას (Pianta, Hamre, & Allen, 2012).

კვლევებზე დაყრდნობით იკვეთება ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვა მასწავლებლებს დაეხმარება საკუთარი პროფესიული გზის უკეთ გაცნობიერებაში იმისათვის, რომ შექმნან სწავლისთვის ხელშეწყობილი და პოზიტიური გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია განვითარება.

1. **სიყვარული და პატივისცემა ბავშვებისადმი** – ბავშვების სიყვარულის და პატივისცემის უნარი ერთ-ერთი უმთავრესია პედაგოგისთვის. მოსწავლეებთან ნდობისა და სიყვარულის მოპოვება დაგეხმარებათ მათთან ახლო კავშირის დამყარებაში, რაც სწავლას ეფექტიანს გახდის.

   ბავშვები უკეთ სწავლობენ ისეთ გარემოში, სადაც მათ უსმენენ და აფასებენ. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ზრუნავდეს და პატივს სცემდეს მას. დადებითი ემოციები ბავშვების მოტივაციას ზრდის და სწავლის უნარს ავითარებს.

   მაგალითად, სასურველია, მასწავლებელი დაინტერესდეს თითოეული მოსწავლით, მოკლედ ესაუბროს და გაიგოს მისი საჭიროებები, ეს დაეხმარება მოზარდებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათი აზრი და ემოციები მნიშვნელოვანია.

2. **განსხვავებული მიდგომები და კრეატიულობა** – გაკვეთილების მრავალფეროვნება და კრეატიულობა მოსწავლეებს ინტერესს უღვიძებს. სხვადასხვა მეთოდით და აქტივობებით ბავშვებს შანსი ეძლევათ, უკეთ გაიგონ საგანი და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

   მოსწავლეებს მოსწონთ ინტერაქტიური გაკვეთილები, სადაც სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებაა შესაძლებელი, რაც მათ ეხმარება, აღიქვან ინფორმაცია სხვადასხვა კუთხით და განივითარონ კრიტიკული აზროვნება და კრეატიული უნარები.



მაგალითად, თუ ისტორიის გაკვეთილია, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს მისცეს დავალება, შექმნან მოკლე დრამატული სცენარი იმ ისტორიული მოვლენების მიხედვით, რომელსაც იმ დროისთვის სწავლობენ. ამგვარი მიდგომა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ჩაერთონ აქტიურად და უფრო ღრმად გაიგონ ისტორიის საგანი.

ან დაწყებით კლასებში ასო-ბგერების შესწავლისას თუ გამოვიყენებთ აქტივობას, როცა მოსწავლეებს შორის სპინერის გამოყენებით გავანაწილებთ ასო-ბგერებს და ვთხოვთ მათ, შესაბამის ასო ბგერაზე დაწყებული საგნები ჩახატონ წინასწარ გამზადებულ სამუშაო ფურცელში, რომელსაც ფოტოაპარატის ფირის დიზაინი აქვს, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან ამ აქტივობაში, რადგან ეს მიდგომა უჩენთ განცდას, რომ შეუძლიათ „ცოდნა ფირზე დაბეჭდონ“.

3. **მშობლებთან თანამშრომლობა** – მშობლებთან ურთიერთობა პროფესიული კომუნიკაციის საფუძველია. მშობლებთან სწორი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა განვითარებაზე პასუხისმგებლობის გაზიარებაში. გახსოვდეთ, რომ მშობლებთან საქმიანი, მაგრამ მეგობრული და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა სასწავლო პროცესს მეტად სასარგებლოს გახდის. მშობლების ჩართულობა ბავშვის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. თანამშრომლობა მშობლებთან აძლიერებს მასწავლებლის შესაძლებლობას, უფრო სრულყოფილად გაიგოს მოსწავლის საჭიროებები და მიზნები.

მაგალითად, ყოველი სემესტრის დასაწყისში მასწავლებელს შეუძლია, მშობლებს გაუზიაროს სწავლის სტრატეგიები, რომელსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესში და სთხოვოს მათ, გამოთქვან აზრი ამის შესახებ, უკუკავშირი ასეთ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, მშობლებთან შეხვედრის დროს მასწავლებელი გააცნობს მათ სამუშაო გეგმას, შესთავაზებს აქტივობებს, რომელიც დაეხმარება მათ შვილებთან ურთიერთობაში და საშინაო დავალებების შესრულების დროს შვილების მხარდაჭერაში.

4. **კოლეგებთან ურთიერთობა** – კოლეგებთან თანამშრომლობა, ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება და გამოცდილების გაზიარება დაგეხმარებათ პროფესიულ ზრდაში. ერთმანეთის გაკვეთილების შეფასება და რეკომენდაციების მიღება ეფექტური სწავლებისათვის მნიშვნელოვანია.

   მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება გადაწყვიტოს, თვეში ერთხელ დაესწროს რომელიმე კოლეგის გაკვეთილს და შემდეგ ერთად განიხილონ გაკვეთილის დეტალები, შეარჩიონ აქტივობები, შეარჩიონ ხარვეზის აღმოფხვრის ეფექტიანი გზა. ამგვარი ურთიერთობებით მასწავლებელი აგროვებს პრაქტიკულ გამოცდილებას და ახალ მიდგომებს საკუთარი გაკვეთილებისთვის.

   ასევე ეფექტიანია ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში კოლეგებთან თანამშრომლობა, რაც ახალი იდეების გაღრმავებას და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. გუნდის სხვა წევრებთან აზრის გაზიარება აძლიერებს მასწავლებლის პროფესიულ გამოცდილებას და ეხმარება პრობლემების სწრაფად გადაჭრაში.

5. **სამართლიანობა და პატივისცემა** – მოსწავლეებთან სამართლიანი დამოკიდებულება მათი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. მოსწავლეები გრძნობენ, როცა მათ ქმედებებს სამართლიანად აფასებთ და თავს დაცულად გრძნობენ ასეთ გარემოში.

   სამართლიანი დამოკიდებულება მოსწავლეებში ნდობის განცდას აჩენს და ეხმარება მათ გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი.

   მაგალითად, თუ მოსწავლეები გუნდურად ასრულებენ დავალებას, მასწავლებელი მათ ნამუშევრებს თანაბრად აფასებს, თუმცა სამართლიანი შეფასებისთვის, ინდივიდუალური წვლილიც უნდა გაითვალისწინოს.

6. **გულწრფელობა და დისტანცია** – ბავშვებთან გულწრფელობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ადვილად გრძნობენ არაგულწრფელ დამოკიდებულებას. დისტანციის დაცვა კი აუცილებელია, რათა პროფესიული და პირადი ურთიერთობა გამიჯნული დარჩეს.

   მოსწავლეები განსაკუთრებით გრძნობენ მათდამი ემპათიას, რაც ეხმარება მათ მასწავლებელთან ღია და გულწრფელი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. თუმცა, წესრიგისთვის და სწავლის პროცესის გამართულად წარმართვისთვის დისტანცია აუცილებელია.

   მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება გულწრფელად აუხსნას მოსწავლეებს თავისი მოსაზრება რაიმე საკითხზე. გაკვეთილის დასრულების შემდეგ შეუძლია იხუმროს და სახალისო ამბით გაართოს მოსწავლეები, თუმცა გაკვეთილის მიმდინარეობისას საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება უნდა შეინარჩუნოს.

7. **ემოციური მხარდაჭერა და დახმარება** – მასწავლებელს ევალება მოსწავლეთა ემოციური მხარდაჭერა. გახსოვდეთ, რომ ბავშვებსაც აქვთ პრობლემები და ხშირად სჭირდებათ მასწავლებლის მხარდაჭერა.

   ბევრი ბავშვი სასწავლო პროცესში პირად სირთულეებსაც აწყდება, რაც მათ სწავლის მიმართ დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლის მხარდაჭერა დაეხმარება ბავშვს, სტრესული მომენტები იოლად დაძლიოს.

   მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ მოსწავლე ხშირად დაღლილია და გაკვეთილებზე ნაკლებად აქტიურია, შეუძლია შესთავაზოს მხარდაჭერა და გაესაუბროს მოსწავლეს, გაარკვიოს პრობლემა და დაეხმაროს მის გადაჭრაში.

8. **პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი** – მასწავლებელმა უნდა დაიცვას პროფესიული და ზნეობრივი სტანდარტები. მოსწავლეებისთვის ზნეობის, მეგობრობის, სამართლიანობის მაგალითის მიცემა ქცევით და არა მხოლოდ სიტყვებით, დიდ გავლენას ახდენს მათზე.

   პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი მასწავლებლისთვის აუცილებელია, რადგან მოსწავლის წარმატება და განვითარება ამაზეა დამოკიდებულია. მასწავლებელი მაგალითია მოსწავლეებისთვის და მისი ქცევა მათზე დიდ გავლენას ახდენს.

   მაგალითად, მასწავლებელი მუდამ დროულად მოდის გაკვეთილებზე, კლასში ინარჩუნებს წესრიგს, როცა ბავშვი წესებს არღვევს, სწორი კომუნიკაციის საშუალებით ცდილობს დაანა-

ხოს მოსწავლეს, რა შეეშალა, რატომ არის ეს საქციელი ხელისშემშლელი სასწავლო პროცესისთვის.

ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებთან, სამართლიანი და თანასწორი ურთიერთობა, მენტორებთან თანამშრომლობა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელს მოსწავლეებთან მტკიცე კავშირის ჩამოყალიბებაში და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში. ამასთან, მშობლებთან პოზიტიური პარტნიორობა, უკუკავშირის მიღება, პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა და პროფესიული განვითარებისთვის მუდმივი მზადყოფნა ზრდის მასწავლებლის თავდაჯერებულობას და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობებს. ეს ნაბიჯები მასწავლებელს ეხმარება არა მხოლოდ ცოდნის გაზიარებაში, არამედ ისეთი გარემოს შექმნაში, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია წარმატების მიღწევა.

ძირითადი წყაროები

1. Caspersen, J., & Raaen, F. D. (2014). Novice teachers and how they cope. *Teachers and Teaching: Theory and Practice*, 20(2), 189-211.
2. Epstein, J. L. (2011). School, family, and community partnerships: Preparing educators and improving schools. Boulder, CO: Westview Press.
3. Gregory, A., Skiba, R. J., & Noguera, P. A. (2010). The achievement gap and the discipline gap: Two sides of the same coin? *Educational Researcher*, 39(1), 59-68.
4. Hattie, J. (2009). *Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta-Analyses Relating to Achievement*. Routledge.
5. Pianta, R. C., Hamre, B. K., & Allen, J. P. (2012). Teacher-student relationships and engagement: Conceptualizing, measuring, and improving the capacity of classroom interactions. In S.L. Christenson, A. L. Reschly, & C. Wylie (Eds.), *Handbook of Research on Student Engagement* (pp. 365-386). Springer Science+Business Media.
6. Smith, T. M., & Ingersoll, R. M. (2004). Reducing teacher turnover: What are the components of effective induction? *American Educational Research Journal*, 41(3), 681-714.

ქეთევან
ოსიაშვილი

როგორ ამოვიცნოთ ძალადობა ბავშვებში. კონფლიქტის მახასიათებლები

ძალადობის თემა ბავშვებში დღეს საკმაოდ აქტუალურია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მშობლების მომართვიანობა შვილის პრობლემებთან დაკავშირებით ძირითადად ამ საკითხს უკავშირდება – „ჩემს შვილს კლასელები აბულინგებენ“, „ჩემს ბიჭს სკოლაში წასვლა აღარ უნდა, ვფიქრობ, თანატოლები ჩაგრავენ და ცუდად გრძნობს თავს“. ეს ის ფრაზებია, რომლებიც ყოველდღიურად გვესმის მშობლებისგან.

როგორ ამოვიცნოთ ძალადობა, შეიძლება თუ არა ბავშვებს შორის ნებისმიერი უთანხმოება, ჩხუბი, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, შეხლა-შემოხლა ბულინგად მივიჩნიოთ. ბულინგთან დაკავშირებულ შეხედულებებში იკვეთება ორი უკიდურესობა – ერთი მხრივ, არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო, ადამიანები ხშირად ინარჩუნებენ ტოლერანტობას მრავალი სახის ძალადობის მიმართ და ბავშვის დაცინვას, მის მიმართ შეურაცხმყოფელი მეტსახელების გამოყენებას, მასზე ჭორების გავრცელებას თამაშად ან ხუმრობად აღიქვამენ მაშინაც კი, როცა ეს სისტემატურად ხდება. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როცა ხდება ცნებების არევა და სიტყვა ბულინგის გამოყენება ბავშვებს შორის ნებისმიერი სახის კონფლიქტის აღსაწერად. კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვთა ჯგუფებში თანატოლები არცთუ იშვიათად ჩხუბობენ, კამათობენ, კონფლიქტშიც შედიან ერთმანეთთან, მაგრამ აღნიშნული ქმედებები, როგორც წესი, ჯგუფის განვითარების ნორმალური ეტაპია. ხშირად ამგვარი კონფლიქტები და მათი დაძლევა ბავშვებს კიდევ უფრო აერთიანებს.

როგორ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან უვნებელი კონფლიქტი და ძალადობა. კონფლიქტის მახასიათებლები: ხდება ერთჯერადად; ფიქსირდება მხარეთა დაახლოებით ერთნაირი რეაქცია; არ არის სერიოზული შედეგების მომტანი ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ჯანმ-

რთელობისათვის; არაგანგრძობადია. მაგრამ, თუ ბავშვს თანატოლები სისტემატურად დასცინიან, აღიზიანებენ, აშინებენ, არ სურთ მასთან მეგობრობა, თამაში ან მის გვერდით ჯდომა, ფიზიკურად ჩაგრავენ, სცემენ, ეს უკვე ბულინგია, ძალადობაა, რომელიც თავისთავად არ გაივლის, არ გაქრება. ბავშვი უფროსის გარეშე ვერ გაუმკლავდება აღნიშნულ სიტუაციას.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება იმის ამოსაცნობად, ხომ არ გახდა მოზარდი ძალადობის მსხვერპლი:

- ბავშვის ქცევისა და გუნება-განწყობის ნებისმიერი უეცარი, მკვეთრი ცვლილება – ჩაკეტილობა, აგრესია, გამომწვევი ქცევა, იკეტება ოთახში და უარს ამბობს კომუნიკაციაზე ოჯახის წევრებთან;
- მომატებული გაღიზიანებადობა, ფეთქებადობა, სისასტიკე შინაური ცხოველების, ან მასზე უმცროსი ბავშვების მიმართ;
- გულჩვილობა – ხშირად ტირის. შიში – ბავშვს უჩნდება შიში იმის მიმართ, რაც ადრე საერთოდ არ აშინებდა;
- გარკვეული ფიზიკური ნიშნები – ჩალურჯებები, ნაკაწრები სხეულზე, რომელთა მიზეზების შესახებ საუბარზე ბავშვი უარს ამბობს, ან მათ შეგნებულად რაიმე მნიშვნელობას არ ანიჭებს;
- ძილის დარღვევა – დიდ დროს ანდომებს ჩაძინებას, ესიზმრება კოშმარები, უჭირს დილით ადგომა, განსაკუთრებით მაშინ, თუ სკოლაშია წასასვლელი;
- მადის დაკარგვა, ან პირიქით – გაძლიერება. უარს ამბობს ჭამაზე, ან საკმაოდ ბევრს ჭამს;
- ხშირად კარგავს ნივთებს, ან მისი ნივთები დახეული და დათხვრილია;
- ითხოვს დამატებით ჯიბის ფულს;
- ფიქსირდება ჩივილები ისეთ რამეზე, რაც ადრე საერთოდ არ აწუხებდა, მაგ. ადრე არ აღელვებდა სიმაღლე, წონა, გარეგნობა, ოჯახური შემოსავალი, ახლა კი ამ ყველაფერზე წუწუნს იწყებს;
- სკოლაში სიარულის სურვილის არქონა. უსიამოვნო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით ხშირად ასეთი ბავშვები აგვიანებენ გაკვეთილზე, ან საერთოდ აცდენენ სკოლას, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო გაატარონ თანატოლთა შორის, ან პირიქით – გაკვეთილების შემდეგ განგებ ყოვნდებიან და არ ჩქარობენ სკოლის დატოვებას, ელოდებიან, თუ როდის წავლენ სხვა ბავშვები;
- აკადემიური მოსწრების დაქვეითება სტრესის გამო. ბულინგის მსხვერპლს, როგორც წესი, უჭირს სათანადო დრო დაუთმოს სწავლას, სრულფასოვნად ჩაებას სასწავლო პროცესში – უჭირს გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრირება, მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება;
- ქვეითდება თვითშეფასება, ბავშვი კარგავს თავდაჯერებულობას, საკუთარი ძალების რწმენას. გარდა ამისა, ხშირად მოზარდს უვითარდება დანაშაულის კომპლექსი იმის გამო, რომ მის მიმართ ხორციელდება ძალადობა;
- ჩნდება ტკივილები, რომელთაც არა აქვთ ორგანული ბუნება – უეცარი ტკივილი მუცლის, თავის არეში;

- თავს იჩენს სირთულეები კომუნიკაციაში – საკუთარ თავში დაურწმუნებელი ბავშვისთვის რთულია ურთიერთობა უცხო ადამიანებთან და ახალი მეგობრების შეძენა, მათი ნდობა. ხშირად ძალადობის მსხვერპლი ბავშვები შეგნებულად, გააზრებულად იზოლირებულები არიან თანატოლებისაგან და ცდილობენ, არ ჩაერთონ ჯგუფურ საქმიანობაში.

ხშირ შემთხვევაში, ბავშვები კატეგორიულ უარს აცხადებენ იმის განხილვაზე, რაც ხდება. ხანდახან ასე იქცევიან იმის გამო, რომ არ გაანაწყენონ, არ შეაწუხონ მშობლები. შეიძლება ეშინოდეთ კიდეც, რომ უფროსები დაეთანხმებიან მოძალადეს და არ მოისურვებენ მათ დახმარებას. არ არის გამორიცხული ბავშვი ფიქრობდეს, რომ თქმით სიტუაცია უფრო გაუარესდება მისთვის, რადგან შესაძლოა კლასში მაბეზღარა დაუძახონ.

რეკომენდაციები – როგორ დავეხმაროთ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს?

- თუ ეჭვი გვაქვს, რომ ბავშვს აბულინგებენ, ამას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ და არ გადავდოთ პრობლემის მოგვარება. გავითვალისწინოთ, რომ ბულინგს ბავშვი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. ამიტომ, არ უნდა მოველოდეთ, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება;
- გამოვიწვიოთ ბავშვი საუბარზე მაშინაც კი, თუ ის ყველანაირად თავს არიდებს ამას. გავაგებინოთ, ავუხსნათ, რომ ჩვენ ვხვდებით მას რაღაც აწუხებს, მის თავს რაღაც ხდება, ვგრძნობთ, რაღაც ისე არ არის, გვსურს დავეხმაროთ და მზად ვართ, დაველოდოთ, რომ მან მოისურვოს ჩვენთან საუბრის დაწყება. ავუხსნათ, რომ არ გავკიცხავთ, არ ვეჩხუბებით მას. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ყოველთვის მის გვერდით ვიქნებით და დავეხმარებით. შეიძლება ბავშვი ასეთი საუბრისკენ წავახალისოთ სასკოლო ცხოვრების განხილვით – „რა მოგწონს და რა არ მოგწონს სკოლაში“, „რას აკეთებ შესვენებების დროს“, „ვისთან ერთად ატარებ დროს. არის ვინმე, ვისთან ერთადაც არ მოგწონს დროის გატარება და რატომ ხდება ეს?“, „გინდა, სადმე წახვიდე შენს კლასთან ერთად, და თუ არა, რატომ?“. ფილმების ერთად ყურება ან წიგნების განხილვა ასევე ხელს შეუწყობს ამ თემაზე საუბარს. ეს კარგი გზაა პრობლემის შესახებ საუბრის დასაწყებად;
- მას შემდეგ, რაც დავამყარებთ ბავშვთან კონტაქტს, გამოვიწვევთ საუბარზე და განვიხილავთ სიტუაციას, შევაქოთ ის ღიაობისთვის და მხარი დავუჭიროთ, ვაგრძნობინოთ, რომ მის გვერდით ვართ და მზად ვართ დასახმარებლად. ამასთან, ნუ მივცემთ არარეალურ დაპირებებს, ნუ დავაიმედებთ, რომ სწრაფად გავერკვევით ყველაფერში და ხვალიდან ბულინგი შეწყდება. გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული სიტუაციის მოგვარება ხანგრძლივი და რთული პროცესია;
- ბულინგის დასაძლევად მოქმედების გეგმა უნდა განვიხილოთ და შევათანხმოთ ბავშვთან. იგნორირებას ნუ გავუკეთებთ და განზე ნუ გავწევთ მას სიტყვებით: „კარგი, ყველაფერი გასაგებია, დანარჩენს მე თავად მივხედავ“. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ახლა ისიც ახდენს გავლენას იმაზე, რაც ხდება. ბულინგი ცალსახად ნეგატიური სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ მოზარდს მისი დაძლევის გზები;
- პრობლემის დასაძლევად აუცილებელია ოჯახისა და სკოლის, მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობა. ბულინგი ჯგუფის პრობლემაა და მისი გადაჭრა დისტანციურად, პედაგო-

გების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ერთობლივი;

- მოვერიდოთ ბულინგის მსხვერპლ ბავშვთან ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა, მაგ. „აბა დაფიქრდი, რატომ გაგანაწყენეს მაინცდამაინც შენ“, „შენ თავად ხარ დამნაშავე“, „რაღაც გჭირს“, „მიზეზი საკუთარ თავში ეძებე“, „უბრალოდ შენ არ ხარ საკმარისად ძლიერი, ამიტომ ხდება ასე“ და ა.შ. თუ ჩვენ, უფროსები, დავარწმუნებთ ძალადობის მსხვერპლ ბავშვს, რომ მას რაღაც სჭირს, დროთა განმავლობაში ის აღმოაჩენს საკუთარ თავში ამ ნაკლოვანებებს და გულწრფელად დაიჯერებს, რომ ამ ნაკლოვანებების გამო მასზე შეიძლება ძალადობა, რომ ის მართლაც იმსახურებს მასზე ძალადობდნენ და შეურაცხყოფდნენ, რაც მას დეპრესიულ მდგომარეობაში ჩააყენებს და ახალ პრობლემას გაგვიჩენს;
- მოვერიდოთ ბავშვის პრობლემის გაუფასურებას – „არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევ“, „იგნორირება მოახდინე, ეს მას მალე მოჰბეზრდება“, „ისეთი სახე მიიღე ,თითქოს შენზე ეს ყველაფერი არ მოქმედებს, ყველაფრით კმაყოფილი ხარ“. ასეთი მიდგომით ჩვენ არათუ პრობლემის მოგვარებაში ვერ დავეხმარებით ბავშვს, არამედ მის ნდობასაც დავკარგავთ;
- ვიყოთ ღია, გახსნილი და გულწრფელი ბავშვთან. კარგი კონტაქტი, კეთილგანწყობა და ნებისმიერი თემის განხილვის მზაობა წარმატების წინაპირობაა. მნიშვნელოვანია, მივაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის დასაშვები ურთიერთობაში და რა არა. ეს ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადადგმული პირველი ნაბიჯია.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ ბულინგი ზიანს აყენებს მთელ კლასს, რამდენადაც ძალადობის სიტუაციებში ბავშვები მთელ ენერგიას ხარჯავენ იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდნენ მას და სრულფასოვან სწავლასა და მეცადინეობაზე დრო აღარ რჩებათ. ამდენად, ბულინგის უყურადღებოდ დატოვება გაუმართლებელია. ამასთან, საყურადღებოა, რომ როცა ბულინგთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარდება, სიტუაცია გაირკვევა, ბავშვი მიიღებს დადებით გამოცდილებას რთული ცხოვრებისეული სიტუაციების გადასაწყვეტად.

თინათინ
ზარდიაშვილი

მე შენი ჩრდილი ვარ — რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის

მასწავლებლებისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა სსსმ მოსწავ-ლეებთან მუშაობა, მით უმეტეს, თუ კლასი მრავალრიცხოვა-ნია. მეთერთმეტე კლასში ფიზიკაში ისწავლება ოპტიკა, სინათ-ლის კანონები. ერთ-ერთი ქვესაკითხია სინათლის გავრცელება და ჩრდილის წარმოქმნა. გთავაზობთ ადაპტირებულ ტექსტს და ფოტო მასალას იმ სსსმ-თვის, რომელსაც გონებრივი განვითარე-ბის შეფერხება აქვს.

„მე ყოველთვის შენთან ერთად ვარ, იქ დავდივარ, სადაც შენ.

თუ სკოლაში მიდიხარ, მეც სკოლაში მივდივარ. ზოგჯერ შენ წინ ვარ, ზოგჯერ – შენ უკან.

არსებობს ისეთი დრო, როცა შენთან არ ვარ? თუ ღრუბლებია ცაში, მე არ ვარ შენთან,

თუ ბნელ ოთახში ხარ, არც იქ ვარ, მიხვდი, რა ვარ? ზოგჯერ ძა-ლიან მაღალი ვარ,

ზოგჯერ ძალიან დაბალი. რაზეა ეს დამოკიდებული?

თუ დილაა და გარეთ ხარ, მე მაღალი ვარ; შუადღისასაც ძალიან მაღალი ვარ,

საღამოს მოახლოებისას კი ვპატარავდები.

მე იქ დავდივარ, სადაც შენ. შენ მოძრაობ, მეც ვმოძრაობ.

მე ვჩნდები მიწაზე, მე ვჩნდები კედელზე. იცი რა ვარ? მე შენი ჩრდილი ვარ“.

ეს ტექსტი მშობლის და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით განვიხილეთ. მოსწავლემ აღწერა, რას ხედავს ფოტოზე.

ჩრდილი მაშინ ჩნდება, როცა სხეული სინათლეს წინ ეღობება.

ზოგიერთ საგანს შეუძლია სინათლე გაატაროს, მაგალითად, ფანჯრის მინას. მას არ აქვს ჩრდილი.

სინათლეს შეუძლია გავიდეს ზოგიერთ სხეულში. სინათლე გადის მინაში.

ჩრდილი კი მაშინ წარმოიქმნება, როცა ვერ გადის სხეულში. (*ხელებს დაიკავებს როგორც ფოტოზეა წარმოდგენილი და მიხვდება, რომ ჩრდილი ზუსტად ისეთი ფორმისაა, როგორც ხელი).*



სინათლე სწორ ხაზზე მოგზაურობს. ასე რომ არ იყოს, შემოგვივლიდა. მისი სწორ ხაზზე მოძრაობის გამო ჩვენი სხეულის ფორმის ჩრდილი მიიღება.

შენ მოძრაობ და ჩრდილიც შენთან ერთად, როგორ ახერხებს ჩრდილი მოძრაობას?

სად ჩნდება ჩრდილი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან მოდის სინათლე.

თუ სინათლე მარცხნიდან მოდის, ჩრდილი შენგან მარჯვნივაა, თუ სინათლე უკანა მხრიდან მოდის, ჩრდილი შენ წინაა.

სინათლის წყაროს მოძრაობის გამო მოძრაობს ჩრდილიც. მზე სინათლის წყაროა, მზის ჩასვლისას მისი ჩრდილი მოკლეა, ამოსვლისას – გრძელი.





სადაა ჩრდილი, თუ მზე თავზე დაგნათის? ის შენ ქვეშაა. ჩრდილი ყოველთვის სინათლის წყაროს საპირისპიროდაა.

სინათლე მჭირდება, სამყარო რომ დავინახო.

საიდან მოდის სინათლე?

სინათლის მრავალი წყარო არსებობს. შემიძლია ისეთი სხეულების დანახვა, რომლებიც ანათებენ. მანათობელი ცხოველებიც არსებობენ. დედამიწაზე სინათლე მზიდან მოდის, თუ ოთახში მიმოიხედავ ისეთ სხეულებს აღმოაჩენ, რომლებიც ანათებენ *(აქ მოსწავლე დაასახელებს იმ სხეულებს, რომლებიც აქვს სახლში და ანათებს, მაგალითად, ნათურა, ტელევიზორი, კომპიუტერის ეკრანი და სხვა).*

როგორ ვხედავთ იმ სხეულებს, რომლებიც თვითონ არ ანათებენ? სინათლე სხეულიდან უკან ბრუნდება. სინათლის უკან დაბრუნებას არეკვლა ჰქვია.

რატომ არის სხეულები სხვადასხვა ფერის? სინათლე თეთრია, მაგრამ სხვადასხვა ფერებისგან შედგება. სხეულს იმ ფერად ვხედავთ, რომელი ფერის სინათლესაც ის აირეკლავს.

რა მოსდის იმ ფერის სინათლეს, რომელსაც არ აირეკლავს? ის შთაინთქმება.

ზოგ სხეულში სინათლე გადის. მაგალითად, მინაში.

დასკვნა: ვხედავ სხეულებს, რომლებიც ანათებენ;

ვხედავ სხეულებს, რომლებიც ირეკლავენ სინათლეს. არეკლილი სხივები თვალში შედის.

სინათლის გარეშე ვერ დავინახავ სამყაროს.

მძღოლი ჩერდება შუქნიშანზე, რადგან წითელია და მწვანე სინათლის ანთებას ელოდება. ხან მარცხნივ იყურება, ხან მარჯვნივ, სხვა მძღოლი კი უსიგნალებს.

ბგერა სიგნალია, მანქანის მძღოლს მოძრაობა უნდა და წინა მანქანა რომ არ იძვრის, ამიტომ უგზავნის ბგერით სიგნალებს. შუქნიშანზე მწვანეა, აჭერს ფეხს სატერფულს და მანქანაც მიქრის.

მძღოლმა მარცხნივ მოხვევა გადაწყვიტა, ამიტომ მარცხენა ციმციმა ჩართო, გადავიდა მეორე ზოლში და გათიშა ციმციმა. ამით სხვა მძღოლს აცნობს საკუთარი გეგმის შესახებ.

როგორ იგებს მძღოლი, რომ შუქნიშანთან გაჩერდეს? ამას სინათლის ფერით ხვდება. წითელი „ეუბნება“ გაჩერდიო, მწვანე კი „ეუბნება“ წადიო. ყვითელი აფრთხილებს.

შუქნიშნის ფერი იძლევა ინფორმაციას, ის გვესაუბრება, სიტყვების გარეშე.

მძღოლები ხმოვანი სიგნალით ეკონტაქტებიან ერთმანეთს. ამ გზით მძღოლებიც ელაპარაკებიან ერთმანეთს.

ავტომობილიც ესაუბრება მძღოლსა და მგზავრებს.

- ღვედი შეიკარი;
- საბურავი დაშვებულია;
- შეამოწმე ზეთი;

ყველა ეს ნიშანი გამაფრთხილებელია.

წყარო

1. Ck12.org

მაია
ფირჩხაძე

საგაკვეთილო აქტივობები მედიაწიგნიერების უნარების ფორმირებისთვის

თანამედროვე პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელება გულისხმობს მედიაწიგნიერების ფუნქციების – სწავლების (მედიაწიგნიერების), ადაპტაციის, განმავითარებელი და მაორგანიზებელი ფუნქციების გამოყენებასაც, სადაც:

- **„სწავლება“** მოიცავს მედიატექსტების გაცნობას/მიწოდებას/ათვისებას (მათ შორის – თეორიული კუთხითაც), მათ აღქმასა და ანალიზს, უნარს, გამოიყენო ცოდნა სხვადასხვა სიტუაციაში, იაზროვნო, განსაჯო ლოგიკურად;
- **ადაპტაციის ფუნქცია** ვლინდება (წარმოიქმნება) უშუალოდ მედიაკულტურასთან კომუნიკაციის ეტაპზე, კონცეპტუალურ დონეზე;
- **განმავითარებელი ფუნქცია** მოიაზრებს პიროვნების მოტივაციურ, ნებელობით და სხვა პიროვნულ თვისებებზე, მედიაგარემოსთან შემოქმედებითი კონტაქტების დროს მიღებულ გამოცდილებაზე აქცენტირებას;
- **მაორგანიზებელი ფუნქცია** კი გამოიხატება მედიატექსტების ანალიზისთვის საუკეთესო პირობების შექმნით.

საგაკვეთილო პროცესში მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენება გულისხმობს მრავალფეროვან აქტივობებს:

- **დესკრიპტორული** (აღწერითი, ანუ ძირითადი აზრობრივი შინაარსის გამომხატველი დავალებების შეთავაზება მოსწავლეებისთვის), როგორიცაა შინაარსის გადახედვა/გამეორება, მედიატექსტში გადმოცემული მოვლენების ჩამოთვლა/დასახელება;
- **კლასიფიკაციაზე ორიენტირებული სავარჯიშოები** (ისტორიულ და სოციოკულტურულ კონტექსტში მედიატექსტის ადგილის განსაზღვრა);

- **ანალიტიკური ხასიათის დავალებები** (როგორიცაა მედიატექსტის სტრუქტურის ანალიზი, მედიატექსტის ენის განსაზღვრა, ავტორისეული კონცეფციების განხილვა და ა.შ.);
- **პერსონალური** (მედიატექსტით გამოწვეული გრძნობების, მოგონებების, განცდების აღწერა);
- **დამოკიდებულებებზე, ღირებულებებზე** ორიენტირებული დავალებები;
- **მედიატექსტის შეფასება, მისი ღირებულების განსაზღვრა** (მაგალითად, ესთეტიკური და მორალური კრიტერიუმების შესაბამისად).

დავალებები, რომლებსაც ამ დროს ვთავაზობთ მოსწავლეს, ტიპოლოგიურად შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- **სასწავლო მასალის შინაარსის** (ფაქტებისა და მოვლენების) **მიხედვით**;
- **დავალების შინაარსის მიხედვით** (კონკრეტულად რას ითხოვს მედიატექსტი: მხატვრულ ანალიზს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას თუ სხვ.);
- **ლიტერატურული და იმიტაციური** (თეატრალიზებული, გამომსახველობითი) **აქტივობები** (სათამაშო თუ სხვ. ტექნოლოგიებით და ტექნიკური საშუალებებით) მედიატექსტზე მუშაობისას კრეატიული იდეების ინიციირებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, სცენარის და მინიგეგმის დაწერა მედიატექსტისთვის, მედიატექსტის შექმნის დროს მისი ამა თუ იმ ნაწილის ინსცენირება და ა.შ) და ა.შ;
- **ვიზუალური აქტივობები** (აფიშების შექმნა, ფოტოკოლაჟი, ნახატები თემასთან ახლოს, ანიმაცია)
  და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შემოქმედებითი, **„ლიტერატურულ-იმიტაციური“ ხასიათის დავალებები მეთოდურად ყოველთვის წარიმართება სათამაშო ტექნოლოგიებით. დასაწყისში მოსწავლეებს ვთავაზობთ, წარმოიდგინონ თავი მედიატექსტის სცენარისტად და დაწერონ:**

1. **ორიგინალური სცენარის გეგმა მედიაკულტურის ნებისმიერი სფეროდან** (ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია: ბეჭდური მედია, აუდიოვიზუალური ფორმები – რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი); მაგალითად, ეკრანიზაცია, ტელესიუჟეტი რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების, რომელიმე ისტორიული პირის შესახებ, პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა, ისტორიული ქრონიკა და ა.შ., რომელიც დაახლოებით 3-5 წუთი გაგრძელდება;
2. **შემდეგ მინისცენარის მიხედვით** შექმნან „რეჟისორული სცენარიც“, სადაც ორიგინალურ ტექსტთან ერთად, თუ ეს ფილმია, გამოჩნდება რაკურსი, კამერის მოძრაობა, მონტაჟის პრინციპები და სხვ.

ამ ტიპის სამუშაოსთვის სცენარის მომზადება მნიშვნელოვანი დეტალია. ამ დროს მოსწავლეებს შორის ნაწილდება „როლები“: „რეჟისორების“, „ტელეოპერატორების“, „ხმის ოპერატორების“, „დიზაინერების“, „მსახიობების“, „გრიმიორების“, „ჟურნალისტების“, „მულტიპლიკატორე-

ბის“, „კომიქსების მხატვრების“, „ელექტრონული სპეცეფექტების სპეციალისტების“ (ტექნიკური მხარდაჭერა) – თანამედროვე ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის მცოდნეები მედიატექსტების შედგენისთვის და სხვ.

ჯგუფი ერთად მუშაობს სცენარზე და ერთად იქმნება საბოლოო პროდუქტი. მიღებული მედიაპროდუქტი შეიძლება სულაც არ იყოს თამაშის ანუ ანიმაციური ტექნოლოგიით შექმნილი და წარმოადგენდეს:

ა) მხოლოდ დოკუმენტურ მედიატექსტს;

ბ) ან ისეთ დოკუმენტურ მედიატექსტს, რომელიც დაეყრდნო მედიაკულტურისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით, მხატვრულ ხერხებს.

მასწავლებელი ორივე შემთხვევაში მხოლოდ მაკორექტირებელ როლს ასრულებს, მისი აუდიტორია კი, შეიძლება ითქვას, ფანტაზიორთა სივრცეა, სადაც საკუთარ მოსაზრებებს, შემოქმედებითობას თავისუფლებას აძლევენ. **მიზანი სასწავლო ამოცანების გადაწყვეტაა და არ გულისხმობს დასრულებული ფორმის მედიაპროდუქტის შექმნას,** რომელსაც პრეტენზია ექნება პროფესიულ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ აქ:

- **მთავარია** არა შედეგი, არამედ თავად **პროცესი, აუდიოვიზუალური ენის, შემოქმედებითი უნარების გამომუშავება;**
- თუმცა, გარკვეულწილად, **მზა მედიატექსტებიც საჭიროებს რეკლამირებას, „ბაზარზე“ „გაყიდვას“, „გავრცელებას“ და ა.შ.** ამ მიზნებს ექვემდებარება პრაქტიკულ სამუშაოში კონკრეტული შემოქმედებითი ამოცანების ჩართვა, რომელიც ავითარებს წარმოსახვას, ფანტაზიას, ასოციაციურ აზროვნებას და აუდიტორიის არავერბალური აღქმის უნარს;
- რაც შეეხება საკუთარი მედიატექსტისთვის **სარეკლამო პლაკატების მომზადებას** (ვარიანტი: პლაკატები პროფესიული მედიატექსტებისთვის), ის შეიძლება შეიქმნას **მედიაკულტურის თემაზე არსებული ნახატების/ფოტოების კოლაჟის საშუალებით ან ხელით დაიხატოს „კომიქსები“** კონკრეტული მედიატექსტების საფუძველზე, რომელიც გარკვეული ასაკის აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი.

ნებისმიერი ეს აქტივობა დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლეთა შორის, მაგრამ განსაკუთრებით ემოციურად ხვდებიან ვიდეორგოლებს. შესაბამისად, მასწავლებელი მეტ ყურადღებას აქცევს ვიდეოსთვის მოსწავლეების მიერ სცენარის დაწერას. ვიდეოს შექმნისთვის სცენარი აუცილებელია. ის ვიდეოწარმოების ფუნდამენტური ელემენტია, ერთგვარი სახელმძღვანელო-ინსტრუმენტი და ამოსავალი წერტილი ყველასთვის, ვინც ვიდეოს შექმნაში მონაწილეობს.

ნებისმიერი ვიდეოსცენარი ძირითადად ოთხი ნაწილისგან შედგება:

1. **შესავალი** (რომელმაც „უნდა აიძულოს“ მსმენელი, ყურადღება მიმართოს ეკრანისკენ);
2. **ძირითადი საკითხები** (მიზანია, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მაყურებელს და გამოიწვიოს მათი ნდობა);
3. **დასკვნა** (მიზანია, კიდევ ერთხელ გააზრებინოს ინფორმაცია მაყურებელს);

4. **მოწოდება მოქმედებისკენ** (რომელმაც მაყურებელს მოქმედებისკენ უნდა უბიძგოს. ღირებულებითი, დამოკიდებულებების თვალსაზრისით, ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია მსმენელისთვის).

სასწავლო, საგანმანათლებლო ვიდეოსცენარის დასაწერად დასაწყისში შეიძლება შაბლონის გამოყენებაც. მთავარია, სქემა იყოს ძალიან მარტივი და მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი. მაგალითად, ვიდეო „სტიქიური მოვლენები – გზამკვლევი“:

1. **შესავალი ნაწილი:** ვიდეოსცენარის დასაწყისში, შესავალში, გამოჩნდება ორგანიზაციის (ჯგუფის, გაერთიანების) ლოგო (ანუ ვინც ქმნის ვიდეოს), შემდეგ კამერა თანდათან გადადის გამოსახულებასა და წამყვანზე;
2. **ძირითადი საკითხები:** წამყვანი ესალმება მაყურებლებს და აუწყებს: „დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ სასწავლო ვიდეორგოლს „სტიქიური მოვლენები – როგორ დავიცვათ თავი სტიქიური უბედურებისგან?“ თქვენი გიდი ვიქნები მე, ექსპერტი სამოქალაქო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში. დღეს მე გაგაცნობთ ამ თემის ძირითად ასპექტებს“. ეკრანზე გამოჩნდება ვიდეოს ცალკეული ნაწილების ტიტრები: „რა არის სტიქიური მოვლენა?“, „როგორ მოვიქცეთ სტიქიის დროს?“, „შედეგები და აღდგენა“.

● ნაწილი პირველი – „რა არის სტიქიური მოვლენა?“

ეკრანზე ჩანს სტიქიური მოვლენის განმარტება: სტიქია არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ატარებს საგანგებო ხასიათს და რომელსაც მოჰყვება მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების დარღვევა, მატერიალურ ღირებულებათა დანგრევა და განადგურება, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს; ხასიათდება მნიშვნელოვანი მასშტაბებითა და სხვადასხვაგვარი ხანგრძლივობით, მაგალითად, მიწისძვრა შეიძლება რამდენიმე წამს გაგრძელდეს, ხოლო წყალდიდობა – თვეობით. სტიქიური უბედურებაა მიწისძვრა, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ. შესაბამისად, ამ დროს რასაც ვაკეთებთ, ეს არის დამაზიანებელი ზემოქმედების მინიმიზაცია და შეჩერება.

● ნაწილი მეორე – „როგორ მოვიქცეთ სტიქიური მოვლენის დროს, როგორ დავიცვათ თავი?“

წამყვანი: ა) ახლა გადავიდეთ მომზადებაზე. უნდა გვქონდეს მოქმედების გეგმა ოჯახის წევრების ევაკუაციისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საკონტაქტო მონაცემები, შეხვედრის ადგილი, გადარჩენისთვის აუცილებელი ელემენტები; ბ) ეკრანზე ჩანს სქემები და ილუსტრაციები, რომლებიც წარმოაჩენს მომზადების ეტაპებს.

წამყვანი: ა) სტიქიური მოვლენის დროს უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ. მიწისძვრის დროს თავი შევაფაროთ მაგიდის ან მყარი საწოლის ქვეშ; წყალდიდობის დროს სასწრაფოდ მოვძებნოთ უფრო მაღალი ადგილები და ვაცნობოთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს; ბ) ეკრანზე ჩანს ანიმაცია, რომელიც გვიჩვენებს სწორ მოქმედებას სხვადასხვა სტიქიური მოვლენის დროს.

წამყვანი: „გახსოვდეთ, რომ თქვენი და თქვენი ახლობლების უსაფრთხოება მთავარია. იმოქმედეთ ინსტრუქციის მიხედვით და არ გარისკოთ“.

- **ნაწილი მესამე – „შედეგები და აღდგენა“**

წამყვანი: ბოლოს, მოდი, ვისაუბროთ სტიქიური უბედურებების შედეგებსა და დაზიანებულის აღდგენაზე. ზიანის შეფასებისა და აღდგენისთვის საჭიროა იმ ადგილობრივ სამსახურებსა და ორგანიზაციებთან დაკავშირება, რომლებიც დაგეხმარებათ ამ პროცესში (ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი რჩევები).

წამყვანი: გახსოვდეთ, რომ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ცოდნა და უახლესი ინფორმაციის ფლობა დაგეხმარებათ, ეფექტურად იმოქმედოთ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.

- **დასასრული:** **წამყვანი** კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს იყო საგანმანათლებლო ვიდეო „სტიქიური უბედურებები – გზამკვლევი“: ვიმედოვნებთ, სასარგებლო ინფორმაცია მიიღეთ და ამიერიდან უფრო თავდაჯერებულად იმოქმედებთ სტიქიური მოვლენების შემთხვევაში. „მოემზადეთ და იყავით უსაფრთხოდ!“

- **მუსიკალური დასასრული.**

მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხელოვნური ინტელექტის (მათ შორის – ნეიროქსელის) გამოყენებით შექმნილი ვიდეომასალები. ამით მასწავლებელს შეუძლია გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, მაგრამ ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, აქტიურად გამოიყენოს მედიაპროდუქტის (მაგალითად, ფილმის/ფრაგმენტის) დეკოდირების (დეკონსტრუქციის) სქემა და მედიაპროდუქტი ეფექტურ სასწავლო რესურსად გადააქციოს.

მაგალითი: **საგანი – ისტორია; თემა – „ანტიკური საქართველო“** (ზოგადი შედეგები: ისტ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12)

მედიაწიგნიერების მიზანი მოცემულ მასალასთან მიმართებით: დესკრიპტორული

დავალების ტიპი: სასწავლო მასალის შინაარსზე ორიენტირებული

I – მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილ სამ-ხუთწუთიან მარტივ მედიაპროდუქტს ანტიკური საქართველოს შესახებ.

https://drive.google.com/file/d/111oSIwo-aOlRnxuz6g0MbKXV0fTN3kUa/view?ts=65b94645

II – შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფილმის დეკოდირების/დეკონსტრუქციის სქემას (სქემა 1) და სთხოვს, აღნიშნულ საკითხებზე იმუშაონ.

სქემა 1.



1. **„დეკოდირება ყოველთვის უნდა დაიწყოთ შეკითხვის დასმით.** შეკითხვები მნიშვნელოვანია სწორი ანალიზისთვის. დეკოდირებისას კითხვები შეიძლება იყოს ზოგადი. რა სახის შეტყობინებებს ხედავთ (გესმით)? რას გრძნობდი, როდესაც უყურებდი (კითხულობდი ან უსმენდი) მედიაშეტყობინებას? გაქვს კომენტარი ან კითხვა დისკუსიის დასაწყებად?

2. **ფილმის / ფილმის ფრაგმენტის დეკოდირების სქემა:**

- რა არის ფრაგმენტის მთავარი თემა? დაასათაურეთ ფრაგმენტი;
- სად ხდება მოქმედება? აღწერეთ სცენა, პერსონაჟები. დაასახელეთ ისინი და შეაფასეთ მონათხრობი სანდოობის თვალსაზრისით;
- შეაფასეთ, ფრაგმენტის შექმნისას გამოყენებულია თუ არა მონტაჟი, კომპილაცია?
- როგორ შესაბამისობაშია ფრაგმენტი ისტორიულ სინამდვილესთან?
- „მჯერა-არ მჯერა“;
- რას აცხადებს პერსონაჟი – „ამბობს თუ არა იმას, რასაც მე ვფიქრობდი, თუ მალავს სიმართლეს?“
- ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას;
- ტექსტს ყოფს შინაარსობრივ ნაწილებად;
- განარჩევს ფაქტს ვარაუდისაგან;
- აჯგუფებს ინფორმაციას სხვადასხვა ნიშნით;
- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებულ კავშირს და გამოაქვს სათანადო დასკვნა.

III – დასასრულ, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ შედეგებს.

IV – რეფლექსია / მოსწავლეთა თვითშეფასება

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს თავად შეაქმნევინოს ორ-სამწუთიანი მედიაპროდუქტები, ამგვარად წაახალისოს მათი შემოქმედებითობა და ამით გააუმჯობესოს მათი მედიაუნარები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Media Literacy: Potter, W. James (2001)
   https://archive.org/details/medialiteracy0000pott_t0v8/page/n7/mode/2up
2. ნატალია ინგოროყვა, **„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“**. სახელმძღვანელო მომზადდა „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.
3. მასწავლებლის წიგნი – „გამჭოლი კომპეტენციები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015

ციფრული ჩვევები და მათი შემოწმება

ტექნოლოგიების განვითარებისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდის პარალელურად, მოზარდებში თავს იჩენს სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება. ჩვენი მოსწავლეები ეკრანებთან დიდ დროს ატარებენ. ზოგს შეუძლია აამოქმედოს თვითკონტროლის მექანიზმები, ნაწილს მშობლები ეხმარებიან დროის კონტროლში. გვრჩება კიდევ იმ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც სჭირდებათ დახმარება დამოკიდებულების შემცირების, შესაბამისი ჩვევების გამომუშავებისა თუ განმტკიცების კუთხით. ამავდროულად, ვიცით, რომ სოციალურ ქსელებში და ვიდეოთამაშებთან განუსაზღვრელი დროის გატარება მოზარდის ფსიქიკასა და კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს.

როგორ დავაფიქროთ იმ დროზე, რომელსაც ახალგაზრდები ჭკვიან მოწყობილობებთან ატარებენ? როგორ ჩამოვუყალიბოთ ციფრული ჩვევები? რა და როგორ შევთავაზოთ სანაცვლოდ?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება ციფრული ჩვევების გამოვლენისა და შემოწმების ინსტრუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ ამ რესურსის გამოყენებით მოზარდებს ვუბიძგებთ, თვითონ გაწერონ გეგმა-ნაბიჯები, რათა გამოიმუშაონ შესაბამისი უნარები ან უფრო განამტკიცონ სასურველი ციფრული ჩვევა.

როგორ გამოვიყენოთ რესურსი?

შემოთავაზებული რესურსი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. მოსწავლე მუშაობს ინდივიდუალურად ან წყვილში. მასწავლებელი ფასილიტატორის როლში გვევლინება და მკაფიო ინსტრუქციებით ეხმარება მას აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლაში.

შეამოწმე

ჩამოთვალეთ თქვენი ციფრული ჩვევები და გვერდით დახატეთ შესაბამისი ემოცია (ციფრული ჩვევა შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი).

არასასურველი ციფრული ჩვევების მაგალითი

- ყოველდღე ვატარებ 4-5 საათს სოციალურ ქსელში;
- დაუფიქრებლად ვაზიარებ სენსაციურ ამბებს/ფოტოებს;
- მეგობრებს ვხვდები მხოლოდ ონლაინ;
- გათენებისას და ძილის წინ ვამოწმებ ინსტაგრამს, ტიკ-ტოკს და ა.შ.;
- მუდმივად ჩართული მაქვს ინტერნეტი/WiFi;
- როცა მძინავს, ტელეფონი მიდევს ახლოს/ბალიშის ქვეშ.

სასურველი ჩვევის მაგალითი

- სპეციალურ ვებგვერდებზე ვამოწმებ საეჭვო სურათებსა და ვიდეოებს;
- ყოველდღე ვსწავლობ 10 ახალ უცხო სიტყვას აპლიკაციის დახმარებით;
- ყოველკვირეულად ვკითხულობ სამეცნიერო სტატიას;
- ვიყენებ მობილურ აპლიკაციებს, რომლებიც მეხმარება დროის დაგეგმვაში.

ინსტრუქცია მასწავლებელს

დაფაზე/დიდი ზომის ქაღალდზე დაწერეთ ციფრული ჩვევის მაგალითები. შეიძლება დასაწყისში მოსწავლეებს გაუჭირდეთ ქცევის იდენტიფიცირება, ამიტომ გონებრივი იერიშით ერთობლივად გამოავლინეთ რამდენიმე მაგალითი.

შეარჩიე

შეარჩიე ერთი ან რამდენიმე ციფრული ჩვევა, რომელიც გინდა, შეცვალო ან გააუმჯობესო. რატომ არის ამ კონკრეტული ჩვევის/ჩვევების შეცვლა/გაუმჯობესება მნიშვნელოვანი?

ინსტრუქცია მასწავლებელს

დასაწყისისთვის რთულად მისაღწევი მიზნის დასახვა არ არის სასურველი. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განუმარტოთ, რომ შეარჩიონ ისეთი ჩვევა, რომლის შეცვლა ან გამტკიცება არ არის დაკავშირებული დიდ სირთულეებთან. აქვე მათ მკაფიოდ უნდა დაასაბუთონ, თუ რატომაა შერჩეული ციფრული ჩვევების შეცვლა ან გაუმჯობესება მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

გამოიწვიე

გამოიწვიე საკუთარი თავი. შეადგინე/ჩამოაყალიბე მკაფიო გეგმა და აღწერე, როგორ აპირებ ჩვევის შეცვლას/ჩანაცვლებას/განმტკიცებას. იფიქრე, როდის გააკეთებ რაღაც განსხვავებულს და რისი გაკეთება შეგიძლია არასასურველი ციფრული ჩვევის სანაცვლოდ. რით ჩაანაცვლებ უარყოფით ჩვევას?

ინსტრუქცია მასწავლებელს

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ იმის თქმა, თუ რისი შეცვლა გვინდა – მთავარია, რას გავაკეთებთ სანაცვლოდ. ამით ჩვენ მათ ვუბიძგებთ ფიქრისა და მოქმედებისკენ.

გაამყარე/გააძლიერე შენი გამოწვევა

არასასურველი ციფრული ჩვევების შესაცვლელად ადამიანი დამატებით სტიმულებს საჭიროებს. იფიქრე იმაზე, თუ რა შეგიძლია გააკეთო ისე, რომ არ დაუბრუნდე ჩვევებს. საკუთარ თავს მიეცი პირობა და დაწერე მისი შესრულების თარიღი.

ინსტრუქცია მასწავლებელს

მავნე ჩვევებზე უარის თქმა უფროსებსაც გვიჭირს. რამდენჯერ დაგვიწყია დიეტა, ვარჯიში, უარი გვითქვამს ალკოჰოლის მიღებაზე... მაგრამ ნებისყოფა ბოლომდე არ გვყოფნის. ამიტომ მოზარდებს განსაკუთრებული მხარდაჭერა და წახალისება სჭირდებათ.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებთან ერთად განიხილოთ ის ბარიერები, რომელთაც შეიძლება წააწყდნენ/შეეჯახონ ჩვევაზე უარის თქმის ან დადებითი ჩვევის განმტკიცების პროცესში. ამიტომ, შესთავაზეთ მოსწავლეებს, ჩვევაზე უარი თქვან სამი დღით, შემდეგ – ერთი კვირით, გაზარდონ ორ კვირამდე და ა.შ. თუ ვერ შეძლებენ, დააზუსტებინეთ – რატომ? თუ კი – როგორ? რით ჩაანაცვლებენ? ასეთ შემთხვევაში, შეიძლება შესთავაზოთ შემდეგი: ხომ არ აჯობებს, გადახედოთ/დაუბრუნდეთ თავდაპირველ ჩამონათვალს და შეარჩიოთ ისეთი ჩვევა, რომელიც უფრო დაძლევადია/რომელზე უარის თქმაც უფრო მარტივია.

სავარჯიშოს შესრულებისა და შემდგომი დისკუსიების/განხილვების დროს შეიძლება გამოვლინდნენ მოსწავლეები, რომლებსაც მსგავსი ციფრული ჩვევები აქვთ შერჩეული. მეტი მდგრადობისთვის შესაძლებელია, შესთავაზოთ დაწყვილება და პარტნიორთან ერთად დაგეგმვა.

თვალყური ადევნე „მოგზაურობას“

ციფრულ ჩვევებზე უარის თქმა ან დადებითი ჩვევის განმტკიცება ხანგრძლივი პროცესია. ის მოკლე დროში ვერ მიიღწევა. მნიშვნელოვანია, გავზომოთ ჩვენი პროგრესი. ყოველდღე დაუსვი საკუთარ თავს შემდეგი კითხვები:

- როგორ ასრულებ გამოწვევას და გეგმას?
- რამ გაართულა დღეს გამოწვევის შესრულება ან რამ გააადვილა?
- რა შეიძლება გააკეთო ხვალ უკეთ?

ინსტრუქცია მასწავლებელს

მოსწავლეებმა თვითდაკვირვებისთვის შეიძლება აწარმოონ დღიური, გააკეთონ ჩანაწერები, ასევე დოკუმენტური ხასიათის ვიდეოჩანაწერები. ეს მნიშვნელოვანია შედარებისთვის. დათქმული დროის გასვლის შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი პროგრესის შეფასება და კლასში გაზიარება.

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ მათ აქვთ ძალა, შესაძლებლობა და ნებისყოფა, წინ აღუდგნენ ისეთ ციფრულ ჩვევებს, რომლებიც არ მოსწონთ, ან დავანახოთ სასურველი ციფრული ჩვევების განმტკიცების გზები. გამხნევების მიზნით, ვუთხრათ, რომ დაიწყონ პატარა ნაბიჯებით. პირველ ეტაპზე საკუთარ თავზე გამარჯვების კარგ მაგალითად გამოდგება სასურველი ჩვევის განმტკიცება.

სოფია მუსტაფაევა X^ა^ კლასი

1. შეამოწმე შენი ჩვევები:
   დილით არ ვიყენებ სოციალურ ქსელებს და არ ვრთავ მუსიკას.
   ღამით ვრთავ ინტერნეტს.
   ზედმეტად ხშირად ვამოწმებ შეტყობინებებს.
2. შეარჩიე რომელიმე ჩვევა და იფიქრე, როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება:
   ჩემი ჩვევა: დილით (11:00-მდე) არ ვიყენებ სოციალურ ქსელებს და არ ვრთავ მუსიკას.
   როგორი მინდა იყოს: საერთოდ არ ვიყენებ ტელეფონს ან ნებისმიერ სხვა ელექტრონულ გაჯეტს.
3. ჩამოაყალიბე რამდენიმე გზა, თუ როგორ შეგიძლია მიაღწიო სასურველს:
   1. გათიშული ინტერნეტი.
   2. გამორთული ხმა.
   3. სხვა სასარგებლო საქმის გაკეთება.
   4. მიაქციე ყურადღება უფრო მნიშვნელოვან საკითხებს.
4. შექმენი დამატებითი მოტივაცია:
   დავალების შესრულებისთანავე დავაჯილდოებ თავს პატარა საჩუქრით. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი ან მოქმედება. მაგალითად, წიგნი, რომელიც ძალიან მინდოდა, ან საყვარელი ბენდის კონცერტის ბილეთი.
5. თვალყური ადევნე შენს მოგზაურობას:
   ამ მიზნით გავაკეთებ ჩანაწერებს.

შემოთავაზებული რესურსი მომზადებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სკოლის ვებგვერდზე განთავსებული მასალების მიხედვით და ადაპტირებულია ქართულ რეალობასთან. ორიგინალურ ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულით:
https://pz.harvard.edu/resources/digital-habits-checkup

ნესტან
მიქაძე

ხელოვნური ინტელექტი და სასკოლო განათლება

ეროვნული სასწავლო გეგმის მისიაა მოსწავლის ჰოლისტური განვითარება. ამისათვის სკოლამ უნდა უზრუნველყოს სისტემური აკადემიური ცოდნის კონსტრუირება. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით; აზრის, იდეის ჩამოყალიბება; კანონზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება ახალ სიტუაციასთან მიმართებით; სასწავლო მასალის მეცნიერულ კონტექსტში გააზრება; სასწავლო ამოცანებისა და ცხოვრებისეული პრობლემების წარმატებით გადაჭრა მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგომების საშუალებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებში მნიშვნელოვანია სიღრმისეული სწავლა-სწავლება; მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება; ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება; სწავლის სტრატეგიების დაუფლება (სწავლის სწავლა); მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენა, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება და შემოქმედებითობა.

21-ე საუკუნეში სწავლა-სწავლების პროცესი სულ უფრო მეტ საჭიროებას ავლენს ვირტუალური და სიმულაციური შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით. ხელოვნური ინტელექტის გავლენა განათლებაში მნიშვნელოვანი და შორსმიმავალია.

ხელოვნური ინტელექტი (AI) არის პროგრამული უზრუნველყოფის ინტელექტი. AI-ტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება ინდუსტრიასა და მეცნიერებაში. ხელოვნური ინტელექტი (AI) კომპიუტერული ალგორითმია, რომელიც ასრულებს ისეთ ინტელექტუალურ ქმედებებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის. მისი სისტემები შექმნილია მონაცემების აღქმისა და ინტერპრეტაციისთვის, მრავალმხრივი მსჯელობისა და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს სისტემები მიზნად ისახავს ადამიანის

შემეცნებითი შესაძლებლობების გამეორებას ან სიმულაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს, გადაჭრან პრობლემები და დაუკავშირდნენ სამყაროს ისეთი გზებით, რომლებიც მიმსგავსებულია ადამიანის ინტელექტთან.

AI-ს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია სწავლების ტრადიციულ მეთოდებში, გააძლიეროს მოსწავლეთა ჩართულობა და გაუმჯობესოს სწავლის შედეგები ყველა საგნობრივი მიმართულებით. თანდათან იზრდება AI-ს ინტეგრაცია სკოლებში. განსაკუთრებულია ხელოვნური ინტელექტის მეთოდების STEM-სწავლებაში ჩართვა.

ევროპის საბჭო ხელოვნურ ინტელექტს ასე განმარტავს: „მეცნიერების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების მანქანის მიერ რეპროდუცირება. არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების მანქანისთვის დელეგირებას“.

AI არის ციფრული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. AI-ის შესახებ სწავლება მედიაწიგნიერების კონტექსტში ხელს უწყობს სრულყოფილი ციფრული ცოდნის განვითარებას, რომელიც სულ უფრო მეტად ვრცელდება ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.

გამოთქმა „ხელოვნური ინტელექტი“, ინგლისურად Artificial Intelligence (AI) – პირველად ოფიციალურად გამოიყენეს 1955 წელს. ხელოვნური ინტელექტის პირველ პროგრამას შეეძლო ჭადრაკის თამაში. 1997 წელს IBM-ის სუპერკომპიუტერმა (Deep Blue) დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი.

ალან მატისონ ტურინგი იყო პირველი, ვინც ჩაატარა არსებითი კვლევა იმ სფეროში, რომელსაც მან უწოდა „მანქანური დაზვერვა“. ხელოვნური ინტელექტი, როგორც აკადემიური დისციპლინა, დაარსდა 1956 წელს. ინტერესი ხელოვნური ინტელექტის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა 21-ე საუკუნეში. შეერთებულ შტატებში კომპანიები, უნივერსიტეტები და ლაბორატორიები დიდწილად დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენებაზე.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შეასრულოს ამოცანები, რომლებიც მოითხოვს ადამიანის ინტელექტს. ეს ამოცანები მოიცავს პრობლემის გადაჭრას, მეტყველების ამოცნობას, გადაწყვეტილების მიღებას და სწავლას. AI-სისტემები შექმნილია მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის, შაბლონების იდენტიფიცირებისთვის, მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე პროგნოზების ან რეკომენდაციების გასაკეთებლად.

ხელოვნურმა ინტელექტმა რევოლუცია მოახდინა სხვადასხვა ინდუსტრიაში. შესაბამისად, თანდათან მნიშვნელოვანი ხდება მისი როლი და ფუნქცია განათლებაში. AI განსაკუთრებულ როლს ასრულებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში. ბოლო წლებში ხელოვნურმა ინტელექტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ფიზიკის სწავლა-სწავლების გზების გასამრავალფეროვნებლად. სწავლების მეთოდების გაუმჯობესებიდან დაწყებული რთული ფენომენების ინტერპრეტაციამდე, AI-ს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია ფიზიკის განვითარებაში და ხელი შეუწყოს ახალ აღმოჩენებს რეალური სამყაროს შესახებ. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებისა და გამოთვლითი სიმძლავრის გამოყენებით, მკვლევრებსა და მეცნიერებს შეუძლიათ გააანალიზონ დიდი რაოდენობით მონაცემები. ეს კი იძლევა საშუალებას ბუნებრივ პროცესებზე ახალი შეხედულებებისა და კონცეფციების ჩამოსაყალიბებლად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნურ ინტელექტს ფიზიკის თანამედროვე მეთოდებით შესწავლაში. მნიშვნელოვანია იმ პოტენციური სარგებლისა და გამოწვევების განხილვა-გააზრება, რომელიც მოჰყვება AI-ს ფიზიკის სწავლებაში ინტეგრირებას. AI-ზე ორიენტირებული განათლება უპირველესად გულისხმობს პედაგოგთა შესაძლებლობების გაზრდას ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დასაძლევად. შესაბამისი სფეროს სპეციალისტებმა უნდა აჩვენონ წარმატებული მაგალითები, სადაც განხილული იქნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფიზიკისა და ბუნების კვლევების სფეროში.

AI-ზე მომუშავე სისტემებს შეუძლიათ ინდივიდუალურად შეაფასონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოარგონ გაკვეთილები კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და უზრუნველყონ რეალურ დროში უკუკავშირი. დიფერენცირებული მიდგომა ეხმარება მოსწავლეს, რთული ცნებები აითვისოს უფრო ეფექტურად, საკუთარი ტემპის შესაბამისად. ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაუყოვნებელი უკუკავშირი და განსაზღვრონ ის სფეროები, სადაც შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი მხარდაჭერა. AI ეხმარება მოზარდს, თვალყური ადევნოს საკუთარ პროგრესს და შეასრულოს საჭირო კორექტირება ფიზიკის ცნებების სიღრმისეულად გასააზრებლად. AI-ს შეუძლია რევოლუცია მოახდინოს შეფასების პროცესში ადაპტაციური შეფასებების მიწოდებით, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე დაყრდნობით არეგულირებს სირთულის დონეს და შინაარსს.

ფიზიკის სწავლების კონტექსტში AI-ს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს აბსტრაქტული და რთული პრინციპების გაგებაში. მანქანური სწავლების ალგორითმების გამოყენებით, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ დაამუშაონ დიდი რაოდენობით მონაცემები და ამოიცნონ ისეთი შაბლონები, რომლებიც შეიძლება არ იყოს აშკარა დამკვირვებლებისთვის. ეს შესაძლებლობა ახალგაზრდას ეხმარება, უფრო ღრმად გაიაზროს ფიზიკის კანონები და შეძლოს მათი ეფექტურად გამოყენება.

AI-ის ფუნქცია განათლებაში სცილდება სწავლების ტრადიციულ მეთოდებს. ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ უზრუნველყონ ვირტუალური სიმულაციები და ექსპერიმენტები, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს სამეცნიერო კონცეფციები პრაქტიკული და ინტერაქციული გზით. ამ სიმულაციებს შეუძლიათ რეალური სამყაროს შესატყვისი სცენარების გამეორება, რაც უადვილებს მოზარდს, დააკვირდეს და გააანალიზოს ფიზიკური პროცესები სხვადასხვა პირობებში. გარდა ამისა, AI-ს შეუძლია დახმარება მონაცემთა ანალიზში, ექსპერიმენტული შედეგების ინტერპრეტაციასა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანაში.

AI განაგრძობს განვითარებას და გაუმჯობესებას, მისი როლი განათლებაში უდავოდ გაფართოვდება. AI-ის ინტეგრაციას ფიზიკის სწავლებაში აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია სწავლების ტრადიციულ მეთოდებში. მრავლისმომცველია ხელოვნური ინტელექტის ჩართვის მეთოდები ფიზიკის სწავლებასა და განვითარებაში:

- AI-ზე მომუშავე ვირტუალური ლაბორატორიები და სიმულაციები საშუალებას აძლევს მოზარდს, ჩაატაროს ფიზიკის ექსპერიმენტები კონტროლირებად ირეალურ გარემოში. ამ სიმულაციებს შეუძლიათ რეალურ სამყაროში არსებული სცენარების გამეორება, რაც იძლევა შესაძლებლობას, ახალგაზრდამ გამოიკვლიოს და გაიგოს რთული ცნებები პრაქტიკული გამოცდილების საშუალებით.

- AI-ზე ორიენტირებული ინტელექტუალური სწავლების სისტემებს შეუძლიათ უზრუნველყონ სწავლების დიფერენცირებული საჭიროება და მხარდაჭერა. ამ სისტემებს შეუძლიათ ადაპტირდნენ სწავლის ინდივიდუალურ სტილთან (ვიზუალი, აუდიალი, კინესთეტი), შეაფასონ მოსწავლის ცოდნის ხარვეზები და მიაწოდონ მიზანმიმართული ინსტრუქცია და სავარჯიშოები.
- ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ენის დამუშავების სისტემების შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ურთიერთქმედება ჰქონდეთ ფიზიკის შინაარსთან ხმოვანი ბრძანებების ან ტექსტის შეყვანის საშუალებით. ეს იძლევა საშუალებას უფრო ინტუიციური და სასაუბრო გამოცდილების მისაღებად.
- AI-ს შეუძლია დახმარება ფიზიკის კვლევებში ან ექსპერიმენტებში დიდ მონაცემთა ნაკრების ანალიზის გასაკეთებლად. მას შეუძლია განსაზღვროს შაბლონები, ტენდენციები და კორელაციები, რომლებიც შეიძლება ადვილად შესამჩნევი არ იყოს ადამიანის თვალისთვის. AI-ზე მომუშავე მონაცემთა ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ რთული მონაცემები უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები სახით.
- AI-ალგორითმებს შეუძლიათ გააანალიზონ მონაცემთა დიდი ნაკრები, მათ შორის ექსპერიმენტული შედეგები და დაკვირვებები, რათა დადგინდეს შაბლონები და კორელაციები. ეს საშუალებას აძლევს მკვლევრებს, აღმოაჩინონ ფარული ურთიერთობები და მიიღონ ინფორმაცია ფიზიკის ფუნდამენტურ კანონებზე.

ხელოვნური ინტელექტი ეხმარება მეცნიერებას ბუნებრივი მოვლენების ინტერპრეტაციასა და პროგნოზირებაში. AI-ს შეუძლია დახმარება რთული გამომთვლელი მოდელების შემუშავებაში, რომლებიც შეისწავლის ბუნებრივ მოვლენებს. ცნობილი ფიზიკური კანონებისა და პრინციპების გამოყენებით, ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერით შესაძლებელია დასაკვირვებელი პროცესების წინასწარ განსაზღვრა და ახსნა.

AI-ტექნიკას შეუძლია სხვადასხვა წყაროდან გააანალიზოს სურათები და სიგნალები. შეუძლია გამოსახულების და სიგნალის დამუშავება, მათ შორის ტელესკოპებიდან და ნაწილაკების დეტექტორებიდან. ეს საშუალებას აძლევს მკვლევრებს, დაადგინონ ციური ობიექტები, აღმოაჩინონ ნაწილაკები და მიიღონ ღირებული ინფორმაცია სამყაროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესახებ.

AI-ზე მომუშავე მოდელებს შეუძლიათ კომპლექსური ბუნებრივი სისტემების სიმულაცია, როგორიცაა კლიმატის შაბლონები ან ასტროფიზიკური მოვლენები. მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომების ცნობილ ფიზიკურ კანონებთან კომბინირებით, AI-ს შეუძლია ზუსტი პროგნოზების გენერირება და დახმარება ბუნებრივი მოვლენების გაგებაში.

ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს შეუძლიათ გადაამოწმონ დიდი რაოდენობით მონაცემები და საფუძველი ჩაუყარონ ახალ შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება დაუყოვნებლივ არ იყოს აშკარა მკვლევრისთვის. ამ მონაცემებზე ორიენტირებულმა მიდგომამ შეიძლება ფიზიკის სფეროში შექმნას ახალი შესაძლებლობები და აღმოჩენები.

AI-ის მომავალი ფიზიკის განვითარებაში და ბუნებრივი კანონების შესწავლაში ფლობს ტრანსფორმაციული წინსვლის უზარმაზარ პოტენციალს. ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო ინტეგრირდება ფიზიკის სასწავლო პროგრამებში, მსოფლიოს ბევრი სკოლა იყენებს ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერილ ინსტრუმენტებსა და აპლიკაციებს.

ფიზიკის სწავლებაში იზრდება ვირტუალური რეალობის (VR) და გაძლიერებული რეალობის (AR) გამოყენება. ეს ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ინტერიულ და რეალისტურ სიმულაციებს, რაც საშუალებას აძლევს მოზარდებს, გამოიკვლიონ და წარმოიდგინონ ფიზიკის შესაცნობად რთული პრინციპები. AI-ზე მომუშავე ინსტრუმენტებს, როგორიცაა ვირტუალური სიმულაციები და გათამაშებული სწავლის გამოცდილება, შეუძლია გააძლიეროს მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია ფიზიკის უკეთ შესასწავლად. ეს სწავლის პროცესს გახდის უფრო სასიამოვნოს; AI მოზარდს მეტად გაუღვივებს ინტერესს საგნის მიმართ.

AI-ს აქვს პოტენციალი, ფიზიკის შესწავლის პროცესი გახადოს მეტად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური; შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდას, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან აქვს ენის ფლობის ბარიერი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მთარგმნელობითი ინსტრუმენტები ხელს შეუწყობს ენის შესწავლას, რაც მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფს მოზარდებისთვის ფიზიკის სწავლებას.

რამდენადაც ხელოვნური ინტელექტი უფრო ინტეგრირებული ხდება ფიზიკის სასწავლო კურსებში, უნდა იქნას გათვალისწინებული ეთიკური მოსაზრებები. ისეთი საკითხები, როგორიცაა მონაცემთა კონფიდენციალურობა, ალგორითმის მიკერძოება და ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენება, საჭიროებს გულდასმით მონიტორინგს და რეგულირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი საგანმანათლებლო პრაქტიკა.

AI-ზე ორიენტირებული მომავლისთვის ფიზიკის სწავლებაში აუცილებელია მასწავლებელთა ტრენინგი და პროფესიული განვითარება. მასწავლებლები უნდა იყვნენ აღჭურვილი საჭირო უნარებითა და ცოდნით, რათა მიზანმიმართულად მოახერხონ ხელოვნური ინტელექტის ფიზიკის საკითხებთან ინტეგრაცია. მასწავლებელთა მომზადების პროგრამები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ფოკუსირებული უნდა იყოს AI-წიგნიერებაზე, პედაგოგიურ სტრატეგიებსა და ეთიკურ მოსაზრებებზე.

ფიზიკის სწავლებისას AI-ზე მომუშავე ეფექტური ინსტრუმენტებისა და აპლიკაციების შესაქმნელად გადამწყვეტია პედაგოგებისა და ხელოვნური ინტელექტის ექსპერტების თანამშრომლობა. მასწავლებლებს შეუძლიათ ერთობლივად დაამუშაონ ღირებული ინფორმაცია სპეციფიკურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე, ხოლო ხელოვნური ინტელექტის ექსპერტებს შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი ტექნიკური წვლილი.

განათლების სფეროს წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშაონ ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, რათა უზრუნველყონ განათლებაში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენება. ეს მოიცავს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას, გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობას და ალგორითმული მიკერძოების მოგვარებას.

ფიზიკაში ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალის გამოსაყენებლად აუცილებელია უწყვეტი კვლევა და ინოვაცია. მიმდინარე კვლევებმა უნდა განსაზღვროს ხელოვნური ინტე-

ლექტის ინტეგრაციის ეფექტურობა, გამოიკვლიოს AI-ზე ორიენტირებული სწავლების ახალი მეთოდები და შეაფასოს მისი გავლენა მოსწავლის სწავლის შედეგებზე.

ხელოვნურმა ინტელექტმა დიდი როლი შეასრულა ფიზიკის თანამედროვე კვლევებში:

CERN-ის დიდი ადრონული კოლაიდერი LHC, მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ნაწილაკების ამაჩქარებელი, წარმოქმნის მასიური რაოდენობის მონაცემებს. AI-ალგორითმები გამოიყენება ამ მონაცემების გასაანალიზებლად, იშვიათი მოვლენების ან შაბლონების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ახალი ნაწილაკების ან ფენომენების არსებობაზე. **AI-მ გადამწყვეტი როლი ითამაშა 2012 წელს ჰიგსის ბოზონის აღმოჩენაში**.

AI გამოიყენება კვანტური გამოთვლის სფეროში კვანტური ალგორითმების ოპტიმიზაციის, კვანტური სისტემების სიმულაციისა და რთული კვანტური მდგომარეობის გასაანალიზებლად. ხელოვნური ინტელექტის ტექნიკა მკვლევრებს ეხმარება, გაუმკლავდნენ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია პრაქტიკული კვანტური კომპიუტერების შემუშავებასა და კვანტური მექანიკის ფუნდამენტური პრინციპების გაგებასთან.

მნიშვნელოვანია AI გარემოსდაცვით კვლევებსა და კლიმატის ცვლილებაში:

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება კლიმატის დახვეწილი მოდელების შესაქმნელად, რომლებიც ახდენენ კლიმატის ნიმუშების სიმულაციას და პროგნოზირებას. ეს მოდელები აანალიზებენ მონაცემებს, აერთიანებენ ფიზიკურ კანონებს და განიხილავენ სხვადასხვა ფაქტორებს, როგორიცაა **სათბურის გაზების ემისიები და ოკეანის დინებები**. ხელოვნური ინტელექტის მქონე კლიმატის მოდელები გვეხმარება კლიმატის ცვლილების გაგებაში, მომავალი სცენარების პროგნოზირებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება **ბიომრავალფეროვნების** კვლევებში დიდი მონაცემთა ბაზის გასაანალიზებლად, როგორიცაა სატელიტური სურათები და საველე დაკვირვებები, **ეკოსისტემების მონიტორინგისთვის** და მათ დასაცავად. AI-ალგორითმებს შეუძლიათ **სახეობების იდენტიფიცირება, პოპულაციის დინამიკისთვის თვალყურის დევნება და ჰაბიტატის პირობებში ცვლილებების აღმოჩენა**. ეს ინფორმაცია გადამწყვეტია კონსერვაციის მცდელობებისთვის და ბიომრავალფეროვნებაზე ადამიანის საქმიანობის გავლენის გასაგებად.

დიდია ხელოვნური ინტელექტის როლი კოსმოსის კვლევასა და ასტროფიზიკაში. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები გამოიყენება ტელესკოპების მიერ შეგროვებული ასტრონომიული მონაცემების გასაანალიზებლად, **ეგზოპლანეტების იდენტიფიცირებისთვის** (პლანეტები ჩვენი მზის სისტემის მიღმა). ხელოვნური ინტელექტის მეთოდები იძლევა დახვეწილი სიგნალების აღმოჩენის საშუალებას, რომლებიც მიუთითებენ ეგზოპლანეტების არსებობაზე მონაცემთა უზარმაზარ ბაზაში. ამან გამოიწვია მრავალი ეგზოპლანეტის აღმოჩენა და გააფართოვა ჩვენი ცოდნა პლანეტარული სისტემების შესახებ.

ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები გამოიყენება კოსმოსური მოვლენების აღმოსაჩენად და კლასიფიკაციისთვის, როგორიცაა **სუპერნოვა და გრავიტაციული ტალღები**. ტელესკოპებისა და დეტექტორების დიდი რაოდენობით მონაცემების ავტომატურად გაანალიზებით, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ იშვიათი და მნიშვნელოვანი მოვლენების იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

კვლევები აჩვენებს ხელოვნური ინტელექტის წარმატებულ ინტეგრაციას ფიზიკისა და ბუნების კვლევებში, რაც მეცნიერებაში რევოლუციური აღმოჩენების საშუალებას იძლევა. ხელოვნური ინტელექტის გამოთვლითი სიმძლავრისა და შაბლონის ამოცნობის შესაძლებლობების გამოყენებით, მკვლევრებს შეუძლიათ გამოიკვლიონ ახალი შეხედულებები, იწინასწარმეტყველონ ბუნებრივი მოვლენები და წვლილი შეიტანონ ფუნდამენტურ აღმოჩენებში.

ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას ტექნოლოგიებისა და ალგორითმების შესახებ. ეს ცოდნა მათ საშუალებას მისცემს, ეფექტურად და კრიტიკულად შეაფასონ მათ მიერ მოხმარებული ინფორმაცია.

ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი შესაძლოა ისე იყოს დაპროგრამებული, რომ გამოიწვიოს საზოგადოების მიკერძოებულობა და ინფორმაცია აზრთა მანიპულირებისთვის გამოიყენოს. საგანმანათლებლო გარემოში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვისას უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს სენსიტიური ინფორმაციის დაცვა და მონაცემთა გამოყენებისას პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა. ხელოვნური ინტელექტის შესწავლით მოსწავლეებს უვითარდებათ მიკერძოების, მანიპულაციების ამოცნობისა და ანალიზის უნარები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ეჭვქვეშ დააყენონ და გადაამოწმონ მედიის შინაარსის სიზუსტე და სამართლიანობა.

AI-ტექნოლოგიებს შეუძლია, შექმნას ყალბი მედია, მაგალითად, როგორიცაა Deep Fake ან ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ისეთი ტექსტი, რომელიც ძალიან ჰგავს სიმართლეს. ხელოვნური ინტელექტის შესახებ სწავლება მოსწავლეებს უვითარებს უნარს, შეაფასონ მედიაშინაარსის სანდოობა და ავთენტურობა. კრიტიკული აზროვნებითა და გადამოწმების ტექნიკის ფლობით, ისინი მარტივად შეძლებენ AI-ის მიერ შექმნილი ან მანიპულირებული შინაარსის გამოვლენას.

ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე აქტიურად გამოიყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, ბევრად უფრო სწრაფად განვითარდებიან, ვიდრე სხვები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს, რომლებსაც მოუწევთ ხელოვნური ინტელექტის სამყაროში ცხოვრება, ზუსტად ესმოდეთ, რა არის ის, რა დადებითი თუ უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ტექნოლოგიამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დროულია, საქართველოს პედაგოგებმა გადადგან პირველი ნაბიჯები ხელოვნური ინტელექტის ელემენტების შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით.

გთავაზობთ იმ ვებსაიტებს, პროგრამებსა და სავარჯიშოებს, რომლებიც დაგეხმარებათ ხელოვნური ინტელექტის უკეთ შესწავლასა და სწავლებაში:

https://learning–corner.learning.europa.eu/learning–materials/what–artificial–intelligence_en

https://education.ec.europa.eu/news/ethical–guidelines–on–the–use–of–artificial–intelligence–and–data–in–teaching–and–learning–for–educators

https://www.commonsense.org/education/lists/lessons–and–tools–for–teaching–about–artificial–intelligence

https://aiedu–ai–challenges.s3.us–west–1.amazonaws.com/AIChallenge4_ChatGPT.pdf

კონკრეტული სავარჯიშოები:

https://code.org/
https://www.helloruby.com/
https://teachablemachine.withgoogle.com/
https://www.curiositymachine.org/
https://www.aiedu.org/
https://machinelearningforkids.co.uk/#!/welcome
https://mostlikelymachine.artefactgroup.com/
https://ai–4–all.org/testimonial/open–learning–student–1/
https://ctrl–f.ca/en/

ინტელექტუალურ პლატფორმებს შეუძლიათ დააკავშირონ მსგავსი ინტერესების მქონე მოსწავლეები; თანამშრომლობით სწავლება ხელს შეუწყობს მოზარდებს საკითხების უკეთ გააზრებაში, პრობლემების ერთობლივად გადაჭრაში, ფიზიკის და ზოგადად STEM-პროექტების განხორციელებაში. ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ინტელექტუალური სწავლების სისტემები დაეხმარება მოსწავლეებს, გაიუმჯობესონ STEM-წიგნიერება და მიიღონ პერსონალიზებული დახმარება გამომდინარე მათი უნიკალური შესაძლებლობებიდან.

AI-ინსტრუმენტები და რესურსები მასწავლებლებისთვის:

Gradescope: ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს შეფასების პროცესის გამარტივებაში, უზოგავს დროს, ხოლო მოზარდს აძლევს უკუკავშირს, ნათლად გაიგოს, თუ როგორ აითვისა სასწავლო მასალა. https://www.gradescope.com/

Carnegie Learning: პლატფორმა იყენებს AI-ტექნოლოგიას და მოსწავლეს აწვდის ინდივიდუალურ სასწავლო გამოცდილებას. https://www.carnegielearning.com/

SlidesAI: შეუძლია შექმნას ვიზუალურად მიმზიდველი პრეზენტაცია უმცირეს დროში. ეს ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გაითავისუფლონ დრო საკლასო სივრცეში სხვა ძირითად აქტივობებსა და ამოცანებზე ფოკუსირებისთვის. https://www.slidesai.io/

კვლევის კურდღელი: ამ პროგრამას საკვანძო სიტყვებისა და თემების გამოყენებით შეუძლია შეაგროვოს შესაბამისი სტატიების სია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევითი ნაშრომებისთვის, საკლასო მასალებისთვის და სხვა. https://www.researchrabbit.ai/

Teacher-Tools.AI: პედაგოგებს სთავაზობს მრავალფეროვან ფუნქციებს. ერთი ინსტრუმენტი არის გაკვეთილის გეგმის შედგენა. ეს ინსტრუმენტი ქმნის გაკვეთილის გეგმებს სასურველი საგნის, თემისა და კლასის დონის მიხედვით.

ცხადია, ეს ვერ იქნება საბოლოო პროდუქტი; ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ახალი გაკვეთილის გეგმის მონახაზი. https://teacher–tools.ai/m/login?r=%2Flesson–plan–free

თუ თქვენ გაქვთ Gmail ფოსტა, ე.ი. გაქვთ უფასო ხელოვნური ინტელექტის პლატფორმა. Gmail-ის ფოსტიდან გადავიდეთ გაფართოებულ საძიებო სისტემაში და მოვნახოთ **gemini**.

gemini.google.com არის უფასო აპლიკაცია, რომელიც თქვენთვის საინტერესო ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

AI-ტექნოლოგიის გავლენა განათლებაზე მნიშვნელოვანია და დროთა განმავლობაში შეიცვლება. განათლებაში ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური და უარყოფითი ასპექტების გათვალისწინებით, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ AI-ინსტრუმენტები და რესურსები ეფექტიანი და ინკლუზიური სასწავლო გამოცდილების შესაქმნელად. ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის უცნობი – მასწავლებლებმა უნდა გააგრძელონ ღია საუბარი ამ ინსტრუმენტების შესახებ. ერთობლივი მუშაობით კი განათლების სფეროს შეუძლია გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი განათლების გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. https://rb.gy/rgnh94
3. https://rb.gy/584ylv
4. https://rb.gy/01hfux
5. https://rb.gy/2361wv

ᲙᲘᲠᲐ
ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ

AI ᩮᲐᲢᲑᲝᲢᲔᲑᲘ: ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

„AI ტექნოლოგიები არ არის მხოლოდ ინსტრუმენტები; ისინი ცვლიან ჩვენს აზროვნებას, ურთიერთობებსა და საზოგადოებას. ჩვენი ამოცანაა, გამოვიყენოთ ეს ტექნოლოგიები ისე, რომ კი არ დავკარგოთ, არამედ გავაძლიეროთ ჩვენი ადამიანური თვისებები და ღირებულებები“.

ჰარარი

წარმოიდგინეთ, რამდენად მოსაწყენია თანამედროვე ციფრულ სამყაროში „ცოდნის მიღება“, როდესაც ის არის მონოლოგური დასწავლა. შემდეგ კი შეადარეთ ცოდნის მიღების ინტერაქციულ ფორმას. ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფმა განვითარებამ რევოლუციური ცვლილებები მოიტანა ინფორმაციასთან და ცოდნასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ცოდნის მიღება სულ უფრო ინტერაქციული ხდება. ეს შეეხება არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არამედ თითოეულ ადამიანს, რომელიც სწავლობს დამოუკიდებლად გენერაციული ჩატბოტების დახმარებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ AI ჩატბოტებთან ინტერაქცია არ არის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ის ასევე გავლენას ახდენს ჩვენს კოგნიტიურ უნარებზე და აზროვნების სტილზე. დოქტორი ნიკოლას კარი, ცნობილი მეცნიერი და ავტორი, თავის წიგნში „The Shallows: What the Internet Is Doing to Our Brains“ წერს: „ჩვენი გონება ადაპტირდება იმ ინსტრუმენტებთან, რომლებსაც ვიყენებთ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისთვის. AI ჩატბოტებთან მუდმივი ინტერაქცია ცვლის ჩვენი აზროვნების პროცესს, ხელს უწყობს სწრაფ, მულტიდისციპლინარულ აზროვნებას, მაგრამ შესაძლოა, ამავდროულად ამცირებს ღრმა, ფოკუსირებული ანალიზის უნარს“ (Carr, 2020).

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი შოშანა ზუბოფი, გვაფრთხილებს: „AI ტექნოლოგიების გამოყენებისას უნდა ვიყოთ ფრთხილი. მათ შეუძლიათ გააფართოონ ჩვენი შესაძლებლობები, მაგრამ ასევე შექმნან ახალი ფორმის კონტროლისა და მანიპულაციის რისკები“ (Zuboff, 2021).

მოდი, დაწვრილებით განვიხილოთ, რით არის გამორჩეული ცოდნის მიღების ინტერაქციული ფორმა? ეს არის ინოვაციური სწავლის პროცესი, სადაც:

1. ცოდნის მაძიებელი აქტიურად ურთიერთობს საგანმანათლებლო რესურსთან;
2. AI სისტემა ხდება დინამიკური სასწავლო პარტნიორი;
3. ტრადიციული, პასიური ინფორმაციის მიღების მოდელი იცვლება – იქმნება ცოცხალი, მოქნილი სასწავლო გარემო;
4. ცოდნა იბადება დიალოგისა და ურთიერთქმედების გზით;
5. ეს მიდგომა ქმნის უნიკალურ, პერსონალიზებულ სასწავლო გამოცდილებას, სადაც AI და ადამიანი ერთობლივად ქმნიან ცოდნას!

1. ცოდნის მაძიებელი აქტიურად ურთიერთობს საგანმანათლებლო რესურსთან

წარმოიდგინეთ სტუდენტი, რომელიც სწავლობს ქართულ ლიტერატურას AI-ზე დაფუძნებული ინტერაქციული პლატფორმის გამოყენებით. ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ წაიკითხოს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და პოემის ანალიზი, სტუდენტს შეუძლია:

- დასვას კითხვები პოემის კონკრეტული ეპიზოდების, პერსონაჟების მოტივაციების ან სიმბოლოების შესახებ და მიიღოს დეტალური, კონტექსტური პასუხები. მაგალითად, გაარკვიოს ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მეგობრობის სიმბოლური მნიშვნელობა.
- მოითხოვოს ვიზუალური რეპრეზენტაცია პოემის სტრუქტურის, პერსონაჟთა ურთიერთობების ან თემატური განვითარების შესახებ ინტერაქციული დიაგრამების სახით. მაგალითად, ნახოს ნესტან-დარეჯანის ძებნის პროცესის რუკა.
- ჩაატაროს „ვირტუალური ექსპერიმენტები“ – მაგალითად, შეცვალოს გარკვეული მოვლენები და ნახოს, როგორ შეიცვლებოდა პოემის მიმდინარეობა ან პერსონაჟების ბედი. ვთქვათ, რა მოხდებოდა, რომ ტარიელს არ შეხვედროდა ავთანდილი?
- მიიღოს მონაწილეობა ინტერაქციულ სიმულაციებში, სადაც შეძლებს „დიალოგში შესვლას“ პოემის პერსონაჟებთან, რაც დაეხმარება მათი მოტივაციებისა და ხასიათების უკეთ გაგებაში. მაგალითად, „ესაუბროს“ თინათინს მისი გადაწყვეტილებების შესახებ.
- გააანალიზოს პოემის ენა AI-ს დახმარებით, რომელიც გამოყოფს პოეტურ ხერხებს, არქაულ ქართულ გამოთქმებს და მათ მნიშვნელობებს, და აჩვენებს მათ გავლენას ნაწარმოების მთლიან სტრუქტურაზე. მაგალითად, გაარკვიოს შაირის სტრუქტურა და მისი გავლენა პოემის რიტმზე.
- შეისწავლოს „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული და კულტურული კონტექსტი ინტერაქციული ქრონოლოგიის საშუალებით, რომელიც აკავშირებს პოემას XII საუკუნის საქართველოს რეალობასთან.

ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტს, აქტიურად ჩაერთოს ტექსტის შესწავლაში, გამოიკვლიოს მისთვის საინტერესო ასპექტები და უფრო ღრმად, ინდივიდუალურად გააცნობიეროს და გაიგოს „ვეფხისტყაოსანი“.

ასეთ შემთხვევაში AI რესურსი ხდება არა მხოლოდ ინფორმაციის წყარო, არამედ ინტერაქციული გიდი ეპოსის სამყაროში, რაც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის უფრო ღრმა და საინტერესო შესწავლას.

2. AI ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:

მაგალითად, წარმოიდგინეთ ენის შემსწავლელი პლატფორმა, რომელიც იყენებს AI ჩატბოტს ფრანგულის (ან რომელიმე სხვა ენის) შესასწავლად: AI ადაპტირდება მოსწავლის დონესთან და პროგრესთან და თუ მოსწავლე შეცდომას დაუშვებს, AI აუხსნის შეცდომას და მისცემს გამოსწორების შესაძლებლობას; AI-მ შეიძლება შეუქმნას რეალური კონკრეტული სცენარები საუბრო პრაქტიკისთვის, მაგალითად, რესტორანში შეკვეთის მიცემა ან აეროპორტში სიტუაცია.

3. ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ, ᲞᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ – ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ, ᲛᲝᲥᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ.

წარმოიდგინეთ ისტორიის გაკვეთილი მეორე მსოფლიო ომის თემაზე: სტუდენტები მხოლოდ ტექსტს კი არ კითხულობენ, მათ შეუძლიათ: ნახონ ინტერაქციული რუკები, რომლებიც აჩვენებენ ბრძოლების მიმდინარეობას, მოისმინონ იმ პერიოდის აუდიო ჩანაწერები, დასვან კითხვები კონკრეტული მოვლენების ან პიროვნებების შესახებ და მიიღონ მყისიერი პასუხები.

4. ᲪᲝᲓᲜᲐ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

წარმოიდგინეთ სტუდენტი, რომელიც სწავლობს ფილოსოფიას: სტუდენტს შეუძლია ჩაერთოს დიალოგში AI-სთან სოკრატეს იდეების შესახებ; AI-მ შეიძლება დაუსვას შეკითხვები სტუდენტს, რომლებიც აიძულებს მას, კრიტიკულად გაიაზროს იდეები; სტუდენტს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და AI დაეხმარება მათ განვითარებაში.

5. ᲔᲡ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠ, ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ AI ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ!

წარმოიდგინეთ მუსიკის მიმართულების სტუდენტი, რომელიც სწავლობს კომპოზიციას: სტუდენტი იწყებს მელოდიის შექმნას, AI ანალიზს უკეთებს მელოდიას და სთავაზობს ჰარმონიულ ვარიაციებს, სტუდენტი ირჩევს და ცვლის AI-ს შეთავაზებებს. AI აძლევს უკუკავშირს მუსიკალური თეორიის საფუძველზე; საბოლოოდ, იქმნება უნიკალური ნაწარმოები, რომელიც არის სტუდენტისა და AI-ს თანამშრომლობის შედეგი.

ეს ნიმუშები აჩვენებს, თუ როგორ ქმნის ცოდნის მიღების ინტერაქციული ფორმა აქტიურ, დინამიკურ და პერსონალიზებულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლე/სტუდენტი მხოლოდ ინფორმაციის მიმღები კი არ არის, არამედ აქტიური მონაწილეა ცოდნის შექმნის პროცესში.

ინტერაქციული სწავლების მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი გულისხმობს მომხმარებლის აქტიურ ჩართულობას. ინდივიდს საშუალება ეძლევა, დასვას კითხვები, გაარედაქტიროს ტექსტები, გადაჭრას პრობლემები და სწავლების პროცესში ჰქონდეს საკუთარი ინტერესები. ეს მოცემულობა გარდაქმნის ცოდნის გადაცემის ტრადიციულ მექანიზმს, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას გულისხმობდა.

ინტერაქციული სწავლება და მოტივაცია

ინტერაქციული სწავლების მეთოდები აძლიერებს მოტივაციას, რადგან ეს მოდელი სტუდენტებს უშუალო მონაწილეობას და აქტიურ ჩართულობას სთავაზობს. ტრადიციული სწავლების დროს სტუდენტებს ხშირად უჭირთ მოტივაციის შენარჩუნება, რადგან ისინი არიან პასიური მიმღებები – ინფორმაციას უბრალოდ იღებენ. ამის საპირისპიროდ, ინტერაქციული სწავლების დროს მოსწავლეები უფრო აქტიურები არიან.

ინტერაქციული სწავლების შედეგად მოტივაცია იზრდება არა მხოლოდ სტუდენტების ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ისინი უფრო მარტივად აღიქვამენ ცოდნას და იყენებენ პრაქტიკულად. როცა მოსწავლეები ხედავენ, რომ მათი ძალისხმევა შედეგებს იძლევა, შიდა მოტივაცია (intrinsic motivation) იზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ გარე სტიმულების გამო სწავლობენ, არამედ სწავლა თავად ხდება შინაგანად სასიამოვნო პროცესი – ეს არის ამ ფორმის სწავლების კიდევ ერთი უნიკალური მახასიათებელი. სწავლის ამ ფორმატზე ვერასდროს იტყვი: „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილიო“.

AI ჩატბოტები და მომავლის განათლება: ინტერაქციული სწავლის ახალი პერსპექტივები

ნილ სელვინი არის ცნობილი მკვლევარი განათლების ტექნოლოგიების სფეროში; სელვინი წიგნში „Should Robots Replace Teachers?: AI and the Future of Education“ (უნდა ჩაანაცვლონ თუ არა რობოტებმა მასწავლებლები?: ხელოვნური ინტელექტი და განათლების მომავალი, 2019) ის სიღრმისეულად იკვლევს ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენას განათლებაზე და სვამს ძალიან მნიშვნელოვან კითხვებს მის როლზე სწავლების პროცესში. სელვინი აღიარებს AI-ს უდიდეს პოტენციალს განათლების სფეროში. ის განიხილავს, თუ როგორ შეუძლია AI-ს გააუმჯობესოს სწავლების პროცესი პერსონალიზებული სწავლების, ავტომატიზებული შეფასებებისა და ადაპტირებადი სასწავლო მასალების მეშვეობით. ავტორი არ მალავს იმასაც, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მასწავლებლის როლი AI-ს ინტეგრაციით. ის არ ფიქრობს, რომ მასწავლებლები მთლიანად ჩანაცვლდებიან, არამედ ვარაუდობს, რომ მომავალში მათი როლი იქნება ფასილიტატორობა და მენტორობა.

სელვინი გვთავაზობს კრიტიკულ ხედვას AI-ს „ჰაიპზე“ განათლებაში. ის გვაფრთხილებს, რომ ტექნოლოგია არის ინსტრუმენტი და მას არ შეუძლია ყველა საგანმანათლებლო პრობლემის გადაწყვეტა.

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა სცენარი იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს AI-ს ინტეგრაცია განათლებაში. სელვინი განიხილავს როგორც ოპტიმისტურ, ისე პესიმისტურ ხედვებს.

ავტორი გვთავაზობს დაბალანსებულ და კრიტიკულ ანალიზს AI-ს როლზე მომავლის განათლებაში.

რა თქმა უნდა, მომავალი განათლება უკვე წარმოუდგენელია ხელოვნური ინტელექტის (AI) გარეშე, რაც სწავლების ფორმების სრულ ტრანსფორმაციას გვპირდება.

მომავალი განათლება AI ჩატბოტების მეშვეობით გახდება გაცილებით ინტერაქციული, პერსონალიზებული და დინამიკური. ეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ცოდნის გამდიდრებას, არამედ დაეხმარებიან მათ, რომ გახდნენ უფრო კრეატიულები და დამოუკიდებლები. AI ჩატბოტები გახდებიან არა მხოლოდ მასწავლებლები, არამედ შემოქმედებითი პარტნიორები, რომლებიც ცოდნის მიღების პროცესს უფრო სასიამოვნოსა და ეფექტურს გახდიან.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. Carr, N. (2020). The Shallows: What the Internet Is Doing to Our Brains. W. W. Norton & Company.
2. Harari, Y. N. (2023). 21 Lessons for the 21st Century. Random House.
3. Koller, D. (2022). “AI-Powered Education: Opportunities and Challenges.” Journal of Artificial Intelligence in Education, 15(2), 45-62.
4. Mollick, E. (2023). “Generative AI and the Future of Education.” Harvard Business Review, 101(4), 112-123.
5. Zuboff, S. (2021). The Age of Surveillance Capitalism: The Fight for a Human Future at the New Frontier of Power. PublicAffairs.
6. Anderson, T., & Dron, J. (2018). “Three generations of distance education pedagogy.” The International Review of Research in Open and Distributed Learning, 12(3), 80-97.
7. Bostrom, N. (2017). Superintelligence: Paths, Dangers, Strategies. Oxford University Press.
8. Chen, L., Chen, P., & Lin, Z. (2020). “Artificial Intelligence in Education: A Review.” IEEE Access, 8, 75264-75278.
9. Luckin, R., Holmes, W., Griffiths, M., & Forcier, L. B. (2016). Intelligence Unleashed: An argument for AI in Education. Pearson.
10. Roll, I., & Wylie, R. (2016). “Evolution and Revolution in Artificial Intelligence in Education.” International Journal of Artificial Intelligence in Education, 26(2), 582-599.
11. Selwyn, N. (2019). Should Robots Replace Teachers?: AI and the Future of Education. Polity Press.
12. Siemens, G. (2005). “Connectivism: A Learning Theory for the Digital Age.” International Journal of Instructional Technology and Distance Learning, 2(1), 3-10.
13. Tegmark, M. (2017). Life 3.0: Being Human in the Age of Artificial Intelligence. Knopf.
14. Woolf, B. P. (2010). Building Intelligent Interactive Tutors: Student-centered Strategies for Revolutionizing E-learning. Morgan Kaufmann.
15. Zhang, D., Zhao, J. L., Zhou, L., & Nunamaker Jr, J. F. (2004). “Can e-learning replace classroom learning?” Communications of the ACM, 47(5), 75-79.

მეგი
კავთუაშვილი

მშობელთა კლუბი სკოლაში და მშობელთა მოხალისეობა

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი სახეა მოხალისეობა, რომელსაც, თავის მხრივ, მრავალი ფორმატი და თემატური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. როგორც წესი, მშობლები სკოლაში იმ საქმიანობით არიან დაკავებული, რაც ყველაზე მეტად მოსწონთ, გამოსდით ან უბრალოდ აქტუალურია მათთვის.

მშობელთა კლუბი მოხალისეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონითაც. მშობელთა კლუბის მიზანი შეიძლება იყოს წიგნის კითხვის, ხელსაქმის პოპულარიზაცია, ბულინგის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, დამატებითი ფინანსების მოძიება, სპორტის ან ხელოვნების სწავლების გაძლიერება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა კვების ორგანიზება, სკოლასთან მისასვლელ გზებზე უსაფრთხოების დაცვა, პედაგოგების მხარდაჭერა, სასკოლო გამოწვევების დაძლევა და სხვა.

მოწინავე ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულობის ხარისხი მაღალია, მშობელთა კლუბების მრავალფეროვნებაა. კლუბის საქმიანობაში მონაწილეობა, წესისამებრ, ნებაყოფლობითია, თუმცა ყველა კლასში მოიძებნება მშობელი, რომელსაც რომელიმე კლუბის წევრობის სურვილი ექნება.

მშობელთა კლუბები საქართველოს სკოლების პრაქტიკაშიც მკვიდრდება, თუმცა ხშირად გაიგონებთ ჩივილს, რომ მშობლების ერთობას უჭირს მდგრადობის შენარჩუნება, მათი საქმიანობა უმეტესად ფრაგმენტული და არასისტემურია.

იმისთვის, რომ მშობელთა კლუბების ხანგრძლივად ფუნქციონირება გახდეს შესაძლებელი, აუცილებელია, ცოტა დრო დავუთმოთ მათ ორგანიზაციულ მოწყობას.

უპირველეს ყოვლისა, მშობელთა კლუბის დაფუძნების სურვილი თავად მშობლებს უნდა ჰქონდეთ. ეს სურვილი რომ გაუჩნდეთ,

მათ უნდა იცოდნენ, რომ ამის უფლება აქვთ და სკოლისგან, კერძოდ, დირექტორისა და მასწავლებლებისგან მხარდაჭერას მიიღებენ. ამის შემდეგ მსურველებმა უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რა მიზნით იქმნება კლუბი?
- რა გზით შეიძლება კლუბმა ამ მიზანს მიაღწიოს?
- ვინ იქნებიან კლუბის წევრები?
- ვინ იქნება კლუბის ხელმძღვანელი?
- ვინ მიიღებს გადაწყვეტილებებს?
- როგორ შეიძლება კლუბში ახალი მშობლების მიღება ახლა და მომავალში?
- როგორ შეძლებს მშობელი კლუბის დატოვებას?
- როგორ ითანამშრომლებს კლუბი სკოლასთან?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბის წევრებს?
- ვინ ისაუბრებს კლუბის სახელით?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბთან მიმართებით სკოლის თანამშრომლებს?

ამ კითხვებზე გაცემული პასუხები უნდა აისახოს ორ მთავარ დოკუმენტში, რომლებიც მომავალში საფუძვლად დაედება კლუბის ფუნქციონირებას. ესენია: კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი და კლუბის წესდება.

მშობელთა კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ქცევის სტანდარტს კლუბის წევრებისთვის. მისი მიზანია, ერთიან ფორმატში მოაქციოს კლუბის წევრთა ურთიერთობა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან: მოსწავლეებთან, ერთმანეთთან, სკოლასთან, ასევე, სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

ამ წესებზე შეთანხმება განსაზღვრავს კლუბის წევრების მოქმედების ძირითად პრინციპებს. მაგალითად, ეთიკის კოდექსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგნაირ ჩანაწერებს:

1. კლუბის თითოეული წევრი უზრუნველყოფს შვილისა და სხვა ბავშვების კეთილდღეობას (საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად).
2. კლუბის წევრი მოქმედებს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე.
3. კლუბის წევრი თანასწორად ეპყრობა თითოეულ ბავშვს, იცავს მას და მის მშობელს დისკრიმინაციისგან, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, საქმიანობისა, შეხედულებებისა და სხვა ნიშნებისა.

4. კლუბის წევრი დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან, ზეწოლისგან, პირადი ინტერესისგან.
5. კლუბის წევრი კორექტულად და თავაზიანად გამოთქვამს აზრს, პატივს სცემს ადამიანის ღირსებას.
6. კლუბის წევრი პატივს სცემს სკოლის, ასევე, სხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციულ კულტურას და იცავს მათ შინაგანაწესს.
7. კლუბის წევრი თავისი ქცევით საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანებს.
8. კლუბის წევრი იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას. კონფიდენციალურობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.
9. კლუბის წევრი არ მოქმედებს კლუბის სახელით კლუბის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად.
10. კლუბის წევრი მოხალისეობრივად უზიარებს თავის ცოდნას და გამოცდილებას სხვა წევრებს.

კლუბის წესდება

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების კლუბის წესდება უნდა წარმოადგენდეს სკოლისა და კლუბის წევრების შეთანხმებას ყველა ძირითად საკითხზე. ამ შეთანხმების მიღწევა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მშობელთა კლუბი სკოლის შემადგენელი ნაწილია და მისი მოქმედება მეტ-ნაკლებად თანხვედრაში უნდა იყოს სკოლის ორგანიზაციულ კულტურასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია რისკი, რომ კლუბის მუშაობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

ქვემოთ იხილეთ კლუბის წესდების შაბლონური ნიმუში, რომელიც შეგიქმნით ზოგად წარმოდგენას და გაგიადვილებთ თქვენს რეალობას მორგებული წესდების შექმნას.

მშობელთა კლუბის წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. მიუთითეთ კლუბის ფორმა (საინიციატივო ჯგუფი, ააიპ ან სხვა);

1.2. კლუბის სახელწოდება (უმჯობესია, კლუბს დაარქვათ სახელი, რადგან სკოლაში შეიძლება მშობლების რამდენიმე კლუბი არსებობდეს);

1.3. კლუბის საკონტაქტო ინფორმაცია და მისამართი (მისამართი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სივრცე მუშაობისთვის) ;

1.4. კლუბის მიზანია ----------

1.5. კლუბის ამოცანებია ----------

1.6. სკოლის უფლება-მოვალეობები კლუბის საქმიანობასთან მიმართებით

1.6.1. სკოლის უფლებები ----------

1.6.2. სკოლის მოვალეობები ----------

მუხლი 2

კლუბის დამფუძნებელი წევრები

2.1. კლუბის დამფუძნებელი წევრები არიან:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, დაბადების თარიღი

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------
9. ----------

მუხლი 3

კლუბის წევრობა

3.1 კლუბის წევრობა

3.1.1 ვინ შეიძლება იყოს კლუბის წევრი, მაგალითად, დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები ან ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეთა მშობლები?

3.2 გაწევრება

3.2.1 როგორ მოხდება კლუბში ახალი წევრების მიღება – განაცხადი უნდა დაწერონ, თუ სიტყვიერად მიმართონ დამფუძნებლებს, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა ვადაში უნდა ეცნობოთ პასუხი წევრობის მსურველებს?

3.3 წევრობის შეწყვეტა

3.3.1. რა შემთხვევაში შეიძლება კლუბის წევრს შეუწყდეს წევრობა? მაგალითად,

კლუბის წევრს შესაძლოა შეუწყდეს წევრობა:

– საკუთარი განცხადების საფუძველზე;

– კლუბის წესდების და ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში

3.4 წევრთა უფლება-მოვალეობები

3.4.1 წევრის უფლებები

რა უფლებები აქვს კლუბის წევრს? მაგალითად,

– აირჩიოს და არჩეულ იყოს კლუბის ხელმძღვანელად;

– კლუბის კრებაზე წამოაყენოს საკითხი განსახილველად;

– მონაწილეობა მიიღოს გადასაწყვეტი საკითხების კენჭისყრაში

3.4.2 წევრის ვალდებულებები

რა ვალდებულებები აქვს კლუბის წევრს? მაგალითად,

– *რა სიხშირით უნდა დაესწროს კლუბის კრებებს;*
– *დაიცვას კლუბის ეთიკის ნორმები.*

მუხლი 4
კლუბის მართვა და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
ვინ მართავს კლუბს: გამგეობა, კლუბის ხელმძღვანელი თუ წევრები ერთად?

4.1. მართვის საკითხები
– ვინ ამტკიცებს სამოქმედო გეგმას;
– ვინ ირჩევს/ნიშნავს კლუბის ხელმძღვანელს;
– ვინ იღებს გადაწყვეტილებას წევრად მიღების და შეწყვეტის შესახებ;
– ვინ ურთიერთობს სკოლასთან;
– ვინ ურთიერთობს მესამე პირებთან.

მუხლი 5
კლუბის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

– რა შემთხვევაში გაუქმდება კლუბი;
– როგორ მიიღება გადაწყვეტილება გაუქმების შესახებ.

მშობელთა კლუბის ამგვარი მოწყობა ხელს შეუწყობს მის მდგრად ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ადეკვატური მოლოდინების შექმნას.

მშობელთა მოხალისეობა სკოლაში

2020 წელს, პანდემიის დაწყებამდე საქართველოში ჩატარებული მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა ადასტურებს, რომ ჯერ-ჯერობით სკოლებში მშობელთა მოხალისეობის მდიდარი გამოცდილება არ გვაქვს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული პედაგოგების და სკოლის დირექტორების უმრავლესობას გაუჭირდა მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების აღწერა. გაიხსენეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რაც ძირითადად კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზებას უკავშირდება. (წყარო: https://bit.ly/3sjm3qi).

განვითარებულ ქვეყნებში მშობელთა მოხალისეობის სისტემის ასაწყობად სკოლებში საგანგებოდ მუშაობენ. ამ სტატიაში რამდენიმე ქვეყნის მაგალითს გაგიზიარებთ, თუ როგორ ახერხებენ ამერიკის და ევროპის ქვეყნების სკოლებში მოსწავლეთა მშობლების მოხალისეობრივ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

მანამდე კი გადავხედოთ ტერმინს მოხალისეობა: მოხალისეობა – არაანაზღაურებადი საქმიანობაა, რომელიც გულისხმობს ნებაყოფლობით დროის დახარჯვას, მომსახურების შესრულებას ან/და დახმარების გაწევას, რომლის მიზანია სოციალური სარგებლის მოტანა. ქართული

სკოლის რეალობაში ხშირად ხდება, რომ მშობლები მონაწილეობენ სკოლის დასუფთავების აქციებში. ან აგროვებენ თანხებს ბავშვებისთვის სასარგებლო რესურსების შესაძენად. ჩამოთვლილი და სხვა მსგავსი ინიციატივები მშობელთა მოხალისეობას ასახავს, თუმცა მოხალისეობა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და სასარგებლო შეიძლება იყოს, ვიდრე სკოლის შენობების დალაგებაში მონაწილეობაა.

მოხალისეობის დროს:

- მშობელი აქტიურად ინტერესდება სასკოლო ცხოვრებით;
- არის პროცესების მონაწილე და არა დამკვირვებელი;
- ავსებს, ამდიდრებს და მეტად საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.

ვინ და რა სარგებელს იღებს სკოლაში მშობელთა მოხალისეობით? ერთობლივი მუშაობითა და მოხალისეობით, სკოლას და მშობლებს შეუძლიათ გადაჭრან საზოგადოებრივი საკითხები, გაზარდონ მონაწილეთა რაოდენობა, მიაღწიონ წარმატებას იქ, სადაც რესურსები შეზღუდულია. შვილის სკოლაში მოხალისეობით, მშობლებს შეუძლიათ დაძლიონ სკოლაში არსებული ზოგიერთი ხარვეზი.

სკოლებმა უნდა იცოდნენ, რომ მოხალისეობა ხელს უწყობს საკუთრებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს. განვითარებულ ქვეყნებში არაერთი სკოლა სწავლობს მშობლების რესურსებს იმისთვის, რომ შემდეგ ეს რესურსები მოსწავლეთა კეთილდღეობისთვის გამოიყენოს. მშობელთა მოხალისეობის სისტემის ასაწყობად სკოლები ქმნიან სტრატეგიებს. გაწერილი სტრატეგიის ფარგლებში, ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვებს, რათა მოიძიონ ინფორმაცია მოხალისე მშობლების შესახებ. შეისწავლონ მათი ინტერესები, ნიჭი და შესაძლებლობები. გამოკითხვის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია სკოლის მონაცემთა ბაზაში აკუმულირდება და მოხალისეთა აქტივობები ამის მიხედვით იგეგმება. იქმნება არაფორმალური ხასიათის მხარდაჭერის ქსელი. სკოლის შენობაში გამოყოფილია მშობლების ოთახი ან საოჯახო სივრცე მოხალისეობრივი მუშაობისთვის, შეხვედრებისთვის და საოჯახო რესურსებისთვის. რეგულარულად ტარდება მოსწავლეთა წინსვლის, თამაშების, შეკრებების მიმოხილვების შესახებ შეხვედრები, რომლებზე დასასწრებადაც მოსაწვევებს უგზავნიან მშობლებს. ეს მოსაწვევები პერსონალური სახისაა და არა ზოგადი.

ესტონეთის ზოგიერთ სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა, როცა მშობლები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად აწყობენ თეატრალურ სანახაობებს, სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებს; სკოლის ეზოში ზამთრის ბაზარს, სადაც ნივთების გაცვლა და ყიდვა-გაყიდვა შეუძლიათ. ხშირად მშობლები სკოლებში ვიზიტისას მოსწავლეებს უყვებიან სამოტივაციო ისტორიებს და ესაუბრებიან თავიანთ პროფესიაზე, თუ რა სფერო და რატომ აირჩიეს. მიჰყავთ ბავშვები თავიანთ სამსახურებში. მშობლები ორგანიზებას უწევენ სასკოლო წვეულებებს. პედაგოგებთან ერთად მშობლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროექტებში, ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ექსკურსიებში, პიკნიკების მოწყობაში, სკოლის სამზარეულოში საერთო სადილების მომზადებაში. ესტონეთში მშობელთა ინიციატივების ზრდას ხელს უწყობს

დირექტორისა და მასწავლებელთა დაინტერესება, რომ მშობლები ჩართულნი იყვნენ სკოლის მართვის პროცესებში. დირექტორი ნდობას უცხადებს მშობლებს და თანამშრომლობითი ურთიერთობის გამყარებას ცდილობს. ადგილი აქ აქვს არანაირ ძალდატანებას და წნეხს.

ბერლინის სკოლების დიდ ნაწილში გამოყოფილია „მშობლების ოთახი", რომელიც მუდმივად ღიაა. ეს არ არის მოსაცდელი ოთახი, სადაც მშობლები გაკვეთილების დასრულებას და ბავშვებს ელიან. ეს სივრცე არის მათი აქტივობებისა და შეხვედრების დასაგეგმად, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია არ ესწრება. წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ეწყობა მშობლების საღამოები. ეს არის შეხვედრა სკოლაში, რა დროსაც მშობლები მასწავლებლებთან ერთად მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გამოკლებით.

ამერიკაში, კერძოდ, არიზონას შტატის როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში ფართოდაა გავრცელებული მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები. თითოეულ სკოლას თავისი მიდგომა გააჩნია ამ საკითხთან მიმართებით, თუმცა სკოლის მხრიდან მოხალისეობის ხელშეწყობა ყველგან შეინიშნება. მოხალისეობის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია სპორტულ აქტივობებზე, სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებზე დახმარება – იქნება ეს რიგების მართვა, ბილეთების გაყიდვა, ექსკურსიებზე დახმარება, საგაკვეთილო პროცესისათვის სხვადასხვა საჭირო ნივთების მომზადება, მაგ. პოსტერების, მაკეტების შექმნა; გაკვეთილზე გამოსაყენებელი საკანცელარიო ნივთების შეძენა მშობლის მიერ, სხვადასხვა კლუბების მუშაობის პროცესში მონაწილეობა და სხვ.

ზოგიერთ სკოლაში სავალდებულოა მშობლების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში, ეს შეიძლება იყოს ექსკურსიაზე დახმარება, ღონისძიების დაგეგმვაში მონაწილეობა, საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ან რაიმე მატერიალური დახმარება, იქნება ეს მოსწავლეებისათვის საჭირო ნივთების შეძენა (სამუშაო ნივთები, წამახალისებელი საშუალებები) და სხვ.

ისეთი ტიპის მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვა, რომლებიც მოითხოვს მოსწავლეებთან კომუნიკაციას, მკაცრად კონტროლდება სკოლის მიერ. სკოლა წინასწარ აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოხალისეობის პრაქტიკების შესახებ და თუ ისინი გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, სკოლა ამოწმებს ინფორმაციას მათ შესახებ და რწმუნდება, რომ მათი მოსწავლეებთან დაშვება უსაფრთხოა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლისთვის და ნებისმიერ მსურველს არ ეძლევა მოსწავლეებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. თუმცა, არის ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩართვა. სკოლა, როგორც წესი, მინიმუმ ორი კვირით ადრე აგზავნის ინფორმაციას თუ რა ტიპის მოხალისეობრივი დახმარება ესაჭიროება მშობლების მხრიდან. მშობლები ავსებენ შესაბამის ფორმას ელექტრონულად და აფიქსირებენ საკუთარ მზაობას. ზოგიერთ სკოლაში გავრცელებულია კლასის მშობლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ კლასს ჰყავს ორი მოხალისე მშობელი, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებში იღებენ მონაწილეობას. ასევე, გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, წლის დასაწყისში მშობლებს ეგზავნებათ სარეგისტრაციო ბმული პორტალის საშუალებით და ისინი აფიქსირებენ, თუ რა ტიპის მოხალისეობრივ აქტივობებში სურთ ჩართვა. ეს შეიძლება იყოს სპორტული, თეატრალური, სახელოვნებო, მუსიკალური, შემეცნებითი და სხვ.

არიზონას შტატში მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები როგორც ხელისუფლების, ისე თითოეული სკოლის მიერ აღიქმება, როგორც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი. სკოლა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მშობლების წინასწარ ინფორმირებას შესაძლო მოხალისეობრივი პროექტების შესახებ, ითვალისწინებს და სწავლობს მათ ინტერესებს და სწორედ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სთავაზობს ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვას. როგორც დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, სკოლა პატივს სცემს და ითვალისწინებს მშობლების დროის დეფიციტს და მათ მოხალისეობრივი აქტივობების იმდენად მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს, რომ მშობლების დათანხმება და ჩართულობის მიღწევა შესაძლებელი ხდება. ასევე, აღსანიშნავია, მშობლებთან დროული და ეფექტური კომუნიკაციის პოლიტიკა, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ წინასწარ დაგეგმონ, თუ რა დოზითა და ფორმით ჩაერთვებიან მსგავს პროექტებში.

მშობელთა მოხალისეობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის სკოლის თანამშრომლებს დრო და კომპეტენციაც სჭირდებათ. დადგენილია, რომ მოხალისეობის მუხტი ცუდი მენეჯმენტის შემთხვევაში ადვილად ქრება. თუ მოხალისე ფიქრობს, რომ სკოლა მის ნიჭს და გამოყოფილ დროს არასათანადოდ იყენებს ან აფასებს, მას მოტივაცია ეკარგება. ამერიკის ურბანული ინსტიტუტის კვლევამ გამოავლინა მართვის რამდენიმე წესი, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეთა აქტიურ ჩართულობას.

- თანამშრომლების გადამზადება, რომლებიც იმუშავებენ მოხალისეებთან.
- სკრინინგის პროცესი შესაფერისი მოხალისეების გამოსავლენად;
- წერილობითი წესები და სამუშაოთა აღწერილობა მოხალისეთა ჩართვისათვის;
- რეგულარული კონსულტაციები და კომუნიკაცია მოხალისეებთან;
- წახალისება და აღიარება, მაგ., როგორიცაა მოხალისეთა დაჯილდოების ცერემონიალი;
- სწავლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მოხალისეებისათვის;
- კეთილგანწყობილი კულტურის ჩამოყალიბება და რესურსების გამოყოფა მოხალისეობრივ საქმიანობებზე.

ცხადია, მშობელთა მოხალისეობის ერთი უნივერსალური პროგრამა არ არსებობს. ცალკეული სკოლა თემზე მორგებულ პროგრამას თავად ქმნის, რადგან ერთ სკოლაში აპრობირებული მოდელი, შესაძლოა წარუმატებელი გამოდგეს სხვა სკოლაში. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი წესები ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის სკოლის, ადმინისტრაციას მოხალისეობის სისტემის აწყობაში დაეხმარება.

მაია
მენაბდე

„ულმობელი საქმის კაცი“ და თანამედროვე მოზარდები

ანუ რატომ უნდა ვასწავლოთ სკოლაში ნიკო ნიკოლაძის შესახებ?

ნიკო ნიკოლაძესა და მის საარაკო საქმეებზე ადრეც ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ მისი სახლ- მუზეუმის ნახვის შემდეგ სრულიად შეპყრობილი გავხდი ამ ადამიანით – რაღაც დამემართა, ის, რაც ამბებად ვიცოდი, სრულიად ხელშესახები და თითქოს თანადროული გახდა. როცა მუზეუმის გიდს, კომპეტენტურ ადამიანს, ძალიან კარგ მთხრობელს, ვუსმენდი რამდენიმე მეგობართან ერთად, ძალიან დამწყდა გული, რომ იქ არ იდგნენ ჩემი მოსწავლეები. თან საშინლად შემრცხვა, რომ აქამდე არასოდეს მისაუბრია მათთან დიდ ნიკოზე. მალე სკოლაც იწყებოდა. გამალებით დავიწყე ყველაფრის კითხვა ნიკო ნიკოლაძეზე, რაც ინტერნეტში მხვდებოდა, რაც წიგნებში მომეძებნებოდა და პარალელურად ფიქრი იმაზე, ბავშვებამდე რა და როგორ მიმეტანა. მერე მაქსიმალურად ვეცადე, ნიკოს ფართო დიაპაზონის ინტერესები, საქმეები, ნაფიქრალ-ნაწერი დამევიწროებინა, კონკრეტულ ჭრილში მომექცია და ისე მიმეწოდებინა ჩემი მოსწავლეებისთვის. ავირჩიე სამი საკითხი, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იპოვონ პასუხები ამ თემებზე დასმულ კითხვებზე, ნიკოს კი ბევრ კითხვაზე აქვს მზა პასუხი თავისი საქმით თუ ნაწერით. ეს საკითხებია:

- რატომ არის აუცილებელი და რას აძლევს პიროვნებას, ქვეყანას კარგი განათლება?
- რატომ ევროპა და ევროპული არჩევანი?
- რას გულისხმობს ნამდვილი პატრიოტიზმი?

ა. განათლების მნიშვნელოვნება

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით მოზარდების სამყაროში, თითქოს კითხვითი ნიშნის ქვეშ დადგა განათლების უალტერნა-

ტივობის საკითხი. რა საჭიროა განათლება, წიგნებში გადაშვება, გამუდმებით მუშაობა საკუთარ თავზე, თუ დღეს უბრალო, ყოფით თემებზე ტიკტოკერობითაც შესაძლებელია, ფულიც იშოვო და ცნობილიც გახდე?! დაახლოებით ასეთ კითხვებს სვამენ ისინი. ამ მოცემულობაში მცხოვრები მოზარდებისთვის ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება განათლებისადმი სრულიად შოკისმომგვრელი და ცოტა დამაბნეველიც კი აღმოჩნდა. ნიკოს ცხოვრებისა და ნააზრევის გაცნობისას შეგვიძლია, ამ საკითხზე მოსწავლეები სხვადასხვა კუთხით დავაკვირვოთ.

პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი: რამდენად გრძელი და მრავალფეროვანი გზა გაიარა ნიკომ, რათა სრულყოფილი განათლება მიეღო მაშინ, როცა პირველი გილდიის ვაჭრის შვილი იყო და თუ მამის არჩეულ გზას გაჰყვებოდა, უსწავლელადაც სრულიად უზრუნველად გალევდა თავის სიცოცხლეს. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან პროტესტის გამო გარიცხული ჯერ სორბონაში სწავლობდა, მერე კი გადავიდა შვეიცარიაში, იქ ციურიხის უნივერსიტეტში



ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკის არქივიდან

დაწერა სადოქტორო ნაშრომი და მიიღო დოქტორის ხარისხი – იგი მიიჩნევა პირველ ქართველად, ვინც დოქტორის ხარისხი ევროპაში მიიღო. მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნიკო ნიკოლაძე თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მუდმივად ახლის მაძიებელ, თვითშემმეცნებელ ადამიანად დარჩა. კონსტანტინე გამსახურდია იგონებს: *„ნიკო ნიკოლაძეს მე ორჯერ შევხვდი: ერთხელ ბერლინში და მეორეჯერ პარიზში 1923 წელს. უნდა ითქვას, აღტაცებაში მომიყვანა მისმა დიდმა ერუდიციამ, განსწავლულობამ და გონებამახვილობამ. რა და რა დარგის გამო არ გაესაუბრებოდი მას – ბერგსონის „ელან ვიტალის“ მოძღვრება იქნებოდა ეს თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია თუ ინდური ბრაჰმანიზმი, ისლამური მისტიციზმი თუ მასონების მოძრაობა ევროპაში, იტალიური რენესანსის თუ ძველბერძნული პლასტიკის საკითხები... ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო. პირველხარისხოვანი ევროპელი დიდი მწერლის, ან მეცნიერის სიმაღლეზე იდგა მისი გამობრძმედილი ინტელექტი, რომელსაც სიბერე ჯერ არ გაჰკარებოდა“.*

მეორე, ასევე უაღრესად საინტერესო მხარეა ნიკოს ცხოვრების, თუ რა სარგებლობა მოუტანა მისმა განათლებულობამ სამშობლოს. ამ უგანათლებულესი კაცის გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი ლამის უსასრულოა და ამ ფორმატში ნამდვილად ვერ ჩაეტევა, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავ: განათლების აუცილებლობის, პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობიანობის ძალიან კარგი მაგალითია თუნდაც ის ცნობილი ფაქტი, რომ ფოთის მშენებლობისას ნიკომ არა მხოლოდ ევროპაში იმოგზაურა 8-ჯერ, არამედ ჩრდილოეთ აფრიკის 12 სხვადასხვა საპორტო ქალაქიც მოუნახულებია, რათა თავის ქვეყანაში ერთი პატარა ქალაქისთვის ნავსადგურის სრულყოფილი პროექტი შეედგინა.

მესამე მიმართულებაა, თავად რას აკეთებდა ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებისთვის – როგორ აქცია მეუღლესთან, ოლღა გურამიშვილთან ერთად დიდი ჯიხაიშის სახლი და მამული თავისი შვილებისა და ქართველი ახალგაზრდების განათლების კერად. აქვე აღვნიშნავთ: ნიკო თვლიდა, რომ განათლების მიღება იწყება ადრეული ასაკიდანვე და ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ოჯახის როლი: *„თუ ყმაწვილს გონება თავის ენაზე გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება. მშობელი შვილებზე სკოლაში შესვლამდე უნდა ზრუნავდეს, რომ ყმაწვილს თავისი ენა კარგად ასწავლოს, გონება გაუხსნას და სკოლაში მომზადებული მისცეს. საკვირველია, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება ჩვენს საზოგადოებას აქამდე ვერ შეუგნია. ერთი სიტყვით, ვისაც კი სურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნასა და სწავლაში სწორ გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს, სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილთან უფრო ახლოს არიან, მის გრძნობას იზიდავენ და ადვილად შეითვისებიან“.* სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე ის უკვე ხანშიშესულიც მუშაობდა თავის შვილთან, რუსუდანთან ერთად, რომელმაც სწორედ მამის ხელმძღვანელობით შექმნა სკოლამდელი აღზრდის სახელმძღვანელო.

სოფელ დიდ ჯიხაიშში თავდაპირველად ნიკომ გახსნა სამწლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ტექნიკუმად გადაკეთდა. მოგვიანებით ოლღამ, რომელსაც ასევე ძალიან კარგი განათლება ჰქონდა მიღებული ევროპაში, აქვე დაარსა ქალთა გიმნაზია და შემოიღო პოლიტექნიკური სწავლება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ნიკოს დიდი ძალისხმევითა და უშუალო ჩართულობით სოფელში გაიხსნა უმაღლესი დაწყებითი ტიპის სკოლა. სკოლას ხელმძღვანელობდნენ მისი მეუღლე და ქალიშვილი რუსუდანი, რომელმაც მენდელეევის ლაბორატორიის ნაწილიც კი ჩამოიტანა თურმე ამ სკოლისთვის.

ამ ძალიან მოკლედ თქმულ დიდ საქმეებთან ერთად ის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სახალხო სკოლების საკითხს. თვლიდა და მოითხოვდა კიდეც, რომ დაწყებითი უფასო განათლების შესაძლებლობა უკლებლივ ყველას მისცემოდა. ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უმაღლეს განათლებასაც, წერდა კავკასიის უნივერსიტეტის აუცილებლობაზე, მისი აზრით, თბილისში უნივერსიტეტის გახსნა გიმნაზიაში სწავლის მსურველებს მოტივაციას გაუჩენდა, მათ რიცხვს გაზრდიდა, რადგან კავკასიის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდებოდა უმაღლესი სასწავლებელი.

ამ ყველაფერს დავუმატოთ ისიც, რომ ნიკო ძალიან აფასებდა მასწავლებლის პროფესიას, თითოეული მასწავლებლის ამაგს ქვეყნის წინაშე და თვლიდა, მასწავლებელს სჭირდებოდა არა კონტროლი, არამედ თანადგომა ზემდგომთა მხრიდან და ღირსეული ანაზღაურება.

ბ. ევროპისა და ევროპული კურსის მნიშვნელობა ქვეყნისთვის

მეორე საკითხი, რომელზეც, ჩემი აზრით, მოსწავლეების ყურადღება აუცილებლად უნდა შევაჩეროთ, არის ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ევროპის მიმართ და ევროპაში მიღებული გამოცდილების დაკავშირება თავის სამშობლოსთან. მით უფრო, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა განვითარების ისეთ ეტაპზეა, რას ნიშნავს ევროპასთან სიახლოვე და ევროპული კურსი, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული. ამ გააზრებას მოზარდობის ასაკში თუ არ ჩაეყარა საფუძველი, ფაქტია, მერე ჭირს რაღაცების მკაფიოდ დანახვა.

არტურ ლაისტი, ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი და საქართველოს დიდი გულშემატკივარი, ნ. ნიკოლაძეზე წერდა: *„იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე ჭკვიანი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ. ეს უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით. მან ათეული წლით განსაზღვრა თავისი ერისათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები და ნათელი გონებით განჭვრიტა!“*.

ნიკოს ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მას არ უცდია ველოსიპედის თავიდან გამოგონება. უბრალოდ, ცდილობდა, ევროპაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა. ოღონდ მაქსიმალურად ითვალისწინებდა ეროვნულ ნიადაგს, ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს, ქართველი ხალხის ინტერესებსა და მზაობას. საკუთარი ხალხის, ქვეყნისადმი კრიტიკულად შეხედვაც შეეძლო და არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებსაც დაუცხრომლად ეძებდა – მისი ცხოვრების კრედოც ეს იყო – ფეხზე დაეყენებინა ქვეყანა და გააზრებული ჰქონდა, ამაში სწორედ ევროპაში ნანახ-განცდილის გამოყენება დაეხმარებოდა:

„ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს... ჩვენთვის მეტის მეტათ შესახარბებელია სხვა

ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა იმათ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რანაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლად და გასაძლიერებლათ“.

8. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი – საქმითა და სიტყვით

ევროპისა და მისადმი ქართველების დამოკიდებულების თემას პირდაპირ უკავშირდება საკითხი, რომელიც ასევე სულ ცოცხალია, სხვადასხვა კუთხით ვატრიალებთ, ხან გაცვეთილი გვეჩვენება, ხან ყალბი, ხან დრომოჭმული, ხან გადაჭარბებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავინ დავობს, რომ ძალიან საჭიროა – პატრიოტიზმი – საკუთარი ქვეყნის უანგარო და ჯანსაღი სიყვარული.

ჩემი აზრით, ნიკო ნიკოლაძე თავისი ოჯახით სწორედ ასეთი პატრიოტიზმის თვალსაჩინო მაგალითია.

„მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არ მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავათ თუ კარგათ როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, როგორც ჩვენი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამულე და ძმა, როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი, ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურღის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებისავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა... სხვაგან და ჩვენში მწერალი და გაჩუმებული ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი“. ეს სიტყვები მხოლოდ მას შემდეგ წავუკითხე მოსწავლეებს, როცა ნიკოს საქმეებს ასე თუ ისე კარგად იცნობდნენ. ამიტომ არცერთს არ გასჩენია განცდა, რომ ამ ვრცელი ციტატის რომელიმე სიტყვა, რომელიმე ფრაზა გადაჭარბებული იყო, მით უმეტეს – ყალბი. დამაფიქრებელი აღმოჩნდა მოზარდებისთვის იმის დანახვა, როგორ დაბრუნდა საქართველოში კაცი, რომელსაც ევროპაში უკვე დამკვიდრებული ჰქონდა ადგილი, გარკვეულ წრეებში სახელიც მოიხვეჭა და სიტყვაც ეთქმოდა, მერეც არაერთხელ ჰქონია წასვლის შანსი, მიდიოდა კიდეც, მაგრამ აუცილებლად ბრუნდებოდა, რათა თავისი პატარა, დაჩაგრული, თავისუფლებაწართმეული ქვეყნისთვის ხელი წაეკრა, ფეხზე დადგომაში დახმარებოდა.

თანამედროვე საქართველოში ძალიან მტკივნეული პრობლემაა ემიგრაციის თემა, მტკივნეული და თან უკიდურესად სათუთი. რეალობა ასეთია: ძალიან ბევრი ბავშვი იზრდება მშობლებისგან შორს, რადგან ისინი იძულებული გახდნენ, ისევ შვილების კეთილდღეობის გამო ამდგარიყვნენ და წასულიყვნენ გაურკვეველი დროით საზღვარგარეთ სამუშაოდ – სანამ შვილებს დასჭირდებათ. შვილებს კი მუდმივად სჭირდებათ. მეორე მხრივ, ახალგაზრდების უმრავლესობას სურს და ცდილობს კიდეც საზღვარგარეთ მიიღოს განათლება. თავისთავად ეს ფაქტი ძალიან კარგია, ჩემი აზრით. ხარისხიანი განათლების მიღება აუცილებელიც კია უფრო და უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში. მაგრამ გულსატკენია ის, რომ თითქმის არცერთი მათგანი არ გეგმავს დაბრუნებას, ან მხოლოდ შორეულ მომავალში განიხილავს და რთულია ამ დროს შეეკამათო, რადგან ყველას აქვს უფლება, იმუშაოს ადამიანურ პირობებში და მიიღოს საკუთარი შრომით ადამიანური ცხოვრებისთვის საკმარისი ანაზღაურება. ამ რეალობაში იმის გაცნობა, თუ როგორ მოახმარა ნიკო ნიკოლაძემ თავისი ნიჭი, განათლება და გამოცდილება ქვეყანას, ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრებაც, თავისი შვილებიც როგორ გეგმაზომიერად, წინასწარი გათვლებით ჩააყენა საკუთარი ქვეყნის სამსახურში. სადაც ყველაზე მეტად უჭირდა, რომელი სფეროს განვითარებაც უკეთ დაეხმარებოდა ქვეყანას, სწორედ იმ სფეროს მიმართ გაუჩინა ინტერესი, იმათაც საზღვარგარეთ მიაღებინა უმაღლესი განათლება, მაგრამ დაბრუნდნენ და თავიანთი ცოდნა-გამოცდილება მაქსიმალურად მოახმარეს სამშობლოს. არცერთი მათგანი ვიწრო ჭრილით არ უყურებდა სამყაროს. გიორგიმ უდიდესი წვლილი შეიტანა მეტალურგიის ჩამოყალიბება-განვითარებაში, თავისი სათქმელი თქვა მათემატიკაში, ლომის წილი მიუძღვის და მის სახელს უკავშირდება სპორტის თითქმის ყველა სახეობის განვითარება თავისი სპორტული საზოგადოებით „შავარდენით“, ითვლება ალპინიზმის ფუძემდებლად საქართველოში.

ასევე, მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდა რუსუდანი. 1909 წელს პეტერბურგის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტი ფიზიკა-ქიმიის განხრით. იქვე განაგრძო სამეცნიერო მუშაობა. ის იყო პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, აიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა ე.წ. „საუნივერსიტეტო ნიშანი“, რომელსაც მანამდე მხოლოდ მამაკაცები ატარებდნენ. გარდა პეტერბურგისა, მან არაერთ ევროპულ უნივერსიტეტში მოისმინა ლექციები ცნობილი მეცნიერებისაგან. იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ჩეხური ენები. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, ჯერ დიდ ჯიხაიშში მშობლების მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო საქმეებს ხელმძღვანელობდა, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ კი არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მან ძალიან დიდი წვლილი შეიტანა სკოლამდელი აღზრდის ე.წ. შრომის სკოლებისა და ბავშვთა ბაღების განვითარებაში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამის ხელმძღვანელობით შექმნა სკოლამდელი აღზრდის სახელმძღვანელოც. გიორგისთან ერთად მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკურ, მათემატიკურ და სპორტულ ტერმინთა ლექსიკონებზე.

მესამე შვილიც, თამარიც, მხარში ედგა თავის და-ძმას საქვეყნო საქმეებში, ის იყო ერთ-ერთი პირველი სპორტსმენი ქალი, პროფესიით ფიზიოლოგი.

პარადოქსივით გამომივა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულზე, მის სამსახურზე საუბარი მისალმებით უნდა დავასრულო, რომელიც ოლღა გურამიშვილმა მოიფიქრა თურმე, ასე ესალმებოდა შვილებს და მერე პირველი სპორტული საზოგადოების, „შევარდენის“, წევრების უცვლელ მისალმებადაც დამკვიდრდა:

- გუშაგობ ერს?
- მარად!

არ მეგულება ამაზე უფრო ბევრისმთქმელი, გულშიჩამწვდომი მისალმება.
ჩემი მოსწავლეებიც დამეთანხმნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თხზულებანი, ნიკო ნიკოლაძე – აკაკი ბაქრაძე. I ტომი, თბილისი, 2004 წელი;
2. ნიკო ნიკოლაძე – ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს! რესპონდენტი – ნიკო ნიკოლაძის მკვლევარი, პროფესორი დალი ჩიკვილაძე. https://www.marketer.ge/niko-nikoladze/.
3. ნიკო ნიკოლაძე – განმანათლებელი, გულნაზი კაკაბაძე https://scroll.ge/34729/gulnaz-kakabadze-niko-nikoladze-ganmanathlebeli/?utm_source=rss&utm_medium=rss&utm_campaign=gulnaz-kakabadze-niko-nikoladze-ganmanathlebeli
4. ნიკო ნიკოლაძე- კაცი, რომელმაც გაუსწრო დროს, ანა ფიცხელაური https://www.forbeswoman.ge/post/nikoladze
5. ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში, ვაჟა შუბითიძე
6. https://for.ge/view/22384/niko-nikolaZis-adgilisaTvis-qarTuli-politikuri-azrovnebis-istoriaSi.html

მაკა
სახურია

ტექსტები, როგორც „სულისა და გულის საპოხი“

„...საპოხი უნდა, ობოლო, მხედართა გულის კბენასა...“

ვაჟა-ფშაველა

„...სიტყვები გამწკრივდებიან და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიკს წყაროსაკენ“...

ჯემალ ქარჩხაძე, „იგი“

როცა მხატვრულ ტექსტებზე, ამბებზე, სიუჟეტებზე, სახეებსა და ხასიათებზე ფიქრი და მსჯელობა გვინდა, ვაჟას პოემებზე უზადო მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ არსებობს. გავიხსენოთ „ბახტრიონის“ სცენა: ფშაველ-ხევსურნი შეყრილან და ემზადებიან პანკისის ხეობაში თუშებთან შესაერთებლად, რომ კახეთის ოკუპანტ სპარსელებს ერთობლივი ძალებით შეუტიონ, მტრის თარეშისა და მომაკვდინებელი სირცხვილისგან იხსნან კახეთი. ლუხუმის წინამძღოლობით ფშაველ-ხევსურებმა ჯერ წმინდა გიორგის სალოცავი მოილოცეს, შემდეგ „საღმთო ქნეს... დაკლეს ხარი და ცხვარია, ჩამოსხდნენ ბეღელს, საჯარეს გარს შემოერტყა ჯარია“. თავგანწირული მეომარი კვირია მათურელი საერთო ლხინში მოწყენილია. ლუხუმს კვირიას მოწყენილობა არ გამოჰპარვია და მას ასე მიმართა: „იქნება ცუდ სიზმარ ნახე, გულზე დაგაწვა ისაო?.. რა ჰნახე, ჩემო კვირიავ, აგრემც მიტირებ ბერასა, გვითხარ და ნუ დაგვიმალავ, ლუხუმი მოგხდის წერასა... სთქვი წუხანდელი სიზმარი, მითამ კი ჰხმარობ ენასა, საპოხი უნდა, ობოლო, მხედართა გულის კბენასა“...

„საპოხი უნდა, ობოლო, მხედართა გულის კბენასა!“ — ხშირად მიფიქრია, რა ჯადოქრობა ჩატია ვაჟამ ამ საოცარ ფრაზაში. კვირიას სიზმარი კახეთის აჯანყების ვაჟასეული ეპოსის ინსპირაცია და წინასწარმეტყველებაა. აქ ცოცხლდება კვირია, როგორც ზეკაცი, ამაღლებული მესია-გმირი, მხსნელი და ზვარაკი ერთდროულად. გარდა იმისა, რომ კვირიას როლი გადამწყვეტი აღმოჩნდა კახეთის აჯანყებაში, ის ამავე დროს წინასწარმეტყველი, შემოქმედი, უნიკალური მთხრობელი და ფიქრის კაცია. ლუხუმი განუმეორებელი ლიდერია, ის კარგად იცნობს თავისი ხალხის ყველა ღირსებას, ადამიანის სულში იჭვრიტება, მას ვერაფერს გამოაპარებ. ლუხუმი მიხვდა, რომ კვირიას ნაღველი უბრალო შემთხვევითობა არ იყო, ხოლო მის მიერ მოყოლილი სიზმარი სულის საზრდოდაც გამოად-

გებოდათ სამშობლოს ბედით „გულდაკბენილ“ მთიელებს. დიახ, კვირიას მონაყოლი იყო საპოხი, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ე.წ. ლუბრიკანტი ფანტაზიორი, მეოცნებე, თავაწყვეტილი მთიელებისთვის. კვირიას სიზმარი „ბახტრიონში“ ან თუნდაც კირილე მღვდლის სიზმარი „ბაში-აჩუკში“ გულის საპოხია არა მხოლოდ ამ ეპოსების გმირების, არამედ – ნებისმიერი ეპოქის მკითხველისთვისაც. ამ სიზმრებში ვაჟამ და აკაკიმ ჩააქსოვეს სამშობლოს ხსნისთვის თავგანწირული გმირების ამაღლებული სულისკვეთება, მკითხველს კი ასწავლეს სამშობლოს წინაშე ადამიანის სულიერი მისიის გააზრება.

ლიტერატურის მოყვარულები დამეთანხმებიან, რომ მხატვრული ტექსტები ჩვენთვის ნამდვილად არის „სულისა და გულის საპოხი“, ნატკენის მკურნალი, ოცნებების სამყაროში მეგზური, მასაზრდოებელი. ვინ არიან მთხრობელები? რასაკვირველია, მთხრობელი ყოველთვის ავტორია, მაგრამ ზოგჯერ ავტორი გვესაუბრება მესამე პირში, ხან პირველი პირით მონოლოგებს გვთავაზობს, ხანაც მეორე პირში მკითხველისკენ მიაქცევს მზერას, როგორც დიდი ილია თავის ტექსტებში თავისი განუმეორებელი მიმართვით „შენ, მკითხველო“... ზოგჯერ კი ავტორს საკუთარი გმირი ენაცვლება მთხრობლად. გავიხსენოთ, როგორ ჰყვება ამბებს „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური სიუჟეტი. არაბეთის ამბების მთხრობელი რუსთველია, ინდური სამეფო კარის ნარატივებს ტარიელი და ასმათი ჰყვებიან, შიგადაშიგ მთხრობლად ჩნდება ნურადინ-ფრიდონი, ხოლო პოემის მეორე ნახევარში ავტორი აცოცხლებს აღმაფრთოვანებელ სახეს ფატმანხათუნისას, რომელიც, გარდა საკვირველი პიროვნული ღირსებებისა, საოცარი მთხრობელია და კიდევ უფრო საოცარი თანაგანცდის ადამიანი. საინტერესო მთხრობელები არიან ვაჭრები, რომელთა პორტრეტები რაინდების მანათობელი სახეების ფონზე სხვა მხრივ დაკნინებულია, თუმცა საღად აზროვნებაში, სისხარტესა და ამბის მბობაში მათ ბადალი არა ჰყავთ.

წარმოუდგენელია „ვეფხისტყაოსნის“ 65 თავისგან შემდგარი სიუჟეტი ტარიელის მიერ ავთანდილისთვის მოთხრობილი თავგადასავლის ოცი თავის გარეშე. როგორი მთხრობელია ვეფხისტყაოსანი ჭაბუკი? ის იწვის, კვდება, როცა თავის საგმირო-სამიჯნურო თავგადასავლებს ჰყვება, მკითხველს ბოლომდე ჩააკრავს თავისი გრძნობების თონეში, ჩვენც მასთან ერთად გვეკიდება სიყვარულისა და გულშემატკივრობის ალი. ამბის მბობამდე ტარიელი ავთანდილს ეუბნება: „მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად, მურად“... მაგრამ ტარიელს არაბი ჭაბუკი ისე მოეწონა, მისთვის თავგანწირვა და ამბის მოყოლა გადაწყვიტა, თან უთხრა: „ღმრთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს? შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა, წამეკიდოს“... გასაგიჟებელ სცენას ხატავს რუსთველი მოსალოდნელი ცხელი ამბების ტარიელის ბაგეთაგან მოსმენამდე:

„ღილჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა,
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა,
ვერ გაახვნა სასაუბროდ, მან ბაგენი გაამყარნა,
მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გადმოყარნა“

„ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“, „ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“, „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა“, „ფატმანისაგან ნესტან-

დარეჯანის ამბის მბობა“, – ასეა დასათაურებული პოემის თავები. ეს „ამბის მბობა“ სრულიად უნიკალური მოვლენაა. ამბის მბობა, მოსმენა, გააზრება და დამახსოვრება აქცევს ადამიანს სულიერ არსებად. ამბები ჩვენ ჯერ კიდევ გამოქვაბულის ერაში გვწყუროდა, მაშინაც კი, როცა მეტყველება, წერა და კითხვა არ შეგვეძლო. ასე გაჩნდა მითები. საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობას არ შეეძლო ტექსტების ჩაწერა, მაგრამ მილიონობით ადამიანის გული და გონება იწერდა მითებსა და ლეგენდებს, თაობები თაობებს უყვებოდნენ, წმენდდნენ ამ ტექსტებს, ასუფთავებდნენ და ასე მივიღეთ საკრალური, დაწმენდილი, მითოლოგიზებული უნიკალური ნარატივები, რომლებიც დღესაც სიცოცხლით სავსე, შთამაგონებელი და მასაზრდოებელია ჩვენი გულისა თუ გონებისა, ხოლო მხატვრულ ლიტერატურას მითოსური ალუზიები დაუშრეტელ წყაროებად ევლინება. საოცარი ექსპრესიით გადმოსცა უძველესი ადამიანის ეს დაუოკებელი წყურვილი მხატვრულად ჯემალ ქარჩხაძემ თავის შედევრში „იგი“, სადაც მთავარი გმირი რომ ვერ მეტყველებს, ავტორი გამონახავს გზას მეტყველებასთან დაკავშირებით მისი განცდების გადმოსაცემად და დაწერს: „...უხმოდ იკითხა თავის სხეულში“... ან კიდევ: „...სიტყვები გამწკრივდებიან და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიკს წყაროსაკენ“...

და მაინც: რაში გვჭირდება ეს ამბები? რა გულის საპოხი ამბავი ადამიანისთვის? გარდა იმისა, რომ ადამიანი ცნობისმოყვარე არსებაა, მას სხვათა ამბების მოსმენა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სასიცოცხლოდ სჭირდება, სხვისი თავგადასავალი მისთვის უნიკალური კომპასი და სარკეა, საკუთარი რეალური სახისა და ცხოვრების გეზის მაჩვენებელი. ყოველ ამბავში ხომ ჩვენ უსათუოდ საკუთარ თავს ვხედავთ? ვაანალიზებთ, ჩვენ რომ ვიყოთ მოსმენილი ან წაკითხული ამბის გმირები, რა და როგორ იქნებოდა? ამბავი სულის საზრდოა. ის გვასწავლის ლოგიკურად აზროვნებასაც და შემოქმედებითობასაც.

„არცერთი ნამდვილი ამბავი არ არის გამოგონილ ამბავზე უფრო ნამდვილი“, – თქვა საუკეთესო მთხრობელმა უილიამ სომერსეტ მოემმა და ამით მე პირადად სამუდამოდ დამარწმუნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ამბავი გამოგონილია თუ ნამდვილი. თუ ამბავი საინტერესოდ არის მოთხრობილი, ის ნამდვილია, უნივერსალური, უკვდავი და მასაზრდოებელი.

მთავარი, რისთვისაც ამ წერილის იდეა დაიბადა, ლიტერატურის მასწავლებლის მისიის გააზრებაა. მოქმედი მასწავლებელი ვარ და ჩემი ნომერ პირველი ამოცანა, ცხადია, გახლავთ მოსწავლეებში მართლმეტყველებისა და მართლწერის (ორთოეპია-ორთოგრაფიის) სწავლება, რათა მოსწავლემ შეძლოს გამართულად მეტყველება, წერა, თხრობა, შემდეგ კი უკვე ანალიზი, სინთეზი, ლოგიკური აზროვნება, მოვლენათა მიზეზშედეგობრიობისა და თანმიმდევრულობის ყველა კანონის დაუფლება. როცა ადამიანი ასე აზროვნებს, ის ოპერირებს სწორად, საღად, ადეკვატურად. ეს უნარები მას ეხმარება არა მხოლოდ მშობლიური ენა-ლიტერატურის, არამედ უცხოური ენების, ჰუმანიტარული, ტექნიკური თუ საბუნებისმეტყველო დისციპლინების დაუფლებაში.

რას ვაკეთებ საიმისოდ, რომ ჩემს ამ მისიას ხორცი წარმატებით შევასხა და, როგორც თანამედროვე პედაგოგიკაში იტყვიან, შედეგზე ორიენტირებული აქტივობები დავგეგმო? ჩემთვის მთავარია, რომ მოსწავლეს „ამბის მბობის“ ხიბლი, სიუჟეტების „დაგემოვნება“, ნარატივის გემოს გასინჯვა ვასწავლო.

უნიკალური იყო ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე ერთ ურთულეს კლასში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების გამოცდილება. კლასი რეალურად უმართავი იყო და მასწავლებლები პანტაპუნტით გარბოდნენ ამ მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან, მათი მართვა და რამე იდეის გარშემო შეკავშირება ხშირად აბსოლუტურად დაუძლეველი გამოწვევა იყო მასწავლებლისთვის. „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელმა სიუჟეტმა და თეატრალიზებულად მისი მოყოლის ტექნიკამ ყოველგვარ მოსალოდნელ შედეგს გადააჭარბა. დევიაციური ქცევის რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც ამ კლასში გაკვეთილის ჩატარებას შეუძლებელს ხდიდნენ, ისე შეცურდნენ რუსთველის ოკეანეში, იქიდან გამოსვლა არ სურდათ. უმაღლესი იყო ინტერესი პოემის სიუჟეტისა თუ პერსონაჟთა პორტრეტებისადმი. სვამდნენ მილიონ კითხვას, შედიოდნენ როლში, კინოდ და სპექტაკლად აქციეს ეს სიუჟეტი. გასუსულები სხდებოდნენ მოსასმენად, ოღონდ კი ტექსტზე გვემუშავა და მასთან გამომშვიდობება ძალიან გაუჭირდათ. იმართებოდა ცხელ-ცხელი დისკუსიები. წერდნენ საინტერესოდ, ყველა ისმენდა, აბსოლუტურად არავინ დარჩენილა გულგრილი. ამ კლასთან იმ სასწავლო წელმა როგორც პედაგოგს თავდაჯერება შემმატა.

მახსოვს, 2015 წელს მასწავლებლის პოზიციაზე შესარჩევი კონკურსი გავიარე თბილისის კლასიკურ გიმნაზიასა და კომაროვის სკოლაში, სადაც მკითხეს, თუ შეგიძლიათ, რომ „ვეფხისტყაოსნით“ მოსწავლე დააინტერესოთო. ღრმად თავდაჯერებულმა ვუპასუხე, დიახ, შემიძლიამეთქი, რაზეც, არ დავმალავ, კომისიის წევრთა მწარე ირონია და სკეფსისი მივიღე პასუხად. საკუთარ თავში ეჭვი შემეპარა. ამ ეპიზოდმა ძლიერი ემოციები აღძრა ჩემში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვხსნიდი ზემოხსენებულ კლასთან და ვხედავდი კლასის საოცარ ინტერესსა და ჩართულობას, მომეხსნა ქვეცნობიერში მიძინებული კომპლექსები, იმ კონკურსზე კომისიის წევრთა ირონიამ რომ დალექა ჩემში.

თუკი ლიტერატურის მასწავლებლებმა შევძელით, რომ თუნდაც ერთხელ ბავშვი „მოვწამლოთ“ ამბის მბობის ხელოვნებით, ჩათვალეთ, რომ ჩვენ მკითხველს ვაყალიბებთ თავისი უნიკალური მახასიათებლებით. როცა ამბავი გწყურია, შენ იწყებ მოსმენას, კითხვას, გივითარდება ფანტაზია, შემოქმედებითობა, თავადაც თხზავ, შემდეგ უკვე ტექსტზე მუშაობის ყველა უნარჩვევა პარალელურად იხვეწება.

დანარჩენი ლიტერატურის მასწავლებლის ოსტატობაზეა. საიდუმლო იმისა, თუ როგორ უნდა დაეუფლოს მოსწავლე ამბის აგებას, სიუჟეტის განვითარების ტექნიკას, ხასიათების ძერწვას, იდეის ჩადებას ტექსტში, დეტალებზე დაკვირვებას, ფილიგრანული ტექნიკით ტექსტის დამუშავებას, ეს ჩვენი პროფესიული „ფირმის საიდუმლოებებია“. ამ საიდუმლოებებზე ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება, ყველაზე ნაყოფიერი მაინც კათედრაზე კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობაა, კონკრეტული შემთხვევების განხილვა, რაც საუკეთესო გზაა მასწავლებლის განსავითარებლად. ეფექტური სწავლება ხომ უწყვეტი სწავლის გარეშე წარმოუდგენელია?

ირენა
მახარაძე

რამდენიმე ფრაგმენტი
დედის პორტრეტების გალერეიდან

ბავშვებს უყვართ ნამდვილი ამბების მოსმენა მხატვრების ცხოვრებიდან. როგორც კი ხელოვნების გაკვეთილზე რაიმე ბიოგრაფიულ პასაჟს ვეხებით, იმ წამს უმახვილდებათ ყურადღება. და თუ საუბარი მათთვის ნაცნობ ხელოვანს ან ხელოვნების ნაწარმოებს ეხება, უფრო აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში, ერთმანეთს უზიარებენ ფაქტებს წაკითხული წიგნებიდან თუ სტატიებიდან და საკუთარ შეფასებებს აკეთებენ.

ხელოვნების გაკვეთილზე მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებთან ერთად, დედის დღის მოახლოებასთან დაკავშირებით განვიხილეთ – „დედის პორტრეტები ცნობილ მხატვრებთან“. სანამ ბავშვები დედებისთვის საკუთარ ისტორიებს ნახატებად აქცევდნენ, ჯერ ნაცნობი მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრები გავიხსენეთ, მერე კი ახლებსაც გავეცანით. ერთად შევუდექით ცნობილი მხატვრების მიერ შექმნილი დედის პორტრეტების თვალიერებას, დაკვირვებას, მათში ასახული უფაქიზესი მომენტების აღმოჩენას.

ხშირად, ჭკვიანი, განათლებული და მზრუნველი დედები ხელოვანებს გვერდში ედგნენ, ამხნევებდნენ. ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებასა თუ სხვა მედიაში ასახული ეს სახეები, ჩვენი ფიქრისა და შთაგონების წყაროც გახდა. გამიხარდა, რომ ახსოვდათ დავით კაკაბაძის „იმერეთი, დედაჩემი“, რენესანსის მადონები, ჯეიმს უისტლერის „მხატვრის დედა“, ალბრეხტ დიურერის დედის გრაფიკული ნახატიც და ა.შ.

ჰოლანდიელმა მხატვარმა, რემბრანდტ ვან რეინმა დედის ეს პორტრეტი სულ ახალგაზრდამ დახატა, ლეიდენში ყოფნის ბოლო პერიოდში, 1629 წელს(სურ. 1). აქაც უკვე ავლენს ასაკის ფიზიკური მახასიათებლების, დანაოჭებული თვალების, მოშვებული კანის ხატვისას დიდ ოსტატობას. მოხუც დედას ეგზოტიკური მოსასხამი მოსავს, კაბაზე მოდებული აქვს ბეწვი, კაბას თეთრი ნაქარგებით

რემბრანდტი, „მხატვრის დედა“ (1629) (სურ. 1)

შემკული საყელო აგვირგვინებს. ნახატის ტონალობა მუქია, მაგრამ მას ფერმკრთალი სახე, თეთრი საყელო და მოსასხამის ყვითელი ნაქარგობა უპირისპირდება. შუქი, რომელიც მოხუ-ცის სახეს კომპოზიციის მარჯვენა მხრიდან ეცემა, მაყურებლის ყურადღებას სწორედ მისკენ მიმართავს და დრამატიზმით ავსებს სურათს.

ვინსენტ ვან გოგს ხომ დედამ, ანნა კორნელია კარბენტეს ვან გოგმა, გააცნო და შეაყვარა ხელოვნება, რომელიც თავადაც კარგი მხატვარი იყო და ექვსი შვილი სახლში შემოქმედებით გარემოში გაზარდა.

ეს პორტრეტი 1888 წელს შავ-თეთრი ფოტოდან დაუხატავს მხატვარს და დედის სახე ფერის ცოცხალი გრძნობით განუმსჭვალავს (სურ. 2). ანნას კეთილგანწყობილი, მზრუნველი და ფხიზე-ლი სახე გვნუსხავს. ის ვინსენტს წერილებს ხშირად სწერდა, ცხადია, ღელავდა მასზე.

ვინსენტ ვან გოგი, მხატვრის დედის პორტრეტი (1888) (სურ. 2)

ანნას ძალიან უყვარდა მცენარეები, სახლში პატარა ბაღიც ჰქონიათ და შვილებიც პატარაობიდანვე ეხმარებოდნენ მის მოვლაში. ბუნებისადმი მისი დიდი სიყვარული ვინსენტს ადრეული ასაკიდან გადაეცა. 1888 წელს შესრულებულ ტილოში „მოგონებები ეტენის ბაღიდან“ (სურ. 3), ვან გოგი დედისა და ორი დის პორტრეტს ამ იდილიურ ადგილას ხატავს.

ჯეიმს უისტლერის დედის, ანნა მკნეილის პორტრეტს ვიქტორიანულ „მონა ლიზად“ მოიხსენიებენ (სურ. 4). პორტრეტი ლონდონში შეიქმნა. ამბობენ, რომ ანნამ სხვა მოდელი შეცვალა, რომელიც აღარ მისულა სახელოსნოში დანიშნულ დროს. თავიდან უისტლერს ფეხზე მდგომი სურდა დაეხატა ნატურა, მაგრამ ასაკოვანი დედა დიდხანს ვერ შეძლებდა ფეხზე დგომას და ამიტომ მხატვარმა კომპოზიცია შეცვალა. იგი პროფილში, მჯდომარე პოზაში დახატა. საინტერესოა, რომ უისტლერის თავდაპირველი ჩანაფიქრი ფერისა და კომპოზიციის შესწავლას ისახავდა მიზნად. ამჟამად ნახატი ორსეს მუზეუმში ინახება და დედის სახის ბრწყინვალე ხატია.

ვინსენტ ვან გოგი, ეტენის ბაღის მოგონებები 1888 (სურ. 3)

„კომპოზიცია ნაცრისფერსა და შავში #1“ – „მხატვრის დედა“, ჯეიმს უისტლერი, 1871 (სურ. 4)

პატარა ბიჭი იყო პიკასო, როცა დედის ეს პორტრეტი დახატა (სურ. 5). მარია პიკასოს პასტელში შესრულებული ფაქიზი და პოეტური სახე, მხატვრის შემოქმედების ადრეული წლებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. გვიანი პერიოდის პიკასოს კუბისტური ნამუშევრებისგან განსხვავებით, ეს საპირისპირო, რეალისტური, ტრადიციული ნახატია.

პროფილში მჯდომარე ფიგურა, თავისუფლად შეკრული თმა, თეთრი ბლუზი, მარგალიტის საყურე, დახრილი მზერა, ჩუმი გამომეტყველება – უნაზეს შტრიხებს სძენს მის პორტრეტს.

როცა 1881 წელს პირველი შვილი, პაბლო დაიბადა, მარია 26 წლის იყო. შემდეგ, ლოლა და კონჩიტა გაჩნდნენ. დედის გადმოცემით, პაბლოს პირველი სიტყვები “piz, piz” – ყოფილა, ესპანურად lapiz ფანქარს ნიშნავს და “piz, piz”კი მისი შემოკლებული ვერსიაა.

პაბლო პიკასო, მხატვრის დედის პორტრეტი 1896 (სურ.5)

მოგვიანებით პიკასო განაცხადებს – 12 წლისა უკვე რაფაელივით ვხატავდიო. ასეც იყო. ის 14 წლისა ბარსელონას ხელოვნების აკადემიაში მიიღეს. ახალგაზრდა პიკასო ხატავდა მამას, დეიდას, დას ლოლას, ბებიას და დედას. პასტელში შესრულებული ეს პორტრეტი 1896 წლით თარიღდება, როცა პაბლო 15-ის, დედა კი 41 წლის იყო. ნახატის კვლევისას, რამდენიმე წლის წინ, აღმოაჩინეს, რომ პორტრეტის უკანა მხარეს პიკასოს ჩიბუხიანი კაცი დაუხატავს.

ჯორჯო დე კირიკო, დედის პორტრეტი, 1911 (სურ 6)

იტალიელი მხატვარი ჯორჯო დე კირიკო თურმე მოგზაურობების დროს ძვირფას დედას ხშირად შეუვლიდა და მის პორტრეტებს ხატავდა. მხატვრის დედა, ჯემა ჩერვეტო, გენუელი ბარონესა გახლდათ, რომელიც წარჩინებულ სიცილიელს გაჰყვა ცოლად. ამ ნახატში(სურ 6), კირიკო დედას სადღაც სიშორეში მიმართული მზერით ხატავს, ცარიელი ცა და რამდენიმე დეტალია მონიშნული ფონზე.



მიგრანტი დედა, დოროთეა ლანგი, 1936 (სურ. 7)

ეს ფოტო, „მიგრანტი დედა“, რომელზეც 32 წლის ფლორენს ტომპსონია აღბეჭდილი, შვილებთან ერთად, შეუპოვარი მზერით, ლანგის საკულტო სურათია(სურ.7). ხელოვნებაში ეს ფოტო დედის სახეების ერთ-ერთი ძლიერი სიმბოლო გახდა და ამავე დროს, ამერიკის ისტორიაში „დიდი დეპრესიის“ წლებში, ამერიკელი ხალხის ბრძოლისა და სიმტკიცის გამომხატველია. როცა ხელოვანმა ეს ფოტო გადაიღო, გაყინულ ფერმაში აღარ იყო სამუშაო უსახლკარო მკრეფავებისთვის. ფლორენს ტომპსონს შვილებისთვის საკვების მოსაპოვებლად, რაც ებადა უკანასკნელის, მანქანის საბურავების გაყიდვა მოუხდა.

ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ ხელისუფლება გამოფხიზლდა და ლტოლვილთა ბანაკს დახმარება გაუგზავნა. ესეც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა ძალა აქვს ხელოვნებას, რომ ხელოვნებას შეუძლია სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს.

ამ ნამუშევრების მიმოხილვის შემდეგ ბავშვებმა დახატეს დედის პორტრეტები (სურ. 8,9), ის, რაც დედას ყველაზე მეტად უყვარს და ახარებს, კონკრეტული სიტუაციები – დედასთან ერთად სეირნობა, დედის სამუშაო თუ სახლის გარემო, ულამაზესი თაიგულები, ყვავილებითა და მზით ავსებული მდელოები, გულებით აციმციმებული კომპოზიციები. ნახატებში სიტყვებიც გამოჩდნენ, თბილი, სიყვარულით სავსე გულწრფელი სტრიქონები. ბოლოს ნამუშევრების ამ მშვენიერ ციკლს სახელი ერთხმად შეურჩიეს – „დედა, მიყვარხარ!“

ბავშვების ნახატები (სურ. 8,9)

მიცა
თვალაბეიშვილი

პიროვნული განვითარება და მე-კონცეფცია საღამრიგებლო საათისთვის

ერთ-ერთი გაკვეთილის დაგეგმვისას სტუდენტმა თქვა, რომ სამოქალაქო განათლების მიმართულებით ლიტერატურის გაცნობისას დაამახსოვრდა „კარგი ვაშლების“ აქტივობა, რომელიც თეორიულად ძალიან მოეწონა, თუმცა პრაქტიკულად როგორ შეიძლებოდა მისი განხორციელება საგაკვეთილო პროცესზე – ეს მისთვის ამოცანად რჩებოდა. რადგან სიახლეების გაცნობა და გამოცდა ჩემი მოსწავლეების საყვარელი საქმიანობაა, გადავწყვიტე, ეს საგაკვეთილო პროცესისთვის მომერგო და აქტივობა კლასის საათზე გამომეყენებინა.

დამრიგებლებისთვის კლასის საათი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოვალეობაა. მას დაწყებით კლასებში კვირაში ორჯერ ვატარებთ. მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კი გახლავთ პიროვნული და მორალური განვითარება – მე – პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებსა და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი.

ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეორე ადამიანთან ახლო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეგობრობისა და თანამშრომლობის წყალობით, ბავშვები სწავლობენ სოციალურ ნორმებს და ივითარებენ ურთიერთობისთვის საჭირო უნარებს. 11-12 წლის ასაკის ბავშვებში აქტუალური ხდება მცირე სოციალური ჯგუფების მეგობრობა. ამ ჯგუფებში ერთიანდება რამდენიმე ბიჭი და გოგო, რომლებიც სისტემატურად არიან ჩართულნი რაღაც საქმიანობებში. ხშირად ხდება, რომ ზოგი ბავშვი კლასიდან გარიყული აღმოჩნდება ხოლმე, რაც საფრთხეს უქმნის სოციალურ გარემოში მათ ჯანსაღ ადაპტაციას.

სამეგობრო წრიდან გარიყულნი სწორედ ის ბავშვები აღმოჩნდებიან,რომლებიც ან აგრესიულობით გამოირჩევიან, ან ზედმეტი სი-

მორცხვით. გარიყვისა და მუდმივი იმედგაცრუების გამო აგრესიულები უფრო მეტად აგრესიულები ხდებიან, მორცხვი და მშფოთვარე ბავშვები კი – მუდმივი თავდასხმის ობიექტები.

ბავშვის მდგომარეობა კლასში თვითდარწმუნებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მარტოობა, სოციალური შფოთვა და იზოლაცია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე შემდეგნაირად აისახება: გარიყული ბავშვები საკუთარ წარუმატებლობას მეტად მიაწერენ გარემო ფაქტორებს, ვიდრე ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვები.

ჯგუფი არის იმ ბავშვების შედარებით მყარი ერთობა, რომლებიც ურთიერთობენ ერთმანეთთან და იზიარებენ ღირებულებებს. ჯგუფს აქვს შემუშავებული ნორმები, რომლებიც გავლენას ახდენს თითოეულ წევრზე. ჯგუფის წევრებს გარკვეული სტატუსიც გააჩნიათ, ზოგი ლიდერია, ზოგი კი მას ემორჩილება. თუმცა 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფს არ ახასიათებს ძალიან მკაცრი ნორმები და განაწილებული როლები. უკვე 11-12 წლის ასაკიდან ჯგუფში წესების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი ხდება.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ჯანსაღი კომუნიკაციის უნარის განვითარებაში?

სახლის უსაფრთხო გარემოდან მოსული ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია ახალ „ოჯახთან“ – კლასთან შერწყმა და მასთან ერთიანობის განცდა. ხშირად ბავშვისთვის „არასასურველი ქცევა“ გამოწვეულია იზოლაციით და მარტოობის განცდით. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ასოციალური ქცევით ცდილობს ყურადღების მიპყრობას. იმისთვის, რომ ბავშვმა თავი არ იგრძნოს იზოლირებულად, საჭიროა, ყურადღება მიიპყროს თავისი „პირადი ისტორიით“ – თუ ვინ არის იგი, ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა არის მისი საყვარელი საქმიანობა, ინტერესი, რა გამოსდის კარგად. ამიტომ, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებაზე, გამოყოს დრო, როდესაც მოსწავლეები შეძლებენ ისაუბრონ საკუთარ თავზე ან რაიმე მოვლენაზე. ასეთ დროს მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს აქტიური მსმენელის როლში.

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ თავზე საუბარი, აუცილებელია, მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეულის უნიკალურობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ამისთვის საჭიროა, მივიღოთ ისინი ისეთები, როგორებიც არიან. შესრულებულ აქტივობებზე უკუკავშირის მეშვეობით, გამოვკვეთოთ როგორც ძლიერი, ასევე განსავითარებელი უნარები.

წარმოუდგენელია პოზიტიური მე-კონცეფციის ჩამოყალიბება, თუ მშობელი და მასწავლებელი მოსწავლეს პატივისცემით არ ეპყრობა. ბავშვი მაშინ გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, როცა უფროსი გარკვეულ მოვლენაზე მისი მოსაზრებით ინტერესდება. „რა გვასწავლა ამ შემთხვევამ, შენი აზრით?“, „რა იგრძენი, როცა მოისმინე/უყურე?“ მე-კონცეფციის სწორად ჩამოყალიბების, საკუთარი თავის შეცნობისა და თვითპრეზენტირების უნარების განვითარების მიზნით დაიგეგმა სადამრიგებლო საათი მეოთხე კლასში, სადაც მოწვეული გვყავდა მშობლებიც. ისინი ბავშვებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ საგაკვეთილო პროცესში.

აქტივობა 1. მოკლე **ანიმაციური ვიდეოფილმის** ჩვენება და დისკუსია;

მიზანი: ბავშვებსა და მშობლებს დაენახათ, რომ ირგვლივ მრავალი განსხვავებული ადამიანია/ბავშვია, განსხვავებული ქცევებითა და მანერებით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ცუდს.

ფილმის ჩვენების შემდეგ სადისკუსიო კითხვები:

- რა მოგეწონათ ანიმაციაში? რა არ მოგეწონათ?
- როგორ ფიქრობთ, სწორად იქცეოდნენ მშობლები? ბავშვები?
- ეთანხმებით უხუცესების გადაწყვეტილებას?
- რა გზავნილია ამ მედიარესურსში ჩადებული?
- თქვენი აზრით, რისი თქმა სურთ მის შემქმნელებს?

აქტივობა 2. მსგავსება თუ განსხვავება?

მიზანი: ერთმანეთში მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა, მისი მნიშვნელობის გაზიარება, ჯგუფის შეკვრა.

მასწავლებელი კლასს სთავაზობს ჯგუფებად დაყოფას. ჯგუფების ადგილად შეიძლება გამოიყოს საკლასო ოთახის კუთხეები და მოსწავლეები ასე განაწილდნენ, ან უბრალოდ ხელი აიწიონ. მაგალითად, გადანაწილდით კუთხეებში იმის მიხედვით, ვინც ზაფხულშია დაბადებული, ან ზამთარში და ა.შ. ხელი აიწიეთ, ვისაც უყვარს ნაყინი, ხატვა. მასწავლებელი ასახელებს ისეთ თვისებებს, რომლებიც, მისი აზრით, კლასის უმრავლესობისთვის საერთოა.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, დახატონ ადამიანი ცისფერი თვალებითა და ხვეული თმით. დასრულების შემდეგ საილუსტრაციოდ ნახატებს ამაგრებს დაფაზე. სთხოვს მათ, დააკვირდნენ, ჰგავს თუ არა მათი ნამუშევრები ერთმანეთს. მოსწავლეთა ნამუშევრები, ბუნებრივია, განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ორი მახასიათებელი ყველასთვის საერთო იყო. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- როგორ სჯობდა, ყველა ნამუშევარი ზუსტად ერთნაირი ყოფილიყო თუ განსხვავებული?
- როგორ ფიქრობთ, კარგია, რომ ჩვენ ყველას განსხვავებული თვისებები ან გარეგნობა გვაქვს?
- ყველა ზუსტად ერთნაირები რომ ვიყოთ, რა სირთულეს წავაწყდებოდით?

აქტივობა 3. მედიარესურსის ჩვენება და შესაბამისი დისკუსია;

მიზანი: მშობლებს ესაუბრეთ მედიარესურსში გაჟღერებულ გზავნილზე, რომ მნიშვნელოვანია, შვილებში ამოვიცნოთ, რა არის მათი სიხარულის მიზეზი და დავეხმაროთ მათ ბედნიერების პოვნაში.

მედიარესურსისთვის განკუთვნილი სადისკუსიო კითხვები:

- რა მოგეწონათ ანიმაციაში? რა არ მოგეწონათ?
- როგორი იყო თავდაპირველად პერსონაჟი? როგორ შეიცვალა ის?
- თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ბავშვის ასეთი ცვლილება?
- როგორ ფიქრობთ, სწორად იქცეოდა მამა ფილმის დასაწყისში/ბოლოს? რატომ?
- რა გზავნილია ამ ვიდეოში ჩადებული? თქვენი აზრით, რისი თქმა სურთ მედიარესურსის შემქმნელებს?

აქტივობა 4. დაამყარე კავშირები

მიზანი: მედიაგზავნილების კავშირების აღმოჩენა გარესამყაროსთან, სხვა ფილმებთან/ წიგნებთან და პირად გამოცდილებასთან;

მოსწავლეთა მოტივაციისთვის და გარკვეული მიმართულებისთვის მასწავლებელს თავად შეუძლია წინასწარ ჰქონდეს მომზადებული რაიმე სახის მასალა საჩვენებლად. ეს ბავშვების ფიქრისთვის ერთგვარი ბიძგი იქნება.

გარე სამყარო – აქ მოვიყვანეთ თომას ალვა ედისონის ძალიან ცნობილი ისტორია, როცა მას გონებრივად ჩამორჩენილი უწოდეს სკოლაში, ხოლო მშობლის დახმარებით ის მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი და გამომგონებელი გახდა.

გავიხსენეთ ალბერტ აინშტაინი, რომელსაც დისლექსია დაუდგინეს და ბავშვობაში არცთუ ისე კარგად სწავლობდა, თუმცა საკუთარ თავში იპოვა ძალა, შესაძლებლობა და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკოსი გახდა.

აქვე წავიკითხეთ მისი ცნობილი გამონათქვამი: ***„ყველა ჭკვიანია, მაგრამ თუ თევზს განვსჯით იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა ხეზე ასვლა, დავიჯერებთ, რომ ის სულელი და უნიჭოა“***, და ლინდა მალალა ჰანდის გამორჩეული წიგნი „თევზი ხეზე“, რომელსაც ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს.

მივუთითე არნე სვინგენის „ბალადა გატეხილ ცხვირზეც“. წაკითხული არავის ჰქონდა, თუმცა დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შინაარსმა და მშობლები დამპირდნენ, რომ აუცილებლად წაიკითხავდნენ შვილებთან ერთად.

ცოტათი ***კინემატოგრაფიასაც*** შევეხეთ და ვნახეთ ნაწყვეტები ფილმებიდან „მე მქვია ენი“ (განსხვავებულობის საოცარი მაგალითი), **„ვარსკვლავები დედამიწაზე“** და **„ბილი ელიოტი“**, სადაც მთავარი გმირები სწორედ დაკვირვებული მასწავლებლების წყალობით აღმოაჩენენ საკუთარ თავში იმ ღირებულებასა თუ ინტერესს, რაც შემდეგში მათ ცხოვრებას დადებითად შეცვლის.

მშობლებმა პირადი გამოცდილებიდანაც ბევრი მაგალითი გაიხსენეს, როგორ აღმოაჩინეს საკუთარ თავში ნიჭი და მისწრაფებები, თუმცა გარკვეული ფაქტორების გამო მათი განვითარება ზოგმა შეძლო, ზოგს კი არ გამოუვიდა.

ბავშვებს და მშობლებს აქვე მივეცი სარეკომენდაციო ფილმებისა და წიგნების ბარათები, რომლებსაც აუცილებლად ერთად გაეცნობოდნენ და იმსჯელებდნენ მათ მთავარ სათქმელზე.

აქტივობა 5. ვაშლები და ვარსკვლავები

მიზანი: ბავშვები გაიგებენ, რომ ადამიანები რაღაცით ერთმანეთს ჰგვანან და ამავდროულად, განსხვავდებიან კიდეც; რომ ადამიანთა განსხვავებულობა დადებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეს განსხვავებები კი ადამიანთა ცხოვრებას ფასეულს ხდის.

მასალა: თითო ვაშლი ყოველი მოსწავლისათვის (ასევე დამატებითი 2-3 ვაშლი). ვაშლები უნდა იყოს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის. ასევე კარგი იქნება, თუ შევარჩევთ განმასხვავებელი თავისებურებების მქონე ვაშლებს – ფოთლები, ნაოჭები და ხაზები, ლაქები და დაჟეჟილი ადგილები. მჭრელი დანა.

- უთხარით მოსწავლეებს, რომ გსურთ, დაადგინოთ ადამიანთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

- დაალაგეთ ვაშლები მოსწავლეების წინ მაგიდაზე. აარჩევინეთ ყოველ მათგანს თითო ვაშლი.

სთხოვეთ, დააკვირდნენ და განსაჯონ, კარგია თუ არა მათ მიერ არჩეული ვაშლი. შესთავაზეთ, ყურადღება მიაქციონ ვაშლის სპეციფიკურ თავისებურებებს. დაავალეთ, შეადგინონ პატარა ამბავი საკუთარ ვაშლზე და უამბონ მეგობარს. სთხოვეთ, ამბები მთელ კლასს გააცნონ. უთხარით, რომ ვაშლები მაგიდაზე დააბრუნონ. ვაშლები აურიეთ და სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარი ვაშლის მოძებნა. როდესაც ადგილებზე დაბრუნდებიან, ჰკითხეთ, როგორ გამოიცნეს საკუთარი ვაშლი (ისინი აუცილებლად ისაუბრებენ ფერზე, ფორმაზე, ზომასა და განსაკუთრებულ თავისებურებებზე). ჰკითხეთ, რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ადამიანებთან. სთხოვეთ, ჩამოთვალონ, რით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან. იმსჯელეთ, რატომ არის ეს განსხვავება მნიშვნელოვანი.

- გაკვეთილის შეჯამება: შესთავაზეთ გარკვეული დასკვნა ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებისა და მსგავსების მნიშვნელობის შესახებ. უთხარით, რომ ადამიანებისთვის დამახასი-

ვაშლები და ვარსკვლავები



ათებელი ერთ-ერთი საერთო ნიშანია ვარსკვლავი, რომელიც მათ შიგნით არსებობს – რაღაც განსაკუთრებული, რაც შიგნიდან ასხივებს და მათ ყველაზე მეტად მოსწონთ საკუთარ თავში. ასევეა ვაშლის შემთხვევაშიც, ყოველ ვაშლს აქვს შიგნით ვარსკვლავი. გაჭერით ყოველი ვაშლი სიგანეზე. დაიხმარეთ მშობლები. დაანახეთ თითოეულ ბავშვს ვარსკვლავი თავიანთი ვაშლის შიგნით. სანამ ბავშვები ვაშლს მიირთმევენ, სთხოვეთ, მოიფიქრონ და შემდეგ დაწერონ საკუთარი ვარსკვლავის – საკუთარი ღირსებებისა და ინდივიდუალურობის შესახებ.

თამაშის პრინციპით ყველამ აღმოაჩინა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით, თუმცა თითოეულში არსებობს ერთი ან მეტი ვარსკვლავი, რომელსაც პოვნა და აკიაფება სჭირდება.

აქტივობა 6. შეიცან თავი შენი

მიზანი: მოსწავლეებს საკუთარ თავში, მშობლებს კი შვილებში ეპოვათ ის მთავარი მისწრაფება და ღირებულება, რაც მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ და უკეთ გამოსდიოდათ.

პატარა ბარათებზე თითოეულმა მოსწავლემ დაწერა ის, რისი კეთებაც ყველაზე მეტად გამოსდიოდა ან აბედნიერებდა, ხოლო თითოეულმა მშობელმა თავის ბარათზე დაწერა ის, თუ რას ხედავდა საკუთარ შვილში, რისი კეთება მოსწონდა მას ყველაზე მეტად. შეიძლება ითქვას, რომ შვილისა და მშობლის ფიქრები, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა იყო ისეთი წყვილებიც, რომლებმაც ერთმანეთის განსხვავებული მისწრაფებები აღმოაჩინეს.

თითოეული ბარათი დავამაგრეთ დიდ ფერად ქაღალდზე. ამით ყველას მიეცა საშუალება, დაჰკვირვებოდნენ ერთმანეთის ფიქრებს, აღმოეჩინათ აქამდე შეუმჩნეველი თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სატრენინგო მასალა – „ეფექტური კომუნიკაციის განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018 .
2. საპრეზენტაციო მასალა გაკვეთილისთვის – **შეიცან თავი შენი**.

ნათია
ნაფეტვარიძე

რატომ, მასწ?

გამონაკლისები ქართულ ენაში

საგანმანათლებლო პროცესი ცოცხალი პროცესია, მუდმივად ვითარდება. შესაბამისად, ვითარდება და იცვლება მოსწავლეთა დამოკიდებულებაც სწავლისა და სწავლების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული და ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთ რამეზე მინდა, შევაჩერო ყურადღება:

მოსწავლეებს გამუდმებით უკვირთ და აინტერესებთ, რაც ხდება, რატომ ხდება; რასაც სწავლობენ, რატომ სწავლობენ. და ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალ თაობას, რაც შეიძლება ბევრ კითხვაზე გავცეთ პასუხი (თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ამის მერე გაჩნდება ახალი შეკითხვები). ლიტერატურაც დიდწილად იმისთვისაა, რომ, ესთეტიკური სიამოვნების მიღების გარდა, ამ კითხვებსაც გასცეს პასუხი...

თუმცა ახლა ლიტერატურაზე არ ვსაუბრობ, გრამატიკულ წესებში გამონაკლისებს ვგულისხმობ.

გავიხსენოთ, თუნდაც, ხარისხის ფორმები. როგორ იწარმოება ისინი? გრამატიკის სახელმძღვანელოებში დაახლოებით ამდაგვარ განმარტებებს წავაწყდებით:

„ვითარებით ზედსართავ სახელს ხარისხის სამი ფორმა აქვს: **დადებითი** (შავი), **ოდნაობითი** (მო-შავ-ო) და **უფროობითი** (უ-შავ-ეს-ი).

ოდნაობით ხარისხს აწარმოებს *მო* – ო თავსართ-ბოლოსართი და გამოხატავს თვისებას ძირეულ ზედსართავ სახელზე ნაკლები ოდენობით.

უფროობით ხარისხს აწარმოებს *უ* – ეს თავსართ-ბოლოსართი და აღნიშნავს თვისებას იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი.“ (https://grammar.emis.ge/exercisedetails/250).

წესები გამონაკლისების გარეშე თითქმის არ არსებობს. ასეა ცხოვრებაში, ასეა გრამატიკაში.

შესაბამისად, ამ თეორიასაც, ხარისხის ფორმების წარმოებასთან დაკავშირებით, იქვე დართული აქვს ასეთი სახის შენიშვნაც (გამონაკლისების შესახებ):

„შენიშვნა:

- -ელ და -ილ სუფიქსიან ზოგიერთ ზედსართავ სახელს ხარისხის წარმოებისას შორდება ეს დაბოლოება: გრძ-ელ-ი → მო-გრძ-ო → უ-გრძ-ეს-ი, ტკბ-ილ-ი → მო-ტკბ-ო → უ-ტკბ-ეს-ი..
- რამდენიმე ზედსართავი სახელი ხარისხის გამოსახატავად იყენებს სხვა ფუძეს: კარგი → უკეთესი (ოდნაობითის მნიშვნელობით; ამოსავალია „კეთილი“), ცუდი → უარესი (ოდნაობითის მნიშვნელობით)...
- „ფერის“ შემცველი ზედსართავი სახელები სხვა ხარისხის ფორმით კუმშვადია: ცისფერი → მოცისფრო.“

-ილ და -ელ დაბოლოება რომ ხარისხის ფორმის წარმოებისას ამოვარდება, ეს მარტივად გასაგებია ბავშვებისთვის, თანაც ასეთი ფორმა მრავლადაა.

სხვა საქმეა, როცა ხარისხის ფორმების განსხვავებულ წარმოებაზე ვსაუბრობთ: კარგი – უკეთესი, ცუდი – უარესი, პატარა – მომცრო – უმცირესი...

ალბათ, თქვენც გეკითხებიან მოსწავლეები, რატომ, მასწ?

საკითხის ასახსნელად რამდენიმე საუკუნით მოგვიწევს უკანდახევა: ძველ ქართულ ლექსიკურ მარაგში სიტყვა „კარგი“ არ არსებობდა, მის ნაცვლად იყენებდნენ „კეთილს“: „თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ“ (შდრ.: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. და ნახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო.“) (დაბადება 1,3-4). კეთილის აღსანიშნავად ძველ ქართულში სიტყვა სახიერი გამოიყენებოდა, მოგვიანებით ეს სიტყვა ღმერთის ეპითეტად გადაიქცა და საჭირო გახდა მისი ჩანაცვლება. ასე შეიცვალა დატვირთვა სიტყვა კეთილმა, მაგრამ მისი ხარისხის ფორმა უკეთესი არსად არ წასულა...

და ცუდი და უარესი?

ისევ კითხვა: რატომ, მასწ?

ისევ რამდენიმე საუკუნით უკან დავბრუნდეთ: ძველ ქართულში სიტყვა ცუდი ტყუილუბრალოს, ამაოს აღმნიშვნელი იყო, თანამედროვე გაგებით ცუდს კი სიტყვა ავი შეესაბამებოდა („ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა...“). შესაძლოა, ის ავის უფროობითი ხარისხის ფორმა იყოს, თუმცა ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს...

პატარა – მომცრო – უმცირესი? ისევ: რატომ, მასწ?

ისევ ძველი ქართული მოვიშველიოთ: პატარა დიალექტური ფორმაა და ის მოგვიანებით დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში, მანამდე კი ამ მნიშვნელობით სიტყვა „მცირე“ გამოიყენებოდა (ჩვენს მოღვაწეებსაც ხომ ასე მოიხსენიებდნენ: ეფრემ მცირე, გიორგი მცირე...). მომცრო და უმცირესიც სწორედ ამ სიტყვის ხარისხის ფორმებია...

რა თქმა უნდა, ამ წერილით ახალი არაფერი მითქვამს, უბრალოდ, ჩვენი საჭიროებები ვახსენე, ყოველთვის რომ გვიწევს შეხება, ყოველთვის რომ გვიწევს ახსნა, და ვიფიქრე, აქვე იყოს-მეთქი, შორიახლოს...

თორემ კიდევ ბევრი საკითხია (და არამარტო გამონაკლისი), რომლებზეც მოსწავლეები დაუსრულებლად დაგვისვამენ კითხვას: რატომ, მასწ?..

თამარ
მურუსიძე

ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო

სივრცული აზროვნება ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია და საფუძველს უყრის მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს სამყაროს შესახებ უფრო ღრმა გააზრებას. სწორედ ამიტომ, სივრცული აზროვნების განვითარება დაწყებითი სკოლის ასაკის მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სტატიაში განვიხილავთ, თუ როგორ შეგვიძლია სივრცული აზროვნების განვითარება პირველკლასელებში, შემოქმედებითი დავალებების დახმარებით. კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ დავალებაზე „ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო“, რომელიც ბავშვებს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ განავითარონ სივრცითი წარმოდგენები, არამედ გამოხატონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი.

თემატური ბლოკი: გეომეტრია და სივრცის აღქმა

თემა: ორიენტირება

წინ, უკან, ზევით, ქვევით, შორის, მაღალი, დაბალი;
ობიექტების ურთიერთგანლაგება; რეალურ ვითარებაში
ურთიერთგანლაგების აღწერა

მათემატიკის სტანდარტის შედეგები

მათ.დაწ.(I).4 ყოველდღიურ ცხოვრებაში ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ცნებების, მოდელებისა და მიმართებების შემჩნევა, მათი გამოყენება მათემატიკური მოდელის აგებისას, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას.

თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორები:

მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სივრცეში საგნების მდებარეობის და მიმართულების აღწერა;
სიბრტყეზე და სივრცეში ობიექტების ურთიერთმდებარეობის
განსაზღვრა/გარკვევა;

შემოქმედებითი დავალება

მიზანი: ბავშვებმა ისწავლონ სივრცითი მიმართებების აღწერა, განავითარონ წარმოსახვა და სხვადასხვა საშუალებით გამოხატონ თავიანთი იდეები.

ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო

მასალები: (შესაძლოა დასჭირდეთ) ფანქარი, ფლომასტერები, ქაღალდი, საღებავები, პლასტილინი, ლენტები, ყუთები, ნებისმიერი სხვა შემოქმედებითი მასალები.

ინსტრუქცია: (ბავშვებისათვის!)

1. ჩემი ჯადოსნური ოთახი: წარმოიდგინე, რომ შენი ოთახი ჯადოსნური სამყაროა! ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და გახდეს საინტერესო.

   დახატე, ააწყვე ან მოგვიყევი

   შენი ჯადოსნური ოთახი შეგიძლია წარმოაჩინო სხვადასხვა გზით:

ნახატი: დახატე შენი ოთახი ისე, როგორც წარმოგიდგენია. დაამატე დეტალები, ფერები და ჯადოსნური ელემენტები.

მოდელი: გამოიყენე პლასტილინი, ყუთები ან სხვა მასალები, რომ ააწყო შენი ოთახის მოდელი. შეგიძლია, გამოიყენო ლენტები, ძაფები ან სხვა მასალები, რომ დააკავშირო სხვადასხვა ობიექტები.

მოთხრობა: მოუყევი შენს მეგობრებს შენი ჯადოსნური ოთახის შესახებ. აღწერე, რა არის შენს ოთახში, რა ხდება და რას გრძნობ.

სიტყვებით აღწერა: როცა შენს ოთახს წარმოაჩენ, გამოიყენე შემდეგი სიტყვები:

ზემოთ, ქვემოთ: მაგალითად, რა დევს შენს საწოლზე? რა დევს მაგიდის ქვეშ?

წინ, უკან: მაგალითად, რომელი სათამაშოა შენი მაგიდის წინ? რომელი კედლის უკან არის შენი კარადა?

შორის: მაგალითად, რა დგას შენს საწოლსა და მაგიდას შორის?

მაღალი, დაბალი: მაგალითად, რა არის შენს ოთახში ყველაზე მაღალი? რა არის ყველაზე დაბალი?

ჯადოსნური შეხება: გახადე შენი ოთახი ჯადოსნური! შეგიძლია, დაახატო ფრთები საწოლს, რომ ის ჰაერში აფრინდეს, ან მაგიდაზე დადო ჯადოსნური წიგნი, რომელიც ყველა შენს კითხვას უპასუხებს ან სურვილებს აგისრულებს.

დამატებითი იდეები:

შეგიძლია მოიფიქრო შენი ოთახისთვის ჯადოსნური სახელი.

დახატე პატარა არსებები, რომლებიც შენს ოთახში ცხოვრობენ.

მოიფიქრე ისტორია შენი ჯადოსნური ოთახის შესახებ.

დავალება არჩევითია, მოსწავლემ სამი ვარიანტიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. ან ნახატით წარმოაჩინოს, ან ააწყოს ან მოგვითხროს. მნიშვნელოვანია, დავალების არჩევაში თავად ბავშვმა მიიღოს გადაწყვეტილება, ამიტომ მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს დავალების

პირობას, დეტალურად არჩევს ინსტრუქციას, როგორ უნდა შეასრულონ ბავშვებმა დავალება, ახალისებს დამოუკუდებელ გადაწყვეტილებებს, შემოქმედებითობას, აძლევს თავისუფლებას. აქვე ახსენებს, რომ მნიშვნელოვანია, ნამუშევრის აღწერისას გამოიყენოს შემდეგი სიტყვები:

ზემოთ, ქვემოთ: მაგალითად, რა დევს შენს საწოლზე? რა დევს მაგიდის ქვეშ?
წინ, უკან: მაგალითად, რომელი სათამაშოა შენი მაგიდის წინ? რომელი კედლის უკან არის შენი კარადა?
შორის: მაგალითად, რა დგას შენს საწოლსა და მაგიდას შორის?
მაღალი, დაბალი: მაგალითად, რა არის შენს ოთახში ყველაზე მაღალი? რა არის ყველაზე დაბალი?

ამ დავალებით მოსწავლეები სწავლობენ/ უვითარდებათ:
სივრცითი მიმართებების აღწერას.
წარმოსახვას და შემოქმედებით აზროვნებას.
სხვადასხვა საშუალებით თავიანთი იდეების გამოხატვას.
დავალებას ახლავს შეფასების რუბრიკა

შეფასების რუბრიკა: „ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო“

კრიტერიუმი	საუკეთესო	კარგი	საშუალო	საშუალოზე დაბალი
სივრცითი მიმართებების გამოყენება	ზუსტად იყენებს სიტყვებს: „ზემოთ“, „ქვემოთ“, „წინ“, „უკან“, „შორის“, „მაღალი“, „დაბალი“ სივრცითი მიმართებების აღსაწერად.	უმეტესწილად სწორად იყენებს სიტყვებს სივრცითი მიმართებების აღსაწერად.	ზოგჯერ იყენებს სიტყვებს სივრცითი მიმართებების აღსაწერად.	არ იყენებს სიტყვებს სივრცითი მიმართებების აღსაწერად.
შემოქმედებითი გამოხატვა	იყენებს სხვადასხვა შემოქმედებით საშუალებას და აერთიანებს მათ ჰარმონიულად.	იყენებს სხვადასხვა შემოქმედებით საშუალებას, მაგრამ შეიძლება ყველა მათგანი ერთმანეთთან იყოს ნაკლებად დაკავშირებული.	ძირითადად იყენებს ერთ შემოქმედებით საშუალებას.	ნაკლებად იყენებს შემოქმედებით საშუალებებს.
წარმოსახვის გამოვლინება	წარმოადგენს ძალიან ორიგინალურ და დეტალურ ჯადოსნურ სამყაროს.	წარმოადგენს ორიგინალურ ჯადოსნურ სამყაროს.	წარმოადგენს ჯადოსნურ სამყაროს, მაგრამ ის ნაკლებად დეტალურია.	ჯადოსნური სამყარო ნაკლებად ორიგინალურია.
სიტყვიერი აღწერა-პრეზენტაცია	დამაჯერებლად წარმოადგენს თავის იდეას, იყენებს შესაბამის ლექსიკას	წარმოადგენს თავის იდეას, მაგრამ შეიძლება ნაკლებად ნათელი იყოს.	ზოგჯერ უჭირს იდეის წარმოდგენა.	ვერ ახერხებს იდეის წარმოდგენას.

რუბრიკის საფუძველზე შემუშავებული განმავითარებელი კომენტარები ხელს უწყობს მოსწავლეების პროგრესის მონიტორინგს და მათთვის მიზნობრივი დახმარების გაწევას.

უკუკავშირის დროს ყოველთვის ვითვალისწინებ განმავითარებელი შეფასების ზოგად ფორმულირებას.

დადებითი ასპექტების აღნიშვნა: ყოველთვის დაიწყეთ დადებითი შეფასებით, რათა მოსწავლემ იგრძნოს მხარდაჭერა და მოტივაცია.

კონკრეტული მაგალითები: მიეცით მოსწავლეს კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ რა გააკეთა კარგად და რაში შეიძლება გაუმჯობესდეს.

შემდგომი განვითარების მიმართულებები: მიუთითეთ კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება გააუმჯობესოს შედეგები.

პოზიტიური ფორმულირება: გამოიყენეთ პოზიტიური ფორმულირებები, რომლებიც მოსწავლეს წაახალისებს.

გთავაზობთ განმავითარებელი კომენტარის ნიმუშებს

მაღალი მზაობის მოსწავლისთვის:

მშვენიერია! შენი ჯადოსნური ოთახი ძალიან დეტალურად და ორიგინალურადაა წარმოდგენილი. სივრცითი მიმართებების აღწერა ძალიან ზუსტია. შეგიძლია, შენი ოთახის ისტორიაც მოგვიყვე, რა ხდება მასში.

საშუალოზე მაღალი მზაობს მოსწავლისთვის:

შენი ჯადოსნური ოთახი საინტერესოა! სივრცითი მიმართებების აღწერაში უმეტესად სიტყვები სწორად გამოიყენე. შეეცადე, შენი ოთახი კიდევ უფრო დეტალურად აღწერო და ყველა სიტყვა გამოიყენო („ზემოთ“, „ქვემოთ“, „წინ“, „უკან“, „შორის“, „მაღალი, დაბალი“) სივრცითი მიმართებების აღსაწერად.

საშუალო მზაობის მოსწავლისთვის:

შენი ოთახი ჯადოსნური სამყაროა! შეეცადე, შენი ოთახი უფრო დეტალურად დახატო ან ააწყო. გამოიყენე სხვადასხვა ფერები და ფორმები. როცა აღწერ შენს ოთახს, ნუ დაგავიწყდება გამოიყენო სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებს, სად მდებარეობს ნივთები (მაგალითად, „ზემოთ“, „ქვემოთ“).

დაბალი მზაობის მოსწავლისთვის:

შენი ნახატი ძალიან ლამაზია! შეეცადე, დაამატო შენს ოთახში რამდენიმე ჯადოსნური ნივთი და აღწერო, თუ რას აკეთებენ ისინი. როცა აღწერ შენს ოთახს, დამეხმარე გავიგო, სად დგას შენი საწოლი, მაგიდა და სხვა ნივთები.

შემოქმედებითი დავალება, როგორიცაა „ჩემი ოთახი – ჯადოსნური სამყარო“, ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი წარმოსახვა და სივრცული აზროვნება. ასეთი დავალებები არა მხოლოდ მხიარული და საინტერესოა, არამედ ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარების და შემოქმედებითობის განვითარებას.

გამოყენებული დიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo
2. დაწყებითი საფეხურის დეტალური განაწილება მასწავლებლებისთვის, ინდიკატორებით https://math.ge/kurikulumi/
3. მათემატიკის გზამკვლევი პირველი კლასი. შედგენილი ქეთი ცერცვაძის მიერ, ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. https://math.ge/pirveli-klasi/

გიორგი
ყაუჭიძე

თემატური პოსტერების მრავალმხრივი გამოყენება

რა არის თემატური პოსტერი და რა მიზნით ვიყენებთ მას?

თემატური პოსტერი არის ცხოვრებისეული ან გამოგონილი სიუჟეტის მიხედვით შექმნილი დიდი ფორმატის ნახატი/სურათი. პოსტერის თემატიკა ამოუწურავი შინაარსის შეიძლება იყოს, რაც განაპირობებს ამ რესურსის უნივერსალურობას – გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კლასსა და სხვადასხვა საგანში, განსაკუთრებით კი ენის გაკვეთილებზე. მნიშვნელოვანია, რომ თემატური პოსტერი დაბეჭდილი იყოს დიდი ზომის მასალაზე, რათა დაფაზე გაკვრის შემდეგ მოსწავლეებმა იოლად აღიქვან მისი დეტალები.

თემატური პოსტერი გვეხმარება მეტყველებისა (ზეპირი თუ წერილობითი) და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში და გამოიყენება, როგორც მშობლიური ენის, ასევე მეორე/უცხოური ენის გაკვეთილებზე. უფრო კონკრეტულად, იგი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მიზნებისთვის:

ლექსიკური მარაგის გამდიდრება (ყველა კლასში, განსაკუთრებით, მეორე/უცხოური ენის გაკვეთილებზე);

ფონოლოგიური უნარების განვითარება (პირველ კლასში);

ფონეტიკური კომპეტენციის, ბგერების სწორად წარმოთქმის უნარის გამომუშავება, განსაკუთრებით, ქართულის (ან ნებისმიერი სხვა ენის), როგორც არამშობლიური ენის შემსწავლელებისთვის;

ზეპირმეტყველების (მოსმენისა და ლაპარაკის) განვითარება (ყველა კლასში);

სიტყვების წაკითხვაში გაწაფვა (პირველ, მეორე და მესამე კლასებში);

ფუნქციური სამეტყველო ქმედებების (აღწერა, თხრობა, შედარება, დასაბუთება) განვითარება (ყველა კლასში);

წერისა (პირველ-მეორე კლასებში) და შემოქმედებითი წერის ფარგლებში სხვადასხვა ჟანრის ტექსტის (დღიური, ჩანახატი, წერილი, ესე, მოთხრობა, ზღაპარი...) სწავლება (მესამე კლასიდან);

სხვადასხვა გრამატიკული საკითხის სწავლება;

ინტეგრირებული და დიფერენცირებული სწავლება.

როგორ ვმუშაობთ თემატური პოსტერით?

თემატურ პოსტერზე მუშაობისას შეგვიძლია მრავალფეროვანი აქტივობების წარმართვა. სანამ ასეთ აქტივობებს ჩამოვთვლით, აღვნიშნოთ, რომ თითოეული აქტივობის სირთულე-სიმარტივე, ხანგრძლივობა თუ საერთოდ ჩატარებაც კი დამოკიდებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებსა და მზაობაზე. თუნდაც იმაზე, მოსწავლეები მშობლიური ენის სწავლების ფორმატში დაამუშავებენ პოსტერს თუ მეორე/უცხოური ენის სწავლებისას გამოიყენებენ. ერთიც აღვნიშნოთ, რომ ეს რესურსი შეუცვლელი და მეტად სასარგებლოა არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის შესწავლისთვის. რასაკვირველია, ქართულენოვანი სკოლებისთვისაც — უცხოური ენებისა და თვით მშობლიური ენის გაკვეთილებზეც.

მოკლედ მიმოვიხილოთ პოსტერის გამოყენების საფეხურები, ხოლო შემდეგ კონკრეტული პოსტერის მიხედვით განვიხილოთ თითოეული საფეხური.

პოსტერის/თემის წარდგენა

მასწავლებელი წარადგენს პოსტერს, ასახელებს თემას, ზოგადად აღნიშნავს, ნაცნობი გარემოა თუ არა პოსტერზე ასახული და ამ პროცესს წარმართავს მოსწავლეთა ჩართულობით.

პოსტერზე არსებული საგნების დასახელება/დაწერა/წაკითხვა (ვინ? რა?)

ერთ-ერთი პირველი აქტივობა უნდა იყოს, საგნებისთვის სახელების დარქმევა. მეორე/უცხოური ენის გაკვეთილებზე პირველ კლასში შეტანილ ასეთ პოსტერებზე ფაქტობრივად საგანთა უმეტესობის დასახელება უცნობი იქნება ბავშვებისთვის. მშობლიური ენის გაკვეთილებზეც იქნება რამდენიმე ისეთი საგანი, რომელთა სახელი ბავშვებმა შეიძლება არ იცოდნენ. რასაკვირველია, სიტყვების რაოდენობა და სიხშირის დონე დამოკიდებული იქნება, თუ რომელ კლასში რა საჭიროების მოსწავლეებთან ვამუშავებთ ამა თუ იმ პოსტერს.

აქ და ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვები მასწავლებელმა უნდა განათავსოს ანბანური ან თემატური სიტყვების კედელზეც.

თუკი მასწავლებელი შედარებით მაღალ კლასში იყენებს პოსტერს, შესაძლოა, ამა თუ იმ საკვანძო სიტყვის მიხედვით მოსწავლეებს შევავსებინოთ სხვადასხვა სქემა. მაგალითად, „სიტყვის პირამიდა“ (იხ. https://rb.gy/p88r6m), „ფრეიერის სქემა“ (იხ. https://rb.gy/k3m5w0) და სხვ.

საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება (როგორი?)

მიუხედავად იმისა, იციან თუ არა ბავშვებმა გრამატიკული კატეგორია „ზედსართავი სახელი“, ისინი მაინც ახერხებენ საგნისა და მისი თვისების აღმნიშვნელი სიტყვების გამიჯვნას. ამაში მასწავ-

ლებელს დაეხმარება კითხვითი სიტყვის (როგორი? რანაირი?) გამოყენებაც. აგრეთვე, შეიძლება გააქტიურდეს საგანთა რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვებიც: ერთი, ორი... ბევრი, რამდენიმე...

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება (რას შვრება?)

ამ შემთხვევაშიც, ბავშვებმა შეიძლება არ იცოდნენ (და პირველ წლებში არც იციან) ზმნა, როგორც გრამატიკული კატეგორია, თუმცა სიტყვათა სიმრავლეში შეუძლიათ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყოფა. კარგი იქნება, თუკი ასეთ სიტყვებზე მასწავლებელი ცალკეც გაამახვილებს ყურადღებას. განსაკუთრებით ფასეულია ეს რესურსი იმ მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის, რომლებიც გაკვეთილზე მოსწავლეთა მშობლიური ენის გამოყენებას მინიმუმამდე ზღუდავენ და პირდაპირ, თვალსაჩინოდ აჩვენებენ პოსტერზე ასახული ქმედების ამსახველი სიტყვების მნიშვნელობას.

ასევე, შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ ზმნიზედებზე (სად? როდის? როგორ?) და სხვა მეტყველების ნაწილებზე.

პოსტერზე ასახული ადამიანებისთვის/პერსონაჟებისთვის სახელების დარქმევა

ეს კომპონენტი პოსტერსაც უფრო „აცოცხლებს“ და სასწავლო პროცესსაც ხელშესახებს ხდის. მოსწავლეები ხალისით არქმევენ ხოლმე პოსტერზე ასახულ ადამიანებსა თუ ცხოველებს საკუთარ სახელებს.

პოსტერის სიტყვების განთავსება სიტყვების კედელზე

როგორც წესი, დაწყებით საფეხურზე საკლასო რესურსების შემამკობელია ე. წ. ანბანური და/ან თემატური სიტყვების კედელი. კარგი იქნება, თუკი პოსტერის სიტყვებს აგრეთვე განათავსებენ სიტყვების კედელზეც, ხოლო თუკი უკვე განთავსებულია, მაშინ მოძებნიან და წაიკითხავენ კიდეც.

მას შემდეგ, რაც პოსტერი კარგად დამუშავდება ზეპირმეტყველებაში (მოსმენითა და წარმოთქმით), კარგი იქნება სიტყვის ბარათების გამოყენება, მათი პოსტერზე განთავსებაც, მიკვრა და მათი გამოყენებით სიტყვების სწრაფად წაკითხვაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი სავარჯიშოს წარმართვა.

„კი“ და „არა“ წინადადებებზე რეაგირება

სიტყვების დასახელებისა და პოსტერის ლექსიკურად დამუშავების შემდეგ მასწავლებელი ასახელებს წინადადებებს, ხოლო მოსწავლეები კი-არა პასუხებით უნდა დაეთანხმონ ან უარყონ ამ წინადადების სისწორე. განსაკუთრებით პირველ-მეორე კლასში ასეთი საფეხური, მხოლოდ თანხმობა-უარყოფით რეაქცია მოსწავლეებს უადვილებთ ინტერაქციაში შესვლას პოსტერის შინაარსის ათვისების გზაზე. ამასთან, თანდათან წინადადებების დასახელებაში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც.

წინადადებების სირთულე დამოკიდებული იქნება მოსწავლეთა მზაობასა და საჭიროებაზე და ის შეიძლება დავიწყოთ ერთსიტყვიანი წინადადებებით ისე, როგორც, მაგალითად, ამ ვიდეოშია მოცემული 1:06-დან: https://shorturl.at/akqwX

წინადადებების შედგენა და/ან მათი განვრცობა

მასწავლებელი მოსწავლეთა ჩართულობით მოფიქრებულ წინადადებებს ამატებენ სიტყვებს და ამით განავრცობენ მათ. ამ დროს შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი ახალი სიტყვა, რომელიც წინადადება გახდის უფრო განვრცობილს, ლექსიკურად მდიდარს.

სხვადასხვა დონის შეკითხვებზე პასუხების გაცემა
(ერთსიტყვიანი, ორსიტყვიანი, სრული პასუხები)

ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის პოსტერის მიხედვით შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა. შეკითხვების დიაპაზონი დაიწყება უმარტივესიდან და დასრულდება რთული შეკითხვებით. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეთა კონკრეტულმა ჯგუფმა ეს დიაპაზონი თავიდან ბოლომდე ამოწუროს – შეკითხვების შერჩევა მოსწავლეთა შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული.

„თუ-თუ წინადადებები“ და სრული ფიზიკური რეაქცია

ერთ-ერთი მომხიბლავი კომპონენტი პოსტერებზე მუშაობისას სწორედ ე.წ. „თუ-თუ წინადადებებია“. ამ წინადადებების წარმოთქმისას მასწავლებელი იძლევა ინსტრუქცია, რომელიც უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა იმ შემთხვევაში, თუკი ეს წინადადება შეესაბამება პოსტერზე ასახულ სინამდვილეს. ხოლო თუკი მცდარ წინადადებას ასახელებს მასწავლებელი, მაშინ მოსწავლეები ამ ინსტრუქციას არ ასრულებენ.

ზეპირად და/ან წერილობით სურათის აღწერა

მოსწავლეები აღწერენ პოსტერზე ასახულ სიტუაციას. ხშირად მასწავლებელი რამდენიმე ნაწილად ყოფს ხოლმე პოსტერს და ჯერ ერთ ნაწილს აღწერენ, შემდეგ დანარჩენებს. ან, შეიძლება, მოსწავლეთა ერთ ჯგუფს ერთი ნაწილი აღვაწერინოთ, ხოლო სხვა ჯგუფს — მათი შესაძლებლობისთვის შესაბამისი სხვა ნაწილი.

კომპლექსური დავალებების შესრულება

თემატური პოსტერები კარგი რესურსია კომპლექსური ხასიათის დავალებების შესასრულებლად. ასეთი დავალებების დიაპაზონი ფართოა: დაწყებული სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის სიტყვების დაჯგუფებიდან, ამბის მოფიქრებით თუ სხვა შემოქმედებითი წერითი დავალებებით. აგრეთვე, რომელიმე ფუნქციური სამეტყველო ქმედების (შედარება, დასაბუთება...) განვითარებაზე ორიენტირებული დავალება კარგად ინტეგრირდება პოსტერის შინაარსთან დაკავშირებითაც.

რესურსის გამოყენება საკმაოდ მოქნილად შეგვიძლია, რაც იძლევა საშუალებას, სხვადასხვა ხანგრძლივობის, დანიშნულების აქტივობები ამა თუ იმ თანმიმდევრობით წარვმართოთ. ერთი თემატური პოსტერის დამუშავება შესაძლებელია გაგრძელდეს რამდენიმე გაკვეთილზე და მას შეიძლება კიდევ მივუბრუნდეთ ორი-სამი კვირის/თვის, მეტიც, რამდენიმე წლის შემდეგაც კი ახალი, განსხვავებული დავალებებით. იმის მიხედვით, თუ რა შინაარსისა და რა სტრუქტურისაა თემატური პოსტერი, მისი დამუშავება შეიძლება წარიმართოს ნაწილ-ნაწილ. ქვემოთ შემოთავაზებულია იდეები ორ ნაწილად დაყოფილი პოსტერისთვის. ბოლოს კი წარმოდგენილია დავალებების იდეები მთლიანი პოსტერისთვის.

მნიშვნელოვანია, თითოეულ ეტაპზე მუშაობისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს ე.წ. პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელი, რაც გულისხმობს ჯერ მასწავლებლის მიერ თვალსაჩინო მოდელირებას, შემდეგ მასწავლებლის პერფორმანსში მოსწავლეთა თანდათან ჩართვას, შემდეგ უკვე მოსწავლის პერფორმანსში მასწავლებლის თანამონაწილეობას, ბოლოს კი მოსწავლის მიერ კონკრეტული კომპეტენციის დამოუკიდებლად წარმართვას.

თემატური პოსტერი „სოფელი“

პოსტერი დამზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

წარმოდგენილია ორ ნაწილად გაყოფილი პოსტერის დამუშავება. აღსანიშნავია, რომ პოსტერის კიდევ უფრო მეტად დეტალიზებაც შეიძლება. მაგალითად, მხოლოდ ტრაქტორის სცენის ან ბოსტნის სცენის გამოყოფა და ასე ნაწილ-ნაწილ დამუშავება. ერთი მონაკვეთის დამუშავებისას შეიძლება სხვა ნაწილი გადავკეცოთ და ისე გავაკრათ დაფაზე ან დანარჩენი სივრცე ქაღალდით დავფაროთ.

პირველი ნაწილი

საგნების დასახელება

ქალი/ქალები, კაცი/კაცები, გოგო, მწყემსი, მძღოლი, ძროხები, ხბო, ძაღლი, იხვი, ჭრიჭინა, ბატები, ცხვრები, თხა, ფუტკრები, სკები, სახლი, სამზარეულო, სკა, წყარო, ხე, ეზო, მთები, ცა,

შვეულმფრენი, ტრაქტორი, ველოსიპედი, ფარები, ბორბალი, საბურავები, ძარა, ურიკა, შეშა, საზამთრო, ვედრო, ბოსტანი, ბაღი, ეზო, მდინარე, გუბე, ხე, ვაშლები, კომბოსტო...

საგნის თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

მწვანე, წითელი, ყვითელი, ლურჯი, თეთრი... მრგვალი, დაჭრილი, ზოლიანი, სავსე, მძიმე, ღია, ანკარა, მწიფე, დახურული, გაბრაზებული, დახრილი, ასული, სუფთა...

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

ზის, დგას, მირბის, წევს, სვამს, დაცურავს, დადის, მიდის, ატარებს, მწყემსავს, დებს, კრეფს, მოაქვს, ამზადებს, ყიყინებს, მიფრინავს...

სახელების დარქმევა

მაგალითად, ქეთევანი, ლია, ანა, ლეილა, ზურიკო, ივანე, დათო, სიმონი, ვახტანგი, ჯუდუ...

„კი“ და „არა“ წინადადებებზე რეაგირება

მასწავლებელი დაასახელებს წინადადებებს, მოსწავლეები კი მხოლოდ „კი” ან „არა” პასუხებით რეაგირებენ:

მწყემსს ჰყავს ოთხი ცხვარი. (კი)

ეზოში ბევრი საზამთროა. (კი)

წითელპერანგიანი კაცი ძარაზე საზამთროს დებს. (არა)

ორი ძროხა გუბეში წევს. (კი)

სახლის წინ, სკამზე, მოხუცი კაცი ზის. (კი)

როგორც წესი, ამ კომპონენტისთვის საწყის ეტაპზე გამოიყენება სახელდებითი წინადადებები. მაგალითად,

ძროხა

ჭრელი ძროხა

მწყემსი

ნაბდიანი მწყემსი

ნაბდიანი მწყემსი კომბლით...

(კი-არა წინადადებებზე რეაგირებისას აუცილებელია, მასწავლებელმა თავისი ხელით ან ჯოხით ან ლაზერის სხივით კონკრეტულად მიუთითოს იმ ადგილზე, რომელსაც ასახავს ესა თუ ის წინადადება).

წინადადებების შედგენა და მათი განვრცობა

გოგონა ვაშლებს კრეფს. → მოკლეკაბიანი გოგონა ვაშლებს კრეფს. → მოკლეკაბიანი გოგონა წითელ ვაშლებს კრეფს. → მოკლეკაბიანი გოგონა ეზოში წითელ ვაშლებს კრეფს. → მოკლეკაბიანი გოგონა ეზოში წითელ ვაშლებს ფრთხილად კრეფს. → მოკლეკაბიანი გოგონა ეზოში მაღალ ხეზე წითელ ვაშლებს ფრთხილად კრეფს.

კაცი საზამთროს ძარაზე დებს. → მელოტი კაცი საზამთროს ძარაზე დებს. → მელოტი კაცი საზამთროს ძარაზე ფრთხილად დებს. → მელოტი კაცი მოწყვეტილ საზამთროს ძარაზე ფრთხილად დებს. → მელოტი კაცი თავის ბოსტანში მოწყვეტილ საზამთროს ძარაზე ფრთხილად დებს.

შეკითხვების დასმა

(შეკითხვების დასმისას მასწავლებელი თან ხელითაც ანიშნებს შესაბამის ადგილზე. პირველ ეტაპზე ეს აუცილებელია).

ქალაქი? სოფელი? დიდი სოფელი? პატარა სოფელი?

რა დგას ამ ეზოში? რამდენი სართული აქვს ამ სახლს? ვინ და ვინ ცხოვრობენ ამ სახლში? რას აკეთებს ქალი სახლში? რას აკეთებს ქალი ეზოში? რას აკეთებს კაცი ეზოში? რას აკეთებს კაცი სახლის წინ? კიდევ ვინ არის ეზოში? რას აკეთებს გოგონა?

რამდენი ძროხაა პოსტერის ამ ნაწილზე? რას შვრებიან ისინი? კიდევ რა არის მდინარეში? კიდევ რომელი ფრინველია პოსტერზე? რამდენი ძაღლია პოსტერზე და სად არიან ისინი?

ვინ ზის ტრაქტორზე? რატომაა ტრაქტორის მძღოლი გაბრაზებული? რა მოაქვს მას? სად ალაგია შეშა? როგორ ფიქრობთ, სად მიაქვს მძღოლს შეშა?

„თუ-თუ წინადადებები“ და სრული ფიზიკური რეაქცია

თუ ცაში შვეულმფრენი დაფრინავს, ადექით ფეხზე!
თუ ბიჭი ველოსიპედით მიდის, აწიეთ მარჯვენა ხელი!
თუ გოგონა ვაშლს კრეფს, თავზე გადაისვით მარჯვენა ხელი!
თუ მელოტი კაცი ბალახს თიბავს, თავი მიაბრუნეთ ფანჯრებისკენ!
თუ ტრაქტორის ძარაზე შეშა აწყვია, გაშლილი ხელები მერხებზე დააწყვეთ!
თუ ეს კაცი სახლის წინ ზის, ბიჭებმა ტაში დაუკარით!
თუ ამ სახლს კრამიტის სახურავი აქვს, დააკაკუნეთ მერხზე!..

ეს კომპონენტიც უნდა დაიწყოს უმარტივესი წინადადებებით:
თუ ეს არის სახლი, აწიეთ ხელები!
თუ ეს არის ძროხა, დააბაკუნეთ ფეხები!..

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

დაწერეთ ამბავი „საზამთროს თავგადასავალი – გზა მიწიდან სუფრამდე“ და დაასურათეთ;
დახატე „შეშით დატვირთული ტრაქტორის მარშრუტი“ და აღწერე;
შეადარე ერთმანეთს გუბე და მდინარე. გამოყავი, რა აქვთ მსგავსება და რა – განსხვავება.

მეორე ნაწილი

საგნების დასახელება

ბიჭი/ბიჭები, გოგო/გოგონები, კაცი/კაცები, ეზო, ხე, ცა, მთა, სახლი, სახურავი, კრამიტი, ფიცარი, კიბე, ფანჯარა, კარი, კედელი, ღობე, თივა, ზვინი, ცელი, ფიწალი, ბალახი, მდინარე, ხიდი, ვირი, ურიკა, ჯოხი, თოკი, ანკესი, ვედრო, ქვა, თევზი, სათამაშო მანქანა...

საგნის თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი... გრძელი, დახურული, გრძელყურა, გაბრაზებული, გახარებული, დაღლილი, მდორე...

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

თევზაობს, თამაშობს, ზის, გადადის, მიუძღვის, უჭირავს, თიბავს/ცელავს, მიაქვთ, ადის, დგას, აწოდებს, ალაგებს/აწყობს...

სახელების დარქმევა

მაგალითად, ანა, მამუკა, გია, პეტრე, გიო, მალხაზი, გარი, ალი, კახა, კობა...

„კი“ და „არა“ წინადადებებზე რეაგირება

მასწავლებელი დაასახელებს წინადადებებს, მოსწავლეები კი მხოლოდ „კი“ ან „არა“ პასუხებით რეაგირებენ:

მდინარეზე თევზაობს ოთხი ბავშვი. (არა)

ხიდზე გადადის ვირი, რომელსაც მიაქვს თივა. (კი)

ეზოში დგას ერთი კაცი და ბალახს თიბავს. (კი)

მეორე ეზოში გრძელი ფიცრები აწყვია. (კი)

კიბეზე კაცი დგას და სახლის სახურავზე კრამიტს ალაგებს. (კი)

როგორც წესი, ამ კომპონენტისთვის საწყის ეტაპზე გამოიყენება სახელდებითი წინადადებები. მაგალითად,

ბიჭი

წითური ბიჭი

ურიკაში შებმული ვირი

გრძელი ფიცრები

ცისფერი მდინარე...

(კი-არა წინადადებებზე რეაგირებისას აუცილებელია, მასწავლებელმა თავისი ხელით ან ჯოხით ან ლაზერის სხივით კონკრეტულად მიუთითოს იმ ადგილზე, რომელსაც ასახავს ესა თუ ის წინადადება.)

წინადადებების შედგენა და მათი განვრცობა

კაცი ბალახს თიბავს. → კაცი ეზოში ბალახს თიბავს. → მწვანეშარვლიანი კაცი ეზოში ბალახს თიბავს. → მწვანეშარვლიანი ულვაშა კაცი ეზოში ბალახს თიბავს. → მწვანეშარვლიანი ულვაშა კაცი ეზოში მწვანე ბალახს მარჯვედ თიბავს.

ბიჭი მდინარეში თევზაობს. → პატარა ბიჭი მდინარეში თევზაობს. → პატარა ბიჭი მდინარეში ანკესით თევზაობს. → გახარებული პატარა ბიჭი მდინარეში ანკესით თევზაობს. → გახარებული პატარა ბიჭი სოფლის მდინარეში ანკესით თევზაობს.

შეკითხვების დასმა

(შეკითხვების დასმისას მასწავლებელი თან ხელითაც ანიშნებს შესაბამის ადგილზე. პირველ ეტაპზე ეს აუცილებელია.)

მდინარე? ქალაქის მდინარე? სოფლის მდინარე?

რას აკეთებს პატარა ბიჭი? რით თევზაობს პატარა ბიჭი? როგორ ვხვდებით, რომ ეს პატარა ბიჭი თევზაობს, რა მიგვანიშნებს ამაზე? როგორ ხასიათზეა პატარა ბიჭი? რატომ არის პატარა ბიჭი კარგ ხასიათზე?

რას აკეთებს ეს გაბრაზებული კაცი? რატომ არის ის გაბრაზებული? რა მიაქვს ვირს? რას აკეთებს ბიჭი, რომელიც თივაზე ზის? ვინ იქნება ეს ბიჭი ამ კაცის? სად მიდიან ისინი? საიდან მოდიან?

რას აკეთებენ ადამიანები მეორე ეზოში? სახლის შენების რა ეტაპზე არიან ისინი? რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი სახლის შენების ბოლო ეტაპზე არიან? რას აკეთებს კიბეზე მდგარი ადამიანი? ვინ ეხმარება მას? როგორ ფიქრობთ, ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის?..

„თუ-თუ წინადადებები“ და სრული ფიზიკური რეაქცია

თუ მდინარესთან სამი ბავშვია, ადექით ფეხზე!

თუ ბიჭი თევზებს ანკესით იჭერს, აწიეთ მარჯვენა ხელი!

თუ ხიდზე ძროხა გადადის, თავზე გადაისვით მარჯვენა ხელი!

თუ ეზოში ულვაშიანი კაცი ბალახს თიბავს, თავი მიაბრუნეთ ფანჯრებისკენ!

თუ ფიცარი ორ კაცს მიაქვს, გაშლილი ხელები მერხებზე დააწყვეთ!

თუ ეს ბიჭი თივაზე ზის, ბიჭებმა ტაში დაუკარით!

თუ აქ წვიმს, დააკაკუნეთ მერხზე!..

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

აღწერე სახლის აშენების ეტაპები და დაასურათე თითოეული ეტაპი;

აღწერე ბალახის „თავგადასავალი“ გაზაფხულიდან ზამთრამდე და დაასურათე ეს ეტაპები;

გაითამაშე იმ ადამიანების დიალოგი, რომლებიც სახლს აშენებენ...

დავალებების იდეები მთლიანი პოსტერისთვის

შეადარე ერთმანეთს ორი ეზო, აღნიშნე მათ შორის მსგავსება-განსხვავება. შენ რომელ ეზოში უფრო მოგეწონებოდა ცხოვრება? რატომ?

დაწერე თხზულება „ერთი დღე ამ სოფელში“.

თემატური პოსტერი „ზამთარი“

პოსტერი დამზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

პირველი ნაწილი

საგნების დასახელება

ბიჭი/ბიჭები, გოგო/გოგონები, ბოტები, ქუდი, შარვალი, პალტო, შარფი, ჯემპრი, ციგა, თხილამურები, გუნდა, თოვლი, ნაძვი...

საგნის თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

წითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ღია მწვანე, სტაფილოსფერი, თეთრი, თოვლიანი, მხიარული, აწითლებული, შეკრული, მრგვალი, გაშლილი...

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

სრიალებს, ზის/სხედან, დგას, მირბის, ისვრის, გუნდაობს, უკეთია, აცვია, იცინის...

სახელების დარქმევა

მაგალითად, ანა, თაკო, კახა, ლუკა, დათო, ნინი, ნიკო, მანუშაკი, ალი...

„კი და არა“ წინადადებებზე რეაგირება

მასწავლებელი დაასახელებს წინადადებებს, მოსწავლეები კი მხოლოდ „კი“ ან „არა“ პასუხებით რეაგირებენ:

თხილამურებზე დგას ერთი ბავშვი. (კი)

ციგაზე ზის სამი ბავშვი. (არა)

ბავშვები ქვიშაში თამაშობენ. (არა)

ყველა ბავშვს ქუდი ახურავს. (არა)

ორ ბავშვს შარფი არ უკეთია. (კი)

აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტისთვის საწყის ეტაპზე გამოიყენება სახელდებითი წინადადებები. მაგალითად,

გოგო

ნარინჯისფერი პალტო

გოგო ნარინჯისფერ პალტოში

ციგა

თავისუფალი ციგა...

(კი-არა წინადადებებზე რეაგირებისას აუცილებელია, მასწავლებელმა თავისი ხელით ან ჯოხით ან ლაზერის სხივით კონკრეტულად მიუთითოს იმ ადგილზე, რომელსაც ასახავს ესა თუ ის წინადადება).

წინადადებების შედგენა და მათი განვრცობა

გოგონა გუნდას ისვრის. → წითელბოტებიანი გოგონა გუნდას ისვრის. → წითელბოტებიანი გოგონა თოვლის გუნდას შორს ისვრის. → წითელბოტებიანი გოგონა თოვლის გუნდას შორს ისვრის და იცინის.

ბიჭი თხილამურებზე დგას. → წითელქურთუკიანი ბიჭი თხილამურებზე დგას. → წითელქურთუკიანი ბიჭი თხილამურებზე დგას და სრიალებს. → წითელქურთუკიანი ბიჭი ჭრელ თხილამურებზე დგას და სწრაფად სრიალებს.

შეკითხვების დასმა

(შეკითხვების დასმისას მასწავლებელი თან ხელითაც ანიშნებს შესაბამის ადგილზე. პირველ ეტაპზე ეს აუცილებელიცაა.)

გოგო? ნარინჯისფერპალტოიანი გოგო? რას აკეთებს გოგო? რას აკეთებს ბიჭი? რამდენი ბავშვია პოსტერის ამ ნაწილზე? რას აკეთებს წითელქურთუკიანი ბიჭი? რამდენი ციგაა პოსტერზე? რატომ არის ერთი ციგა თავისუფალი? ვისია ის ციგა, რომელზეც ორი ბავშვი ზის?

„თუ-თუ წინადადებები“ და სრული ფიზიკური რეაქცია

თუ გოგონას წითელი ბოტები აცვია, ადექით ფეხზე! თუ აქ ოთხი ბავშვია, აწიეთ მარჯვენა ხელი! თუ ამ ციგაზე ერთი ბავშვია, თავზე გადაისვით მარჯვენა ხელი! თუ ციგაზე წინ მჯდარ ბიჭს მწვანე ქურთუკი აცვია, თავი მიაბრუნეთ ფანჯრებისკენ! თუ წითელქურთუკიანი გოგონა თხილამურებზე დგას, გაშლილი ხელები მერხებზე დააწყვეთ!

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

აღნუსხე, აღწერე და დააჯგუფე ბავშვების ტანსაცმელი;

აღწერე ბავშვი, რომელიც ყველაზე უფრო მოგწონს...

მეორე ნაწილი

საგნების დასახელება

ბიჭი/ბიჭები, გოგო/გოგონები, ქალი/ქალები, სახლი, სკამი, ბოტები, ხელთათმანები, ქუდი, შარვალი, პალტო, შარფი, ჯემპრი, ციგა, გუნდა, თოვლი, თოვლის ბაბუა, სტაფილო, ვედრო...

საგნის თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

იისფერი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, სტაფილოსფერი, თეთრი, ჭრელი, ზოლიანი, თოვლიანი, მხიარული, წითელლოყება, მრგვალი...

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დასახელება

აკეთებს/აკეთებენ, სრიალებს, ზის/სხედან, ისვრის, გუნდაობს, უკეთია, აცვია, იცინის, უსწორებს, ლაპარაკობენ...

სახელების დარქმევა

მაგალითად, ნუკრი, თამრიკო, ლევანი, ნანი, იმედა, ხათუნა, ირმა, ალინა, მუჰამედი, თარაში...

„კი“ და „არა“ წინადადებებზე რეაგირება

მასწავლებელი დაასახელებს წინადადებებს, მოსწავლეები კი მხოლოდ „კი” ან „არა” პასუხებით რეაგირებენ:

თოვლის ბაბუას აკეთებს ორი ბავშვი. (კი)

ციგაზე ზის ორი ბავშვი. (არა)

ბავშვები სკოლაში ერთობიან. (არა)

ყველა ბავშვს პალტო აცვია. (არა)

ბავშვები თოვლის ბაბუას სტაფილოს უკეთებენ. (კი)

როგორც წესი, ამ კომპონენტისთვის საწყის ეტაპზე გამოიყენება სახელდებითი წინადადებები. მაგალითად,

ბიჭი

ჭრელქუდიანი ბიჭი

ბიჭი ნარინჯისფერ პალტოში

ხელთათმანი

ვარდისფერი ხელთათმანი...

(კი-არა წინადადებებზე რეაგირებისას აუცილებელია, მასწავლებელმა თავისი ხელით ან ჯოხით ან ლაზერის სხივით კონკრეტულად მიუთითოს იმ ადგილზე, რომელსაც ასახავს ესა თუ ის წინადადება.)

წინადადებების შედგენა და მათი განვრცობა

ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ. → ზამთარში ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ. → ზამთარში ეზოში ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ. → ზამთარში ეზოში თბილად ჩაცმული ბავშვები თოვლის ბაბუას აკეთებენ. → ზამთარში ეზოში თბილად ჩაცმული ბავშვები თოვლის ბაბუას მხიარულად აკეთებენ.

ეზოში სახლი დგას. → ეზოში ხის სახლი დგას. → თოვლიან ეზოში ხის სახლი დგას. → თოვლიან ეზოში დათოვლილი ხის სახლი დგას.

შეკითხვების დასმა

(შეკითხვების დასმისას მასწავლებელი თან ხელითაც ანიშნებს შესაბამის ადგილზე. პირველ ეტაპზე ეს აუცილებელია).

ბიჭი? ნარინჯისფერპალტოიანი ბიჭი? რას აკეთებს ნარინჯისფერპალტოიანი ბიჭი? რა უჭირავს ამ ბიჭს ხელში? რატომ უჭირავს ამ ბიჭს ხელში ტოტი?

რამდენი ბავშვია პოსტერის ამ ნაწილზე? რამდენი ადამიანი ზის პოსტერის ამ ნაწილზე? რამდენი ბავშვი სრიალებს? ვის ესვრის ბიჭი გუნდას? საიდან მოიტანდნენ ბავშვები სტაფილოსა და ვედროს? ვინ მოიტანდა სტაფილოს?

„თუ-თუ წინადადებები“ და სრული ფიზიკური რეაქცია

თუ თოვლის ბაბუას ორი ბავშვი აკეთებს, ადექით ფეხზე! თუ თოვლის ბაბუას ჭარხალი უკეთია, აწიეთ მარჯვენა ხელი! თუ ამ ციგაზე ერთი ბავშვია, თავზე გადაისვით მარჯვენა ხელი! სკამზე მჯდარი ბავშვები ლაპარაკობენ, თავი მიაბრუნეთ ფანჯრებისკენ! თუ ციგაზე მჯდომ ბავშვს შარფი არ უკეთია, გაშლილი ხელები მერხებზე დააწყვეთ! თუ სახლის წინ სკამზე ოთხი ადამიანი ზის, გოგონებმა ტაში დაუკარით! თუ რომელიმე ბავშვს ყავისფერი ბოტები აცვია, დააკაკუნეთ მერხზე!..

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

აღნუსხე, აღწერე და დააჯგუფე ბავშვების ტანსაცმელი;

აღწერე თოვლის ბაბუას გაკეთების ეტაპები და დაასურათე თითოეული ეტაპი;

გაითამაშე იმ ბავშვების დიალოგი, რომლებიც თოვლის ბაბუას აკეთებენ...

დავალებების იდეები მთლიანი პოსტერისთვის

აღწერე ბავშვი, რომელიც შენ ყველაზე მეტად გგავს და ისაუბრე, რით გგავს იგი.

აღწერე ბავშვი, რომლის როლში ისურვებდი ყოფნას და ისაუბრე, რატომ მოგწონს მის როლში ყოფნა.

დახატე და შემდეგ აღწერე ის მაღაზია, რომელშიც პოსტერზე დახატული ბავშვების ტანსაცმელები იყიდება. გაითამაშეთ ტანსაცმლის ყიდვის სცენა.

მოიფიქრე, როგორ გაერთობოდნენ პოსტერზე უკანა სკამზე მსხდომი უფროსი ადამიანები, როდესაც ისინი პატარები იყვნენ? რა იქნებოდა მსგავსი და რა იქნებოდა განსხვავებული ამ პოსტერზე მოცემული სიტუაციისგან?

დაახლოებით მსგავსი პრინციპით დამუშავებული სხვა პოსტერები შეგიძლიათ იხილოთ USAID საბაზისო პროგრამის ფარგლებში ჩემ მიერ შექმნილი რესურსების სახით:

1. თემატური პოსტერი „ექსკურსია“
   https://drive.google.com/file/d/1LgE5Yf1A1bjHc7ypkFY9LBae4KHet9-i/view?usp=drive_link
2. თემატური პოსტერი „დაბადების დღე“
   https://drive.google.com/file/d/16lV0XhttEqzuR1v0xNkRU5C-tT2GaUQc/view?usp=drive_link

ქრისტინე
სურგულაძე

როცა კლასი მრავალრიცხოვანია

ალბათ ყველას შეგიმჩნევიათ, როგორ ანათებს ზოგიერთი ადამიანი. პირველივე შეხვედრაზე ახდენს შთაბეჭდილებას, ყველას ამახსოვრებს თავს და ეს ყოველთვის ექსპრესიულობის ხარჯზე არ ხდება. შესაძლოა, ის სულაც არ საუბრობდეს ხმამაღლა, თავდაჯერებულად და მხოლოდ გარეგნულად იყოს დასამახსოვრებელი. მაინცდამაინც მიმზიდველ გარეგნობას არ ვგულისხმობ. ადამიანების ნაწილი ბუნებრივადაა ასეთი, როცა მეორე ნაწილი ნაკლებად შესამჩნევია. ამით თუ აიხსნება, რატომ გვახსოვს იმ უცხო ადამიანის სახე, რომელსაც ოდესღაც შემთხვევით გადავეყარეთ და შესაძლოა, მასთან გასაუბრების შანსიც კი არ მოგვცემია, მაშინ როდესაც გონებიდან ნელ-ნელა გვიქრება იმ ადამიანების სახეები, ვისაც დიდი ხნის წინ კარგად ვიცნობდით.

მეორე მხრივ, იყო ნაკლებად შესამჩნევი – არ ნიშნავს, ნაკლები სათქმელი გქონდეს.

ზოგი ადამიანი მეტისმეტად ხმამაღალია იმისთვის, რომ არ დაგამახსოვრდეს, ზოგი თვალებით საუბრობს, ზოგი – ხელების დახმარებით, ზოგი საერთოდ არ უწევს ხმას, თუმცა სწორედ ხმის ტემბრით ისაკუთრებს ჩვენს გონებას, ზოგს კი ხმის ამოღებაც არ სჭირდება იმისთვის, რომ გაფიქრებისთანავე მისი სახე თვალწინ დაგვიდგეს.

ცხადია, ამ პროცესს ყურადღებით ვერ დააკვირდებით, თუ ყოველდღე ასზე მეტ ადამიანთან მაინც არ გიწევთ შეხვედრა. ოდესმე დაბრუნებულხართ აფთიაქში იმის გამო, რომ რამე დაგრჩათ ან დაგავიწყდათ და გაგკვირვებიათ, რომ ფარმაცევტს ახსოვხართ? ან, პირიქით, არ ახსოვხართ, როდესაც ორიოდე წუთის წინ გესაუბრებოდათ? ხშირად გვიფიქრია, დღეში ჩვენნაირს იმდენს ესაუბრებიან, ყველას რა დაამახსოვრებთო. მართლაც, ზოგჯერ შეიძლება წესიერად არც კი შემოგხედონ, ისე მიიღონ შეკვეთა და კარის გა-

ხურვისთანავე თქვენი სახე მათი გონებიდან კვამლივით გაქრეს, ზოგჯერ კი, პირიქით, ისე გესალმებიან, თითქოს ყოველდღე გხედავდნენ, მაშინ როცა სულ მეორედ ხართ იქ.

ეს არც სილამაზეზეა დამოკიდებული და არც იმაზე, რამდენად მოხდენილად გამოვიყურებით მოცემულ მომენტში. ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი ფენომენია, თუმცა მეორე მხარეზეცაა დამოკიდებული – ის, ვინც სხვისთვის დასამახსოვრებელია, ჩემი გონებიდან განზე გახედვისთანავე ორთქლდება.

ასეა თუ ისე, საერთო ჯამში, მაინც ორ კატეგორიად ვერთიანდებით: ისინი, ვინც ამახსოვრდებათ და ისინი, ვინც არ ამახსოვრდებათ.

როდესაც კლასი ძალიან დიდია, მასწავლებელს მეტი დრო სჭირდება მოსწავლეების გაცნობად. გულზე ხელი დავიდოთ: არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთა სახელებიც და სახეებიც პირველივე გაკვეთილიდან გვახსოვს და ისეთებიც, ვისი სახელის გასახსენებლადაც დღის ბოლოს სიის შემოწმება გვჭირდება. ამას არაფერი აქვს საერთო მათ აკადემიურ მოსწრებასთან.

რასაკვირველია, თანდათან ერთმანეთს ვეცნობით და ყველაფერი თავის ადგილას დგება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: კლასიდან ერთი ან რამდენიმე სხვებზე ადვილად იკავებს ადგილს ჩვენი მეხსიერების ხვეულებში.

ყოველთვის, როდესაც მრავალრიცხოვან კლასზე ვსაუბრობდი, მაქსიმუმ 25-30 ბავშვს მოვიაზრებდი, მაგრამ დღეს, როდესაც კლასში შესვლისთანავე 60-65 წყვილი თვალი მოუთმენლად შემომყურებს, ვხვდები, რა ყოფილა ნამდვილი სირთულე. მით უმეტეს, მათ ყოველდღე არ ვხვდები, კვირაში ერთხელ ან ორჯერ ერთად გატარებული ორმოცი წუთი კი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ისინიც გაიცნო და მკაცრად გაწერილ საგაკვეთილო გეგმასაც მიჰყვე. მასწავლებელს თავისი შიმშილი აქვს, მოსწავლეებს – თავიანთი. ამ შიმშილს კარგად გაცნობის და კომუნიკაციის შიმშილი ჰქვია, ის რაღაც უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე სწორხაზოვანი გაკვეთილის გეგმაა. სწორედ ასე ნადგურდება ჩემი შესვენებები და დაუსრულებლად ვპასუხობ ერთსა და იმავე, უკვე მილიონჯერ მოსმენილ შეკითხვებს, რაც მათ სახეებზე უზომოდ ბედნიერ და იმავდროულად, მოუთმენელ გამომეტყველებას აჩენს. მეტი უნდათ და უნებურად მშობლიურ ენაზე გადადიან, მე კი მათი ენა არ მესმის, ჩემი ქართველი მოსწავლეები მახსენდება და მონატრება გულს მიკლავს.

პირველ კვირას კლასიდან მხოლოდ ერთი ან ორი მახსოვდა ხოლმე. რაღაც ასე: „ახლა სად მაქვს გაკვეთილი? მესამე მეცამეტეში? ეგ რომელი კლასია? ჰო, იმ გოგოსი“. „ახლა სად? მესამე მეოცეში? ეგ რომელია? ჰო, იმ ბიჭუნასი“. „მეორე მეექვსე? ჰო, ის სამი ბავშვი“.

მეორე კვირას კლასთან ასოცირებული ორი წყვილი თვალი ოთხი გახდა, მერე – ექვსი, მერე – რვა და ა.შ. მაგრამ სამოცი?! ეს ხომ ძალიან ბევრია! როგორ შეძლოს მასწავლებელმა ყველას გაცნობა, ყველას ამოცნობა, ყველას დამახსოვრება, მით უმეტეს, როცა სულ მათთან არ არის? ზოგი ძალიან თამამია, ბევრს ლაპარაკობს, შეცდომების არ ეშინია, სულ ხელს იწევს, ზოგი გამორჩეულად თბილია, სტიკერებს გჩუქნის, კლასში შესულს გეგებება და ნახატებს გაჩვენებს, ზოგი არასდროს გიყურებს, გგონია, არც კი გისმენს, გაკვეთილზე ხატავს და ასე იქცევს შენს ყურადღებას, თუმცა მაინც ყველაფერზე სწორად გცემს პასუხს. მაგრამ დანარჩენები? ვინც სულ ჩუმად ყოფნას ამჯობინებს და ცდილობს, თვალში არ მოგხვდეს? განა იმიტომ, რომ სათქმელი ან საჩვენებელი არაფერი აქვთ, – უბრალოდ, ასეთები არიან, შეუმჩნევლები. თან რა ადვილია,

სამოც კაცში შეუმჩნეველი იყო! არადა, თუ შეამჩნიე და ბიძგი მიეცი, შესაძლოა, ყველაზე კაშკაშა სინათლით დაიწყონ შენთვის ნათება. მაგრამ ვიდრე ამას მიხვდები, ვიდრე მოქმედებაზე გადახვალ, რა უნდა ქნა მასწავლებელმა?

ამ კითხვებზე პასუხი საახალწლოდ გამართულ ზეიმზე მივიღე. ყველა კლასმა საკუთარ საკლასო ოთახში მოაწყო მცირე წვეულება და ეს წვეულება საოცრად ჰგავდა ერთმანეთის უკეთ გასაცნობად დაგეგმილ აქტივობას. მასწავლებლებმა მოსწავლეებს რამდენიმე დღით ადრე სთხოვეს, წარმოედგინათ ის, რაც უყვარდათ და რაც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ გამოსდიოდათ. ზოგმა იცეკვა, ზოგმა იმღერა, ზოგმა დაუკრა, ზოგმა კომედიური ნომერი წარმოადგინა, ზოგმა ფოკუსები გვაჩვენა, ზოგმა ლექსი წაიკითხა. ყველაფერი იყო, ინტერესიდან ჰობიმდე, ფოლკლორიდან თანამედროვეობამდე. მასწავლებლები არც მათ არჩევანში ჩარეულან და არც ნომრების დახვეწაში მიუღიათ მონაწილეობა. კლასიდან კლასში დავრბოდი, რომ ყველას ნახვა მომესწრო. ცხადია, სირბილში ბევრი რამ გამომრჩებოდა, მაგრამ რაც ვნახე, აღმაფრთოვანა. გამაგიჟა იმ ბავშვების წარმოდგენამ, რომლებსაც ამ ზეიმამდე დერეფანში რომ შევხვედროდი, ვერც კი გავიხსენებდი, ჩემს კლასში იყვნენ თუ არა!

ამიტომ ასე ვფიქრობ: იქნებ ღირდეს, თვეში ერთი გაკვეთილი ან ერთი საღამო „გავწიროთ“ იმისთვის, რომ მოსწავლეებს საშუალება მივცეთ, საკუთარი თავი, ინტერესები და შესაძლებლობები წარმოაჩინონ? ვუწოდოთ ამას თუნდაც ზეიმი. თუ მათ ასე აბედნიერებთ ერთმანეთის ხელახლა გაცნობა და თავის წარმოჩენა, განა ეს ზეიმი არ არის?!

„Teacher, let me try“, – გაისმის ხოლმე ჩემს ზურგს უკან და მივიხედავ თუ არა, მაშინვე მახსენდება – ეს ხომ ის ბიჭუნაა, ჰიპ-ჰოპი რომ იცეკვა, ეს კი ის გოგოა, უცნაურ საკრავზე რომ დაუკრა. „მოდი, იმან სცადოს, ფოკუსებს რომ ატარებდა“, – ვუპასუხებ ხოლმე და ფოკუსების მოყვარული სიცილით მოიკვლევს გზას ახითხითებულ თანაკლასელებს შორის. მეც საბოლოოდ ბედნიერი ვარ, ყველას სახე მახსოვს და ყველას საკუთარი ადგილი აქვს.